

✓ 114 / 3  
1931

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა  
თბილისი



# მედიკალიზაცია

11-12

4 9 3 1

МУЗЕЙ РЕВОЛЮЦИИ

ბიბლიოთეკის ფუნქციონირების შესახებ



# მნათობი

სრულიად საქართველოს საბჭოთა შწერლების აქტივაციის დაფუძნების  
სამთავრობო-პალიტიკური და მსაჯურულ-ლიცენზირებული თანხანი

11-12

ნოემბერი-დეკემბერი

ფლინატი შერე

სახელმწიფო გამომცემლობა

თბილისი 1931 წ.



59645

5067



ქოლიგოავტორების 1-ლი  
ს. ბ. შ. შ.  
გვ. № 3276. ტომ. № 2100.  
მოაველ. № 2225.

## მუზა გაგომგონებალი

ზეინკალი ნოე დარახველიძე  
ქუთაისის ძაღსაღები ქარხანა

ჩემი ბავშობაც სხვებმა გაცვიოეს,  
მეც უთენია სხვისთვის ვდგებოდი—  
და მაინც შენთან შედარებით მე  
ნამდვილ „ბურჯუად“ ჩავითვლებოდი.  
მე წიგნის ჩანთა მაინც მქონია  
გამოკერილი დედის კაბიდან,  
აბაზიანი ჭრელი პენალი  
გაკრიალებულ ციკქა კალმითა.  
შენ არც გინახავს სასწავლებელი,  
გითხრეს: —არაა შეილო საშენო—  
არ გისწავლია რომ დედამიწა  
ტრიალებს მზის და თავის გარშემო;  
მაგრამ იცოდე რასაც სკოლაში  
არ ზეპირობდენ, აღარ იცოდენ—  
შენი ქათმები სხვების ოჯახში  
რატომ ათავენს თავის სიცოცხლეს.  
არ გისწავლია, ჩვენი პლანეტა  
იყო ოდესღაც ბნელი და ცხელი,  
მერე ქვეყანა როგორ აშენდა,  
როგორ გავსო სიცოცხლის ხმებით!  
მაგრამ იცოდი რაც მთავარია—  
რომ საჭიროა დანგრევა მისი.  
სახიფათოა ასეთი ცოდნა,  
იგი საუბრობს ტყვიით და სისხლით.

ის არ გაცხოვრებს სადაც ისურვებ,  
და არც საწოლზე სიკვდილს გაღირსებს;  
ის არ შეგმატებს ტანის სიმსუქნეს  
და არც ქონებით ოჯახს ავივსებს.



ის არ გიშოვის ჩინს,—და კეთილად  
სიბერის დღებს არ შეგთავაზებს!  
მას შეუძლია მხოლოდ ერთი რამ—  
აგწიოს მაღლა... სახრჩობელაზე.

ვაშა იმ მებრძოლს, ვისაც უფლია,  
მარყუქების ქვეშ მხნეთ და უშიშრათ,  
ვინც ის მხნეობა და თავდადება  
დღეს მოიტანა ქარზნის გულშიდაც.

...გამოიცივალა წელი შრავალი  
გამოიცივალა ჩვენი რიგებიც,  
არ გამოცვლილა მარად ახალი  
ენტუზიზმი ბოლშევიკების.  
იგი დაინთო ჭერქვეშ ფარულად,  
იგი აშკარად ფრონტზე გავიდა.  
ის იყურება ჩვენი პარტიის  
ყოველ სიტყვიდან, ყოველ საქმიდან.  
იგი იქ სჭრიდა სადაც ხანდახან  
არ გაუჭრია თოფსა და მახვილს;  
იგი ყველაზე უფრო მრისხანე  
იარაღია შშრომელი ხალხის.  
გრივალმა სამი რევოლიუციის  
ველარ მოტება, ველარ ჩააქრო,  
ტრამალეზიდან, ტყიდან, ფრონტიდან  
ის დაუბრუნდა ახლა საამქროს.  
ენტუზიზმით, შენ ლენინივით  
განუყრელი ხარ ჩვენი რიგების:  
სამოქალაქო ომების ფრონტზე  
შენ გამოზარდე ფრონტის გმირები,  
ახლაც დარაზმე ჩვეული ცეცხლით  
ყოველი ხელი, გრძნობა და ფიქრი;  
ზარდე, მიეცი რეკონსტრუქციას  
გმირები ვეგმის, გმირები ციფრის.

— — —  
იგი დაიწყო ასე უბრალოდ.  
გადამწყვეტი თვე. ოცო მისი.  
გვიბრებოდა ორი ბრივალა  
საუკეთესო რანდემანისთვის.  
ევიბრებოდენ და იძლეოდენ  
სამავალითო ხარისხის ნორმებს;  
ორი დეკადის განმავლობაში  
წინ ვერ გაუსწრეს ერთი მეორეს.



დადგა მესამე. არვის ემჩნევა  
ტემბის ლალატი და შენელება.  
დღეს კი დაიკლო მოულოდნელად  
შხარშავ ბრიგადის მაჩვენებლებმა.  
უცებ დაიკლო. ვალი გვედება,  
ვისი ბრალია, რატომ დაემარცხდით!  
აღბად ნელია ჩვენი შეტევა  
აღბათ ჩვენ შორის იყო ზარმაცი.  
და მხარშველებმა მთელი სიფიცხით  
დაადგენ, მისცეს ორთქლი აუზებს...  
დღესაც დამარცხდენ, დღესაც მეორე  
ბრიგადის ტემბებს ველარ გაუძღეს.  
ახლა კი მიხედენ, მათ ბრიგადა  
არ გაუცია არც ერთ ამხანაგს,  
მიხედენ: ძლიერი, ბოლშევიკური  
ტემბის ალება უჭირს მანქანას.  
უჭირს მანქანას; ადამიანებს  
ველარ უძღებენ რკინის ძარღვები.  
ხედავს ოსტატი დარახველიძე—  
გეგმას დაადგა ჩრდილი გარღვევის.  
მისი მანქანა დამარცხებული  
შავი დაფიდან უნდა დაიხსნას.  
ყველა სახელზე სამარცხენოა  
მისთვის სახელი შავი დაფისა.  
როგორ დაიხსნას! იგი უბრალო  
ჩვეულებრივი მუშა კაცია,  
სახე—მოწუთხვილ მაგისტრების წინ  
მას არ დაუცავს დისერტაცია.  
გამაგრებულია ტენიკის ციხე  
ინტეგრალების სქელი კედლებით;  
მისი ალება უფრო ძნელია  
ვიდრე გაელეტა კოლჩაკების.  
მაგრამ სად არის ციხე ისეთი  
ბოლშევიკების ხელს არ დანებდეს;  
არ არის სიტყვა;—არ შეიძლება,—  
არის: შესძელი, არის: გაბედე.  
უნდა გაბედოს. სოციალიზმი  
არ აშენდება შიშველ ხელებით.  
უნდა დაეძლიოს, დაემორჩილოს  
უცნობი ენა თეორემების.  
..რამ გადარია ეს ზეინკალი,  
გამოიცვალა. არ გავს წინანდელს.



შუალამისას, როცა სახლებში  
 კეტავენ კარებს, ჭრება სინათლე —  
 და უფრო გვიან, როცა ერთბაშად  
 ძალებს დააცვენს თვლელმა ძლიერი,  
 როცა ქურდიც კი შინ მიიჩქარის  
 ხელსავსეა თუ ხელცარიელი —  
 იგი ფეხზეა; რა დროს ძილია,  
 როცა მანქანა ავით ეგულვის.  
 ზის და ათენებს ღამეს ღამეზე  
 ჯიუტ ხაზებზე ჩაფიქრებული.  
 რა დროს ძილია, როცა მუქარით  
 ჩამორჩენილი დაზვის ხმა ისმის;  
 ყოველი წამი, ყოველი წამი  
 დატენილია ცოდნის ხალისით.  
 უკვე თენდება, იღლება თავი.  
 ჩადგა ციფრების მძაფრი ქუბილი.  
 ...საუკუნეთა მტვერიან გზებზე  
 შენს კლასს ახრობდა ცოდნის წყურვილი.

რამდენი დროშა წიგნმა ამართა,  
 რამდენი მეფე წიგნით გასრისეს —  
 და თქვენს ხელებში წიგნის დანახვა  
 ბოშბივით სძულდა კაპიტალისტებს.

დარბეულია წლები წყვეული,  
 გაწმენდილია შენი გზები და —  
 შესძელ, გამოდი გამარჯვებული  
 რთულ ფორმულების ჯურღმულებიდან.

იყავ თამამი როგორც არასდროს,  
 შესძელ, ისწავლე მეტი სიჩქარით.  
 ათ წელიწადში უნდა გაასწრო,  
 ვინაც ასი წლით შენზე წინ არის.

შენი მანქანა დამარცხებული  
 შავი დაფიდან უნდა დაიხსნა.  
 ყველა სახელზე სამარცხენოა  
 ჩვენთვის სახელი შავი დაფისა.

გუშინ პირველად ახალგაზრდა მზე  
 გელათის გორებს გაეთამაშა.  
 მოუთმენელი, ფიცხი სიმწვანე  
 შემოესია ქალაქს ერთბაშად.



სივილით, ღელვით და შრისხანებით  
 მოითარეშა მთელი ბაზარი.  
 მოქალაქენო გამოდით გარეთ,  
 ქალაქში გაჩნდა მწვანე ხანძარი.  
 და გამოდიან, გაზავებულია,  
 მწვანე ხანძარი თვალს ახალისებს.  
 ერთი შეხედვით რა ამბავი აქვთ  
 შილიდეთ ჩაცმულ დიასახლისებს.  
 აქ ბალიშები ფანჯრებს ჩამოხსნეს,  
 აგერ შამფურით ბერტყავენ ფარდავს.  
 ღუმელი, შეშა—მთელი ზამთარი  
 დღეს ჩააბარეს ნესტიან სარდაფს.  
 გაზაფხულია. შებინდებისას  
 როცა სიჩუმე იფლობს მანქანებს,  
 და ბნელ ბალახებს ჩვეულებრივად  
 თეთრი ტყელების შუქი ანათებს,  
 იფეთქებს ნალში შიიარულების  
 და სიმღერების ბასრი ხმები.  
 ძაფისმღებლები თავიანთ ოჯახს  
 დინჯად კლუბისკენ მიუძღვებიან.  
 მთელი უბანი შუალამიმდე  
 დოლის, ვიტარის გრილით შფოთავს...  
 ზენკალს დამბლა ხომ არ დაეცა  
 რომ არ შორდება ნესტიან ოთახს:  
 დავიწყებია ველად, ქალაქათ  
 ღელავს თბილი და თეთრი მაისი,  
 ერთი საღამოც არ ემატება  
 ოჯახისა და ამხანაგისთვის.  
 ილარც გაცდენა, ილარც მაცდური  
 ჭიქის წკარუნი იწვევს, აქეზებს.  
 ჯიუტ ხაზებზე გალაშქრებული.  
 ზის და ათენებს ღამეს ღამეზე.  
 შენ დიქტატურავ, კაპიტალისტური  
 ზარბაზნების წინ მედგოად ნაგებო,  
 როგორც ცხრამეტში როცა გრგვინავდა  
 ძახილი „ცხენზე პროლეტარებო“,  
 დღესაც იმავე ძლიერი ცეცხლით  
 იბრძვის, დასძლიოს ფორმულებს, ხაზებს—  
 რომ არ მიქონდეს საბჭოთა ოქრო  
 კაპიტალისტურ ქვეყნების დაზგებს.



... შენ შეხვედრიხარ სიხარულის დღეს,  
 შენ შეხვედრიხარ დღეების დაღატს;  
 ასე ჩქარა კი აღმათ არასდროს  
 გული არ სწევდა მაღლა შენს ხალათს,  
 როცა პირველად გამოისაცდელად  
 შენ მიიტანე შენი მოდელი,  
 როცა ასრულდა შენი ოცნება  
 ოდესღაც შენთვის მიუწვდომელი.  
 ქარხანაში ვარ, მესმის ცეხიდან  
 შენი მანქანის გამარჯვების ხმა,  
 შევდივარ კლუბში და კედლებიდან  
 მესმის ძაბილი ნახაზებისა:

— დარაბველიძის გამოგონება  
 „ჩოთქების გახსნა მექანიკურად,  
 ს. მასი ათასს წმიდა მოგებას  
 მისცემს ძაფსალებს ყოველწლიურად —  
 აი გმირობა და შინაარსი  
 ჩვენი წლების და ჩვენი ეპოქის,  
 ხედავთ იზრდება საბჭოთა დაზგა  
 ამერიკული დაზგის მეტოქე.  
 როგორც ცხრაშეტი, დღესაც იმგვარი  
 ენტუზიაზმის ცეცხლი ტრიალებს.  
 გმირებათ ზრდიან ჩვენი დაზგები  
 გუშინ უჩინარ აღამიანებს.

— . —

არა მანქანის მაღალ ხარისხით  
 და კომერციულ გამოცდილებით,  
 არა ბრწყინვალე ღორდის ჩქარი სვლით,  
 არა ბეტონის გზატკეცილებით,

არა მსოფლიო ომების სისხლით  
 გასუქებული ოქროს დოღარით,  
 რომლის სახელსაც დედაზე აღრე  
 იძახის ყველა ძუძუმწოვარი,  
 არა ცამწვდენით საღაც ამაყად  
 ემეზობლებით მაღალ მნათობებს;  
 არა ჯავშნიან კრეისერებით  
 ოკეანეთა წყლებს რომ ამფოთებს;

არა ტეხნიკით, უსულო ნივთით  
 რომლის კეთებას შენვე გვისწავლი,



არა ბრუკლინის საოცარ ზიდით,  
... ჩვენ უმთავრესით ვადაგასწართ;

ფორდის ქვეყანავ, შენი ქარხანა  
რას არ აკეთებს, რას არ შეიძლებს!  
მაგრამ არასდროს არ ვეყოლება  
ერთი ასეთი დარახველიძე  
ადაძინაი შენი ქარხნისთვის  
მხოლოდ უბრალო ქვანახშირია;  
ათ წელიწადში ხრავ იმ ძალღონეს,  
კაცს რომ ასი წლის საგზლად სჭირია.

შენმა ტეხნიკამ უმეშვერობით  
მილიონების ბედი გასრისა,  
შენი ხარატი, შენი მკედელი  
ახლა მტერია თავის დაზგისა.  
ვიდრე ქარხანა ფორდებს ეკუთვნის,  
ის არ იბრძოლებს მაღალ ტემპისთვის.  
მას ეზიზღება თავის მანქანა,  
როგორც შორეულ მშვიერ ლედისტებს.  
მას ეზიზღება თავის მანქანა  
რომელიც მისთვის ამზადებს კრიზისს;  
არ შეგიძლია მოსპო მათ შორის  
მტრობა და ზიზღი, მტრობა და ზიზღი.

ფორდის ქვეყანავ, ყველა ქვეყანას  
წინ უსწრებს შენი ტეხნიკის დონე,  
მაგრამ ორმოცი საუკუნის წინ  
პირამიდების მშენებელ მონებს,  
ასე ძლიერად, ასე სიმწარით  
არ დაუგმიათ თავის გაჩენა,  
ასე ველურად ფარაონებთან  
არ უშრომია იმათ მარჯვენას,  
როგორც შრომობენ შენი ზანგები.  
თერთმეტ მილიონს მუსრავ გულცივად;  
წყვეულო შრომავ, შენს ისტორიას  
სისხლი გადმოდის ყოველ ფურკლიდან.  
შეგინებულო, შეზიზღებულო  
და გავსებულო კაცთა ნალველით,  
ყოველ დროში და ყოველ მიწაზე  
ტანჯვა ყოფილა შენი სახელი.  
ვარ ბედნიერი და მსოფლიოში  
თავი ყველაზე ამაყათ მომაქვს,





რადგან იმ ქვეყნის მოქალაქე ვარ  
 სადაც წაზება არ ქეია შრომას.  
 არა ტეხნიკით, უსულო ნივით  
 რომლის კეთებას შენვე გეასწავლი,  
 არა ბრუკლინის სოცარ ხიდიო,  
 ... ჩვენ უმთავრესით გადაგასწარიო;  
 აღამიანით, რომელმაც შრომა  
 გადააქცია შემოქმედებათ;  
 მისი გვარია ის რაც გეგმაზე  
 მეტი სრულდება, მეტი კეთდება.  
 მისი სახეა დაფა წითელი  
 ქარმაგ ციფრებით განათებული.  
 დღეს მორგანების დაზგებს არა ყავს  
 ერთი მასავით თავდადებული.  
 მას ვერ ააწყობ როგორც მანქანას,  
 არ შეიქნება იგი ბრძანებით.  
 ის იქ იზრდება, სადაც გუგუნებს  
 სოციალისტურ შრომის დაზგები,  
 სადაც საზღვარი ტვინს და კუნთს შორის  
 ჩვენმა ეპოქამ მოსპო, აყარა.  
 და სადაც შრომა, ცრემლის ძმობილი  
 პატიოსნების საქმეთ გამზღარა.  
 ფორდის ქვეყანაზე! სეიფში, ბანკში  
 შენ უთვალავი სიმდიდრე გიძეეს.  
 მაინც გაგასწრებთ, რადგან ჩვენს კავშირს  
 ყავს უთვალავი დარაბველიძე.

თბილისი  
 1931 წ.

## ალაზნის ველი და ალაზნის ბაგბა.

ალაზნის ველო, ვრცელი გნახე და  
მგონიხარ სივრცე შლილი ცაური;  
ზურგს უკან დარჩა მსუყვე კახეთი  
ლაგოდები და ტყე ჭიაურის.

ქანვა ბალახი, ძურწა და ბუტვა  
ველო გვხედები და ველურად გზრდიდა,  
გიდგას ენა მთა მინდორის უკან  
ქიზიყს გაწედილი გომბორის მთიდან.

შალაფი სჭამდა ამ მდორე ვოლს და  
სიო არ არბევს დაწოლილ ბუტვებს.  
ასეთ მყარ ჰაერს ვერ ნახავთ ვერსად  
სდუმს დაბლობი და

ცის სივრცეს უცქერს.

და შორუჯული სივრცე სიციხისგან  
სუნთქავდა მძიმედ. ველური ეგლო  
რამდენჯერ გატყდა ველის ცისკარი

და წყაროს თხოვნით მიაღდა ფერდობს.

შოლოდ სექტემბრით

დიდი ცხერის ფარა

დაიდვრებოდა შირაქის მზრიდან;

ველზე დგებოდა ცხერის ფარი ჯარად

და ჯოგის ძალა შალაფებს თხრიდა.

კვამლი დიოდა გომურებს ზემოთ

ზღვის მსგავს მინდორზე ჰკიოდენ მთიდან

სძოვდა ცხვარი და ბალახის გემოს

ნამდილ სექტემბრის შედეგათ სთვლიდა.

კოლოების ჯოგს ალაზანიდან

ველზე მზის ბული.

მზათ აგზავნიდა.

ქნაიდა ტურა. ქნაოდა დიდბანს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ქობის სინათლე არ სჩანდა არსად.  
მეცხვარევე კოსბლით მჯდარბარ და შითხარ  
როგორ კრეკავდი ღამე ცხვარსა და  
მგელი ხლეჩავდა გამოყრილ შიგანს.  
გამშრალი იყო ეს მიწა მუდამ  
თითქოს დასწყევლა წარსულში ხალხმა  
ღამე იღებდა მთვარეს ფიწალით  
და შორს ისროდა სიღნაღის გაღმა.

კახურ სიმღერას მწყემსო ფარისა  
მოჯამაგირის ბედზე მღეროდი;  
შენ გაწუხებდა წასვლა მთვარისა  
და ვახშმის შემდეგ სიზმრებს ელოდი.  
გლეხი ბობოლის ბედზე მწყემსობდა  
სტანჯავდა გამბდარს მუხლის ქაეილი  
ფარა კი ძილში ხენეშდა, კენესოდა.  
და მოისმოდა ყორნის ჩხაეილი.  
ღმუოდა ძალლიც

მგელის სუნია

იყო ღუშლი ვრცელ ველსა ზედა  
მთვარე მთის გაღმა გადასულია  
და მეჯოგენი ვომურში სხედან.  
ვარეთ თუ დარჩა ცხვარი უბედო  
ბღაეის და ჯოგიც დაეძებს ყურით.  
შემდეგ ძაღლები გრძნობით ღმუოდენ  
ვომური.

ვომური

ვომური.

შორს ძაღლის კენესა ტყეშაც ისმინა  
და დაიცალა ველი სისხლიდან.

ველო ძილისას ველზე ნისლი გაქვს  
მწყემსებმა მინდორსა ლოცვები უთბრეს  
ნისლით გინდოდა ცის ფსკერზე მისვლა  
და მიწა დაგრჩა ზღვასავით მწუთხე.  
თვალი ვიწროა შენზე გაელისას  
და ზაფხულში გაქვს ბუღი საკირო.  
ველო ველურო ალაზნისა  
ბევრი აღზარდე მოჯამაგირე.

და გასკრეს მუხლით, თვალით, კომბალით  
ალაზნისა და ცხოვრების ნისლი.



კომპლით მომართეს ბედის ბორბალი  
 დროის კარებთან გლებურათ მისვლით.  
 და მიწავე შშრალო, წუთზევ დოშვიით  
 გყავდა ბატკნები როგორც ბაღლები.  
 შენა მკერდზე იღვა ბაიდოშვილი  
 ცხვართ, კომპლით და ჯოვის ძაღლებით,

მოჯამაგირე ცნობდა საკირეს,  
 ალაზნის ველსაც დაუგდო ყური;  
 და როცა წარსულს ბარგი აკიდეს,  
 მან მიატოვა ბრძოლით გომური.

გომური კიდევ დასცქერდა ლიდარს  
 ვაფდა მიწაში დამარხულ გუდას.  
 იჯდა ნაგაზი უყუდო ხართან.  
 და  
 ღმუოდა, ღმუოდა  
 ღმუოდა მუღამ.

ღმუოდა ძაღლი ლამის მოწამე,  
 მაგრამ მინდორი განსჭვრიტა ხალხმა.  
 კაცმა აიღო მთვარე ფიწალით  
 და გადაავდო გომბორის გღმა.

და ამ ვრცელ მინდორს მოადგა გმირი  
 გმირი კლასის და მასის ცეცხლისგან  
 უბრძანა ველს და  
 მინდორის პირით  
 მობრუნდა ველი,  
 მაგრამ ვანრისხდა.

ის შეხვდა გმირებს სეტყვების ბასრით  
 დააწვა სახნისს გაუფალ გაიძად,  
 მაგრამ არ შედრკა მეგრძოლი კლასი  
 და ბელტთან ბრძოლით არ მოიქანცა.  
 მინდორს გუგუნი მოესმა დროზე;  
 ბამბის მამული შეხვდა ალაზანს.  
 და სახსრებივით ყამირ მინდორზე  
 გაყვენ ბელტები, რკინებს დარაზმულს.  
 ველში ძარღვებად გაშალეს არხი?  
 ძარღვების ნესტით ყამირი დაღბა

მოვიდა ცეცხლში გაწრთენილი ხალხი  
და მოიტანა ჩხრიალა ბამბა.

მოსკრეს ჯაგარი ველურ ველისა  
ველურს სხეულში შეება ეღირსა.  
და ბამბას მოჰყვა ბაიდოშვილი.  
იგრძნო პირველმა ბამბის სურნელი  
ირგვლივ მოსდევდა ხალხი მაშველი  
აგრონომი და კოლმეურნენი.  
მოსული ხალხი. კაკიც კლასისა  
ველს მოუთხრობდა საბუთით ამბავს;  
მოვიდა მასა. კოლო გასრისა  
და დაიძახა:

ბამბა.

ბამბა.

ბამბა.

ბამბავენ ველს. საიდან, სად?  
და დევს მდინარე

მდუმარე ლურჯად

ტრაქტორს ეღვიძა ოცდაოთხ საათს  
და წუთით ცეცხლიც არ მოუხუჭავს

მისი სახნისი მძლე და დიადი  
ყრიდა ნაპერწკლებს დახსნილს ბელტებად.  
და დააჯერა ღამის წყევდიადი  
რომ დრო არასდროს არ დაბერდება.  
ცხენების ძალით გაიჭრა რკინა  
შედრკა მიწა და ძლიეს დაიგმინა

ყამირი გატყდა და გაპოხილი  
მიწამ დაყარა ბელტნი აზრებად  
მიდის სიერცე და მინდორი ყვირის...  
შორს ალაზნანი მიიზღაზნება.  
თეთრდება ველი, ნათესი დროზე

ყარაიაზის მოდის-კინგი  
და 'გარდაიგხსნა გაშლილ მინდორზე  
ბამბით ნაწერი ალაზნის წიგნი.  
მოკრეფა უნდა და მუშა ხელი  
ჩხრიალა ბამბავ, წელზე გეკიდა  
მოსულა ხალხი განცდით შეყრილი





მთიდან  
წნორიდან  
ლაგოდებიდან.

ბაილოშვილო მასის სურველებს  
შენში ეძებენ მინდორის ტალღები.  
მოკრეკა უნდა თერთ-თერს კულულებს  
შეგყურებს ირგვლივ ბამბის ბალები.  
ხარ ხელმძღვანელი მინდორის გემზე,  
უწინ მწკემსი და დღეს მოწინავე!  
ხუტორებიდან შლი ხუტორებზე  
ბამბის ფარდულებს და ოწინარებს.  
ბაილოშვილი განცდა სხვაგვარი  
ტრაქტორს გატეხილს დასცქერის კენესით;  
აქ დავირწიეს გლებკაცს აკვანი  
და ამ მიწიდან მუნჯურიც გესმის.  
გწამს აასრულებ დასახულ გეგმებს  
კლასის კარნახით ფერს უცვლით მიწებს;  
სოციალისტური მინდორი შექმენ  
დობირი, დობირს შეჯიბრში იწვევს.  
მეურნეობის გარდაქმნის სახემ  
გაფანტა ველზე ბნელი უკუნი;  
ისმის მინდორზე თქვენი ძახილი  
და ტრაქტორების მწკრივი გუგუნი.  
კოლმეურნენი სიღნაღის მზრიდან  
მოაწვა შეჯიბრს

აილო დროშა

სტუდენტი ბამბას ფარდულში ყრიდა  
და არ აჯდენდა სიზმარის დროსაც.  
და ფრაგებივით გლებთა ხელები  
ელავს ბამბაში-ცხვარზე მრავალი;  
პირველ დობირში მუშთაკლმბმა  
აიღეს დროშა გარდამავალი.  
არს შეტაკება. სუსტის დაგმობაც;  
მამულიც არის ასაკი ბავში  
დაეცა ველი და კვლავ აღდგომა  
პოვა მშრომელთა შეთხზულ ბამბაში.  
მიდის მიღელავს ბამბის ფერ ზვირთით  
მინდორი ვრცელი თვალების გაღმა;  
ბამბის მთებივით დაყრილი ტვირთი  
წაილო ქვეყნად მუდღელმა ხალხმა.  
ყამირი გატყდა და გაპოხილი



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ველმა დაუშვა ბამბა აზრებათ;  
მიდის სიერცე და მინდორი ყვირის....  
შორს ალაზანი მიიზღაზნება.  
ბიჭებო დასცხეთ, გზა პირდაპირი-  
მინდორზე ბამბა, იმედებს ლამზავს;  
უძახის ბანით დობირს დობირი:  
ბამბა.

ბამბა.

ბამბა.

ბამბა გარდაქმნის ველურ მიწას და  
სინათლე ჰპოვა მებრძოლმა ხალხმა  
და დამკვრელი-კი მთვარეს ფიწალით  
შორს გადაავდებს გომბორის გაღმა.



# არსენა გარაგდალი

თ ა ვ ი მ ე ც ხ რ ი

ა ზ ვ ე ბ უ ლ ი ლ ო მ ე ა ი

აღგეთს ნაბრძოლი ვაგაკი გუგლ-ჭორიით ჰკიოდა. თავი ხმლით ჰჭონდა დაჭრილი, გულს სისხლი გად-  
მოსდიოდა.

გასკვრი ზმალო და მკლავო, გულო ნუ შემინდებდი,  
სისხლისა ნაგუბარზედა ფეხო, ნუ დამიცურდებდი.

ბ ა ლ ხ უ რ ი

99645

5067

არლოვს ტვინი ყინულისა ჰჭონდა, სისხლი კი ცეცხლისა და ამიტომ ბირ-  
ველივე მარცხის შემდეგ მას ზნედა ემართებოდა, ზნედას კი სულიერი მოდუ-  
ნება და სასოწარკვეთილება მოსდევდა. იმ ღამესაც, როცა სანატრელი არსენა  
ორთაქალის ბაღებშია ბოლივით გაუსხლტა ხელიდან, მაიორმა ჯერ მარცხი გა-  
მოიტირა, მერე მღვერები ბოჭაულს და კუკატელს მიუგდო და თვითონ კი  
ალექსანდრე ორბელიანის სასახლისაკენ გასწია.

— ვერ მოუყრივდიო. — ეუბნებოდა ამ დროს შალვა ბარათაშვილი ალექსან-  
დრეს. — ახირებული კაცი ყოფილა. დაიქინა, უნდა ბატონ-ყმობა გააუქმოთო.

— ბატონ-ყმობა? — გაოცდა სამაზრო მარშალი და მიიხედ-მოიხედა. მერე  
საწოლ ოთახში შეიხედა და სხვა ოთახებშიც მოაგაღიერა. მის დედას თვალე  
ბატონიშვილს უკვე ეძინა. მისი მეუღლე ჭონის სანთლის შუქზე რაღაცას ჰპარ-  
გავდა, ხოლო ძმები ვახტანგი და დიმიტრი ყაფლან ორბელიანს ვაპყოლოდენ  
საქეიფოდ. ყველაფერი თავის რიგზე იყო, მაგრამ თავადი მაინც მოწადირე კა-  
ტასავით ფრთხილობდა და ამიტომ ბარათაშვილი ზნელ აიგანზე გაიყვანა. გაი-  
ყვანა და ორივენი იმ ღამესავით აჩურჩულდნენ.

არსენა არ დათანხმდა? საოცარია! ბატონ-ყმობის გაუქმებას მოითხოვს?  
საკვირველია! აი როგორ გარყვენეს გლეხები!

— არ უთხარი, უმატონოდ როგორ შეიძლებათქო?

— როგორ არა. იმასაც კი შევბირდი, რომ ჩვენი განთავისუფლების შემ-  
დეგ გლეხებსაც გავანთავისუფლებთ მეთქი, მაგრამ ის მაინც თავისას გაიძახის  
ჯერ ბატონყმობა მოეშალოთ და სხვებზე მერე ვიფიქროთო.





— გიჟი ვინმე ყოფილა.— გადასკრა ალექსანდრემ.

— გიჟი არ არის, მაგრამ გლეხების ბედი კვიტივიუთი და ვერ მოვაშორეთ.

— არც ეხლა დაიჯერებთ?— ნიშნის მოგებით ჩაისისინა ალექსანდრემ.— ზომ ვეუბნებოდით, მდაბიოს ეს საქმე არ გაუზიაროთ მეთქი. როცა დოო მოვა, გლეხობას არც კი ვკითხავდ და ძველი წესით გამოვიყვანთ. დამიჯერე, პოლიტიკა მაგათი საქმე არ არის მეთქი.

— მართალი გიბრძანებია ალექსანდრე, ეს ერთი ვცადეთ და მეტს აღარ ვიზამთ. ესეც ბერმა დაიქინა, არსენას ისეთი სახელი აქვს, რომ გლეხობა სულ გაპყვებამ, მეც ამგვარად ვიანგარიშე, თორემ მდაბიო ჩვენ საქმეში მართლა რა შემოსაყვანია.

ამ დროს შორს კარებში ზანზალკმა დაიღლარუნა.

— ჰარქა, ვილაკ მოვიდა!— დაფრთხა ალექსანდრე და შალვა განათებულ საღარბაზო ოთახში შეიყვანა და სხვა რომ ველარა მოიგდო—რა, ფსალმუნს სტაცა ხელი და კითხვას შეუდგნენ.

— მაიორი არლოვი გეახლათ.— მოახსენა ბიკმა.

— მობრძანდეს.— მიუგო გაფითრებულმა ალექსანდრემ და სტუმარს მიეგება.

— წამივიდა, ისევე წამივიდა!— შესძახა უხეშად შემოვარდნილმა მაიორმა.— როცა მივედი, მწვადის ნარჩენი ჯერ არც კი გაციებულეყო, თვითონ არსენა კი ხელიკივით გამისხლტა ხელიდან. მაგრამ სამაგიეროდ იმ მდღეწე ლოპიანას ისე ავიკლებ ხელახლა, რომ ძაფ-ც კი ენატრებოდეს და ველარ შოულლობდეს.

— მაშინ ორბელიანები ავიკლებენ.— გაუღიმა ალექსანდრემ და დასაჯდომად მიიპატიჟა, —ნაქეტნავ კი გრიგოლი გამოიდებს თავს. ლოპიანა ჩვენი ერთგული კაცია და მაგისთანა მეთევხეს ველარ ვიშოვით. დაბრძანდით, ბატონო მაიორო.

არლოვი დაჯდა, ისევე წამოხტა და ხელმეორედ დაჯდა. არსენას დაპერით დასწეულბული მაიორი ბოლმით იყო გაგულდული, ველარ ოცენებდა და თავის შარკს თვალებს ტირილის ზმაზე მოუთხრობდა. ლოქო თვალებზე მღვრიე ლიბრი ჰქონდა გადაკრული და აღმევილ სახეზე ენაგის ფერი ეღო. როცა ოდნავ დაწინარდა, შალვამ უთხრა:

— ბატონო მაიორო, თქვენ პირობა მომეცით, რომ იმ დროს, როცა მე და არსენას ლაპარაკი გვექნებოდა, თქვენ ხელს არ ახლებდით მას, ნამდვილად კი...

— ქორტუ პირობა!— გააწყვეტინა არლოვა.— რა დროს პირობაა.

შალვამ ისე გადახედა ალექსანდრეს, თითქოს ეუბნებოდა: მეც გიჟი ვარ, რომ ამ კაცს პირობაზე და პატიოსან სიტყვაზე ველაპარაკებო, მერე ისევე არლოვს მიუბრუნდა და უთხრა:

— არსენა წაგივიდათ, სამაგიეროდ ის საქმე გაგიკეთეთ. არსენა თრიალეთზე აღარ ივლის.

— მართლა?— წამოიძახა მაიორმა.— ეგეც ერთი ნუგეშია. თავიდან მაინც მოვიშორებ და მისი სახელით თვალებს აღარ დამოხრიან.— და ხელების ფშვენ-

ტით გააბიჯა.—ამიერიდან საცა უნდა იქ იაროს და რაც უნდა ის ჩაიდინოს, თუნდ მთელი ქართლი აიღოს, კახეთიც გაანიაგოს და იმერეთიც მთავრობოს, ოღონდ კი ჩემს საბრძანებელში აღარ გამოჩნდეს. დიდი მადლობა მადლობა, თავადო, ძალიან დიდი.—და ბარათაშვილს ისე დაუნჯლრია მკლავი, რომ კინაღამ მხარი ამოუგდო. მეტი ჩათუქრდა და იკითხა:—თავმდები ვინ იქნება?

— არსენას თავმდები არ უნდა.—მიუგეს ორთავ.—არსენას სიტყვა ბაჯალლოს სჯობია.—ხოლო შალვამ დაუმატა:—არსენამ მითხრა, რა დღესაც მაიორი პატიმრებს გამოუშვებს, იმ დღესვე ავიბარებები თრიალეთიდანო.

— მართლა? დიდებულია! მშვენიერია! მაშ ამ დღეებშივე გამოუშვებ ყველას?—უკებ შუბლში დაირტყა ხელი და შესძახა:—ეხლა კი მივხდი! რა სულელი ვყოფილარ! არსენა ამ ოთახში იჯდა, მე კი ლაპიანასთან ვეძებდი.

— არსენას აქ რა უნდოდა, ბატონო მაიორო.—იწყინა ალექსანდრემ.—რა მისი ტოლი მნახეთ?

— ქალაქში მზის დასავალს შემოვიდა. მაშინვე დავედევნე, მაგრამ ქალაქიც ჰარამზადებით ყოფილა სავსე. იმ ყაჩაღს აქაც კი აღმერთებენ და თავიანთ შვილსავით მალავენ. ვისაც ვკითხეთ ყელამ გვიპასუხა: „არსენას როგორ არ ვიცნობ, აგერ იქით გაიარა“—ო, და ზოგმა სოლოლაკისკენ გამგზავნა, ზოგმა კი ავღაბარში გაიბტყუა. არსენა კი თურმე ორთაქალაში ყოფილა და... და თავად შალვას საჩვენებელი თითი დაატაკა მკერდზე:—და თქვენც იქ იყავით, არა? მითხარით, თავადო, ხომ იყავით?

შალვამ მისი თითი მოიშორა და მკვახელ მიუგო:

— ბატონო მაიორო, მე იმ პირობით შეგისრულეთ თხოვნა, რომ არც კი მკითხავდით სად და როგორ მოველაპარაკებოდი არსენას.

მაიორი უსიამოვნოდ აიღმიჭა:

— ეგ, ნეტა მცოდნოდა.

ნეტა მცოდნოდა! ძალიან უნდოდა გავგო და შალვას მშვერავიც კი მიუჩინა, მაგრამ ის ჯანაში ბედოვლათი გამოდგა. ნეტა წელან არ დაჰპირებოდა ჭკვევადეს, დღეს ან ხვალ არსენას შებოჭილს მოვითრევეო. თუმცა, ვინ იცის, რა არ მოხდეს: კუჭატნელი ყოჩაღი კაცია, იქნება მართლა მოჰგვაროს. მოჰგვაროს, ნამდვილად მოჰგვაროს და დიდ ჯილდოთაც მიიღებს. ამ ჯილდოს შუაზე გაიყოფენ, ან არლოვი კუჭატნელს შედალს მიაცემს და თვითონ კი ფულის ჯილდოს დაიტოვებს.

— აბა, მშვიდობით ბრძანდებოდეთ.—წამოვარდა უკებ თავისივე ჭორით გამხნეებული არლოვი და ისე გავარდა გარეთ, თითქო თითო ჯიბეში თითო არსენა მაინც ჰყოლოდეს ჩაქერილი.

იმ ღამეს არც კუჭატნელს ეძინა და არც ბოქაულ-პოლიციელებს მოუხუჭიათ თვალები. სამაგიეროდ მაიორმა გამოიძინა და მეორე დილით დიდხანს უცდიდა შებოჭილ არსენას, მაგრამ არ მოჰგვარეს. შემდეგ არლოვი ჩინ-ორდენებით მოირთო, ალექსანდრე ჭკვევადეს და გრიბოედოვს ეწვია და მოახსენა:

— გთხოვთ მათს მაღალღამატებულებას გენერალ პასკევიჩს გადასცეთ, რომ ამიერიდან ჩემს საბრძანებელში ზურგი მშვიდობიანად ექნება. ის წყუთლი არსენა ამ ერთ კვირაში სხვაგან სადმე გადაიკარგება. მართალია, ეს საქმე ხაზინას ხუთასი თუმანი დაუჯდება, მაგრამ...

მაგრამ ომის დროს ხუთასი თუმანი აბა რა საანგარიშოა! ამიერი / ვცხოვრობთ, არსენაც აზიელია და ისიც მოგესხენებათ, რომ იმეკრეთ უდღე ყველა აზიელსაც) ფული სულსაც კი ურჩევნია. გრიბოედოვმა მხატვრებმა კავკავიძემ გაიღიმა. ერთი საათის შემდეგ არლოვმა მარაბდიან ბატონიც გაახარა: ზაალმა ორივე ხელი ღიბზე დაირტყა და შესძახა:

— ვეყო, მაგაზე მეტი რა გინდა! ორდენიც გერგება და ჩინიც. როცა პასკევიჩი დაბრუნდება, უეჭველად მოვახსენებ. არსენას სიტყვაც ბეჭედი და უეჭველად შეასრულებს. არხეინად იყავით.—და როცა წაიორის ბრძანება წაიღო შულავერში—არსენას საქმეზე დაპატიმრებულნი გაანთავისუფლეთო, ზაალმაც მარაბდისაქენ იბრუნა პირი და ჯალაბ-ჯულაბიც წამოიყვანა.

წამოიყვანა და ლაცაბიძის შავ თარეშს წააწყდა.

\* \* \*

შუალამე გადასული იყო როცა მაიორის სახლს შტერით გათხუზული ჩოხოსანი მხედარი მიადგა და მთელი სახლი ააფორიაქა.

— გუუბნები, გააღვიძე მეთქი!—დაეინებით ეუბნებოდა ის „დენშიკს“, და უარი რომ მიიღო, არლოვის საწოლისაკენ გაიწია. უიარაღო სალდათი წინ გადაეღობა, მაგრამ მაშინვე ყვირილით გაეარდა მეორე ოთახში, რადგან ჩოხიანმა „კავკასიურად“ ხელი გაიქოლო ხანჯალზე და რუსული სამსართულიანიც მიაყოლა. დაფეთებული მაიორი საცვლის ამარა წამოხტა, ხელი დამბაჩას დასტაცა, კარებს აეყუდა და იკითხა:

— ვინა ხარ?

— მე ვარ დავით ბარათაშვილი. ჩქარა კარი გამოიღეთ.

ეს წყუული „ტუზიმკები“, ნამეტან კი თავადები, და ისიც დრაგუნები, არსენაზედაც კი უფრო კანდიერები არიან.

— რა მოხდა თავადო? მარაბდას აბას მირზა ხომ არ მოადგა?—გაანჩხლებით იკითხა მაიორმა.

— უარესიც მოხდა. კარი გააღეთ მეთქი!—და დარახუნებაც კი გაუბედა.

მაიორი გაჯავრდა. რაც უნდა მომხდარიყო, არლოვი უკვე ბორჩალოთრიანლეთის სამხედრო დისტანციის ნაჩაღბიკი იყო და მსურდა ბარათაშვილი მკვახე დარიგებით გაესტუმრებინა, მაგრამ გაახსენდა, რომ დაროს შემწეობით ის დავითს უნდა დაჰნათესავებოდა რომ დავითი იმ დღეებში ისევ ომში უნდა წასულიყო, რომ მას, კავკავიძის ხელქვეით დრაგუნსა და დიდ თავადს, სიტყვაც უჭრიდა პასკევიჩთან, რომ მაიორს ჯერ არსენაც მოცილებული არა ყავდა, ყოველივე ეს გაახსენდა, ხალათი გადაიხტა და კარი გაუღო.

— თავადო, ეგ რა გაცვიათ? რა დავემართათ? ნაძალადევი ღიმილით ჰკითხა მესპინძელმა და ჩამოჯდა.

დავითმა მათრახი საწერ მაგიდაზე დაუგდო.—ის დამემართა, რომ თქვენი წყალობით არსენამ მთელი დოვლათი გადაგვიწვია.—სხაპუნით მიაყარა და თანაც ცხვირ-წინ თითს უქნევდა.—რაც მოასწრეს წაიღეს, ტანისამოსიც კი აღარ შეგვარჩინეს. ჩვენც კინალამ ცეცხლში ამოგვხრაკეს.

მაიორი ისევ წამოიჭრა თითქო ყუმბარა ესროლესო:



- რას მეუბნები, კნიაზო!
- თქვენი წყალობით მოხდა, თქვენი!—დაქინებით გაიმარჯვებოდა.
- ჩემი წყალობით?—გაოცდა მაიორი.
- თქვენი წყალობით, მხოლოდ თქვენი წყალობით მეთქი, ბატონო

მაიორო!

და ურთერთს ნაცემ ძალღებვივით მიესივნენ, რომელნიც სხვის წყებლის სიმწვავეს ერთმანეთს დააბრალებენ ხოლმე.

— დიაღ, თქვენი წყალობით მეთქი!—ერთხელ კიდევ მიახალა დრაგუნმა.— თქვენ დაეროეთ მარაბდას შაპ აბაზივით; თქვენ გაროზგეთ უდანაშაულო ხალხი; თქვენ არ მიგვაცემინეთ არსენასთვის მოახლე; თქვენ უპირებდით არსენას გაროზგვას; თქვენ ჩააყენეთ ეკზეყუცია; თქვენ აიკელით და დასწვით რამდენიმე სოფელი. თქვენი შიშით ვავარდა არსენა და თქვენივე როზგის შიშით გაჰყვა მის ოციოდე გლეხიც. ეხლაც თქვენ მოგვატყუეთ: არსენა ქვეით აღარ ჩამოვა და არხეინად დაბრუნდითო. სულ თქვენი ბრალია, თქვენი! სამ დღეში ერევნისკენ მივდივარ და ყველაფერს პასკევიჩს მოვახსენებ. დიაღ, ყველაფერს მოვახსენებ.

— მოითმინეთ კნიაზო დავით, მოითმინეთ.—რამდენჯერმე ვააწყვეტინათ თავზარდაცემულმა მაიორმა და ბოლოს ისიც გაბრაზდა.—Надо и чествовать! ეკზეყუციის ამოყენას მამა-თქვენი შეხვეწებოდა და არზაც კი შიართვა ერმოლოვს, მაგრამ რუსეთის ხელმწიფემ აქ იმისთვის კი არ გამოაგზავნა ჯარი, იმისთვის კი არ დაეღვარეთ აქ უამრავი რუსული სისხლი, რომ ნოქრად დაგდგომოდით... რომ საწყალი გლეხობა დაგვერბია...

— რაო? საწყალი გლეხობა? — წაიღულღულა გაოცებულმა თავადმა.

— დიაღ, დიაღ, —დაუმოწმა არლოვმა, —რომ საწყალი გლეხობა დაგვერბია და თქვენი ხაზბი და უსაქმური თავადების ბრბო გაგვეძლო. რუსის მუციკს არ შეუძლიან ამოდენა მუქთა-ხორა აზიატი შეინახოს.—და კაპას ჭელივით შეჰკივლა:—არ შეუძლიან მეთქი!

— რაო ეგ რა სთქვით?—გამწარდა დავითიც, რომელმაც მათრახს დასტაცა ხელი ცხვირწინ დაუტრიალა მაიორს და შეჰყვირა:— ჩვენ ვართ უსაქმური ბრბო? ეს ჩვენზე წამოპროშეთ? მაიორო მაგ სიტყვებს ხელ დილითვე განანებთ, არსად არ წახვიდეთ და ჩემს სეკუნდანტებს ელოდებოდეთ. ათი თავადი გამოვალთ და ჯერში ჩაგიდგებით. სულ ერთია, ვერ გ'დაგვიჩივებით. თუ დაგვემალეთ, პასკევიჩი ხომ აქ არის. პასუხს იმას მოვათხოვინებთ და მაგ სიტყვებს მაგ ბინძურ ყელში უკანვე ჩაგჩრით!

მაიორს ფერი ეცვალა. ენა დაემა. ეს წყეული ხასიათი ვერას გზით ვერ აილაგმა. რამდენს ეცადა და რამდენჯერ დაიფიცა, რომ „ამ აზიატებისა“ წინაშე ენას დაიმოკლებდა, მაგრამ „ის ვილაკა“ მაინც ვერ დასძლია. ის ვილაც მეორე მაიორი კი მოსისხლზე უარსი იყო. თავის-თავად იჯდა არლოვის ძვალრბილში და დროგამოშვებით ისე დაიუფლებდა და ჩაჰკლავდა ხოლმე მაიორს, თითქო პირველი, თვითონ მაიორი, იმ ვამად სულაც აღარ არსებულებო. იგი ბოლივით იფანტებოდა, თითქმის კვდებოდა და, როცა სულს მოითქვამდა, მწარედ ნანობდა და თავის-თავს ლაფში ათრევდა, მაგრამ მაშინ გვიანდა იყო

თითზე კბენანი. ამგვარ უცნაურ გარდაცვალების შემდეგ არღვის ერთი ხნით უცნაურადვე ეცვლებოდა ხაიათიც. სულიერად მოღუნებულმა და მოწონებულ-ბული, გაუთავებელი იხდიდა ბოდისშს, თვალცრემლიანი ნაჩხრდა; კარსაქტილი ლოთობდა და ერთი კვირის შემდეგ ისე გარდაიქმნებოდა ხელმოკრედ, რომ თავის თავს თვითონაც ვეღარ სცნობდა. აი ეხლაც ძველი სენი დაემართა. იმ ვილაკამ მხოლოდ ერთი წუთით დაუბნელა გონება, ერთად ერთი წუთით აღხ-სნა ენა და საშინელება წარმოაროშენა. მან ეს არის ეხლა იშვიათი სანატრელი ნაჩაღნიკობა და შეაძლებელი იყო ეხლავე დაეკარგნა. ეს დრაგუნი კი ისევ ცხვირწინ უტრიალებდა მათრახს და მოჭიდავესავით აწევებოდა:

— როგორა სთქვით? ხარბი და უსაქმური ბრბო გავაძლოთო. ჩვენა ვართ უსაქმურები? თქვენ შველას დაგვიბრდით, ნამდილად კი უსინდისოდ მოგვატყუეთ და ყველაფერი წაგვართეთ; ჩვენი მთავრობაც, სახელმწიფოც, მართვა-გამგებლობაც, პარტიონებაც, და ეხლა უსაქმურსაც გვიწოდებთ? როზგი თქვენ გვასწავლეთ, ვაკიმიბრება თქვენ შემოიღეთ, გლეხთან ადამიანობაც კი აგვიკრძალეთ და ეხლა კი ამავე „საწყალ“ გლეხს ესარჩლებით? ეს ატყუებთ? ვინ არ იცის თქვენი ორპირობა? თქვენ მუდამ იმას ცდილობთ, რამ გლეხი და თავადი ერთმანეთისთვის გადაგვიკინათ, რომ ჩვენი გლეხები გაგვსრისათ, ჩვენზე აგემხედრებინათ და ეხლა კი თავადებსაც გადმოსწვდით? კმარა ამდენი სიყალბე, ბატონო მაიორო!..

წელან მაიორი „იმ ვილაკას“ სწყველიდა და შხად იყო თავის როყიო სიტყვები კრემლით დაევიწყებინა ამ თავადისათვის, ეხლა კი შვებით გაუღიმა დაეითს და მიადახა:

— კნიაზო დავით, როცა ჩემს ნათქვამს მოახსენებთ პასკევიჩს, არც თქვენი სიტყვები დაივიწყოთ, ახა-ხა!

მართლა სასაცილოა. თურმე ის „მეორე ვილაკ“ ამ ჭაბუკსაც ჰყოლია. აქამდე თავს იკატუნებდა, რუსის უერთგულესი მონა გახლავართო, ეხლა კი უცებ აღუქსანდრე ბატონიშვილის კაცი გამობტა, რომელიც სანაქებო ოინბა-ზობით ატარებს რუსულ მუნდირს, — ისიც რომელს! — ნი-გე-გო-როდის დრა-გუნთა უმწიკვლო მუნდირს!

— ბრავო, კნიაზ, ბრავო! — შეაქო მაიორმა და მხარეზე რამდენჯერმე დაჰკრა ხელი. — თქვენი გულწრფელობა ძალიან მომწონს, — მაგრამ რაც პასკევიჩთან დაგაბარეთ არასგზით არ დაივიწყოთ და სიტყვა-სიტყვით მოახსენეთ.

ეხლა ბარათაშვილი გაფითრებულიყო. ხელები დუნედ ჩამოეშვა და თავი-სივე სიტყვების გამო შიშით და ბრაზით აკრაქუნებდა კბილებს და თვითონაც არ იცოდა, რად განიმეორა აღუქსანდრე და გრიგოლ ორბელიანების ნათქვამი, რომელსაც სხვაგან თვითონაც გააფთრებით ებრძოდა ხოლმე. მაგრამ სიტყვა გაფრენილ ჩიტზე უარესი ყოფილა: ჩიტს დაედევნები და ისევ დაიჭერ ან მოჰკლავ, სიტყვა კი ბოლივით წაგვია, მერე წამწაივით დაგაჯღღა თვალზე და არასოდეს არ შეგვრჩება.

ორი მტერ-მოყვარე პირისპირ იდგა. ერთმანეთს უღიმოდნენ და ერთსა-დაინავე აზრს დასტრიალებდნენ: „ბარი-ბარში, მოვრჩეთ და გავათავოთ!“ და მართლა გაათავეს:



—ორივემ დაევიწყოთ.—უთხრა მაიორმა და ხელი ვაუწყოდა.  
 —დაევიწყოთ.—მიუგო დავითმა და ხელი ჩამოართვა.  
 —ეხლა დაბრძანდით და დალაგებით მიამბეთ.—და როცა ყველაფერი მო-  
 ისმინა, გაოცებით იკითხა:—გამაგებინეთ, ვინ არის ის არსენა, ყაჩაღია თუ  
 გენიოსი?

—ყაჩაღი ბიჭია.—მიუგო არსენას ძუძუმძემ.

—ყაჩაღი ყაჩაღია.

„სულელი ყოფილხარ“—საბოლოოდ დარწმუნდა მაიორი და ჰკითხა:

—მაშ თქვენი დის მზითვეიც დაიწვა?

„სულელი და გაუზრდელი ყოფილხარ“—გაიფიქრა დავითმაც და უპასუხა:

—დაიწვა.

—ცხადხედ—უცხადესია, რომ არსენა იქ არ იქნებოდა.—მაგნო სიმარ-  
 თლეს არლოვმა.—არსენამ გუშინ საღამოს მარტყოფის გზაზე თქვენი ნათესავი  
 სუმბათოვი გაძარცვა, ორი კვირაც იქნება რაც არსენა თრიალეთიდან წამო-  
 ვიდა. მაშ ეს საქმე უიმისოდ ჩაუდენიათ. მაგრამ სულ ერთია პასუხი ისევე არსენ-  
 ნამ უნდა აგოს. ის რაზმი მისი ხანჯალია, რომელსაც აგერ ექვსი თვეა უწყა-  
 ლოდ გვიტრიალებს ტანში. ამას წინაღუ პირობა მომცა, იმ ხანჯალს ზურგიდან  
 ამოგიღებთ და გულში ჩაგვკმთო. მე ზურგი მაქვს მოზარებული და მუცლისა  
 არაფერი არ შეკითხება. ეხლა კი პირობა დარღვეულია და მეც ხელფები გამეხ-  
 სნა. ძრწოდე თრიალელი გლეხობაზე! ან შენს თავს გაიმეტებ სასიკვდილოდ, ან  
 არსენას დამანებებ!—მუშტი მაგიდას დაჰკრა და შესძახა:—დამანებებ მეთქი!

შემდეგ დავითს ხანინიდან რამდენიმე ათას მანეთის გამოტანას შეჰპირდა  
 და გაისტუმრა, თვითონ კი დაჯდა და გათენებამდე იმუშავა. დილით ყველა-  
 ფერი მზად ჰქონდა: ლაშქრობის გეგმა, დისპოზიცია, პატაკები, ბრძანებანი, გა-  
 მარჯვების დაპირება და თავის მართლება იმის გამო, რომ მან ის ავი ყაჩაღი  
 აქამდე ვერ დაიჭირა. სამხედრო გუბერნატორი გენერალი სიპიაგინი არლოვის  
 ნათესავი იყო და თრიალეთის ნაჩაღნიკობაც იმან მოუხერხა. გუბერნატორი ის-  
 იყო იღვიძებდა, როცა მაიორი ეტლით მიადგა და გენერალს საწოლ ოთახში  
 შეუფარდა, თანაც მიძახა:

—ვილუბები, მიშველე!

• გუბერნატორმა კარგად იოცოდა მაიორის აფორიაქებული ხასიათი და ისე შე-  
 მოუტია, რომ მისი დაფეთებული ნათესავი კუდამოძუებული გამოვიდა და იჭამდის  
 იცდიდა დარბაზში, სანამ გუბერნატორი ჩაიცივამდა და ჩაის დალევდა. შემდეგ  
 მაიორს განგაშის მიზეზი გამოჰკითხა და როცა მოისმინა, ფეხები აუბაგუნა,  
 უკმებად დატუქა, ყველაფერზე უარი უთხრა და ბოლოს მაინც იმდენ ჩაფარ-  
 ყაჩაღს დაჰპირდა, რამდენსაც არლოვი თხოულობდა, თანაც დაუმატა:

—ეს უკანასკნელია და თუ ეხლაც ვერ დაიჭირებ, ჩემ გუბერნიიდან გაგაგ-  
 დებ. აბა, მარშ!—და კინაღამ პანდური ამოკრა.

ბრძოლის ველიდან ჭალაქში ჩამოსული თავადები იმ დღეს უკანვე ბრუნ-  
 დებოდნენ და დილით სიონის ტაძარში პარაკლისს იხდიდნენ, რათა უფალს  
 რუსის მახვილისთვის გამარჯვება მიენიჭებინა, ერევანიც ავლებინებინა და მებ-

რძოლნიც უნებლად გადაერჩინა. სიონის ქუჩა შეკავშულ ცხენებზე და კეტლებით იყო სავსე, ხოლო ტაძარში ორმოციოდეს ომში-მიმავალს და ანუ ვერ უფრო მეტს ნათესავს მოეყარა თავი.

მაიორმა დროზე მიუსწრო. პარაკლისი გათავებულყოფი და ქვევავადე, გრიბოედოვი, შურაფიოვი, ორბელიანები და სხვებიც უკვე ქუჩაში გამოსულიყვნენ და ნაცნობ-ნათესავებს ემშვიდობებოდნენ. მაიორი რომ დაინახეს, ერთმანეთს თვალი უყვეს და ჩაილიმეს.

— მამა, გზაში არსენა არ დაგიხედეს. — უთხრა უცებ ქვევავადეს მისმა ქალიშვილმა კატომ.

— არა შეილო, არსენა უკვე შებოჭილი ჰყავს იმ ამ ძიას. — სიცილით მიუგო მამამ და არლოვზე მიუთითა.

— თქვენო ბრწყინვალეობა, დაპირება ვერ შეგისრულეთ. — ქაქანით და სხაპუნით მიაყარა აღანძულმა მაიორმა ქვევავადეს და გრიბოედოვს. — იმ არამზადა არსენამ სიტყვა გასტება და წუხელის თვად ბარათაშვილს სახლკარი გადაუწვა. ჩემი ბრალი არ არის, რადგან მე... იმან... რომელიც რომ...

— ვიცი, ყველაფერი ვიცი. დავით ბარათაშვილმა გვიამბო. — გააწყვეტინა ქვევავადემ და ზურგი შეაქცია. გრიბოედოვმა ჩაილიმა, მხრები აიყარა და ისიც გატრიალდა.

მაიორმა აღექანდრე ორბელიანს და შალვა ბარათაშვილს მოჰკრა თვალი, რომელნიც გუშინწინდელ არჩევნებზე ლაპარაკობდნენ.

— არა უშვავს-რა, შენი ჯერიც მოვა. — ანუ ეგ შებდა ორბელიანს ბარათაშვილი. მუხრან-ბატონი იმიტომ აირჩიეს მარშლად, რომ ხნიერია, ბაგრატიონია, შენ კი ჯერ ძალიან ახალგაზრდა ხარ და ფასში ეხლალა შედობარ.

— მე არც ვედავებოდი. — მიუგო თანამეშვედ დარჩენილმა ორბელიანმა. — ეს თანამდებობა ზედმეტ მუშაობის მეტს არას იძლევა-რა.

— თვადიშვილებო, ეს არის თქვენი პატიოსანი სიტყვა? — თითქმის ტირილით შეაწყვეტინა ორ მოსაუბრეს მაიორმა.

ორივემ მხრები აიჭმია. მერე ბარათაშვილმა უთხრა:

— თქვენ თვითონაც ვითქვამთ, იმ დროს არსენა მარაბდაში არ ყოფილაო.

— სულ ერთია, მოპასუხე მაინც არსენა უნდა იყოს. — მიუგო არლოვმა, — მე კი შუაში გამოვიტყლიტე და... და რადგან ამ საქმის მონაწილე თქვენც ბრძანდებოდით, პატიოსნება მოითხოვს, რომ თქვენც ხმა ამოიღოთ.

— უტყველად. — დაამშვიდა ორბელიანმა. — პასკევიჩსაც მოვახსენებ და ქვევავადესაც ვათქვევინებ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო მაიორ.

მგზავრები ნათესავებს ზვეენა-კოცნით გამოემშვიდობნენ, მერე ცხენებზე შესხდნენ, დიდ მანძილზე გაიჭიმნენ და ქუჩაში თვალ ცრემლიანი ქალები და ზარდაცემული მაიორი დასტოვეს, რომელიც დაღვრემილი იდგა და ჰფიქრობდა: „მგონი ეხლა გუბერნატორი სიპიაგინიც ველარ მიშველის. ამათი დაპირებაც სანდო არ არის. ეხლა კი გათავდა, ვილუბები“. მერე შინისკენ წავიდა და ლაშქრობის სამზადისს შეუდგა.





—არსენა გაგვებუტა... არსენა გავაჯავრეთ.—ბუტბუტებდნენ...  
 ვალი შეფიცულები.— ან ყველას გაგვრეკავს, ან თვითონვე ჩამოვშორდებმა.

და თავჩაქინდრულმა რაზმმა გამარჯვებულთა ფახის მაგიერ შიში და სევდა ამოიტანა ბანაკში.

დამწვარი ოძელაშვილი გამარტოვდა და უკანა რიგში ჩადგა. ბელადობის აღვირი ხელიდან გაუშვა და ძმების სანახავადაც კი აღარ გამოდიოდა. ან ჭობში იჯდა, ან ტყეში დაეხეტებოდა. ხელშეხვეულსა და პირაკრულ ნაბელადვეს რამდენჯერმე რბლაც ჰკითხეს და პასუხად ერთი და იგივე მოისპინეს:

—ჩემი რა საქმეა? ახალ ბელადს ჰკითხეთ, შე კი არამც-და-არამც აღარ შემაწუხოთ.—და ერთხელ გულისტკივლით დაუშატა: —სჯობს ანთებულ ბუხარში ორი ყუმბარა შეინახო, ვიდრე საქვეყნო საქმეს ორი ბელადი მიუჩინო.

—არსენ, ბელადი შენა ხარ.—უპასუხეს.

—ბელადი ის არის ვისაც მარაბდაში გაჰყვეით, შე კი სატენელა ხომ არა ვარ რომ ყველაფერში ჩემი თავი ჩასჩაროთ?—და საქმე რომ გაუქირეს, კიდევაც შეუტია: —ყბა ნუ დამადგით, დამეკარგებით აქედანა!

ძმანდაფიცებს ეშინოდათ, თვითონ არსენა არ დაგვეკარგოსო და ამიტომ თვითონვე იკარგებოდნენ.

ასე გავიდა რამდენიმე დღე. ბანაკი თითქო დაქვრივდა, დამუნჯდა: გუშაგობა მოდუნდა, ვარჯიშობა მოისპო, მუშაობა გაუქმდა და დროც მოიშალა: ყველა თავის ნებას აჰყვა და როცა მოისურვებდა მასინ წყებოდა, ღებოდა, სჭაბდა, ბანაკიდანაც გადიოდა და შეგვიანებით ბრუნდებოდა, აღარ გაისმოდა ფერხული და ზღაპარი, სიმღერა და წიგნის კითხვა, თამაშის ტრიაშული და ხმა ჭამანჩის, კიანურის, ფანდურის, აღარც ომხიანი შეძახილი და აღარც ლალი სიცილი.

საცა მდევარი უნდა ამოსულიყო. ფათერაკს ყველა გრძნობდა, მაგრამ არაფერ არ იცოდა, როგორ მოებათ განდგომილი თავი უთაო ბანაკისათვის და როგორ შეებათ ხელმოკრედ არსენა იმ უმძიმეს უღელში, რომელიც ზოგს სახარბიელოდაც მიაჩნდა.

სირცხვილით დამწვარი სევასტის ჯგუფი ისევ გამარტოვებული იყო: ცალკე სჭამდნენ, ცალკე ეძინათ, ცალკე დადიოდნენ და ცალკე თათბირობდნენ. მაგრამ მათ ერთი პირი აღარ ჰქონდათ და მიყრუებულ ფოთლიანადან ხანგამოშვებით მათი ბუზღუნი, ღრინვა და ფიცბი შეჯახება მოისმოდა. ყველამ იცოდა, რომ ახალი ბელადები ერთმანეთს სჭამდნენ, მაგრამ ჯერჯერობით ვერც შეეკამნათ, ვეღარც ბელადობდნენ და არც ქედს იღრეკავდნენ. ერთხელ როტოში და ლაცაშიძე ურთიერთს მძლავრად დაეტყენენ. სევასტიმ მიწამდე ჩამოუშვა ეშვი, აუად აღრინდა და ადლიანი ხანჯალიც კი ამოსწია. როსტომმა ხმა არ გასცა, მაგრამ ფეხიც არ მოიცვალა. ორივე ხელი ხანჯალზე ედო და ანთებულ თვალებით სჭამდა მოპირდაპირეს. ძმებმა დროზე გააშველეს, არსენამ კი თავის ცოლის-ძმა ძლიერ დასტუქსა და სევასტის წინაშე ათქმევინა, გემორჩილები და მიბრძანეო.



ამის შემდეგ ლაცაბიძემ საბოლოოდ აიღო ხელი მრჩანებლობაზე და დაეხმარა ნებისა-  
ნებსაც კი გაეთიშა.

მაგდანაც მარტო დარჩა. თარეშის შემდეგ მან საეცემბრის ჩინებულ მკრდავი გული და აღარც ლაცაბიძეს მიგვარა და არსენაც მოიმღურა. ამის გამო ქვრივს მოურყენელი დარდი ჰქვეყნიდა და გამქარვებელი კი აღარავინ არ შერჩა. ზურა მარტო რიწვედა შულავრისაკენ და მაგდანას ერთ დარდს შეორეც ზედ დაურთო. შვიი ქვრივი აიღე. ა, აღარც სკამდა და აღარც ძილს იკარებდა. შვილს ხანჯალივით ჩამოეკიდა და ერთი წუთითაც აღარ შორდებოდა. „გამეპარება, სენიასაც ვერ უშველის და თითონაც ფათერაკს წაეკიდება“. — ჰფიქრობდა ქვრივი და, ჩრდილად ქცეული, თავის ერთასაც ჩრდილივითვე დასდევდა.

— ძალო მაგდან, მოისვენე. — უთხრა ერთხელ არსენამ. — ზურა არსადაც არ წავა, სენიას კი... ცოტაც მოითმინე და იქნება ვუშველო რამე.

— გული აეს რასმეს შეუბნება, არსენ. — შესჩივლა მაგდანამ. — საქმე მე თვითონვე გავაფუჭე.

— ავრეა, ძალო. სენიასაც გაუფუჭეთ და სხვებსაც.

ძმადნაფიცებმა დრო იხელთეს და ჩაერივნენ.

— ლაცაბიძეს რომ არ წავეყოლოდით, შევერცხვებოდით. — ჩაურთო როსტომმა.

— ერთმანეთს გავეთიშებოდით. — სთქვა სკლხანმა.

— ფიცს გავტეხავდით. — მიეშველა ქვეთარიც.

— ფიცი იმით გასტეხეს, თქვენ რა შუაში ხართ? — ხმა აიმაღლა ოძელაშვილმა. — ამოდენა ხალხი ზუთიოდე კაცს რად აჰყევით?

— იმიტომ, რომ...

— იმიტომ, რომ ისინი ყაჩაღები არიან, თქვენ კი ბედოვლათები და ჩათლახები ყოფილხართ. — მოუქრა ნაბელადევმა.

— აკი გეუბნებოდით, ყოჩაღობა უნდა დაეახლოთ, თორემ გაიზრდება დე თვითონ დაგვახჩობს მეთქი, ეხლა ხომ გამართლდა ჩემი ნათქვამი.

უკვებ ყველანი განუმდნენ, რადგან მათგან მომავალი ლაცაბიძე დაინახეს უკან კარპინა, მეშთა, ჰასანა და რამდენიმე ახალგაზრდა მოსდევდნენ. ყველანი თავჩაღუნულები იყვნენ და თითქოს საბრძოლველად მოდიოდნენ. ამ ამბავს სხვებმაც მოჰკრეს თვ. ლი და ბანაკის ყველა კუთხიდან დაიძრნენ.

— გამარჯვება არსენ! — დუნედ მიუგდო სევასტიმ და არსენას ჰირდაპირ ჩამოჯდა.

ერთი ხანი იყო რაც ლაცაბიძე ნელ ცეცხლზე იბრაკებოდა, მაგრამ დიდი შინაგანი ძალა ჰქონდა და სიმღღურეს მოხერხებით მალავდა. ეხლა კი სიცხემ თავი ველარ დაბალა და ლაცაბიძის ხმაში აშკარად გამოიყოფა.

— გავიმარჯვოს სევასტი. — და რადგან ეშვიანი ბელადი სდუმდა, მარაბდელმა აღარ დააცალა და ჰკითხა: — რას იტყვი? რა გინდა?

— ის მინდა, რომე, აი აღარ შეიძლება.

— რა არ შეიძლება?

ლაცაბიძე კვლავ სდუმდა. არსენას და მის რისხვას ერთმანეთი რკინის მკლავებით ეჭირათ.

— რა არ შეიძლება მეთქი?—აუწია ხმას მარაბდელმა.

— ძმობა იშლება.—დაუწია ხმას სევასტიმ.

— რატომ იშლება? ვინა ჰშლის?

— შენც იცი, შე კაცო, და რაღაზე მალაპარაკებ? აუწია ხმას შავწყვერ-ამაც და ეშვი ჩამოუშვა.

— სევასტი, გირჩევ ეგ ეშვი შეიკეცო. მე კი იმიტომ გალაპარაკებ, რომ სათქმელი უნდა ითქვას და ყველამ უნდა გაისუფთაოს გული. თუ ვინმეს ნემსის ოღენა ხინჯი დარჩა, იგი სვე გაიზრდების, გაავდების, გასკდების და ყველას მოსწამლავს. ეხლა მითხარი, რად ჩაუხტით ბარათაშვილსა?

— მიტომ ჩაუხტით, რომე პირობა არ შეგვისრულა.—ისევ დაბალი ხმით მიუგო ლაცაბიძემ და გამშრალი ტუჩები მოიღოცა.

— ზაალმა პირობა მე დამიდო და ამიტომ მე ვიცი და ბარათაშვილმა. სულ ერთია არ შევარჩენდი, ყველაფერს თავის დრო აქვს და მოცდა სჭირდება.

— აგრეთ! ოღონდაც! ჩაურთეს აქეთ-იქიდან.

— პირობის დირღვევა საბაბად გამოიყენეთ.—დინჯი ხმით გზნაგროძო მარაბდელმა,—ნამდვილად კი იმ ფალას-ფულასსა და ქალების ჩერებს დახარბდით, დავლად რომ წამოიღეთ იქიდანა.—და უცებ ხმაში ფოლადი ჩაისხა:—სთქვით, ვინ გადასწვა ზაალის დოვლათი?—და რადგან ყველა სდუმდა, კიდევ იკითხა:—ვინ მისცა მეთქი ცეცხლი ზაალის სახლკარს: კარპიჩაე, მიპასუხე!

— შე კაი კაცო...—წაიბურტყუნა კოკლმა „იადონმა“ და ოსტაპის მთა-ზურგს ამოეთვარა.

— მეშთა, წინ წამოდექი! შენც წაუკიდე ცეცხლი, განა!

— მეც წაგიკიდე.—გამოტყდა მეშთა და იმ ლეკვის იერი დაიდო, რომელიც საცემრად დაიჭირეს, დაიდო და ისიც მიიშალა.

მშათა შორის ფრუტუნე გაისმა მაგრამ არსენას არ ეცინებოდა და კვლავ თავის გზით მიდიოდა.

— დალი ჰასან, რა თქმა უნდა შენც ერიე.

— ბალი, ზმარ არსენ.—თათარი წინ წამოიჭრა.—მეს ვერიე. სევასტიმ მიბრზანა და შევასრულე.

— მეც სევასტიმ გიბრძანა და შეგისრულე.—უკანიდან წამოიძახა მეშთამ და კარპიჩამაც ამოიყვირა:

— მეც, მეცა.

— კეთილი და პატიოსანი.—მოუწონა ოძელაშვილმა და ლაცაბიძეს მიუბრუნდა: ეხლა თქვენი საქციელი გავზომოთ.

გაუზომია და დიდი ზარალი გამოუყვანა. დანაკარგი მართლა განუზომელი გამოდიოდა.

— ტურას პირდაპირ უნდა შეუტოო,—ამბობდა არსენა,—ლომი კი ჯერ უნდა გახლართო და მერე დასცხო. რუსის მთავრობა ლომია და პირისპირ მისვლა ჩვენ კი არა, ხონთქარსა და შახინშახსაც არ არგებს. ეხლა ამ ხეობას აიკლებენ, ნაწამებ ხალხს წაგვკიდებენ და ჩვენც კუდით ქვას გვასროლინებენ.

აქამდე მუდამ გამარჯვება მოგვედგა, ეხლა კი ნამდვილად დაგვაშარცხებენ და სახელსაც გავგიტეხავენ. გამაგებინეთ, რისთვისაა? რათაო?

— აგრეთ! მართალია! — ჩაიბუტბუტა ბანაკმა.

— სახელი უკვე გავგიტყდა. განაგრძო მარაბდელმა. — რა ვეცაკობაა დოვლათის და დიაკების დაწვა? სულ ერთია ისევ საწყალ გლეხს აზღვევინებენ. ამას იქით ხალხი ჩვენზე გულს აიყრის და ყაჩაღებს დაგვიძახებს.

— ვალაჰ, აღარ ვისი ვინა ვარ. ყაჩაღი ვარ, მაშ რა დოზანა ვარ! — გაოცდა დალი ჰასანი და ზოგმა სხვამაც დააჭყიტა თვალები.

ოჰ, რა ძნელი ყოფილა ისე ნათლად გამოსთქვა აზრი, რომ ყველამ გაიგოს და კამენსავეთ აღარ ვალოდინოს. ამაზე არსენას ხშირად ჰქონია საუბარი, მაგრამ როგორც ეტყობა თავის ნათქვამი ზოგის თავში მაინც ვერ ჩაუდღუღებია. მას ზოგი რაზემელის უგვანი ყოფაქცევა გაახსენდა. უკანასკნელ დროს იშვიათად გავიდოდა კვირა, რომ რამდენიმე რაზემელი ორიოდ დღით არ დათხოვნილიყო, სამიოდ დღით არ დაეგვიანა და არსენას კაშკაშა სახელი არ დაებინდა. მარაბდელმა უწინაც ბევრი რამ იცოდა, ეხლა კი უფრო მეტი და უფრო საშინელი ამბები გაიგო.

ერთხელ დალი ჰასანი „ჰასასა საქმისთვის“ გაღმა ბორჩალოში წავიდა და გზადაგზა ლომის გორასთან თურმე ვიღაც პირღია გლეხი დაიჭირა და სარაჩლოში გააყიდა.

როცა თბილისში სიმონა ქვიშხეთში დასტოვა, მტკიცე დარიგება მისცა მას, მაგრამ არსენას მიერ განთავისუფლებულ მონას მართლა მონური სული აღმოაჩნდა: სუშბათოვს რომ პირისპირ ვერ შეჰკადრა, თურმე საფრიდან ესროლა ზურგში, მაგრამ ააცდინა. იმავე ღამეს მან ბატონს საწყალი საქონელი ამოუწვია გომურში და გამოიქცა.

არც ლაცაბიძეს დაუკლია. ერთხელ განაცხადა, ქალაქში მივიღვივრო, ნამდვილად კი ქვეშის მიდამოში ენახათ. მეორე დღით საგინაშვილი ყელგამოჭრილი იპოვეს. ეს აზნაური ბეი ბატონი იყო და სევასტი ხშირად მიიწევდა მის დასასჯელად, მაგრამ არსენა არ უშვებდა. იქვე ახლოს გამოასალმეს წუთისოფელს ხოჯორნელი თავადი მელიქიშვილი და დმანისელი აზნაური ჩაჩიკაშვილიც. იმ ხანებში ლაცაბიძე ბანაკში არ ყოფილა. როცა არსენამ იქიდან დამარუნებულ სევასტის სისხლ-ნასვამ თვალებში ჩაახედა, გულმა ჩქამი უყო და დაიჯერა, რომ ის სისხლი შევწვევრას ხელით იყო დაღვრილი. ამის შემდეგ ისედაც გულჩათბრობილი იმერელი სულ დამუნჯდა და რამდენიმე დღით განაპირდა, მაგრამ მარაბდელს თავის ძალზე უფრო მეტად მკრელი გუმანი ჰქონდა და სისხლიან ამბავს პაერთან ერთად ისუნთქავდა ხოლმე.

მეშთაზე როგორღა იფიქრებდა! თურმე მეგინიბე მხოლოდ პირში ფეციცბოდა ერთგულებას, ზურგს უკან კი ჩუმჩუმად და გულფუტი გამოდგა. თურმე საღმე გზაში ჩასაფრდებოდა, მგზავრს დაუხედებოდა და მიაძახებდა: «მე არსენა ხარ და ჯიბეები გადმოგობრუნე! ჩქარა, თორე ტყეია მოხვედი!» რა ტუტუტო ყოფილა! ნეტა სუფთა ქართული მაინც სცოდნოდა! აბა მას ვინ დაუჯერებდა არსენობას?

სხვებს არც კარბიჩა დაუვარდა. შორს არსად არ წაივლიდა. ვინმე რაზმელს აპყვებოდა, იქვე რომელიმე სოფელში ხელს მოითხოვდა და წავიდა. კმარობდა. არც სხვები იყვნენ ანგელოზები: სამადლოელი მუხომანა, მანგლელი „ორბი“, გომარელი „მარგი“, ბირთვისელი „ციყვი“, არაგველი „ლაყე ბიჭი“, რომელიც ეხლაც არსენას სახელით ყაჩაღობდა, და კიდევ სამიოდე ახალგაზრდა—ყველა იტაცებდა, იპარავდა, ჭვლეჯავდა, გლეხებსაც კი აწიშვლემდა და უხვად შოულობდა ალაფს.

პირველ ხანს რაზმელებს ბევრი რამ აკლდათ და ითმენდნენ, ეხლა კი მარში ხეტიალი გაიგემრიელეს, ყველაფერი გაიჩინეს და ზედმეტიც მოიპარაგეს. სათარეშოდ გასულ რაზმელს მრავლად მოჰქონდა ყოენა შაქარი და ნულა, ხმელი ხილი და რაპატ-ლუხუში, ძვირფასი მოკი და დიბა, ბაბთი და ყაითანი, ფარჩადა შეიდიში, შალი და შევერცხლილი იარაღი. მოჰქონდათ და ერთმანეთს ურიგებდნენ. არსენას ჯერ ვერ ჰკადრებდნენ, შემდეგ კი შეუბედეს და შეაძლიეს ოძელაშვილმა იხაზუშა, დასტუქსა და კიდევაც დაემუქრა, მაგრამ ვერ მოარჯულა. ცარცვა-გლეჯვა ოდნავ შენელდა, მაგრამ არ მოისპო, სამაგიეროდ ზრამი ბელადსა და ყაჩაღებს შორის უფრო გაღრმავდა და უარესად გააგდა.

თუ შენი ამხანაგი კუზიანია, შენც მოიკუზე თორემ ეწყინება—ასე უნდა მოქცეულიყო მარაბდელი, მაგრამ მას საამისო ბიწი არ შესწევდა. მისი სული არასოდეს არ ჩადიოდა ბნელ ჯურღმულში და მუდამ იმას ლამობდა რომ იქ ჩავარდნილი მოძე ზევით მწვერვალზე ამოეყვანა. მცარცველებს კი ისევე წყვილიდი ერჩინათ და მარაბდელს წილში ჩარევის ველ-არ უბედავდნენ, სამაგიეროდ ფიქრას, მარინეს და მაგდანას მრავლად მოსდიოდათ მათი ფეშქაში.

— ნუ გამიხდით ხათუმები!—რამდენჯერმე შეუტია მათ არსენამ და ამას შემდეგ ქალები შოლოდ მაშინ ირთვებოდნენ ქალურად როცა არსენას სადმე გაიგულებდნენ ხოლმე.

ტაბილეულსა და შეიდიშს მაგდანაც იღებდა, რადგან ისიც დედაკაცი იყო და უყვარდა, მაგრამ როცა საჩუქრის საბადლოდ „ჩემო ყველას“ ჩურჩული, მის ტანზე ხელის ფათური და ლოყებზე უღვაშების ღიტიანი მოჰყვებოდა ხოლმე შავი ქვრივი ნაჩუქარს ისევე მომტანს მიუყრიდა და როსტომს შესჩივლებდა:

—რა ვქნა, განა დაგავიწყდა, რომ ჩვენ დანიშნულები ვართ? გამომესარჩლა, ბიჭო, თორე აღარ მასვენებენ.

მათი დანიშვნა როსტომსაც დაავიწყდა და ბანაკსაც, ამიტომ იერიში თანდათან ხშირდებოდა. ხელნაკრავი რაზმელი მახლობელ სოფელში გარბოდა, ვინმე ქვრივთან გრილდებოდა, რამდენიმე დღით წყნარდებოდა და დიდი ხიფათი მოჰქონდა: ბანაკის ალაგს გაიგებდნენ და აიკლებდნენ.

ქვრივის დევისის გამო კინაღამ სისხლიც დაიღვარა, ერთხელ როსტომმა გაიხსენა, რომ მაგდანა მისი დანიშნული იყო და ლაცაბიძეს გადაეღობა:

—სევასტი, მაგდანაზე ხელი აიღე თორე...

—ავი ძალი არც თვითონა სკამს და არც სხვას აქმეეს.—ჩაიბუზღუნა სევასტიმ.

—რაო? ძალიო?—გაოცდა როსტომი.—მე დამიძახე ძალი?—და გაფითრებულნი ჯორჯიაშვილი მხანდათიც ზედ შავ წვერზედ მიაღდა.

ორი ხანჯალი თავის თავად გაშიშვლდა და ტყეში ფოლადის ელარუნდ გაისმა. ძმები გასაშველებლად მისცვიდნენ, მაგრამ ვერ მოუღწიეს. ტყეში მჭრიმბ ივაყცა მოშულარებს თავმოხდილი ჩაუდგა შუაში და შეუტივს: **შეშინებ!**

— სირცხვილია! თუ ზედმეტი სისხლი გაწუხებთ, მაიორისთვის შეინახეთ. ამ აშბების გამო არსენას საგოლისიც მოემატა და საზრუნავიც. მას მწვეველ ეთანარებოდა გული და ნამეტნავ კი ის ამწარებდა, რომ ლოთი და ავაზაკი რაზმელები გლეხებსაც არბევდნენ და არსენას სახელს ლაფში აგორავებდნენ. მარაბდელს ხშირად უკითხავს თავის-თავისთვის: „ამ ხალხის წყალობით უნდა მოვიგო გლეხობის გული? ამით უნდა შემუსრონ ბატონყმობა? კიდევაც რომ გავიშარჯოთ, ეს ყაჩაღები შემდეგ ისე დაგვიბრიყვებენ და ისეთ ახალ უღელს დაგვადგამენ, რომ დღევანდელ ბატონებსაც კი მოგვანატრებენ“.

რაზმელების ბეტიალი ბანაკს დიდ ბიფათს უშვადებდა. არსენას მრავალი საჩუშარი საქე ჰქონდა, ყბედებს კი უნებურად ჩაჰქონდათ იგი სოფელში. შემდეგ ეს ნაენავი კარიბ-კარში წყალივით ჟონავდა და გიგოლების ხერელებით მაიორის ყურში ჩადიოდა. ამის წყალობით არლოვი არსენას ხაფანგებს უგებდა მის ერთგულებს იჭერდა და საცა თვითონ არსენასაც მაიგნებდა.

ზოგჯერ იმედდაკარგულ ბელადს ფიქრად მოსდიოდა რამდენიმე კაცი წაეყვანა და ამ ყაჩაღებს შორს სადმე გასცლოდა, მაგრამ მძანდაფიცობის ვატებვას უკადრისობდა და ისევე მოთმინება და მათი მოთვინიერება ამჯობინა. რამდენიმე რაზმელი კიდევაც მოათვინიერა: ზოგი უკბილოდ დასტოვა და პანღურით გააგლო, ზოგიც თითო კვირით მიაბა ხეზე და მშვიერს ინახავდა. გუშინაც გააბრაზეს. ბანაკში დღემელ თანდილას წააწყდა და მიაძახა:

— გამოტყდი, რომ წაეკისელ გლეხს ძროხა შენ მოჰპარე.

— მერე შენ რა! ბელადი ხომ აღარ ხარ. — ბრიყვულად მიუგო ქურდმა და არსენამაც მაშინვე მიუგო: რადგან ხელები დამწვიარ-შესვეული ჰქონდა, ფეხი მოიხმარა და ისე ძლიერ ჰკრა მუცელში, რომ თავზედი რაზმელი უგონოდ დაეცა და დიღამდე სიკვდილს ებრძოდა. არსენა მას თვითონვე უვლიდა, სწუხდა და ამბობდა:

— ჯერ კაცი არ მომიკლავს და მძანდაფიცი უნდა შემომაკედეს?

როცა გონ-წასული ქურდი მოსულიერდა, მარაბდელმა ის ხეზე მიაბმინა და ასასად თავის ძალი მიუჭინა. ეშინოდა, გაიპარებოდა და გვილალატებსო, თანაც ჰფიქრობდა, რამდენიმე დღის შემდეგ ბანაკს აღვილს გამოუცვლი და მაშინ გაუშვებო. ის ქურდი აგერ ეხლაც იქა ვდია და ავი თვალით გამოიყურება.

არსენამ მძანდაფიცებს ყველაფერი გადმოუღავა, გასამხელი ამხილა და ჰკითხა:

— ჩაიდინეთ თუ არა ეს საძაგლობა? აღიარებთ სიშარტლეს თუ არა?

პასუხად ყველანი აყაყანდნენ — ერთხმად და გულწრფელად:

— ვალიარებთ!.. მართალია!.. ვცარცვადით! ვქურდობდით!, ვბოცავდით! დაგვსაჯე, მაგრამ გვაპატიე!

სანამ მძობილები თავიანთ იარებს იღვდავდნენ, არსენას ვილაც უხილავი ჩასწურწულებდა:

„ამ ავაზაკებთან რომ დარჩე, რაში უნდა ვაანახევრო, დანარჩენებისთვისაც ტუსაღური წესრიგი უნდა შემოიღო და მუდამ მტკვტი და ჯოხი ატრიალო. აბა რა საკადრისია! ერთხელაც იქნება ვინმე ნაკვამ-ნაწყენი გილა-ლატებს და მათორის ხელს ჩავაგდებს. ან რა უნდა ვაგაკეთოს ისეთმა ხალხმა, ვისაც ყაჩაღობა და არსენობა ერთმანეთისგან ვერ გაურჩევიან?! ისევე სჯობია თავი დაანებო. კმარა! გათავდა.“

ეხლა საბაბიც კარგი აქვს. მარინე ფეხშიშვედ ჰყავს და უნდა მოალოგინებინოს. ახალ იხეში გადაიყვანს, თან რამდენიმე ძმადნაფიცს — სულხანს, ოსტაპს, ბალოს, როსტომს, ქავთარს, ფიქრიას, ზურას და მავდანას წაიყვანს და იქ მოიკლდის, დანარჩენებმა კი თავიანთ-თავს თითონვე უპატრონონ და რამდენიც უნდა იმდენი იყაჩაღონ.

ოძელაშვილი დიდხანს სდუმდა და ჩუსტის წვერით აწვალებდა ქვას, სხეებიც გაჩუმებულიყვნენ და არსენას საბოლოო სიტყვას ელოდებოდნენ. ბოლოს სვეასტიმ შეარხია სინთმე. ეშვით გაუღიმა მარაბდელს და უთხრა:

— შე კაცო, შენი ხასიათი რომ ვიცი, აქამდე მოსისხლეს დეიფიწყებდა და ჩვენი დანაშული რეიზა ვერ დეიფიწყე?

„დანაშული“. ამ სიტყვამ, ლაცაბიძის პირით ნათქვამმა, არსენა შეაკრთო და გასაქცევი გზა მოუჭრა.

— აწი ყოლიფერი დეიფიწყე და ამას იქით ისთე დაგემორჩილებით, რავაც სალდათი ემორჩილება აფიცარს.— ასე მისცა სვეასტიმ მეორე წინდიც და მესამეც დაუმატა:— თურმე გწყენია, რომე ჩვენ ახალი დროშა გვეიზინეთ. ა, შენა ჭირის სანაცულო იყოს.— უბიდან შავი ქსოვილი გამოიღო, სიკვდილის აღამი ნაკუწებად დაუბრძინა და ოძელაშვილს ფეხებში მიუყარა, თანაც დაუმატა:— აწი ზენ იცი და შენმა კაცობამ.

იმერელმა არსენას იარაღი აჰყარა. ყველანი გაიბადრნენ და სამზიარულო კიენით მიესიენენ მას:— გათავდა! შერიგდნენ!

— ენმაქა შეგეცდინა და აღარ ვიზაბთ.

— არსენ, დაგივიწყე და გათავდი! შიძახა მეშთამაც.

— ვალღამ, შეითანის ბრალია!— შესძახა ოათარმაც.

— კაცო, ერთი აღიღო გედელსაც შესცდებო.— იძახდა კარპინაც.— შამა გმერთიც შესცდა, როცა რომ გამაჩინა. ეხლა მეც შეეცდი და მაპატიე რაღა!— და ხაბაზი ოძელაშვილს ბავშვივით ჩაუყარდა დამწვარ მკლავებში.

სხვებიც მიესიენენ და შეტრუსულ სახეს უყოცნიდნენ, თანაც თითქმის ტიროდნენ და ბაღღებოვით მორჩილებას ეფიცებოდნენ. უხელო არსენას კი აქეთ-იქით უმწყოდმიტკონდა არტაშანიტ შეხეული თავი და ლულულულებდა:

— აგი თავადებისთენ გლებხს წამებაც კი შიპატრეებია და თქვენ როგორ არ გაპატიოო, თქვე ყაჩაღებო! ბარამხადებო! სალახანებო! აყარებო! მაგრამ მწფრთხილდით, დღეში მაგ გოგარებზე ორ ჯოხს გადაგამტრევეთ... ყაჩაღებო... სალახანებო.

— აგრე იყოს!— იძახდნენ.— გეტყობე! გეცემე! ახია ჩვენზე! ყაჩაღები ვართ და ნუ დაგვიწოდებ, მაგრამ შეგვიბრალე და დაგვარიგე.

— დითუნა მოდის!— დაიძახა ამ დროს გუშავმა.

— გამოუშვი!—გასძახა არსენამ და არ გაუკვირდა, რადგან დღეს დილიდანვე ელოდებოდა მას. ბარნაველმა გუშინ დილითვე შემოუთქაფოს სანიღვროდ, შენი ნახვა მინდა და შენს კაცს გულარების ციხესთან მოეუცდო. არსენამ ქცეკად ნისივე დისწული ზურა გაუგზავნა და დაარიგა, ორასი თვალი გამოიბი, თორემ კვალდაკვალ გამოგვებიან და მოგვაგნებენო, და ეს ამბავი მხოლოდ მაგდანას შეატყობინა. გვრივი მას აქეთ აბურძნილი დადიოდა და ძმას და შეილს გულის ფანჯალით ელოდებოდა.

ბანაკი სწრაფად წამოიშალა და ახალ-მოსულს სიხარულით მიეგება. არსენამ ბარნაველი გვერდით მოისვა და მოიკითხა, თანაც დაუმატა, ძმანდაფიციები ერთმანეთს არაფერს არ ვუშალავთ და ყველაფერი აქვე გვიტხარო. მერე ჰკითხა:

— საიდან მოდიხარ, დათუნო?

— შულავერიდან. მაიორმა გამოგზავნა.

მაიორის ხსენებაზე ბანაკი აიზღარბა.

— რა დაგაბარა?

დათუნამ თავი ჩაჰქინძრა. სიტყვებს ეძებდა და ველარ ჰპოულობდა. მერე ლულულულით დაიწყო.

— დამაბარა, არსენა გამოცხადდეს, თორემ...

და ტყეში ამოგზავნილმა რიტორმა სათქმელი ველარ დაასრულა.

— ეგ რა სთქვი, დათუნა?—გააწყვეტინა მაგდანამ.

— დამიდგა თვალები! როგორ გაჰბეღე?—მოეშველა ფიქრიაც და სხვებიც შეფორიაქდნენ.

— დააცადეთ!—შეუტია არსენამ და წყნარად მიღბრუნდა ბარნაველს:—თორემ რაო?

— თორემ სენიას და არსენას დედ-მამას ჩამოეახრჩობ და თრიალეთს უდაბნოდ გადაეაქცევო.

ტყეში ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, რომ ღრმა ხევიდან წყაროს ჩურჩულიც კი მოისმა. რახმელები ერთმანეთის თვალბში ეძებდნენ პასუხს და მერე ის თვალბები არსენას ჩააბჯინეს. ოძელაშვილი კი დათუნას დახრილ თავს ჩააშტერდა და სდუმდა. მერე თავისთვის ჩაიდუღუნა:

— მაშ თრიალეთს უდაბნოდ გადაეაქცევო?—და პასუხიც დაუმატა:—გადააქცევს და...

და აღარ დაასრულა. მისი აზრი სხვებმა დაასრულეს: „დედა-მამასაც ჩამოეახრჩობს“.

ფიქრიას და მაგდანას ფერი ეცვალათ. ზურა შიშველ ხანჯალივით ერკო.

— ჯარი უკვე შემოგვესია, —თითქო მიწას უთხრა დათუნამ, —უთვალავი ხელხი დაიჭირეს, აღარავის არ ინდობენ და ცხვრის ფარასავით მიერეკებიან. მოსავალიც სულ წაართვეს, უამრავი სახლი გადასწვეს და ბალ-ვენახებსაც უწყალოდ ჰკაფავენ.

ბანაკს ერუანტელმა ჩაურბინა. ლაცაბიტემ ეშვი ჩაარჭო მიწაში, რადგან იგრძნო, რომ ცეცხლის ახალი წარღვნა მისი ნათესის მოსავალი იყო, რომელსაც მის მაგიერ მისი მრევლი იმკიდა—ცრემლით, გოდებით და სისხლით იმკიდა.





ომელაშვილმა სევასტის და მის ჯგუფს გადაჰხედა, მაგრამ ვერც ერთს თვალი ვერ დაიჭირა და ორი სიტყვითა დადმოავდო.

— სთქვით რამე. — და ხანგრძლივ დუმილის შემდეგ სამცხე-ჯავახეთში წავალ... დაწებდები.

ბანაკი ეხლავა გამოფხიზლდა:

— სად მიხვალ? ეგ რა გვითხარი? ჩვენ აღარ გვეკითხები? — დაუშინეს სეტყვასავით და იარაღზე გაიკრუს ხელი.

— ჩაუბტეთ! — წამოიძახა სულხანმა.

— მივეშველოთ! — დაიკვილა შავმა ქვრივმაც და ყველანი მას მიეშველნენ.

— ჩავერიოთ! ჩავიდეთ! თავი შევაკლათ!

ლაკაბიძე უკვე შავი სვეტივით იდგა და ნიჩბის ოდენა წვერს იფოცხავდა.

— ადე, გაგვიძებ! — ბრძანების კილოზე უთხრა მან არსენას და ასაყენებლად დასწვდა მხარში.

ბელადი წამოდგა, კისრით და თავით ასცდა შეფიცულებს და ორბის თვლები ნელინელ მოავლო ერთ მუჭა ლაშქარს. ყველას ცალცალკე აცქერდებოდა და მის თვალეში ბრძოლის უნარს, ვაჟაკობას, ერთგულებას ზომავდა და თანაც მათ ისედაც ამობოჭრებულ სულში თავის მდგარს საბრძოლველ ნიშატს უღვრიდა. დამწვარი ხელები ხანჯალზე ეწყო და ცალ წარბს მებრძოლ მამლის ბიბილოსავით ატოკებდა. თვალანთებული რაზმი კი ფოლადის ზამბარასავით შეკუმშულიყო და ბელადის ერთად-ერთ სიტყვასა ელოდებოდა რათა ყუმბარასავით ჩავარდნილიყო იქ. ქვევით, საცა მათი გულისთვის მათს შვილებს, დედამას, ძმებს და დებს სისხლისა და ცრემლის ზღვაში აბანავებდნენ, ჩავარდნილიყო და ან იმ წითურ ტარტაროზს შესკდომოდა ზედ, ან გაემარჯვა და მის მიერ ანთებული ცეცხლი ჩაეჭრო.

ამ დროს გორაკიდან გუშაგი ჩამოგორდა და დაიძახა:

— ხეობა ბოლით იესება! ყველგან ცეცხლი მოსჩანს!

არსენა შორეულ მთის წვერს დააშტერდა და ეხლა კი ცხადად გაარჩია რასაც დილას და გუშინაც ეძებდა: შეთხელებულ ნისლში ბოლის წვრილი ნაკადები ლივლივებდა. მარაბდელმა იმ მთაზე თავიდანვე დააგროვებინა ფიჩხის ზენი, ხოლო ქვეით ერთგული შეგობრები დაარჩია: თუ საფრთხე წომოვიდოდა, იმ ფიჩხისთვის ცეცხლი უნდა მოეკიდებინათ და ბანაკისთვის საგანგაშო ნიშანი მიეცათ. ეხლა ნაწვიმარი იყო და ბოლის მოლურჯო ძაფები წვალეებით გამოდიოდა ნისლიდან.

— ჩაუბტეთ! ვუშველოთ! შევასკდეთ!

— ძმებო, ნუ აჩქარდით. მონადირე და ნადირი ერთმანეთს ეძებენ და საცა იპოვიან. — მიუფო არსენამ.

— მაშ გაგვიძები! გვიბელოდე! ჩაგვასაფრე!

ზურა ერთხელ კიდევ გამოვარდა მოლზე და ალტაცებით დაიძახა:

— ძა! ღვთისაფარი მოდის! ერეკლევ მოიყვანა!

შეფიცულებმა იხუფლეს და იქით გაიქცნენ საცა არსენას ძმა და მამა ეგულებოდათ, თანაც სიხარულით ყვიროდნენ:



— ცალთვალა მოვიდა! ერეკლეც მოიყვანა! ფოთლების ტალავარიდან ცალმა თვალმა გამომანათლა. — ერეკლეც მოიყვანა! შვილი მოსდევდა.

ცალთვალა დევი იარაღში იყო ჩამუჯდარი და მხნედ მოალაგებდა.

— გამარჯვება შეიღო! — ისეთი ხმით მოაძახა ლეთისავარმა თითქო ჩახმახი დააზაკუნესო. — როგორა ხარ სევასტი? რასა იქ როსტომ? თქვენც გაგიმარჯოსთ კარბინ, ლაშქარ, ქავთარ, სულხან. ოსტაპ, შენც აქა ხარ? ეს ვილა არის, დალი ჰასანია? ბალო, ტყეს როგორ უძლებ? შეიღო ფიქრო, მარინე, მაგდან... ერთი შეპხედეთ, დედაკაცებს შიბაქის ნაცვლად ხელში დამბაჩა უჭირავთ და ჩერების მაგიერ წილზე ხანჯალი ჩამოუკიდიათ. რა დროს მოვესწარი!

— რა მოგვიტანე, ლეთისავარ, ომის საფუფარი თუ ბრძენის მორჩილება? — ჰკითხა ერთმა.

— დაბრძანდი ლეთისავარ და გვითხარი რამე. — უთხრა მეორემ.

სხვა დროს ეს თავი კაცი მეტიჩარას დარიგებას მისცემდა: უფროსმა თვითონვე იცის როდის ჩამოუდეს და რა სთქვასო, მაგრამ ეხლა საამისო დრო არ იყო, ამიტომ ცვალთვალა დიდ ნამორზე ჩამოუდა, ოფლი მოიხოცა, ხშირი ჭალარა უღვაშები აიგრიხა, განიერი ნიკაბი მოისრისა, არსენას შეხვეულ ხელებს დაჰხედა და თავის-ქნევით უთხრა: — ვაი ღედასა! ეგ ხელები რა დროს დაგეწვა! სათქმელი უყვე ითქვა. აქამდის ეგონათ, ცალთვალამ მამა შეიღური დარიგება და ბრძნული ანდაზები ამოგვიტანაო, ეხლა კი ყველაფერს მიუხედავად და ისე გაიბადრნენ თითქოს სააკაძის ლაშქარი მოეშველათო.

პასუხად არსენამ ხანჯალი ამოიღო და მორს დაჰკრა. მახვილი ბზრიალით ჩაუფარდა, თვითონ კი ტკივლით აიღმიჭა და თავი დამწვარ ხელებში ჩაიგდო, თანაც ამოიკენესა:.

— ვაი ღედასა! მართლა რა დროს დამეწვა!

— არა გიშავს-რა არსენ. ჩვენც ვეყოფით. — ანუგეშეს ძმადნაფიცებმა. — გვერდით ამოგიდგები... ოღონდ შენ გაგიძიხი და გვიბრძანე.

— ახია შენზე! — ჩაიბურტყუნა სევასტიმ. — მტერი ცეცხლში მაგივარდეს და მიეშველო?

— მიეშველო და შენვე დაიწვა? საღურთი ჰკუა ხარ? — წამოიძახა მეშ-თამაც.

არსენამ გაოცებით გადაჰხედა ორივეს და ნორცხვით აღიარა:

— მაშ რა შექნა? მეც ადამიანი ვარ და ვერ გავიმეტე. — გულში კი გაიფიქრა: „მაინც ვერ მოვარჯულე, მაინც ვერ გავაგებინე.“

— ახლა ყური მიგდეთ შეილებო. — დაიწყო ცალთვალამ.

— დრო მიდის და ნულარ დავაყოვნებთ. მოთმინება კარგი საქონელია, მაგრამ განა მუღმივაო. ჩემი საქმეც ასეა. ის წითური ალა-მაჰმადი, მაიორაა თუ ღონანა, მეტის-მეტად თავს გავადა. თრიალეთს შემოისია და ქვას ქვახედ აღარა სტოვებს. ეს ხეობა ყიზილბაშებზე უარესად აიკლო. მამა შეილზე იამხედლა: ან ერთმანეთი დასუაიეთ, ან მე დაგვიმა ყველასაო. ჩვენც მოვიფიქრეთ და ვთქვით, რადგან მართალს და მტყუნანს აღარ არჩევენ, ამიტომ... ერთხელ სჯობია სიკვდილი ნიადაგ შეღონებასა.

— ეგ ხომ ჩემი ანდაზაა, მამა-ჩემო!—ლიმილით გააწყვეტინა არსენამ.—იმ დღესაც ვითხარი როცა მარაბდაში ხალხი ვაროზგეს.

● — აგრეა შეილო. სიმართლე შენს მხარეზე იყო. საცა არა სჯობს გაცლა სჯობსო, მაგრამ ნიადაგ გაცლას კამეზიც არ იკადრებს და ბოლოს იტყვის: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანო. იტყვის და მტარვალს რქებზე აიგდებს. აგრეა შეილო. მაშინ აჩქარდი, ხლა კი დიაკიც აღარ დააყოვნებს. მაიორი სამი მხრით მოდის,—შეფიცულებს ცალი თვალი მოავლო და დაბალი ხმით დაუმატა:—მოთხე თავისუფალია და თუ გაცლა გინდათ, წადით, გაცეცალეთ.

— არ გვინდა! მაგას რას ამბობ ლეთისავარ?—მიაყარეს ყოველ მხრივ.

— ისიც გვეყოფა, ერთხელ რომ მოვერიდეთ.

ჩენი გულისთვინ ხალხი აიკლონ და ჩვენ კი დიაკურად გავიზარნეთ?

— არ გვინდა! არ იქნების!

— აგრე!—დაუბეჭდა ლეთისავარმაც და ერთხელ კიდევ მოისევა ნიკაბზე ხელი.—ეხლა მეც თქვენთანა ვარ შვილებო და იქ, ხეობაში, ოციოდე სხვადა მყავს. მაიორმა ჯერ ქუა ვერ ისწავლა, იარალი დაგვირიგა და მოგვერიგება, თანაც ჩვენს ცოლშვილს აბატიმრებს, უკანასკნელ სარჩოს გვართმევს, სახლქარს გვიწვევს დაბალ-ვენახებს გვიკაფავს. იმედი აქვს, ხალხი გამწარდება და ტყის ძმებს მიესევაო. აქა-იქ კიდევაც გაიტანა: ზოგმა ვარამს ველარ გაუძლო, მიემხრო და თავი გადაირჩინა. მეც მივემხრე და რაც მეზადა მივეცი, ჩემი ღედაკაცი სხვაგან გავისტუმრე, მე მარაბდლებს გამოუძეხი და აი, ეხლა აქ ამოვედი. მაიორმა გამოგზავნა, შეილი მომგვარე და თარეშზე ხელს ავიღებო. თუ მე ნადირი ან ტუტუცი ვგონივარ, სჩანს თითონ ის ყოფილა ნადირიც და გიციც.

— მაიორს გზა ვინ ასწავლა, მამა ჩემო?—ჰკითხა არსენამ.

— აღრევაც იცოდა, რომ თქვენ ამ ხეობაში იმალებოდით, ამ ალაგს კი გიგოლამ მოაგნო.

— გიგოლამ!—შეშფოთებით ჰკითხა არსენამ.

მამამ ცალი თვალით გაუღიმა შეილს და უთხრა:

— გველი გიგოლაზე ჟურო სანდოა, შეილო. რა ფასი აქვს იმის სიტყვას ან წერილს?

„ამ ცალთვალას არაფერი არ დაემალება“.—

გაიფიქრა არსენამ, ლეთისავარმა კი განაგრძო:

— გიგოლამ წინ დათუნა გამოუშვა და უკან ხუთიოდე გელიქაში დაადგინა.

— მაშ მე... მაშ ჩემი ბრალია?—ზე წაიოიქრა ბარნაველი.

— შეილო, იქვე გაგაფრთხილე, —ლმობიერად მიღგო ლეთისავარმა.—მაგრამ უცნაური კაცი ხარ და მოგატყუებს. შენ სიარულის დროს ცას შესცქერი, წინაც კი არ იხედები და ზურგის უკან როგორღა დაინახავდი. მაგრამ ეს არაფერია. სულ ერთია, თქვენი ბანაკისთვის მაიორს რომ არ მოვეგნო, თქვენვე ჩაუხტებოდით მას.

— ქვეყანას სწევას და როგორ შევარჩენდით?—ჩაურთო სულხანმა.

— აგრეა, შეილო.—დაუმოწმა ლეთისავარმა.—კიდევაც სჯობია თვითონვე რომ მოიწვევენ. ეს ისეთი ალაგია, რომ ერთი დამხდური ოც მომხდურსაც მოერევა.

— იგრეა. მართალია. დედას უტირებთ. — შიამახეს რაზე უნდა ვთქვათ? მაგრამ ყოველ მათგანს დათუნასადმი მაინც ავი თესლი ჩაუვარდა.

ნებისთ თუ უნებურად მაიორი დათუნამ ამოიყვანა, ამიტომ გაფითრებულ ბარნაველს მუქარით და ზიზღით შესცქეროდნენ და ერთმანეთს ჩასწორებულდნენ:

— აყეია! დოყლაპია! ბედოვლათი! ქვეყანა იღუპება, ეგ კი თავის მამის გულისთვინ ზრუნავს და გლეხისთვინ კი ყურსაც არ იბერტყავს.

ლაკაბიძემ ისე ჩაუღიმა მაგდანას თითქოს ეუბნებოდა: „კაი დაგემართოს, კაი ძმა შენა გყოლიაო.“

ქაბუკებმა შუბლშეკრული ფიქრია ჩაათვალეირეს და მათ ღიმილზედაც ეწერა: „რა დანიშნული გყოლია!“ ქალმა თავის საბედლოს წყრომის თვალთ გადაპხედა და შემდეგ სულხანის მწვავე თვალებს წააწყდა. კარგა ხანს უმზერდა და უნებურად აღარებდა ორივეს, თანაც თვალნათლივ გრძნობდა, რომ უწინდელი ხიბლი ბოლივით ეფანტებოდა მას. მერე ისე გააქნია ოქროს ბულული, თითქო რაიმე აბეზარ აზრს იშორებდაო და დათუნას ხუთიოდე ნაბიჯით დაშორდა.

— მამა ჩემო, ეხლა იმ კლდეზე ავიდეთ, — სთქვა არსენამ და წამოდგა. — მიდამო შევათვალეიროთ და ომის თადარიგი დავიჭიროთ.

— წავიდეთ, შვილო.

და ბელადებმა კლდის წვერისაკენ გასწიეს. კლდეზე ფოფხვით ავიდნენ და და საბრძოლველ თათბირს შეუდგნენ.

\* \* \*

მაიორმა რომ დათუნა გამოისტუმრა, მესამე დღეს თვითონაც დაიძრა და მარაბდაში ამოიჭრა, თანაც შულავერსა და მარნეულში მოკრებილი პოლიციელები და ყაზახები ამოიყვანა. ამავე დროს ქალაქიდანაც ორი მცირე რაზმი დაიძრა. ერთი მათგანი თრიალეთის ქედს გაჰყვა კოჯრის გზით, მეორე კი მანგლისის გზას დაადგა.

— ვეთო, შენ დამლუპე და უნდვ შენვე ამაშენო. — ასე გამოეგება მაიორს ზაალი ქოტისში, სადაც მას, ალგეთის მეორე ნაპირზე, დამწვარ სასახლის პირდაპირ, საზაფხულო სახლი და ბალ-ვენახი ჰქონდა და იქ გადასულიყო.

— თქვენც კნიაზ დავითის ზღაპარს იმეორებთ? — მიახალა არლოვმა და ცხენი მხლებელს მიუგდო. — დაივიწყეთ რაც დაგემართათ, ისევე თქვენი ბრალია.

— ვეთო, ისევე მე ვარ მინავათი? — გაოცდა ბაჭონი.

— თავი დავანებოთ „ვინოვატ“-ის ძებნას და საქმეს შეუდგეთ. კნიაჟა დარო, ნუ თუ თქვენა ბრძანდებით? — შესძახა არლოვმა ბალიდან გამოსულს ზაალის ასულს, რომელსაც გლეხურად ეცვა და ატმითა და ყურძნით სავსე გიდელი მოჰქონდა.

— დიახ, მე გახლავართ. აღარ მოგწონვართ, განა! — გაუცინა ქალმა.

— რა ბრძანებაა! გლეხური კაბა კი არა, სულაც რომ არაფერი არ გცმოდათ, მაინც მომეწონებით, ათასწილ უფრო მეტადაც მომეწონებით. — მიახალა

მაიორმა ეპოქალურ-სადღაღათური ქათინაური და თავის ცხენებით დაიქიხვი-  
ნა: ოხო-ხო!

ზაალს თითქოს ნემსი უჩხვლიტესო. ძველი კაცი იყო და შრიყელო დაზ-  
ლანდარობა ეჯაერებოდა. მაგრამ ვადმწვარ დოვლათს აღდგენა ექიფრებოდა და  
ამიტომ თვითონაც აპყვა მაიორს: ორთავ ხელი ღიპზე დაიტყაპუნა, ნაძალადევედ  
ჩაიხითხითა და წამოიძახა:

— ზამეჩატელნა შუტკა, ზამეჩატელნა!

გაშტერებული, აღანძული დარო ერთხანს მამას შესცქეროდა, ხოლო მისი  
ხითხითის შემდეგ ქურციკივით დაფრთხა და შინ მიიშალა. დავითი მეორე ოთა-  
ხში იყო და იცვამდა. მაიორის ოხუნჯობა იმანაც ვაიგო და კბილები გააკრა-  
ქუნა, მაგრამ იმანაც ხაზინის დებარება გაახსენა და უნებურად მოლბა.

ათიოდე წუთის შემდეგ სამიენი მწიფე მტევნებით შეკუნწულ ხეივანში  
ისხდნენ, ცივ რქა-წითელს სვამდნენ, ზედ ქარვის-ფერ ატამს ატანდნენ და საუ-  
ბრობდნენ.

— მაშ კომისიამ თქვენი ზარალი ოთხმოც ათასად შეაფასა? — იკითხა მაი-  
ორმა.

— მე ას — ოცათასად ვინაგარიშე, — მიუგო ზაალმა, — მაგრამ ძალიან და-  
მიკლეს და აღარ ვიცი რა ვუყო?

— მათს შეფასებას აღარაფერი არ ეშველება. — განაგრძო მაიორმა; —  
ოთხმოც ათასის აღებასაც ჩემს მეტი ვერაფერ ვერ მოახერხებს.

— აგრეა. მართალია. — მიუგო მამა-შვილმა.

— ზარალი შუაზე უნდა გავყოთ. — ანგარიშობდა ბარათთანთ ქირისუფა-  
ლი — ნახევარს აქაურ გლეხებს გადავახდევინებ და ნახევარსაც ხაზინიდან გა-  
მოგიტანთ.

— გლეხებს ერთ შაურსაც არ შევარჩენ. — ბრახით წამოიძახა დავითმა. —  
მაშ რა ეგონათ, იმდენა ჭონება, რომ დაიტაცეს?

— იმ ჭონებას დღესვე დავაბრუნებინებ. — დაამშვიდა მაიორმა. — წრე-  
ვანდელი ღალის აკრეფა და შეწერილ ზარალის ანაზღაურება კი უფრო მეტად  
გაძნელდება, მაგრამ... — და ერთხელ კიდევ დაუმატა თითების თამაშით: — მაგ-  
რამ... — მერე ზევით აიხედა, დაკიდებულ მტევნებს დააშტერდა და ლოქოს  
თვალეში გაიყინა:

დავითმა და ზაალმა ერთმანეთს თვალი უყვეს.

— გასპადინ მაიორ, დროა ქალაქში სახლი აიშენოთ. — ურჩია ზაა-  
ლმა.

— ოღონდაც, მაგრამ... — ჩაილაპარაკა არლოვმა.

— მაგრამ ალაგი არა გაქვთ, განა? — მიეშეკლა მარაბდის ბატონი. — ვე-  
რო მიწაზე მეტი რა მაქვს! ჩემი სახლის გვერდით ერთი დიდი სასახლის ადგი-  
ლია და შენი ქირის სანაცვლო იყოს. ფეშქაშად მომირთმევიან.

— მადლობელი ვახლავართ. — ისეთ კილოზე უთხრა მაიორმა, რომ ვერ  
გაიგებდით, იცოტაეა, მიიღო თუ უარპყო.

„იცოტაეა“, — გადასჭრა დავითმა და მიუმატა:

დავითი: ორთაქალაში ბალი მაქვს და ვყიდი. გეცოდინებთ, ლაპიანას უჭირავს. იქნება იყიდოთ.

მაიორი: რამდენი ელირება?

დავითი: თქვენთვის ორი ათასი მანეთი ელირება.

მაიორს მრავალჯერ მოუღბენია იმ ბალში და ისიც იცოდა, რომ ათი ათასიც ღირდა.

მაიორი: ვყიდულობ. როდის გავათავოთ?

დავითი: როცა ჩვენ საქმეს გავათავებთ.

ესე იგი, როცა მაიორი გლებებს უკანასკნელ ლუქმას გააგდებინებს და სახაზინო ქადიდანაც მოზრდილ ნაჭერს მოუჭრის.

ზაალს ერთი რამეც აწუხებს და ბარემ ებლავე გაათავებს.

ზაალი: დარაგოი მაიორ, გასათხოვარი ქალი მყავს და მზითვეზე უნდა ვიზრუნო. მამულში თავის წილი აქვს, მაგრამ ხურდა-მურდას მიცემის გარდა მამა-დავითის მთაზე სახლის აშენებას დაეპირდი და უნდა შევესრულო. მეც ამისათვის მერქაობა ფული.

მაიორი მიუხვდა: თუ დარო მოგწონს, ორივე საქმე ერთმანეთს გადააბი, კარგი მზითვეიც მიიღე და გაათავეო.

მაიორმაც გაათავა: ზეზე წამოიჭრა, მამა-შვილს უსიტყვოდ ჩამოართვა ხელი და მხლებლებს უბრძანა:

— მამასახლისებს დამიძახეთ.

მამასახლისები და თავი კაცები ადრევე იყვნენ დაბარებულნი და დილიდანვე წისქვილთან უცდიდნენ.

— თრიალეთი ყაჩაღებით გაივსო და თქვენც ყაჩაღები ყოფილხართ, რადგან იმ არამზადებს ინახეთ.

— ასე დაიწყო მაიორმა დავითის თარჯიმანობით, — მე არა მცალიან და მოკლედ მოგიპრით. — და მოუჭრა: — პირველი: რაც მარაბდლებმა ბატონის სასახლიდან გაიტაცეს, უნდა მზის ჩასვლამდე დაუბრუნოთ უკლებლივ. მეორე: თქვენს ბატონს ოთხმოცი ათასის ზარალი მიაყენეთ და ნახევარი თქვენ უნდა აღნაზღაუროთ.

— ბატონო, გენაცვალეთ, — გააწყვეტინა ფარცხისის მამასახლისმა, — ცეცხლი ყაჩაღებმა წაუკიდეს და ჩვენ რა შუაში ვართ?

— მოლჩა-ა-აატ! — ისე დაიღრიალა ნაჩაღნიკმა, რომ ხეივანში ფოთლებიც კი შეირხა. მაიორი შექარხალდა, აკანკალდა და სიტყვას ვეღარ პოულობდა. შერე იპოვა და ბღაველით დაუმატა: — თქვენ რუსის ხელმწიფისა და ჩემი მადლიერი უნდა იყოთ, რომ ას-ოც-ათას არ გახდევინებთ. — და თუმცა კრინტიც აღარაეინ არ დასძრა, იქაურობა მაინც კიდევ დააყრუა: — მოლჩა-ა-ა-აატ ფული არა გაქვთ? ხორბალი მოიტანეთ, საქონელი მორგეთ, ქვევრებადან ღვინო ამოიღეთ, თუნდაც თავი ქვას ახალეთ და მოიტანეთ, — დავაი! ესიო დავაი!

პასკევიჩმა ერევანს ალყა შემოარტყა და არლოვს ჯიბეში ბრძანება ედო, ჩქარა ხორბალი და ურმები მომამველეო. წელან გადაწყვეტილი ჰქონდა, ბარემ შეფისასა და ბატონისას ერთად ავიღებო, მაგრამ როცა ზაალმა ამ საქმეში

თვითონ მაიორიც ჩაურია, — წითური მოხელე უცებ მიხვდა და ინგარიშა მეფისა და ბატონისა ერთად რომ მოეთხოვო, ვერ გამოიღებენ, და რასაც გამოიღებენ, ჯერ ხაზინა წაიღებს და ჩვენ კი ხელცარიელი დავრჩებით, ამიტომ ჯერ ბატონისას ავკრეფავ, ჩემს წილსაც გავინაღდებ და პასკევიჩმა კი ცოტა მოითმინოსო.

და ეს ეშმაკობა ისე მოეწონა, რომ გულში ჩაიციხა, გლეხობას სახაზინო ბეგარა იმ დღეს აღარ მოსთხოვია და განაგრძო:

მესამე: ან არსენას ჩამაბარებთ და შელავათს მიიღებთ, ან არა და ეხლავე გამოიტირეთ თქვენი თავიც და თქვენი ცოლ-შვილიც. ქულზე კაცს გამოიყვანთ. ვინც სანდოა, თოფს მივცემ, დანარჩენები კი კეტებით და ხანჯლებით წამოვიდნენ. რაო? მოლჩა-ა-ა-ატ! ხვალ დილით აქედან დავიბერები და ვაი იმას, ვინც მეფის სამსახურს მოერიდება. და უცებ ღვთისაგარს მოუბრუნდა: — შენ რას იტყვი, ბებერო მელავ?

— აბა რა მეთქმის! — მიუგო ცალთვალამ. ყველაზე მეტი მე დავაშავე რადგან არსენა გვაჯიჩნე, და ამიტომ მეც, ჩემი უნცროსი ერკლეც და ჩემი, დოვლათიც ხელმწიფისა და ბატონის ქირის სანაცვლო იყოს. მიბრძანეთ და შეგისრულდებთ.

მაიორი დიდხანს უბურღავდა ცალ თვალს და ჰფიქრობდა, ეხლავე დეპატიმრებინა თუ გადაიდო. ბოლოს გადასდო და დაიძახა:

— აბა, სია მიიღეთ თუ ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს, აგრეთვე ქირნახულის ნიხრიც და შაა-არში!

მოლჩა-ა-ა-ატ.

ბატონის და ხელმწიფის მოხარვე გლეხები ისე წამოვიდნენ თითქო საკუთარ პანაშვიდზე ყოფილიყვნენ, და ოციოდე სოფელს სასიკვდილო სიები წაუღეს, თანაც ანგარიშობდნენ: ხორბლეულის მეოთხედი ბატონმა წაიღო, მეორე მეოთხედი მამასახლისმა, გზირმა, იასაულმა, დალაქმა. ჭონმა, მღვდელმა, მკედელმა და ფეიქარმა. ნახევარიც რომ ეხლა გამოვიტანოთ სწორედ თავნებ გამოვალთ. ველარც ხელმწიფისას გადავიხდით და ჩვენც მშვიდები დავიხოცებით.

— რას იტყვი, ღვთისაგარ? — ჰკითხეს ოძელაშვილის თავაკაცებმა.

— აბა რა მეთქმის? ყველამ თავის-თავს უპატრონოს. — ისე მიუგო ცალთვალამ, თითქო მას თავის ბედი უკვე გადაჭრილი ჰქონდეს, და მიუმატა: — ნამცეცობა დღეს რომ მირაბდა აიკლეს, ოცდა-ცამეტი კომლი გაიქცა. ეხლა ხუთი იმდენი დააკლდება, დანარჩენი კი აქვე დაიხოცება მშვიდრი.

— მაშ სჯობს ეხლავე გადავიქარგნეთ, არა?

— მე ვთქვი, ყველამ თავის თავს უპატრონოს მეთქი.

ეს პასუხი რჩევას უდრიდა და ყველას ჭკუაში დაუჯდა.

ცალთვალა დაფაცურდა და თავისიანებიც დააფაცურა: ერთი ურემი დატვირთა და მელანოს უთხრა:

— დედაკაცო, ქალაქში ჩახვალ და სანამ არ მოგიკითხავდე ნათილდელასთან იცხოვრებ. — და მახარას მიუბრუნდა: — მამა, იქნება შენც გაპყვე?

— არა, შვილო.

— ავი დღე მოგველის.

— ათჯერ უარესიც მინახავს.

— ეგების შორიდან ვერ გიპატრონო და მშვიერი მოკლევადიანი

— ლეთის ნებაა, შეილო. მეზობლები დამმარბავენ და მტერი არა მინდა.

ლეთისავეარმა იცოდა, რომ კამეჩის რქას უფრო ადვილად მოდრეკავდა ვიდრე პაპა მახარას, და თავი მიანება.

— ერეკლე.—უთხრა უნცროს შეილს,—დედაშენს ქალაქში დააბინავებდე ურემს და ხარებსაც იქ დაუტოვებდე და ხვალ სალამოს ნაგეთში მიპოვიდე. აბა, დედაკაცო, ღმერთი იყოს შენი შემწე, მე კი...

და აღარ დაასრულა, რადგან დასასრული უსიტყვოდაც ცხადი იყო: მე კი იქნება ველარც კი მნახო.

როცა ურემი საბძელს მიეფარა, ცალთვალა ნადევარი დირუზე ჩამოჯდა და გაქვედა. ეხლა კი ყველაფერი თავდებოდა და არსენას მამას ისლა დარჩენოდა, რომ პატიოსნად ნათრევი სიცოცხლე სამარეშიც პატიოსნად ჩაეთრია.

ციემა ერთვალამ ერთხელ კიდევ ჩაურბინა მარაბდას. სოფელი ქიანქველების აშლილ ბუდესავეთ აიფურთნა და ბატონის სახლისკენ დაიძრა. ამას წინათ ვითომ დაძალებით წამოღებულს ზაალის ქონებას ეხლა მართლა ძალით მიათრევდნენ უკანვე. გლეხები ზაალის მოურავს რიგში ჩაუდგნენ და ქურჭელი და ვარცლები, ჩერები და თეთრეული, სკამები და ქვაბები ბატონის ფარეშებს ჩააბარეს. მერე შინ დაბრუნდნენ და შავი მომავლის ტირილს შეუდგნენ. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბატონის აკლებაში, რომელიც ეხლა გლეხების დარბევით თავდებოდა, არსენას არავითარი ბრალი არ მიუძღოდა, მაგრამ ის რაზმი მიინც მას ეკუთვნოდა და ამიტომ მხოლოდ მას სწყევლიდნენ და ჰჭოლავდნენ. მაიორს ჯერ არ ჩაეჭირა ქანგი და სოფელი კი ეხლავე დრტვინავდა, და ეს მოთქმა იმ პატიმრის ურვას ჰგავდა, რომელიც ხვალ დილაზე ჩამოხრჩობას ელოდება.

მაიორმა უკანასკნელი განკარგულებანი გასცა და განიერ აივანზე გააბოტა. ნათელი ღამე იდგა და ხეობიდან თრიალეთის გრილი ნიავი ჰჭროდა. არლოვმა ის დღე კარგად დალია და მოლხენით იყო, მაგრამ მაინც რალაცაკლდა და მოუსვენრობა ეტყობოდა. ქოტისის სახლი ბალის თავში იდგა, ხოლო თითონ ბალ-ვენახბ ალგეთის უღრან ქალაზე იყო მიბმული და მდინარეს ვიწრო და გრძელ ზოლად ეკვროდა. ქენინა ხორეშანს ბარათაანთ საგვარეულო მონასტერს აბტალაში შესაწირავი წაელო, თავისი სწეული რძალი ტასოც თან წაეყვანა და დარო ზაალისა და მოახლეთა ანაბარად დაეტოვებინა. არლოვს აბალ-გაზრდა ქალი უკვე თავისად მიიჩნდა, უკვე მწვავე წყურვილივით ჰყავდა შემჯდარი და ეხლაც ის აწუხებდა. მაიორი ჰფიქრობდა და ვერ მოეგრნა. რა ანკესით გამოეყვანა ქალი ოთახიდან. ბოლოს მის მაგიერ ზაალმა მოიგონა:

— გასპადინ მაიორ, გაისიერნეთ. დაროც გამოგყვებათ. მშვენიერი სალა-შოა და ისიამოვნეთ.

ზაალს უარს როგორ აკადრებდნენ?

ათიოდე წუთის შემდეგ არლოვს მკლავით მიჰყავდა ზაალის ასული და ეხეწებოდა:



— ბოლომდე ჩავიდეთ.—და როცა ჩავიდნენ,—ცოტაოდენი მოთხოვა:—  
 ეხლა სერზე ვავიდეთ. აქ ბუჩქებია და კისერს მოვიტეხავთ. წვდანიველ ხუმრო-  
 ბისათვის ხომ არ მიწყრებით? მაპატიეთ? ელიზბარ მაღალაშვილს ვეძებო  
 ხირა და ამან გამაშწარა.

და მრავალი რამ უამბო, ზოგი ცხადი და ზოგიც ნართაულა.

დარომ უკან მოიხედა, შეკრთა და შესდგა.

ბალიც და ხალხიც ძლიესლა მოსჩანდა. თვითონაც არ იცოდა, ღამით ამ  
 სიშორეზე რად გამოჰყვა ამ უცხო კაცს. შეკრთა და უკანვე გამოიწია, მაგრამ  
 მაიორმა აღარ დააიკალა: ხმელ ბალახზე მოსასხამი დაავდო, დარო ძალით  
 დასვა ზედ და თვითონაც მიუჯდა. შემდეგ იმ უდაბურ ალაგას ქალის შინა-  
 რევი ჩურჩული და მაიორის თინიანი ბურტყუნი გაისმა, რომელსაც ურიგო  
 ბლლადუნი, მიჩქმალული კრუსუნი და კივილის ნაწყვეტიც დაერთო. მერე ყვე-  
 ლაფერი მინელდა და მისწყდა. შემდეგ ორივენი წამოადგნენ და ისე დაბრუნ-  
 დენ შინ თითქო ერთმანეთს ებუტებოდნენ.

— ნუ ნალვლობ. ჩვენ თითქმის ცოლ-ქმარი ვართ და გვეპატიება.—ისე  
 უთხრა ბოლოს მაიორმა ჭიშკართან, თითქო თავის დენშიკს ელაპარაკებოდაო,  
 და საკოცნელადაც მიიწია. დარომ ერთი ხელი პირზე მიიფარა, მეორე კი ქვი-  
 თინის შესამაგრებლად თვითონვე აიფარა, გაიწია, გაუხლტა და მიიშალა.

— ვოტ დუროჩკა!—გაოცდა მაიორი და ნახევარი საათის შემდეგ ისე  
 ახერხნდა, რომ ზაალიც კი გააღვიძა.

იმ ღამეს ჯორაშვილი ლანდად გადაიქცა. მან ბევრი რამე დაინახა და  
 ზოგსაც მიხვდა. ურვას და ღაზოს რომ ველარ გაუძლო, მუხათში გაიქცა და  
 ბოლოს თავი ასე ინუგეშა: „ზაალის ქალი ეხლა კი ველარ ამცდება“.—და  
 მეორე დილას ისევ ქოტისში შესწვა მწვადები.

იმ სახლში იმ ღამეს მხოლოდ ერთ სულიერს არ ეძინა. დარო დილაზე  
 ჰმორგავდა, ფეხაკრეფით დადიოდა, ზოგჯერ აივანზე გამოდიოდა, ისევ ოთახ-  
 ში ბრუნდებოდა წვებოდა და შიშით იხერხებოდა.

ალგეთის დილაც დაროსავით უძილო, მოღუშული, ცრემლიანი და შვო-  
 თიანი გათენდა. როცა ირაერაეა, იმ ხეობაში აღარავინ არ დარჩენილიყო  
 ლოგინში. ყველა ჰგრძნობდა, რომ მას იმ დღიდან სიკვდილი მისწყდა ყანკრა-  
 ტოში—ნელი, დინჯი, უებარი და დაუზოგავი.

— ნუ მიეცემთ! ბარემ დაგვხოკონ; ვუჩივლოთ!—სასოწარკვეთიად გაიძახო-  
 დენ ზოგიერთები და ამ ხერხისა თვითონაც არა სჯეროდათ, რადგან იცოდნენ, რომ  
 მაიორი იმ კუთხის სრული ბატონი იყო და, ქალაქიდანაც შეუკვიცილი უფ-  
 ლება ჰქონდა მოტანილი.

— არსენამ დაგელუბა და სანამ არ გავცემთ, არა გვეშველება—რა—გაჰკი-  
 ოდნენ სულმოკლენი და ეგონათ, ვითომ ოძელაშვილის დაქერის შემდეგ ყველა-  
 ფერს დაუბრუნებდნენ და ჯილდოსაც მიართმევდნენ.

მარაბდაში ახალი ხარკი ყველაზე ადრე ღვთისავარმა ჩააბარა. ოცი თა-  
 ღარი შეაწერეს და თორმეტი-ღა ჰქონდა. რვაც მეყახშისაგან ისესხა და სანამ  
 ბატონები გაიღვიძებდნენ, მათს მოურავს და კუჭატენს მიურწყო.

— ეინც არ მოიტანა, მათი სია მომეცით.—ლოგინშივე მოითხოვა მაი-  
 ორმა.



ვერ ნახევარსაც არა ჰქონდა გადახდილი. ხელჯობონები და ყაზახები სოფელში დარბოდნენ და საპურე ორმოებს მათრახის ეპაქვიფუნ ვახტრინებდნენ.

— ცეცხლი და წალდი!—გასცა არლოვმა ახალი ბრძანება.—სანამ აედგებოდე გადასახადი უკლებლივ შეგროვდეს.—მერე მეორე გვერდზე გადაბრუნდა და ერთს საათს კიდევ ხვრინავდა.

კუკატნელს ცეცხლის და წალდის ძალა პირველად კახეთის აჯანყების დროს ჰქონდა ნაცადი და შემდეგაც ხშირად ენახა. ამ შხამის მიცემა მას ნაადრევად მიანდა, მაგრამ მაიორი ისე ჩქარობდა, თითქო თრიალეთზე ლენერლის საბექურები და დანიშნული ელოდებოდნენო, და გიორგიც უმაღვე ბრძანების შესრულებას შეუდგა.

ფირუზა მოურავმა ათიოდე შინაყმას წალდები, ნაბგლები და ცულები დაურიგა და ყაზახების ზედამდგომით თავდაპირველად ლაშქარა გოზაშვილის ვენახს შეუსია.

მწიფე ვენახში ჩახუნი ატყდა.—ყმები მწკრივად მიდიოდნენ და ეახს ყანასავეთ მკიდნენ. მტყენებით დატვირთული ვაზი ფეხმოკრილ მკვე ცხვარივით წვებოდა. უკან გოგო-ბიჭები მისდევდნენ, ყურძენს კალათებში ჰყრიდნენ და ბატონის საწინახელში მიჰქონდათ. სოფელი გორაკზე გადმომდგარიყო და მსურდა გაეგო, მაიორი მხოლოდ იმუქრებოდა თუ მართლა გაიმეტებდა. ამავე დროს სოფელში სამ ალაგას ავიარდა ალი და კვამლი და გორაკზედაც ქშინეა და წყველა ამოსკდა:

— წაიღეთ! გაძღვეთ! ჩახეთქეთ და გასკდით! გაგისკდეთ ეგ მიწა და მუცლი! მგ ეახის მადლი გაგიწყრეთ და ოჯახში ქირი არ გამოგელით!

კუკატნელმა წამოსაღები წამოიღო, ბატონს და მაიორს კა არც მიწა გაუსკდათ, არც ქირი გაუწნდათ და არც იმ ყურძენმა აწყინა.

ლაშქარას ცოლმა შეწერილი მისაცემელი მისცა, ვენახი კი მაინც ვერ გადაარჩინა. მისი ქმარი არსენას რაზმში იყო და მისი ექვსი წერილ-შვილი მშიერი უნდა ამომწყდარიყო. როცა ლაშქარას შვილებივით მოვლილი ვაზები დაუხოცეს, შემდეგ ნასყიდას ბაღს შეესივნენ და ოციოდე გულაბისა და თურაშაულის ხე ძირს დასცეს და თან მკუხე ხილიც მოჰკრიფეს.

— წაიღეთ! ჩახეთქეთ! გასკდით!—ისევ გაისმა ზევიდან დედაბერის კივილი.

სიკვდილის მოესავე წალდი ეხლა პაპუნას ვენახში შეიქრა.

— წაიღეთ! შეხეთქეთ! შხამით შეგერგოთ!—დაიკვილა ვილაყამ გორაკზე და ამგვარი ტირილი ზევიდან იქამდე ისმოდა და ცულებით მანამდე თარეშობდნენ გლეხების პაწია ბაღ-ვენახებში, მანამ კუკატნელმა არ შესძახა:

— გათავდა! სულ მოიტანეს!

შემდეგ მან არსენას დასაკურად მოგროვილი მარაბდლები სამი გზით გაგზავნა ხეობაში და თან ანგარიშობდა: გზადაგზა ამ ამბავს ყველა სოფლებს მოსდებენ და წინდაწინვე დააწინებენო, მერე მაიორს მოახსენა ლოგინში:

— ბატონო მაიორ, მზად ვახლავთ. შეეკარულე.

— მაღადეც, გიორგი!—შეაქო მაიორმა და წამოიწია.



— რად სტარატსა ვაშე სტვო! — მიადახა გიორგიმ და გაიჭიმა.

— კაპიტანი ლომოვი გეახლათ. — მოახსენა ამ დროს მატონო მინა მხლე-ბელმა.

— ვოტ ტე ნააა! — გაოცდა არლოვი, რადგან თავის ახალ თანაშემწეს აქ არ მოელოდა.

მან ლეკაბრისტის დანიშვნა ქალაქშივე გაიგო და აიმრიზა, მაიორს სხვა კანდიდატი ჰყავდა, მაგრამ ვერ გაიტანა, რადგან ახლად დანიშნული სამხედრო მინისტრი ჩერნილოვი „მეფის მოლაღატის“ ლომოვის ნათესავი აღმოჩნდა და არლოვიც უნებურად მოიდრიკა.

ათიოდე წუთის შემდეგ პირმოლუშულმა ლომოვმა სალამის შემდეგ არლოვს უთხრა:

— დღეს რიგრაქზე თბილისიდან ორი რაზმი დაიძრა თქვენს დასახმარებლად. მე შულავერში მივდიოდი, აქეთ ცეცხლი დაეინახე და გზას ვადმოუხვიე. თურმე ისევე მარაბდას ეომებით, ბატონო მაიორ.

— დიად, დიად. საშინელი ხალხია: უდიერი, მოლაღატე, მოუდრეკელი. ყაჩაღებს ინახავენ და ილექსანდრეს ჯაშუშებასაც ეხმარებიან. ეხლა კი — ბასტა, დოვოლნო! ეხლა აქაურობა თითზე დაეიხვიე და მათს საყვარელ არსენას მათვე დაეაჭვინებ.

— გისურვებთ გამარჯვებას, ბატონო მაიორ, მაგრამ კანონს თქვენთვის ცეცხლისა და ცულის ხმარება არ მოუნდვია, ამიტომ შესაძლებელია...

— ვიცი, ბატონო ჩემო, ვიცი. — ცივად გააწყვეტინა უფროსმა. — გენერალ-გუბერნატორმა სიპიაგინმა ნება მიბოძა, შტაბმაც მიბრძანა, სამოქალაქო გუბერნატორმა ხოვენმაც იცის და იქაც მითხრეს, в экспедиции суда и расправы; იქაურობა შემუსრეთ, ოღონდ არსენა დაიჭირეთო.

— უკველია წერილობითს ბრძანებასაც მიიღებდით.

— რა საჭიროა? Вот еще! დაიხსომეთ ჩემო კეთილო, რომ კავკასიაში ერთ ცხვარს უფრო მეტი ფასი აქვს ვიდრე რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულს.

— სამწუხაროდ ასეთ მაზანდას ჩვენვე ვაწესებთ. — უკბინა კაპიტანმა და დაუმატა. — მე მგონია, რომ ხორბალი ჯერ ჯარისთვის უნდა შეკრებილიყო და მერე ბატონისთვის.

— რა თქმა უნდა! — დაეთანხმა მაიორი და გაწითლდა, — აგრეა, მაგრამ ინტენდანტები არ მოვიდნენ და... მოვასწრებთ, ჯარისთვისაც შევავაროვებთ.

— ვითომ? — ჰკითხა კაპიტანმა და მის კილოში „მესმის, ვაგივე“ გაისმა. მერე დაუმატა: — აღარ დაგაყოფნებთ, ბატონო მაიორო, და გეახლებით. ინტენდანტს კი ხეილვე გამოგზავნი. მშვიდობით ბრძანდებით.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ, ბატონო კაპიტანო. ჩემს სახლში არ გახლავართ და ამიტომ არა გპატივობთ. — გულში კი მიიყოლა: „მარამზადე, ეხლავე დარიგებას მიბედავ? მე შენ გიჩვენებ კანონებს, დამაცა! ისე მოგლუნო როგორც რკალი“.

შემდეგ მოხრაკული დედალი გაათავა, ერთი ბოთლი კახურიც დასცალა, მასპინძლებს გუშინდელი პირობა გაახსენა, დაროს მოკითხვა შეუთვალა და და-

ვითის თანხლებით ალგეთის ხეობას აპყვა. წინ კლუბატელი მიუძღოდა და ცუცხლი და წალდი მიჰქონდა. აქა-იქ ბოლის ღრუბელი მოსჩანდა. დაშენებულ ხალხს ზემო სოფლებში ჭირნახულისათვის უკვე პირი მოესხნა. მათგან მათორს ერთმანეთზე გადაბმული დატვირთული ურმები, და ოთხეუბ საქონლის ჯოგი და ფარა ხედებოდა. ამ დოვლაიას ზაალი ჩაიბარებს და შემდეგ მაიორსაც წილს მიუზღავს.

რაზმს წინ კრულვა მიუძღვის და უკან ცრემლი მისდევს. მაიორს თვალის ჩინიც აკლია და ყურთა სმენაც. ის მხოლოდ ითვლის, მოკლე ბრძანებას ისერის და ნიადაგ წინ მიიწევს.

ბარათაშვილს აქამდესაც ბლომად გაეფანტა ყმები და ეხლაც ორი იმდენი გაექცევა. დარჩენილთა ნახევარი მუდამ ჯარის ბეგარაზე დადის. მაიორსაც ასიოდე კაცი ჰყავს დაპატიმრებული. ამის გამო ბატონსაც დიდი ზარალი მოსდის: ლალაც დააკლდა და აღარც მუშა ხელი ჰყოფნის.

დავითმა დრო იხელთა და მაიორს უთხრა:

— აქაური დედაკაცები თხოულობენ, ქმრები დაგვიბრუნეთო.

— სულელები ყოფილან. — მიუგო მაიორმა და თავის ჯარზე მიუთითა: ახლებს ვაძლევ და მეტი რა უნდათ?

აგერ რამდენი ულაყი მისდით.

და მაიორმა ისე გადიხარხარა, თითქო ინგლისური დოგი ჰყეფავდაო.

არლოვი მართლა ბარბაროსი როდია. ის „ტუხუმცების“ ცრემლს არა ხედავს, თორემ ირგვლივ გაბნეულს ხელოვნების უამრავ ძეგლს ხარბად სკამს თვალებით. მას „ამ ველურების“ კენესა არ ესმის, თორემ მას მათ მიერ შექმნილ ნაშთების სული ჩექმის ჭუსლამდე სწვდება. აი თუნდაც ის ქედმაღალი აზერულას ანუ კოჯრის ციხე, კლდის თხემზე რომ აწეულა მედიდურად. მან რომ ენა ამოიდგას, თავის სათქმელს სამ თვეშიც ვერ გაათავებს. მარტო ის რადა ღირს, რომ იგი თოფის წამლის ნათლულია, რადგან საქართველოში პირველი თოფი აქ გაეარდა და პირველი ტყვია მის კედელს მოაზხდა.

აგერ კაბენის ნაშინასტრალის — მთებში რომ გაბუტულ გვრიტივით შეხიზნულა. მაიორი მორწმუნე რაინდია, ამიტომ ციხისა და ეკლესიის ნანგრევთა წინაშე აღტაცების კრუანტელი უვლის. ამა ფარცხისის ნაციხარი „ბირთვისის ფარი“, იქვე ძველი ეკლესიაა და უფრო ზევით კი — განთქმული ორბეთია. ქვის ცხვრები, ქვის ლომები, ქვის ჭარგა ქვაზე ამოჭრილი გუთნები, იარაღი, ათასნაირი ჩუქურთმა და ისეთი სასაფლაო ქვები, რომ მაიორი სიამით აიკიდებდა და ტამბოვში წაიღებდა.

— ჯნაზო დავით, თქვენ მგონი არ გესმით ამის მშვენება, — უსაყვედურა არლოვმა.

— ხუთ მანეთად გითმობ ყველა ციხეებსა და ეკლესიებს. — სიცილით უპასუხა დრაგუნის აფიცრმა.

ისევ ნაციხარი „გმირთ-ნაკვეთი“ და დიდებული წყარო. ზევით საოცარი ციკლოპური წმინდა ვიორგი, აქეთ — გუდარები, იქით — რკინის ციხე, სამშვილდე, ხუთ ზევით — მანგლისი და კიდევ უფრო ზევით — სახელოვანი დიდგორი, სადაც დავით აღმაშენებელმა მთელი კავკასიის ისტორია მოატრიალა. აგერ ყოვლად

შეუვალი სახელოვანი ბირთვისის ციხეც, რომელმაც მაიორი ალტაყებით გაა-  
შეშა. ამ საოცარ ციხეზე არლოეს ორბელიან-ბარათაშვილისგან დასაღვე-  
გმირო ამბავი გაუგონია. მარტო ვათათრებულ ბაგრატიონებს დასაღვე-  
აღყაზე დიდი ზღაპრული ტომი დაიწერება ეხლა. კი ერთი სასაცილო ამბავი აგონ-  
დება. თემურ ლენგმა ამ ციხეს დიდხანს უტრიალა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. მერე  
ვილაც ჯანი-ბეგი გამოჩნდა. ჯამბაზი იყო და კედელზე თოკით ავიდა, თან თხა  
აიტანა, შიგ დაჰკლა და სისხლი ციხის კედლებს წასცხო. ქართველობას თავზა-  
რი დაეცა. მეორე დღესაც დრო იხელთა, აცოცდა და ციხის კარი შეგნიდან გაა-  
ლო. მონღოლებმა ციხე აიღეს.

— მართალია თუ არა ეს ამბავი? — ეკითხება მაიორი დავითს.

— არ ვიცი. არც კი ვამიგია. — ამბობს ბარათაშვილი, რომელსაც თავის  
ქვეყნისა თითქმის არა გაუგია-რა, რადგან რუსულ სკოლაშია აღზრდილი და იქ  
კი ქართულს მხოლოდ წერა-კითხვას ასწავლიან.

— მამა თქვენი ამბობს, ამ ციხისათვის მარტო ბარათაშვილები და ორბე-  
ლიანები ათასობით გაწყდნენო, მართალია თუ არა? — ეკითხება თანამებრძოლს  
მაიორი.

— მეც აგრე ვამიგონია. — უნდილად უპასუხებს დავითი და ურმების ქა-  
რავანს სთვლის, რომელსაც მარაბდაში ხარკი მიაქვთ, და შემდეგ უფრო ცოც-  
ხალი ხმით უმატებს: — მე და არსენა ამ ციხეში გავიზარდენით.

— რა მეუბნებით! — შეკრთა არლოვი. — ბირთვისში? დიდებულ აყვანში  
გაზრდილხართ. არსენაც აქ გაიზარდა?

— არსენა ჩემი ძუძუძეა. ერთი ძუძუ გვიწოვია. ქართული წესით თითქმის  
ძმად მერგება.

— რა საშინელი ადათი გქონიათ! სად გაგონილა თავადის და ყანაღის  
ძნობა! — და დაბალი ხმით ჰკითხა: — ეხლა რომ შეგხედესო.

— ერთხელ სიკვდილს გადამარჩინა. ამას წინადაც ყველანი ცეცხლიდან  
გამოგვიყვანა, მაგრამ ოცი თავი რომ ჰქონდეს, ოცივეს მოკერიდი. — ისეთი ბრა-  
ზით სთქვა დავითმა, რომ მაიორს შეეშინდა, მეოცდაერთე ჩემიც არ მიაყო-  
ლოსო.

არლოვი შიშობდა სოფელში ღამის-თევას, რადგან ხაფანგისა ეშინოდა.  
კლდოვანი ბილიკებით ავიდენ იმ ციხეში და ღამე ძველ ნასახლარში გაატარეს.  
მეორე დილით მთებიდან ჩამოსული გოგოლა წაიმძღვარეს და არსენას ბუნავის-  
კენ ვასწიეს.

— ეხლა კი ველარ წაგვია. — დაბეჯითებით სთქვა მაიორმა.

— ველარ წაგვია. — დაუმოწმა დავითმა.

— ღმერთო გვიშველ! — შევედრა უფალს სარდალი და წინამავალ გლე-  
ხებს დაეწია, ხოლო საღამო ეამს, როცა დაბურულ ხევხუვებში შეფიცულთა  
სუნი დატრიალდა, ისევ ბოლოში მოექცა.

— სევასტი, შენ ხუთ კაცს წაიყვან, — ბრძანებლობს ოძელაშვილი, — ბიბი-  
ლო-სერზე გადახეულ და აჯერ იმ ღელეში ჩასაფრდები, მაგრამ თადარიგი დაი-  
ჭირე: რომ არ დაგინახონ, და იქ მომიციდი.

— აგრე!—უპასუხებს გრძელწვერა, — აბა კარბი, მეშთა, პასან, ფხანია და ედიშერ, გამოდით და გამოიყვიეთ.

— როსტომ, შენ რეა კაცს წაიყვან, ჩოფურა მთაზე გადისხვალ, ხევე ხევე დაჰყვები და წისკვილთან მოიციდი. როცა დაღამდება გაღმა გამოხვალთ და გზის პირზე კლდეში ჩასხდებით. თოფის ხმას რომ გაიგებთ, თქვენც დაუშენთ და ისეთ კოეინას ასტებავთ, რომ იმათ ასი კაცი მაინც ეგონოსთ, მანამდე კი ბალღინჯოსავით დაიმალებით.

— აგრე! მაშ აბა, ქავთარ, სულხან, საბა, ოსტაპ, ბალო, მოიყვიეთ!

— სულხანი და ოსტაპი მე დამითმე—სთხოვა როსტომს არსენამ.—ლაშქარ, დინჯი კაცი ხარ და ქალები შენთვის მომიბარებია. აზიზები არიან და უნდა დავხოვოთ. თქვენ აქ არ დაგედგომების. ეხლავე გაუდგით გზას. მთვარე მალე ამოვა და კარგათ ივლით. ჩემი ნათლიმამის ფარსადანის ბინებში ახვალთ და იქ მომიცილით,

— არ მინდა! არ წავეალ!—იფეთქა ფიქრიამ.

— არც მე წავეალ.—მტკიცედ განაცხადა შავდანიამაც.

— საცა შენ, მეც იქა, — ნელი ხმით უთხრა არსენას მარინემ.

— ეხლა კი დაეიღუპენით.—შხიარულად წამოიძახა მარაბდელმა.

— შენ ალბათ იმისთვის წამოიყვანე მარინე, რომ შენი ცოლია, — შეუტია მას ქერივმა, — მაგრამ მე და ფიქრია ცოლობის გასაწაველ კი ამოგყვიეთ. ჩვენც ამ დღისთვის ამოვედით და ეხლა უნდა დაგვემოლო?

— აგრეა. მართალია.—გამოესარჩლენ ქალებს აქეთ-იქიდან.

არსენას შერცხვა, მართლა და რისთვის ჰყავდა აქამდის ეს ორი ქალი ბანაკში? ამათ რომ დაუთმოს, ფეხშიძე მარინეს რაღა უყოს? ცოტა მოიფიქრა და დაუთმო.

— მაშ კარგი. ფიქრიავე, შენ მე წამოიყვიები. როსტომ შენ შავდანას უპატრონებ.—მერე გაახსენდა და ღიმილით დაურთო:—შენი დანიშნულია, ხომ არ დაგავიწყდა, ბიჭო?

რაზმმა გადინხარხარა, არსენამ კი განაგრძო:

— ძალოს ზურაც ვფერდით ეყოლება. თვალის ჩინივით გაუფრთხილდით თორემ დედაკაცის სისხლი ხუთი ვეჯაკის სისხლზე უფრო მეტია.—მერე გაჩუმდა, წარბი აათამაშა, ღიმილი ჩამოირეცხა, ხმასაც დაუმდაბლა და განაგრძო:

— აბა, ძმებო, ცოტა კიდევ დამიგდეთ ყური. ჩვენ აქნობამდე ამ ტყეში ამ დღისთვის ვცხოვრობდით. ამოდენა ტანჯვაც იმისთვის მოვიტოვინეთ და ოჩხუმიდაც იმიტომ გავიფიცენით, რომ ერთმანეთისთვის თავი შევაკლათ და არც ეს დროსა შევარცხვინით. ვინც შედრკეს აღარ მოგვეკაროს; ვინც გაიქცეს, თავლაფი დაესხას; ვინც მძა არ გაიტანოს, იყოს წყეული უკუნითი უკუნისამდე!

— ამინ! აგრე იყოს!—შესძახეს რაზმელებმა.

— ვინც დღეს ვეჯაკად ივარგებს, საუკუნოდ დარჩება მისი სახელი. იმაზე ლეჰსებს იტყვიან, დღეობაში იმღერებენ, სუფრაზე გაიხსენებენ. სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა. ძველ წიგნებში მარტო თავადების გამირობა სწერია, ეხლა კი ჩვენზედაც დასწერენ წიგნს და კეთილად მოგვიხსენებენ. გლეხებიც წაიკითხავენ და იტყვიან: ბარაქალა, გლეხო, ჩვენც კაცები



ვეოფილვართ, ქუდიც გვიტარებია და პატიოსანი ალაგიც მოგვიხვეჭიო, ვინ იცის, იქნება დღეს დავიხოცნეთ, მაგრამ რა ბედენაა! მაშ ამ ტყეში მსაჭკოდ ზომ არ ამოვსულვართ. სხვები დარჩებიან, დეარდნილ დროშას ათლებს, გლეხურ სისხლით დააღბობენ, პირნათლად ატარებენ, იმრეალებენ, გაიზრდებიან და როცა იქნება მაინც თავისას გაიტანენ. მაშ ძმებო, სახსნილო საგზალს ნუ წავილებთ, მარბვა შევინახოთ, დროშას ვემთხვიოთ, ერთმანეთს ცოდვა შეუნდოთ და საომრად სუფთა გულით წავიდეთ.

ბელადმა დროშა გაშალა ქუდი მოიხადა მოწიწებით ერთხვია და სხვებიც მიუშვია. შემდეგ ერთმანეთს გადაეხვივნენ, გულის ქუჭვი მოიხანეს, ასაკიდი აიკიდეს და წასასვლელად შეემზადნენ. არსენა კი უკანასკნელ განკარგულებას იძლეოდა:

— ლაშქარ, მარინე წაიყვანე, ეს ავადმყოფი ბიჭიც გაიყოლე და დევის კლდეში გაათენეთ. თქვენ კი თედო და მიხა, თქვენ აქ დარჩებით. ი დაბმულ ბიქს ვაუფრობილდით, არ გაიქვეს. ცხენებსაც მოუარეთ და მერე თქვენს ალაგებზე ჩასაფრდით. თუ მტერი ზევიდანაც გამოჩნდეს, ფიჩხს ცეცხლი მიეციოთ და ჩვენსკენ დაეშვით. მაშ მხნედ იყავით. ვინძლო არ შემომინდეთ, სირცხვილი არა სტამოთ. ყველას მუხათის წმინდა გიორგი გიძლოდეთ წინ და ბოლნისის მთაყარანგელოზი გფარვიდეთ. აბა, ესლა კი მიედივართ. ფიქრიავე, სადა ხარ? მარინე, ნუ სტირი, გულმშვიდად იყავი და დილაზე მოშელოდებოდე. ოსტაპ, სენნიავე, მომყევით!

ყველანი თრითრინებივით ვახლტნენ ბანაკიდან და თავთავიანთ გზით წავიდნენ. სიბნელეში ისე მიდიოდნენ ხევბულებით, უგზოდ და საცალფეხო კლდოვან ბილიკებით, თითქო წინ ვილაც იდუმალი ეტრიკი მიუქლოდო.

დათუნა განზე დარჩა. აქსენამ არც კი შენიშნა, არც მისი სახელი ახსენა. ბელადის დუმილი თითქოს ამბობდა: გზა ხსნილი ვაქვს და საითაც გინდოდეს წადიო.

ბანაკში დარჩენილმა თედომ და მიხამ ნამორზე ჩამომკდარს და ღრმად ჩაფიქრებულ უცხო კაცს ცერად გადააბედეს. არც კი იცნობდნენ, მაგრამ მისი წელანდელი ნაუბარი ახსოვდათ და გაბრაზებული იყვნენ იმის გამო, რომ „მაიორის კაცმა“ მათს ბელადს დანებება ურჩია და გიგოლას ბანაკის კვალი ააღებინა.

— არსენას დაავიწყდა ყე, — უთხრა მეორეს ქიზიყელმა თედომ, — თორე ამ კაცს შეუკრავს არ დაარჩენდა.

— წავე და ფათერაკს შეგვამთხვევს. — უპასუხა არაგველმა მიხამ. — უნდა შეეკრათ.

— შეეკრათ ყე. — დაეთანხმა ქიზიყელი და ბარნაველს მიადგა: — ეგ ხანჯალი მაჩვენე ყე... ეს დამბაჩა სადლა იშოვე? — და როცა იარალი აართვა, დაუმატა: — აქეთ წამო, უნდა რაღაც გაჩვენო ყე.

დათუნა ხეზე მიბმულ თანდილასთან მიყვანეს, უცებ ეცნენ და მკლავებზე საბელი გადაუჭირეს, თანაც ეუბნებოდნენ:

— აქ მოითმინე ყე... მაიორას კაცი ხარ და გვილაღატებ... ხელამდე იჯექი და მერე ან ჩვენვე გავიშვებთ, ან მაიორა მოგეშველებს.

დათუნა უნდილად შეებრძოლა. ეფიცებოდა, არსენას შეგობაში /ვარ და სანდო რომ არ ვყოფილიყავი, თვითონვე დამაბამდაო.

— სანდო რომ ყოფილიყავი, თან წაგიყვანდა ყე. — <sup>ერკონულნი</sup> შეწყობა და ხეზე მიაბა.

ბარნაველმა სახეზე „სულ ერთია“ აისახა და თანდილას გვერდით ჩამოჯდა.

მზე დასაღვალს იყო და არსენამაც თავის გეგმა ამაზე ააშენა. წელან რომ მაღლა კლდეზე ავიდნენ, არსენამ და ლეთისავარმა ასეთი საუბარი გამართეს:

არსენა: მაშ ქალაქიდან გუშინ დილით გამოვიდნენ?

ლეთისავარი: გუშინ გამოვიდნენ. — დაუდასტურა ლეთისავარმა.

არსენა: მაიორი კი ბირთვისიდან დღეს დილით დაიძრა? — ნამდვილად იცი?

ლეთისავარი: ნამდვილად, შვილო.

არსენა: მაიორს გზები არა სკოდნია და ვერც მანძილი გააზომია. თვითონ კარზე მოგვადგა, სხვები კი ხეალ შუადღეზედაც ძლივს ამოვლენ, ამიტომ... შამა: მიმიხვდი. აგრეა.

შვილი: ამიტომ ჯერ უნდა მაიორს შეუტოოთ. აქაურ ალაგებისა არა იცის-რა და საცა დაუღამდება, ხელფეხიც იქ შეეკვრება.

და ბოლოს გეგმა ყველას ხელის-გულივით გადაუშალა. არსენამ რომ დააყოვნოს, ხეალ სამივე მომხდარი რაზმი რკალივით შემოეყვება ბანაკს და გასრესავენ. მაშ სჯობია დრო იხელთონ და ისეთ დროს დაჰკრან მარტო მაიორს, როცა ის ღამეს შებოქილი გყოლება. მერე კი — მერე რაც მოხდება, მოხდეს!

ბანაკი ცარიელდება, თრიალეთის ცა სისხლის ფერად იღებება. შემდეგ ხეობას სულშემშუთავი ღამე აწვეება — ღამე მუჭი, ჩუმი და იღუმალი შფოთით აღსაყვს. ძველი მინგრეული ციხე-კოშკები ბნელ ცაში მლოცველ ბებრებივით აღმართულან და თითქო ზეცას რალაცას ემუდარებიანო. იმ კოშკებიდან საუკუნეთა დემილი ისმის და სვედიანი ნაკადულები იღვრება.

— გაფრთხილდით! ჩუმად იარეთ!

კუნძი კაცად მოსჩანს, ხოლო კაცი კუნძა ჰგავს და მაღალი ბალახი ჩასაფრებულ ჯარს ემსგავსება, ჯაგნარი კი თითქო იერიშით წამოსული რაზმიოა.

— ჩუმად! ფრხილად!

სადმე ტურა დაიჩხაელებს — თითქოს ბაღს ახჩობენო; ხევში დათვი ბურტყუნებს — თითქო დაჰკრილი ჰგმინავსო; ნადირი ნადირს გამოუღდება — თითქო ვილაცას ტყვე გაეჭკაო.

— ჩუმად! ფრთხილად!

ხევში წყალი ჩხრიალებს — შეთქმულნი თუ ჩურჩულებენ; იქვე სადმე კოტი გაჰკივის — ალბათ ბელადმა „მიდი“ დასძახა; რალაც ნადირმა ციყვი დაიჭირა — ალბათ არსენებმა ჩახმახები შეაყენეს; მთიდან ჩანჩქერი მოშუშის — მგონი ძმები ხანჯლებს ლესავენ.

— ნელა! ფრთხილად! ჩუმად!



ჯერ მთვარე არ ამოსულა — არსენასაც ეს უნდოდა, და როცა დაემ სის-  
ხლიანი თვალი გაახილა და თრიალეთს წითელი კაკაჩი დაანჯივდა, მარაშვილის  
ყველაფერი მზად დაუხვდა: სამ აღაგას შექუჩულს შიორის, რაღაც დროს ქელით  
ეძინა; წყლის გაღმა-გამოღმა ოციოდე კოცონი ძლივსდა ბეუტავდა; გუშაგები  
სთვლემდნენ და ფალიაც ნესტით გაეღნთილიყო.

წისქვილის მახლობლად კლდის პირზე ცხრა რაზმელი ცხრა ლოდევით  
ჩაწოლილიყო. ზაყვლიან ხევში რვა ძმა რვა ნამორივით ჩაეარდნილიყო.

უფრო ქვეით, საბძლის ძირში, ოცი გლეხი გაქვავებულიყო და მეოცდა-  
პირველს ერთად-ერთი თვალი ცალთვალა ბუსავით დაეჭყიტა.

ხელშეხვეული ბელადი ვეება წიფლის ქვეშ იჯდა და მზეერავის დაბრუ-  
ნებას ელოდებოდა. ერთ გვერდით ფიჭრია ჰყავდა, მეორე გვერდით კი ოსტა-  
პი ედგა, რომელიც მოუთმენლად იღრინებოდა.

— ნელა! ჩუმიად! ხმა გაკმინდეთ!

მიწიდან სულხანი ამოძვრა და სათხრობელი ჩურჩულით მოახსენა არ-  
სენას:

— შიორს, დავითს და კუკატენელს საბძელში სძინავთ. დანარჩენი აფი-  
ცრები და ბოქაულები თავ-თავიანთ მწყობრებთან არიან. გუშაგებიც დავხვერე,  
ბანაკში თუნდ ათას კაცს შევაპარებ. ჩვენი მილიციელებიც ისე მოიტყვევიან,  
როგორც დამბარე, ოღონდ მათ არაფერი არ უნდა დაეუშავთ.

— დროა. — მოსჭრა ოძელაშვილმა, წამოდგა, და ოთხი მონადირე მგელი  
ღრმა ხევში ჩაძვრა.

როგორ მოხდა, ან როგორ ხდება ხოლმე ასეთ დროს და ასეთ ადგილ-  
ებში მიხვდომა და დახლომა, დანამდვილებით არც არავინ იცის და ვერც ვინმე  
გაიგებს. როგორ, ვინ და სად დაიწყო, ვინ რა ჩაიდინა, ვინ საით გაიქცა, ან  
გაიქცა თუ გახვდა, მტერს ეკვეთა თუ ბაქიასავით ბუტქებში შეძვრა, ვინ ვის  
მიეშველა თუ უმუხთლა, ვინ გამოიჩინა გამირობა თუ დიაცობა — ზედმიწევნით  
მხოლოდ დამარცხებულმა ბელადმა იცის, როცა ათთაბახიან პატაკს  
სწერს და თავის უბედობას ასწავლით ხრიკით ამართლებს ხოლმე.

ღრმა დუმილში სადღაც თოფი ქვემეხივით გაეარდა. მისი ქუხილი გაღმა  
კლდეს მიასკდა, მერე გამოღმა გამოეარდა, ისევ გაღმა ეცა და ვიწრო ხეობაში  
ბურღივით დაიკლავა. პირველ ქუჩას მეორე და მეხუთე მოჰყვა. გამოღმელებს  
უმაღლე გაღმელებმა უბასუხეს, ზემოფურებს ქვემოფურები აპყვნენ და მთელი ხეო-  
ბა ელვა-ქექით გაიტენა.

— თავს უშველეთ! — დაიძახა! გუშაგმა და მილიციელთა წამოშლილმა  
ბანაკმა მამინფე სროლით და ყვირილით, დაუდასტურა:

— თავს უშველეთ! არსენა მოდის!

— არსენა მოდის! — ჩაიბუზუნა ხვეის გაღმა ღვთისაგარმაც და ოცმა  
გლეხმაც ყაზახ-როსებს ჭოთი მოსდო დამბაჩების გრიალით.

ხევში ბარაბანი კაკანებს. ქვეით ბუკი ჰყვიტინებს, გაღმა-გამოღმა კი აშ-  
ვებული ლომები ბუხუნებენ!

— ოლოლო, ოლოლო! ოლოლო, ოლოლო!



— არსენა მოდის! — კვლავ იხლუვა გლეხობამ.

— Арсен ид-т! спасайся ребята! — გამოეხმაურა სალდუბინსკი, ზეცა ტყვიით დაცხრილა და იქვე ჩასაფრებული ლაცაბიძის ზეცაქუჩით ხილით დააყრუა.

— პროსნის დავით, არსენ ნალეტელ! — დაიძახა მაიორმაც და გველნა-კბენივით წამოხტა.

— ესტავაიტე მაიორ, არსენ ნაპალსა! — იმავე დროს დაიბლაგლა კუპა-ტნელმაც და თავი საბჭოლის კარს მიაბეჭტა.

გარეთ მკრთალ შუქზე ლანდები დახტიან, გარბიან, მისდევენ, ყვირიან, ისერიან და ვერავის ვერ გაუგვია, ვინ ვის მისდევს. ვის ესერიან, რასა ყვირის რაღა ჰკივის, ან საიდან მოდის არსენა და სად არის გასაქცევი გზა.

— პლი! ბეი! — თავგანწირული ხმით იძახის ვილაცა და რაზმს მარცხნივ მიაქანებს.

— პლი! ვ შტიკი! — იძახიან იქითაც და თოფის დაცლის შემდგომ, ზიშტებზე გადმოდიან.

— სტოი! სვოი! სვოი! — გაჰკივიან ერთხმად ყველანი მას შემდეგ, როცა ათთოღე თავისიანი მიაწვინეს.

— აა, ჩორტ! დიავოლ! სუდა! — ისმის გამწარებული ბრძანება და რაზმის ნარჩენი ეხლა მარჯვნივ ასკდება.

მაგრამ კლდის სერიც გაარსენებულა. აი თურმე საიდან მოდის ტყვის სეტყვა! და როცა ყაზახები კლდის ძირს შეასკდნენ, ზევიდან ქვის ნიაღვარიც დაეშვა და შემდეგ ლაცაბიძის ბუხუნიც მოისმა.

— მიდი! დაჰკა!

— ოლოლო, ოლოლო!

და ლოდებთან ერთად ვიწრო გზაზე ცოცხალი ლოდებიც ჩამოგორდნენ და დარეტიანებულ ყაზახებს ეკეთენენ.

ყურშა ორ ვაჟკაცს მაინც უღრის. მშვიდობის დროს პეპელა და ჭიასაც კი ისე ჰყუფავდა, რომ მისი ძალღური ხმა მთის წვერებსაც კი სწვდებოდა, ეხლა კი კაპასი ღრუნით და ფრუტუნით დაჰქრის და ვისაც დაეტაკება, უმაღვე ბრძოლის უნარს ართმევს.

— ყურშავ მიდი! აგრე, გენაცვალოს ჩემი თავი! — ესმის მას არსენასი და სხვების ხმა და ისიც ორკეცი გესლით იბრძვის და უჩინარ ისარივით დაჰქრის.

სევასტიმ ბარათაშვილი იცნო და მიაძახა:

— შევიდა შენი განკითხვის დღე, ზაალის წიწილო! — და სატყეარი იშიშვლა, მაგრამ სევასტის ვილაც მაღალმა დაასწრო და დავითის ხმალს იანჯალი შეაჯახა. ფოლადის ქლარუნს მოკლე ჩახუნი დაერთო და თავგაპობილი ვილაც მაღალი მიწაზე გაიშოტა.

იმავე წამს ბარათაშვილს თვალებში თეთრმა ეშვმა შეანათა და მკერდში ორპირმა ფოლადმა ჩაუსრილა.

— დათუნა, ჩემი დათუნა! — გაისმა ამავე დროს ქვრივის კივილი და მაგდანა მომაკვდავ ძმას მივარდა.

დათუნა კვდებოდა. ხეზე მიბმული ბარნაველი წელან უცებ გამოფხიზლდა. ყველანი სიკვდილის დასახედრად წავიდნენ: მისი და მადანა, მისი, დისწული ზურა, მისი გამწყრალი მეგობარი არსენაც, მისი საბედო ფიქრიაც, თათარიც, ოსიც, სომეხიც, რუსიც, ქართველებიც, მას კი ლალატი დააბრალებს, შეარცხვინეს და ბოლოს ხეზედაც კი მიაბეს. უცებ გაიწია და ავირდა;

— ამიშვით! რას მიშვრებით!

ორ ბიჭს ცხენები წაესხათ წყალზე და მისი კივილი ვერ გაიგეს.

მართალია, ბარნაველს სხვა რამ აწვალებდა, მაგრამ ვარსკვლავს მარტო ხომ ვერ დაიჭერდა, ან იმ თვალებს ხომ ვერ გაჰყებოდა, ვინც გულთ თითქო შასთან იყო და საქმით კი ამეჟადაც ალექსანდრეს დასდევდა მოსაკლავად და მისი სისხლით ეძებდა წარჩინებას.

რა უხეშად შესცდა ბარნაველი! აი თურმე ვის უნდა გამყოლოდა და ვის გვერდით უნდა ებრძოლნა, მან კი, ნებისთ ან უნებურად, მაიორს მეველეობა გაუწია!

— ამიშვით მეთქი! მოლაღატე არა ვარ! ღმერთსა და ხატს გეფიცებით!

არსენას ჯარი გააფთრებული წავიდა და საცაა დათუნას მოსისხლე მაიორებს დააფრინდება, მან კი, თავლაფდასხმულმა, პირშავად უნდა იაროს ქვეყანაზე?

— ძმობილო, — შეეხვეწა მეორე პატიმარს, — ოღონდ ამიშვი და მეც აგიშვებ.

თბუქნიამ კბილებით გაუხსნა საბელი და იარალის ქობიც მიასწავლა. დათუნამაც გაანთავისუფლა თბუქნია, მერე იმ ქობიდან ერთი ხანჯალი მოიტაცა და ისე დაეშვა თავდაღმა თითქო სიკვდილი წინ კი არ მიუძლოდა, არამედ უკან შისდევდაო. და როცა წინსწეის მიაღწია, სიკვდილი უცებ მობრუნდა, დათუნას ყელში მისწვდა, შიგ ზაღვარა და ოვითონაც მასთან ერთად გახევდა.

— ოლოლო, ოლოლო! მიდი! დაჰკა! გარბიანი! — იტყუა მიწიდან ამომძვრალმა არსენამ და თავისიანებს ახალი რიბი ჩაუღვარა.

— მიდი! დაჰკა! გარბიანი! — იხუელეს რაზმელებმაც და მომხდურებს შიშის ფახი დასცეს.

ტყის ძმებმა გაქეულებს გზა გადაუჭრეს. თოფის, გრიალი აღარ ისმის, მის გასატენად ვილას სცალია! მხოლოდ ხმალი, ხანჯალი და ხიშკილა მუშაობს.

გალმელი რაზმი გამოღმა გამოიქცა და გზა-მოჭრილი გამოღმელი გაღმა გაეშურა. ერთმანეთს ფოთლიან ღელეში შეხედნენ და უკანასკნელად დასცალეს თოფ-დამბაჩები. მერე კი ხელჩართულზე გადავიდნენ და ურთი-ერთი ძლიესლა იცნეს.

— სტოი! სეოი! — თქვენიანები ვართ, თქვენიანები! — და ისევ გამოღმა გამოცვიდნენ, რადგან აქეთ ხელსაყრელი გასაქცევი გზა იყო და ეს აღგილი უნდა გაერღვიათ.

— სეოი, ბრატცი, სეოი! — სუფთა რუსულით იძახდა კარპიჩა და ყაზახ-პლასტუნებზე ერიოდა. შემდეგ ერთ ორს გაიშარტოვებდა და ხიშტით ხოცავდა, რომელიც მან ვილაც მოკლულს აართვა.

— სეოი, გეორგი. სეოი! — მიაძახა კუკატნელსაც და ზედ მივიდა, მაგრამ ხიდი ჩაუტყდა კუკატნელს კატის თვალები ჰქონდა, კარპიჩას კი რუსული გამოთქმა, ამიტომ უმაღლე იცნო ხაზაზი. იცნო და მოღერებულ ხიშტს ხმალი აკრა და თვითონაც დაჰკრა. კარპიჩამ დაიგმინა, წატორტმანდა და მოკლე ცხვირი ცივ მიწაში წაჰყო.

მცირე ფორზე არსენა გამოვარდა.

კუჭატნელი იმავე ალაგას იდგა და გაჰკიოდა:

— სულა! აქეთ მოდიოთ, აქეთა!

— აქა ვარ, რიორგი! — უპასუხა ვილაკამ.

გიორგიმ მაშინვე იყნო მარაბდელი და წაიბურტყუნა.

— დაგწყელოს ჩემმა გამჩენმა! არსენა ხარ?

— მე ვარ, რიორგი, მე! მოვდივარ და გამიმავრდი!

და შიშველი ხმლით ისე დინჯად წამოვიდა, როგორც მის დასახვედრად ნარგიზების ფორზე მიდიოდა.

სამაგიეროდ არსენას მოშულარი მაშინდელივით არ გამოიქცა და ფეხიც არ შეიკვალა. მან უმაღლე იძრო დამბახა და არსენას დაუმიხნა.

მარაბდელი შესდგა და მიაძახა:

— მესროლე, მაიორის ლეკვო, მაგრამ არ დაშაცდინო, თორემ...

და იმავე წაშს ქუხილი და ტყვიის ზუზუნი მოისმა.

— გადავიჩი! — შესძახა მარაბდელმა და წმალს ორთავ დამწვარი ხელი მოსჭიდა, რადგან ერთის იმედი არა ჰქონდა, მოსჭიდა და ისე დაუშვა კუჭატნელის თავზე, რომ წელამდე უნდა გაეჩეხა. მაგრამ ოძელაშვილის ფოლადს თავის ნაცვლად მოპირდაპირის ფოლადი დაუხედა, რომელიც საბრალოდ შეედარუნდა და განზე დაეცა.

არსენა ტყვილით აიღმიჭა. მაინც იმედნი ძალა კიდევ შერჩა, რომ იარაღ-აყრილ მოშულარისთვის თავი გაეპო, მაგრამ არ იკადრა და — ხმალი აიღო, კუჭატნელი — მიაძახა.

კუჭატნელს თავი დაეღუნა, ორივე ხელი ზედ წაეთარებინა და სიკვდილს ელოდებოდა. არსენას ხმა რომ გაიგო, არც კი შეინძრა, და ამოიყენეს:

— თუ მკლავ მომკალი და გამათავე.

— მე ხელცალიერ კაცის მკვლელი არა ვარ, — მიაძახა მარაბდელმა. — ან ხმალი აიღო მეთქი, ან არა და წადი, დამეკარგე! — და უმაღლე გაიფიქრა: „ისევ სიბრაულეში ჩაჰკიდა ხელი. უნდა მომეკლა. ვაგლახ ჩემს ვაჟაკობას!..“

— არსენ რა ჰქენი, — დაუძახა ამ დროს უცნიდან სულხანმა, — რად გაუშვი? რათა სად მიხვალ, დედალო! — და კუჭატნელს დაედევნა, რომელმაც უკებ მოიტაცა თავის ხმალი და ჯაგებში შევარდა.

მეორე მხრიდანაც ვილაც გამოიქცა, სულხანს გაუსწრო და ისიც ფოთლიანში შეერია.

— ფიქრო, შესდგე! მიაძახა ოძელაშვილმა და ისიც იქით გაიქცა. გაიქცა, მაგრამ დაიგვიანა. იქ უკვე ბრძოლის ელარუნი ისმოდა. უკებ ვილაკა ლაწუნით დაეცა ჩირვებში და მეორე ვილაკამ ფხაჭუნით მოჰკურცხლა, ყურში მიწის მგელივით გამოძერა, იმ ვილაკას ანხლად მისწვდა და ორივენი ხევში ჩასრიალდნენ, იმავე წაშს ფიქრიას დამბახამაც დაიჭეჭა და არსენაც მოვარდა.

— არსენ, მიწველე! სულხანმა მე გადამარჩინა, მაგრამ თვითონ შეაკლა თავი. — ცრემლიანი ხმით დაუხვედრა ფიქრიამ.

— სულხანის წახდენა ჩემი ბრალია, ფიქრო, მაგრამ მე არა მცალია, — მიუგდო არსენამ და მალე მეორე მხარეზე დაჰკივლა: — მიდი! დაჰკა! ვიფრინოთ!

— ნუ დაგვზოცავთ! გენბედებით! — იძახიან დაფრენილები და იარაღს იქვე ჰყრიან.

— რა ოხრად მიწდიხართ! აგერ იქით გაიქცეთ! ჩქარა, მოჰკურცხლეთ; უყვირის მათ მარაბდელი და იარაღ-აყრილ მაიორულებს ფარასავით მიელაღება. შემსუბუქებული ყაზახ — მილიციელებიც ფეხმარად გარბოდნენ, შეფიცულნი კიდევ კარგა ხანს მისდევდნენ და ღამის დუმილს კიდევ ღიღბანს არღვევდნენ:



— დაჰკა! მიდი! ოლოლო!

არსენა ერთ ბორცვზე ავარდა და ისე დაიყვირა, რომეყველბუყუნ წა-  
სულმა მაიორმაც კი ვაიკო:

— ძმებო, აქ მოგროვდით, აქაა! სევასტი! როსტომ! კარპიჩ! აქა ვარ, აქაა! მაიორის ჯარი უკვე შორს გარბის და ყველა მათგანს თავის ამხანაგიც ისევე ტყის ძმად ეჩვენება. კუნძიკ ისევე კაცად მოსჩანს. ღობე—ყორეც ჩასაფრებულ შეფიცულებს ჰგვანან. ყოველ ბუჩქში თითო არსენა მაინცა ზის და კოშკის ნანგრევიც კი მარამდელივით აყუდებულა.

— ჩუმად! კრინტი! ჩქარა!

წინ გაქცეულს ისევ თავისიანი მიჰყვება—ნეტა მდევარი ხომ არ მოსდგეს? ჩამორჩენილს წინ ვილაც მიუძღვის—ნეტა ხომ არ უყვლეს? ხევში წყალი ჩხრიალებს—ტყის ძმები ხომ არ ჩურჩულებენ?

— ფრთხილად! გასწით! ჩქარა!

გლების კარი ჭრიალებს—ჩახმახი ხომ არ შეაყენეს? სადმე ძალი დაიკვდებს—ლომები თუ აუშვებს? ორო ეჯი გაირბინეს—ნეტა მარამდა სად არის?

— ჩუმად! ჩქარა! გზა მომეცი!

სადაც ზევით კი ისევ არსენას ომხიანი ხმა ისმის:

— სევასტი! როსტომ! აქ მოგროვდით, აქაა! ჰეი, მაიორ, დავიი შენი თავი! სადა ხარ, მხდალო? იდი სუდი, გამოჩნდი! ბრძოლის დროს ბელადი ჯარს წინ მიუძღვის, გაქცევისას, კი—უკან, შენი კი პირუტულმა იქცევი. დედალო! მხდალო! წუჰაკო!

— არსენას ხმა ვიცანი.—ჩასჩურჩულებს მაიორი გიგოლას, რომელიც საბძლიდან გამოვარდნის შემდეგ ბირკივით აიკრა და აღარ უშვებდა.—გადამითარგმნე, რას იძახის?—და თარგმანი რომ მოისმინა, კბილების კრაჭუნით ჩაისისინა:—У-у-у, сатана! Поймаю же я тебя!

და დიდ გზიდან ისევ ბუჩქნარში შეუხვია.

— ჰეი, ჰეი!.. აქეთ მოდით, აქეთ! ხმას აწვდიდნენ აქეთ-იქიდან ერთმანეთს ტყის ძმებიც და ბორცვისკენ მიიწვდნენ.

სხვებზე ადრე იმ ბეჭობზე ყურმა ამოცოცდა და წელი ძლივს ამოათრია.

— ყურშავ, დაქრილი ხომ არა ხარ?

ძალი არსენას ფეხებთან წმუტუნით მიწვა და ლოკვა დაუწყო.

მარამდელმა არტამანი ამოიღო და კისერი შეუხვია, თანაც ისევე გაჰკიოდა:

— აქეთ მოდით, აქეთაა!

არსენა დიდ ლოღზე იჯდა და ყოველ ახალ მოსულს ეკითხებოდა.

— დალი ჰასან, ხომ გელდინ, როგორ იბრძოლე? სიმონ, შენც დაგკრეს? რაიკ დადიხარ, მაშ მსუბუქად დაუკრავთ. ოსტაპ, სად დამეკარგე? როსტომს მიეშველე? როსტომიც დამიკრეს? მეშთა, თავი შეგვიხვევია, მაშ შენც დაუკრიხარ. სევასტი, გამარჯვება! ამბობენ ლომივით ჰქუხდიაო. ბალო რა იქნა? ქავთარი სად არის? რატომ ზურა არ მოსჩანს? კარპიჩა სადღაა?

— ბალო და ქავთარი მოჰკლეს.—ჩაჩურჩულა სევასტი.—კარპიჩა ძალიან მძიმედ დასკრეს ზურა კი დაიკარგა.

— მოჰკლეს?—თითქო გაოცდა ბელადი და ელდა—ნაკრავი თავი დამწვარ ხელებში ჩარგდო.

დედაკაცს ტრემლი თვალებზე მოსდის, ვაჟკაცს კი გულში სცივია.

ბორცვზე ღამის დუმილი და მწუვავე სევდა ამოცოცდა. ქვედან/წყლის  
შუილილია ისმოდა, თაქალუნული ძმები მოწოლილ დარდს და ცრემლს ებრძოდნ.  
მერე არსენამ ამოიკენესა;

— ვაი დედასა!

— რა ძვირად დაგვიჯდა!—ამოიოხრა სევასტიმაც და დუმილის შემდეგ და-  
უმატა:—მგონი დათუნაც მოჰკლეს. ბანაკიდან გამოქვეულიყო და დავითს შე-  
უტია. მეც იქვე ვიყავი და...

— და რა ჰქენი?—გაწყვეტინა არსენამ.

— ქე მოვკალი.

— ღმერთმა გიკურთხოს მარჯვენა.—მიუგო ბელადმა.—მაგრამ ეხლა რა  
პასუხი გავცე მაგდანას, ლოპიანას და ქავთარის დედას?—და პასუხი რომ ვერ  
მიიღო, იკთა:

— ედიშერი სადღაა?

— მოჰკლეს.

— საბა დალაქი?

— მოჰკლეს.

— ნასყიდა?

— მოჰკლეს.

— ორბი? სანდრო? მანგი? ტურა? პაველე? მგელი? ილო?

— მოჰკლეს... მოჰკლეს... მოჰკლეს...—გაუთავებლივ ისმოდა ყოველ შრიც-  
ვაჯაკი შოლოდ გულით სტირის, დედაკაცი კი თვალებით.

— ვაი დედასა!—ერთხელ კიდევ ამოიკენესა არსენამ და წამოიწია.

წამოიწია და ეხლალა იგრძნო სისველე და თავის ტკივილი, კისერზე ხე-  
ლი მოისვა და თქვა:

— მგონი მეც დაუპრიყარ. ახია ჩემზე.

მისი სინანული ვერაფერ ვერ გაიგო. ახია მარაბდელზე, რადგან კუჭატნელი  
შეიბრადა და იმ დათვზე რაინდობა გამოიჩინა, იმან კი კინალამ თავი გაუხვრიტა  
და სულხანიც შეიწირა „ახია ჩემზე“.

ამ დროს ბორცვზე ღვთისაგარის ცალმა თვალმა ამოანათა და ერეკლეც  
ამობობლდა.

— გამარჯვება, ბიჭებო! ყოჩაღ თქვენს ვაჯაკობას! რასა იქით? ვინ და-  
გაკლდათ?—და როცა ყველანი ჩამოუთვალეს, ქუდი მოიხადა, პირუჯარი გადაი-  
წერა და სთქვა:

— ზოგ გამარჯვებას ისევ დამარცხება სჯობიან.—იუწა და დაუმატა:—  
ერხელ ბოლნისთან შტერმა შემოგვიტია. ჩვენ გავიმარჯვეთ; მაგრამ სამასი კაცი  
ვიყავით და სამოცილა დაერჩით. თქვენც ისე მოგსვლიათ. ასეთ გამარჯვებას  
ზოგი დამარცხება სჯობნებია.—და არსენასავით ამოიოხრა:—ვაი დედასა!—მერე  
იუწა, ლომისებური თავი შეიბერტყა და რაზმის ნარჩენი გამოაფხიზლა:—ნუ  
მოდუნდით, ბიჭებო! დაპრილებს ეუშველოთ და ამ ღლაგს თავი გავარიდოთ,  
თორემ ქალაქიდან წამოსული ჯარი მოგვისწრობს და დანარჩენსაც გაგვეღრტავს.  
შენ რალა გატირებს შვილო?—მიუბრუნდა ერეკლეს.—ზურა მოგიკლეს? ნუ ჩქა-  
რობ, იქნება დაპრილია. მტერს სამაგიეროს გადაუხდი, მორჩა და ვათავდა! შენ  
რალა დაგემართა, არსენ? შენც დაპრილი ხარ? აბა, წყალი და მალამო! მომყე-  
ვით! ხევში ჩავიდეთ.— და იმ წუთიდან ბელადობა ცალთვალა დევს ჩაუვარდა  
ხელში.



ორი საათის შემდეგ დაქრილებს კრილობები შეუხევის, ხანჯლებით საერთო სამარე გათხარეს და შიგ თორმეტი ძმა ჩაწვინეს. ზარკეცნიერმა მოკვინეს ხეხუცები და ბუქნარი მომხრიკეს, ხეობა კივილით აავესეს, მარამ ზურის კვალსაც კი ვერ მიაგნეს.

— აი აქ წაიქცა.— ამზობდა ერთი მათგანი და მეთათვე უვლიდა იმ ალაგს.

— მეც დავინახე.— ადასტურებდა მეორე.— ისე დაქრეს თავში, რომ კამჩიც ვერ გაუძლებდა.

ეს ორი უბედურება ქვრივს ვატენილ ტომარასავით დაეცა თავზე.

— ზურაა! შვილო ზურააა!— სასოწარკვეთილ ხმით ჰგმინამდა დედა და ისე დაქპიოდა ტყეში და ხეხუცეში, რომ ველარც ვინმეს სცნობდა და აღარც მათი სიტყვა ესმოდა.

და შავი ანგელოზი ვაგიყებულ ალქაჯად ვადაიქცა.

რიცრათი მოდიოდა და ხიფათიც მატულობდა. ქვრივი დაიქირეს და წამოსვლას ეხვეწებოდნენ, მაგრამ თმა ვაშლილი და გამძვინებული დედა დაქრილ ვეფხვევით იბრძოდა.

— შეპკართი!— ბრძანა ბოლოს ცალთვალამ.

ბმა-წასული და სასო-მიხილი დედაცაი შეპკრეს და ძალით წაიღეს, ღვთისაგარმა კი ახალი ბრძანება გასცა:

— ერეკლე, ზურა შეხი მეგობარია და შენ უნდა იზრუნო. აქ დარჩები, აქაურ გლეხებს მოიშველიებ, ზურას იპოვი, მოარჩენ და ქვიშეთში ან ახალდაბაში ამოიყვან. იქ ვიქნები.— და ჩუმიდ დაუმატა:— და თუ მკვდარია, დამარხავ და მარტო წამოხვალ.

შემდეგ ღვთისაგარმა და ერთმა ბებერმა გლეხმა თითქო ყნოსვით იპოვეს ერთმანეთი და აჩურჩულდნენ.

— აბა, ძმობილო, ძმა ძმისთინა და ამ დღისთვინაო ხომ გახსოვს, რომ ერბელ დათვის შენი თავი პირიდან გამოგვლიჯე. ეხლა ჩემ შვილს ვაბარებ და შენი იმედით ვიქნები. მეგობარი დაპკარვა და იმისთინ რჩება. იპოვე და თუ დაქრილია, მოარჩინე. დათუნა ბარნაველი და ზაალის შვილი დავითიც მძიმედ არიან დაქრილი. იმათაც უპატრონე და აშენდები. აბა, მშვიდობით იყავი.

შემდეგ არსენას რაზმი იმ ხეობის აღმართებს ათვან დაქრილ ლომივით შეუდგა, რომელიც ფოფხვით მიიზლახნება ბუნაგისკენ და თან სისხლით დატოლილ ბოკერებს მიათრევს. ძმადნაფიცებმა ვაწყვეტილი წელი თრიალეთის ქედზე სამ დღელამეს ათრევს და ჯაეახეთის საზღვარზე ორად ვაიყვნენ:

— მშვიდობით, ძებო!

— ნახვამდის, ძებო!

თავხელშეხვეულმა არსენამ ახალციხისაკენ გასწია და თან ფეხმძიმე ცოლი, ჩაშავებული ქვრივი, ნახევარ-ქვრივი ფიქრია, თითქმის უგონო სულხანი, დალი ჰასანი და ოკუაბი წაიყვანა, ცალთვალა კი დანარჩენებს გაუძღვა და ტაშისკარისკენ დაეშვა. იქ, ქვიშეთში და ახალდაბაში, მოვაქრე გოგითაშვილები გვულეობდა. დაუხედებიან, შეინახავენ, მოარჩენენ.

— მშვიდობით, მამა!

— მშვიდობით, შვილო!

დედაცაის ცრემლი თვალეში ეონავს, ვაკეაცისა კი გულში იქცევა და იქ კლდესავით დუღაბდება.

მშვიდობით, დახოცილო ძებო!

## გათა ქექია<sup>\*)</sup>

რ. მ. მ. ნ. ი.

შესაშე ნაწილი

ხალხის დენა რომ შეწყდა, ეკლესიის ეზოში, ცაცხვების ძირას, დაჰკრეს ზარი და გაისმა:

— აქეთ მოდით, აქეთ, ცაცხვის ძირში!

ჩვენც იქით მივაწყდით.

ათასი წლის ცაცხვებს შტოები მიწაზე დაეყარათ და უზარმაზარ კარვებად დაცემულიყვნენ. ძირს ცეცხლები ენთო და ალი წითლად ანათებდა ამ ჩამოხვევებულ შტოებსა და საშემოდგომოდ შეყვითლულ ფოთლების სიბზოს. ეს ჩამოხუთული ბნელი ღამეც გულით აქსდებოდა ამ ცეცხლს, მაგრამ ვერ ერეოდა და სადღაც რიონის ხეობაში ჩამჯდარი ბრაზით გარეთ დარჩენილ ლეკვივით ჯნაოდა.

შეც, შიშით რომ რამე არ გამოჰპაროდა ჩემს თვალებს, მუჯლუგუნის კვრით ხალხი მიეწი-მოვწიე და თავში მოვექციე. ხის ძირას თავით ფეხამდე ჩასილალებულ ყაბალახებით პირაკრული ნაბდიანი კაცები ისხდნენ და ცეცხლს ხელებს უფიცხებდნენ.

იქვე, ცაცხვის შტოზე, სამრეკლოდან ჩამოხსნილი მომცრო ზარი ეკიდა და, კიდევ ახლოს რომ მივიწიე, ახლა ვიცან ჩემი მურზა. ხელში წითელი სატინის დროშა ეკირა, იდგა ასე საფლავის ქვაზე ამაყი და შემმართებელი. გულში სიამაყე ეიგრძენ, მაგრამ ხმა არ გავეც. ასეთ დროს შინაურობის გამხელა დედაკაცობაა და გრძნობა დაეაოკე. ვერც მან მიცნო ამ დალუსკუმებელ ღამეში და ხალხში.

ირგვლივ ბნელი იყო და ხალხი ამდგარ კორიანტელივით ირეოდა, გუგუნობდა ღარღარში ჩავარდნილ ნიაღვარივით და იყო ერთი ყაყანი, ჩხუბი, შეტყე-შემოტყევა და ერთი მეორის გადაკიკლება. წუთით მყუდროება რომ ჩამოვარდებოდა, ეს ერთარსებად გადაქცეული სერესკელი ხალხი სუნთქავდა ისე შიშველ-თითქოს ღამე გვწეშისო:

ხალხი რომ ერთ ადგილას შეგროვდა, ერთობის თავი კაცებმა ზარს ჩამოჰკრეს და დაიძახეს;

\*) იხ. „მნათობი“—№ 7—8

— აბა, ამხანაგებო, სიწყნარე იყოს, სიწყნარე!..

გულმა სიხარულით კანკალი დამიწყო. სულ მუდამ კუბაქებს და უკაბებს გვეძახდნენ და ახლა ეს განათლებული ხალხი ამხანაგობით მოგემართავდნენ.

— აბა, სმენა, ამხანაგებო, სმენა!.. — და ზარის ხმამ ქრუატელივით გაიარა ხალხში. ატყდა სისინი, შეტტევა, ყველა ერთი მეორეს აწუმბდა და გაჩუმების მაგიერ კიდევ უფრო ახორხოტდნენ, სიწყნარე მაინც არ მყარდებოდა,

ახალთაობის კაცები იდგნენ და უცდიდნენ. სიწყნარე რომ არ ჩამოვარდა ერთმა პირაქრულითავანმა ნაბადი მოუთმენლად მოიძრო, იქვე მიავლო და ცეცხლის სინათლეზე გამოჩნდა მოსული, განიერ მხარბეჭიანი ვაკაკი თოღ-იარალით ჩახაზირებული. წელზე და მხარებზე მასრები ჯვარედინად ჰქონდა შემოსალტული და ეს კიდევ უფრო მეტ იერს აძლევდა ვაკაკობისას. თავი დიდი და ქვასავით მძიმე. წინ ისე მძიმედ წამოვიდა, თითქოს თავი ამძიმებდა. მოდიოდა ნელა და, საფლავის ქვაზე რომ შედგა, ხალხს ჩამოხურულ წარბებ ქვემოდან კუსტად გადახედა. ეტყობოდა ეს თვალები დამეს უფრო იყო ნაჩვევი. წარბები კიდევ უფრო შეხუშა, მხარზე მასრა გადასწია, ქვასავით მძიმე თავი ოდნავ დახარა და პირიდან ქვასავით მძიმედ აღმოხდა:

— ხალხო, ამხანაგებო, სმენა იყოს და ვაგონება! — მაგრამ ხალხი ჯერ კიდევ ვერ გაუწიდა, ყველა მოხერხებულსა და მომიღლო ადგილს ეძებდა, ზოგი საფლავის ქვაზე და ზოგი ეკლესიის მესერზე მიფორთხავდა და კისერ წაგრძელებული იჭირებოდა, რომ უკეთ დაენახა, რაც მოხდებოდა და ითქმებოდა. ახალთაობის კაცმა ერთხანს შეიცადა და უცდიდა სმენასა და ვაგონებას.

— ქინელები მაინც აანთეთ, არაფერი ჩანს! — დაიძახა ვიღაცამ მოუთმენლად. ყველა ამ ქვასავით მძიმე კაცს მიაჩერდა, ყველას მისი დანახვა უნდოდა.

— სინათლე!.. სინათლე!.. სინათლე!.. — გაისმა კიდევ უფრო დაქინებით აქეთ-იქიდან.

და აი აქ ივარგეს გულუხეთლებმა, ხალხი მედგრად გაარღვიეს და ის ადგილი, სადაც თავი კაცები იდგნენ, სულ დუს ქინელებით გადაადლიალეს. ხალხი რომ გაუწიდა, მე ვისარგებლე სიწყნარით, ამ მძიმე კაცს გვერდში ამოუდექი და ყრილობას მივმართე:

— ხალხნო და ჯამათნო, ძმებო და მეზობლებო, სანამ საქმეს შეუღებოდეთ ფიცი დავდოთ! აქვე საქვეყნოდ დავიფიცოთ, რომ დათქმულ სიტყვას არ გადავალთ, ერთობის საქმეს არ უღალატებთ! თავს შეეკლავეთ და უკან არ დავიხუთ.

— დავიფიცოთ!.. დავიფიცოთ!.. დავიფიცოთ!.. — აგუგუნდა ხალხი და ზემოდან რომ გადახედე შემეშინდა, იმდენი იყო, მაგრამ ულური მაინც არ ვეიტხე და ისევ განვაგრძე:

— ხალხო, როგორც წესია და ადათი, როგორც ჩვენი მამა-პაპა იქცეოდა ისე გავისარჯოთ, ადათს ნუ გადაუხვევთ, ფიცი ერთად დავდოთ.

— ვფიცავთ!.. ვფიცავთ!.. ვფიცავთ!.. — არიანცდა ისევ ხალხი.

— ასეთ ამბავში რომ ვიყავით, სადღაც მონაზონ კესარიას სენაკთან ღობემ ვერ გაუძლო ხალხის სიმძამეს, ლიწინით ჩაიშხვრა და წუთით ისევ აირია



ყველაფერი. სანამ სიწყნარე ისევ ჩამოვარდა, დრო ვიხელთე, ცაცხვის შტოზე თრთინასავით აეფორთხდი და ასე ცაში აზიდულს წითელი ღრჩხინა შეტყობულა-შუნებოდა. დროშას რომ შევხედე, გულს რაღაც სიანცე შემიძინდა და გადავსქვიელე:

— ასე პაერში ნათქვამ ფიცს რა ძალა აქვს! წმინდა გიორგის ხატზე დავიფიცოთ! — კიდევ მინდოდა მეთქვა რაღაც, მაგრამ ძირს ჩემი შვილი ავიარდა, დავარდი, ქვეყანა დააქცია ყვირილით. დროშის ტარი ვილაცას შეაჩეჩა ხელში, „თოთხმეტი ნომერა კაზიონი ბერლინ-გერმანია“ გამოიმინინა და ისე შემო-მიტია:

— ახლავე ძირს ჩამოდი, შე გადაყრუებულს ბერიკაცო, ძირს ჩამოდი, თვარა ესაა კვერნასავით ჩამოგავდე ძირს!.. არ იფიქრო, რომ მამა ხარ და იმით დაგინდო. შენი დვარდვალის თავი ვისა აქვს ახლა? რა ხატი, რას ხატი? გამოჩერებულხარ ბერიკაცი და რას ლაპარაკობ არ იცი!

ძირს მაინც რომ არ ჩამოველ, მაშინ თვითონ ამოიჭრა ზემოთ, ძირს ძალით ჩამავლო და ხალხს გადასძახა:

— ხალხო, მეზობლებო, ძმებო და ამხანაგებო!.. არ გვინდა ხატი და ეკლესია!.. გვეყო, რაც გვატყუებს ხუცებმა და დიაკვნებმა! ახლა მაინც გავაძილოთ თვალი და ცხოვრებას პირდაპირ შევხედოთ!.. აი აქ, ამ დროშასთან დაედოთ რევოლუციონური ფიცი, რომ საერთო საქმეს არ უღალატებთ!

მე ვდგავარ თავჩაღუნული, ყურს უგდებ შვილის ლაპარაკს და ეფიქრობ ჩემთვის:

— მართალია, ცამდის მართალი ხარ, ბაბა, მაგრამ ყაბულს მაინც არა ვარ. უხატოდ ფიცი რის მაქნისია?

ალბათ, ხალხიც ჩემსავით ფიქრობდა, მის სიტყვას ყური რომ არ ათხოვა. ახრიალდენ და ასე ახუვლებული მიაწყედნ ეკლესიის კარებს. კარები დაკეტილი იყო, მაგრამ ამოხებულ ხალხს დაკეტილი კარი რას დააკავებდა? წალდიანებმა დაურთეს კარს ბურჭულები და, რომ გამოტყვნეს, შეხვადენ ეკლესიაში. შიგ ისე ბნელოდა, თვალში თითი რომ მიგეტანა ვერაფერს დაინახავდი, მაგრამ ამ დროს ვილაც თინელილიანი შემოვარდა და სინათლე სისხლივით შეესხა კედლებს და მის სინათლეზე ეს წმინდანები შეირხენ ერთად, შეტორტმანდენ და აფენილ ტილოებივით ატმანსენ კედლებს.

ისე დასკვარამებული იქტირებოდენ ისინი და უღიმღამოდ, რომ გული წამიხდა, დავიბენი ამდენ წმინდანებში. დასწყველა ეშმაკმა, არასოდეს ისინი არ მიყვარდენ და ახლა მით უფრო. ჯამუ ესეანჯიამ ბევრი არ გვახანა, საკუროთხვევლზე აიჭრა და, სანამ ამ კაცის სიმალე წმინდა გიორგის ხატს ჩამოიდებდა, ჯერ ფეხებში მოწიწებით აკოცა, მას სხვებიც წამოეხმარენ და ერთის ამბით, სტვენით, ყიყინით, გალობით გარეთ გამოიტანეს.

რადგან ამ საქმის მოთავე მე ვიყავ, ამიტომ ხატი ცაცხვის ძირას რომ დასვენეს, ყველაზე უწინ მე მიველ, ქუდი მოვიხადე, ხელი მალა ავსწიე და ხალხს შევეკითხე:

— ვფიცავთ?

— ვფიცავთ!.. ვფიცავთ!.. ვფიცავთ!.. — და ამ გამოძახილზე ეს ღამე გვალვაში ნაგდებ ყაფარივით დაიღრანა და ასე აფრკად გამოიქცა მთელი გუგუნით რომ მიწნარდა, ისევ ავწიე ხელი, კიდევ მამრად მამრად მათთვის, მაგრამ ამ დროს კესარია მონაზონის ცივი კივილი მომესმა, ყური მიუგდევ ხალხსაც ჩემსავით იქით მიექცა გულისყური.

— ჰაიტ, თქვე ქრისტეს ძვალის შტეხელებო, თქვე ყურბანებო თქვენ, ვინ ხართ, ვინაა წმინდ ხატს რომ ბინძური ხელი შეახო, რომელმა გაბედა? ყოვლად ძლიერო წმინდა გიორგი, ყოვლად დიდებულო მამაზციერო, შენ შეახმე ხელი შენი წმინდა ხატის ასე უდიერად ხელის ხლებისთვის!.. გაწყდით, გაწყდით, ყველა ერთ დღეს განახეთ სინსილა გავლებული. რატომ შესრი არ გავგერვით და არ ამოწყდებით ერთ დღეს!.. — ჰკიოდა იგი და ყველა გაშტორფებული იღგა, ყურს უგდებდა გაბეცებული მის წყევა-კრულვას.

მე გული მომივიდა ამ დედაკაცის თავის აგდებაზე.

— რას დაგილიათ პირი და მიჩერებიხართ ამ გადაყრუებულ ბერიქალს! — შეუტეე მათ. — წაათრევით სადმე და, თუ კნაპი არ ჩაიგდოს, ცხელი ტყვია ჩათხარეთ იმ მყარად პირში!.. — მაგრამ არავეინ განძრეულა, არავეინ არ უნდოდა დედაკაცის ხელის ხლება და უღვაშის შერცხვენა. მაშინ ისევ თვითონ მიხვდა წასვლას და, რომ მიდიოდა, გვეწველიდა, ქოქოლას გვაყრიდა, სულ ძირი და ჯილაგი ამოგვიბრუნა წყევა-კრულვით.

სიწყნარე რომ ჩამოვარდა, ისევ დავიწყე:

— დედა შეერთოს ცოლად, ვინც ერთობის საქმეს უღალატოს!.. ზიზლი მოღალატეს!..

— ზიზლი!.. ზიზლი!.. ზიზლი!.. — ზანზარებს ღამე.

— ცოლის მანდილი ატაროს იმან, ვინც შეშინდეს და ბრძოლაში წახდეს!..

— ამინ!.. — გუგუნებს ცა და მიწა.

და ასეთ ამბავში რომ ვართ, ახალთაობის კაცები დგანან გვერდზე და გვიციდიან. ან რა უნდა ექნათ? ჩვენ გლეხები ვიყავით და განა ასე იოლი დასავიწყებელია წესი და ადათი? ამიტომ გვითმინდენ ისინი, არ უნდოდათ ხელი შეეშალათ. ღმერთი არავეინ გვეწამდა, მაგრამ ამ წმინდა გიორგის ხატის შიში და მორიდება ყველას გვეწონდა. ყველა დაჩაგრული და გამწარებული, კაცი რომ არავეინ იყო მისი დამხმარე, ისევ ამ დახატულ კაცთან მირბოდა, მას შესწიოდა უბედურებას და გამოსარჩლებას ემუდარებოდა. რამდენი ზარის დარისხება და ხატზე გადაცემა, რამდენი შესაწირავე და გულის ოხერა ახსოვდა მას და განა ყოველივე ამის გულიდან ასე უცებ ამოღება იოლი საქმე იყო? ახალთაობის კაცებს კარგად ესმოდათ ეს, მაგრამ მაინც უკმაყოფილო იყვნენ ჩემით. გლეხებთან ყაყანს რომ მოვროი, მათთან მიველ და შემდეგ სიტყვებით მივმართე:

— რას იზამ, ბაბა, მამა-პაპიდან მოყოლებული ასე ყოფილა და ერთის დაკვრით ქვეყანა ვის გაუსწორებია, ჩვენ რომ გავასწოროთ? დამიჯერეთ, ბაბა, ჩემს მოხუცებულებას დაუჯერეთ, რომ ასე სჯობია. რა უკირს მერე, შგაკო, ჩვენ რომ ხატზე დავიფიცოთ, ამით ვის რა წაუხდება? თუ ჩვენ საქმეს რამე

წაადგება, ხატს კი არა დედალ ეშმაკს მოუწვები გვერდში და საჭეს დაიქვრ. მაგრამ ისინი ისე არიან გულმოსული, რომ ხმის გაცემაც არა უნდა.

მე ისევ განვაგრძობ:

— ა, ხომ ხედავთ, დაგებრებულვარ ეს ამდროული კაცი, — მთლად მოვიბერიკაცე თავი, — დაგზანაპიკებულვარ და, მე თუ არა, ჩემს გამოცდილებას მაინც დაეჯერება. მართალია, არ გედავებით, ღმერთი არა მწამს და ხუცესი, მარა მამა-პაპიდან ასე მოვქცეულვართ და წესსა და ადათს სად გავეცევი? ჩვენ ასე გვიჩვენია და თქვენ ამით რა დაგიშავდებათ? რა უყოთ რომ არ გჯერა, ეს საჭე არაა! საჭე ისაა, რომ ფიცის შემდეგ გული უფრო იმედინად გაქვს კაცს. თქვენ ახალგაზრდები ხართ და არ იცით, არ იცით რომ იმედინი გული დიდი რამეა. იმედინი გული მთას გადააბრუნებს, ქვეყანას დაიქცევს. რაა, შეკაცო, საჭეს მთლად ნუ კი გავიოლებთ! რა ვიცი, ავი ნავარი არ მწამს, მარა, ვინ იცის, იქნებ, მართლა აქვს ძალა და რა გვენაღებება, ამით ვის რა წაუხდება? თუ მართლა არა აქვს მადლი და ძალა, რას დავკარგავთ? მოგებით კი ბევრს მოვიგებთ, გულს დავაიმიედებთ და მედგრად შეუშტევთ მტერსა და დუშმანს.

ფიცის მიღება რომ თავდებოდა, მე ისევ ხეზე აფეთრახდი და იქედან უტყუროდა როგორ მიდიოდა უკანასკნელი სოფელი ხატთან ამბორის საყოფად. როცა ფიცს მოჩინე, გადაეძახე:

— გაუმარჯოს ახალთაობას!..

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. — და გუგუნს რომ ყურს უგდებდი, ამ დროს ეს წითელი დროშა ისევ შემომეტლამუნა სახეში, ხელი ვტაცე ტარს მოვგლიჯე, ცაში განივრად მოვიქნიე და დავსქვილე:

— გაუმარჯოს ჩვენს წითელ დროშას!..

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. — სხრილებდა ხალხი, გუგუნებდა ეს რიონის დაბლობი და შორს, ღამეში, არ ვხედავდი, მაგრამ ვიცოდი, რომ ის ჩვენი თოვლიანი მთებიც ზანზარებდენ და შემოგვძახოდენ:

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!..

და ამ საერთო რიანცში, დაკლუნული დროშა მოვიქნიე და შიგ შუა ხალხში რომ გადავისროლე, ვლახობაში ატყდა ერთი ალიაქოთი, ყიყინა, გმინვა, ყვირილი, გინება და ლანძღვა-თრევა. ყველას უნდოდა დროშაზე ხელის შევლება, თითქოს ის რაღაც ძალას აძლევდა მათ, გულის ქაღალს უმატებდა და ყველა მისკენ მიიწევდა, აჯირგალებდენ ერთი მეორეს; სთელავდენ. ზოგი კენესოდა, ზოგი გაცეცხლებული ყიყინობდა და ყვირილით ქვეყანას აქცევდა.

— მეც მომაკიდებინეთ ხელი!.. მეც!..

— მეც!.. მეც!.. მეც!.. — გადაიარა ხალხი და ამ ღრიანცელში, ორომ-ტრიალში და ერთი მეორის ჯეკნა-ჯირვალში ეს ცა კიდევ უფრო ჩამოიწია ძირს და თავზე ჩამოგვეხუთა.

ხალხი რომ დაშოშმინდა და ყველამ იძლო გულის მისი ლოლიავით, დროშამ ისევ თავი კაცებთან მოაღწია და მათ ახლა კიდევ უფრო მალლა ააფრიალეს იგი იმედივით და დასძახეს:



— ამხანაგებო, მეზობლებო, სმენა იყოს და გავიგნება!

ხალხი შეჩოჩოლდა, ისევ სისინი, ისევ ერთი მეორის სმენად გადაქცეულნი, ყველა ცაცხვებისაკენ მიიწევდა.

დღემილი რომ ჩამოეარდა, ამ დროს ყვავების თაბუნმა თავზე ყავანით გადაგვიარა და ყველას ჩვენი ბატონები მოგვავიგნდა, ისინიც ამ ყვავებზევით რომ მიფრინავდნენ ახლა სადღაც ჯანდაბაში და თავს უკანასკნელად დაგეჩხაოდნენ.

— ხალხნო, ამხანაგებო....—დააყრუა მათი ყიყინა ცაცხვის შტოზე გასულმა მურხამ და მისი ხმა რისხვით გუგუნებდა ამ ღამეში. მის რიხიან დაძახებაზე გულში სიამაყე ვიგრძენ და წინა რიგში გაჩერებული, ვინედილებით განათებულ ხალხს ამპარტანად გადავხედე.

— ხალხნო!.. თავყრილობაე!.. სანამ საქმეს შევედგებოდეთ, თავმჯდომარე ავირჩიოთ! ეს ამდენი ზღვა ხალხი შევეყრილვართ და უთავმჯდომარეოდ თავს ვერაფერს გავართმევთ!..

— მართალია.—დავემოწმე შეილს.—უთავოდ სუფრა არ ვარგა, თვარა ყრილობა რის მაქნისია!—მაგრამ მურხამ თვალები გადმომიკაკლა, რომ გავჩუმებულიყავე, მეც აედექი და გავჩუმდი.

— ხალხნო, ჩვენი სოციალ-დემოკრატიული მუშათა რევოლუციონური პარტია თავმჯდომარედ თემურყვა სართანიას ასახელებს!..

— იყოს!.. თემურყვა იყოს!..—აყაყანდა ხალხი.

სართანია მაშინვე ხეზე აფორთხდა და მურხას ადგილი დაიჭირა. შტოზე ფეხი რომ კარგა მოიმეგრა, შუბლი შეიკრა და ჩხია თვალები ღამეში ჩახვავებულ ხალხს მოავლო, მერე ერთი ღრმად ამოისუნთქა, წელში ამაყად გაიმართა და ეს ჯაგველა ნაკატორღალი კაცი საარყე ჭეაბივით აგრუხუნდა:

— ამრიგად, ამხანაგებო, ყრილობას ვახსნილად ვაცხადებ!..—და ყოველ სიტყვას გავარვარებულ მარქველივით აქედებდა ღამეში. ხალხი გაყურდა, სული განაბა და მივხვდი: სართანიას რომ ეთქვა, წყალში გადავცვივოდით, ცეცხლში-შევიდოდით ისე, რომ უკან არ მოვიხედავდით.

— ამხანაგებო, ყველამ კარგად იცით ის მანიფესტი, ხემწიფემ რომ გვაჩუქა. გვაჩუქა, ის რაც ჩვენ უკვე ძალით გვქონდა წადებული და ახლა, ჩვენი ანდაზის არ იყოს, მადა ჭამაში მიდისო, ჩვენ კიდევ მეტი გვინდა. სანამ უნდა ვიყოთ ჩვენ ხელმწიფისა და მისი კაცების სამოწყალოდ? განა არ სჯობია ჩვენ თავს ჩვენვე ვუბატონოთ?

— ოღონდაც რომ სჯობია, კიდევ უფრო შევეუტიოთ მტერს. ახლა ჩვენ არავის სავაზიაროდ არ გეცალია! ვისაც იარაღის ხელში დაჭერა შეუძლია და ჩვენთან არ არის ის ჩვენი მტერია, და თუ ეს მტერი არ დაგვემორჩილდა, გავსრისოთ. ის ჩვენი კლასიური მტერია და ამ მტერს, რაც შეიძლება ვამეტებით უნდა ჩავეთ გულში ლახვარი! გაუმარჯოს ერთობას!..

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!..—აიტაცა ეს სიტყვები ხალხმა და წაიღო ნიაღვარივით. და ჩვენ რომ ყიყინას მოვრჩით, საღღაც დასაკარგავში კიდევ გუგუნებდა ხალხი:

— ძირს ნიკოლოზ და თვითმწყობელობა!..

— ძირს!.. ძირს!.. ძირს!..— გვებნაურებოდა გამოძახილით ჩვენი ქალები.

— ძირს!.. ძირს!.. ძირს!..— მანს აძლედა ქალებს ეს ვტყუარება მთა და ბარი.

— ძირს ხუცესი, პრისტავი და მათი მამასახლისები!..— წააწია სართანამ ნიკოლოზს ეს მისი ერთგული ძაღლებიც.

— ძირს!.. ძირს!.. ძირს!..— ადგენ ყიყინად სოფლები და, ისევ რომ დაწყნარდნენ, დაასრულა:

— აბა, ამხანაგებო, ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, სიტყვა სადღეისო პოლიტიკურ მომენტზე გედენია ესეანჯიას ეკუთვნის...

გედენიას სახელის ვაგონება და ხალხის სხრიალი ერთი იქნა:

— გედენიას გაუმარჯოს, გედენიას!..— და მის გამოჩენაზე მთლად გადირიენენ. ეს გედენია დევნილი იყო. რვა წელიწადი ტყე-ტყე დადიოდა და ბევრი უბედურება, ჯარიმა და ეგზეკუცია გადახდა ამ არე-მარის სოფლებს მთავრობისაგან, რომ ის ვაგვეცა, მაგრამ რას ვაგვემდით, ძმას როგორ ვაგვიმეტბდით? აქამდე შევინახეთ და ახლა, საქვეყნოდ გამოსული რომ დავინახეთ, ჩვენი სიხარული ცას სწვდებოდა.

ყინელილების სინათლეზე მისი ფართო მხარ-ბეჭი გადაჯვარედინებულ მასრების გამო კიდევ უფრო განიერი მოსჩანდა. შეღპოვარი და ამაყი ერთხანს გარინდებული იღვა, ეტყობოდა მისი ფირალაობაში გაქვევებული გული დადნა ამ სიხარულზე, მერე, როგორც იქნა, თავი დაიჭირა და, ხალხი რომ გაყურდა, დაიწყო:

— ამხანაგებო, ვინ დათვლის რამდენი საუკუნეები გეწოვდნენ წურბლებით სისხლსა და ოფლს ჩვენი მტრები! წოგილოცავთ! ახლა ეს წურბელები მოვიწვევით, როგორც იქნა, და სული მოვითქვით. გვეყო რაც ისინი ოჯახს ვეწიოკებდნენ, გვაოხრებდნენ და გვიკლებდნენ. ხემწიფე, პრისტავი, ხუცესი და და თავად-აზნაურობა სულს გვებდიდა და ახლა, როცა ჩვენი დროც დადგა, ამ ძვირფას დროს უბრალოდ ნუ დავკარგავთ. ავდგეთ ერთიანად, შევიარაღდეთ და მტერს კბილები ჩავალეწოთ. სანამ ხემწიფე ჯერ კიდევ ტახტზეა და მისი დამკაშები, — პრისტავი, მამასახლისი, მემამულეები და ხუცები სოფელსოფელ დათარეშობენ, ჩვენი გახარება არ იქნება. ნუ დავზოგავთ მათ, ამიტომ რაც შეიძლება სასიკვდილოდ ჩავსკეთ გულში მახვილი. მართალია, მტერს კბილე დაერყა, მაგრამ ეს კბილი ჯერ კიდევ ისე მაგრა ზის ნუნაში, რომ ჩვენი ტყავის დახვევა მაინც არ გაუჭირდება. ამიტომ ნუ დაკინდობთ მათ! ძირიანად ამოეთხაროთ ეს კბილი და შორს გადავადლოთ. ხემწიფეს სალდათს ნუ მივცემთ, შევიარაღდეთ, ხუცესი გაეპარსოთ, სახემწიფო გადასახადს ნუ გადავიხდით, მემამულეებს მიწის ბეგარაზე უარი უთხრათ, — მიწა იმისაა, ვინ იმუშავებს, — ნურც ნადელს გაიღებთ, ნურც ფოშტის ფულს, ნურც დრამას! მთავრობის კაცებს არავითარ საქმეზე არ მიმართოთ, ჩვენი მთავრობა დავენიშნოთ, ჩვენი ათისთავეები, ხელისთავეები და ათისთავეები ავირჩიოთ და ყველა საქმეები სათემოდ გავარჩიოთ და რაც თეშმა და ყრილობამ გადასწყვიტოს, ის კანონად მივიჩნიოთ. ამას, ამხანაგებო, რესპუბლიკა ჰქვია და ის ნანუქარი კონ-



სტიტუცია ზედ თავზე გადავახიოთ ნიკოლოზას. მაშ გაუმარჯოს ჩვენ შშოლო-  
მელთა რესპუბლიკას!.. ძახილით:

— გაუმარჯოს!... გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!..

— გაუმარჯოს ჩვენს ერთობას!..—დაიძახა ვილაცამ ხალხიდან და ეს შე-  
ძახილი გუგუნით, გრიალით წაიღო ხალხმა და ქარიშხალივით გაიტაცა  
და კილით-კიდეებს მოჰფინა.

ხალხი რომ გაეუჩნდა, ახლა ახალი მოქადაგე ავიდა ხეზე. ტანთ რუსული  
ტანისამოსი ეცვა, გრძელი თმები უკან გადაყარა და ისე დაიწყო. ილაპარაკა  
თუ როგორ უნდა მოგვეულოყავით ჩვენ, აჯანყებული გლეხები, რომ ჩვენ  
მარტო არა ვართ მიტოვებული ღვთის ანაბარად. მთელი ქვეყნიერება თვალ-  
ყურს გაფაციცებით გადაღვენებს და მათი ბედიც ჩვენს გამარჯვებაზეა დამო-  
კიდებული.

შე ცოტა შეევეკედი, მაგრამ სიამაყე მაინც ვიგრძენ, წელში ამპარტანუ-  
ლად გავიმართე და, ხალხს რომ მივხედე, თავმომწონებისაგან ყველა ერთი ხე-  
ლის დადებაზე გაზრდილიყო, წელში გამართულიყვნენ და შეუპოვარი თვალე-  
ბით იცქირებოდნენ. ეს თვალეები რომ დავინახე, შშოლოდ მაშინ დავიფერე: თუ  
ასე ვიქნებით, მართლაც ქვეყანას ვიხსნით. გრძელთმიანმა სათქმელი რომ შოა  
თავა, ეზლა მესამე ავიდა ხეზე, მესამეს მეოთხე მიჰყვა და, რომ ლაპარაკობდნ  
გვეგონა,—ეს ისინი კი არ იყვნენ.—ჩვენ ვიყავით, და მათი პირით ჩვენ ვლაპა-  
რაკობდით ჩვენს გულის ნადებს, ეს ჩვენ ვანთხევედით საუკუნოებით სიღრმეში  
ჩაკლულ ბოლოს და გულს გვეფონებოდა.

ბოლოს გლეხებიც წათამამდნ და, როცა თავმჯდომარემ გამოაცხადა ლა-  
პარაკი ხომ არავის უნდაო, კაენა ესაკიას გულმა არ მოუთმინა, ხელი ასწია და  
თავმჯდომარემ მისი ღამეში აწეული ხელი რომ ვერ დაინახა, მაშინ კაენამ ხელს  
სიტყვაც წააწია:

— ერთი ორი ღერი სიტყვა მეც მომეცი, ამხანაგო თავმჯდომარე!

თავმჯდომარემ სიტყვა არ დაუკავა, მისცა და კაენა რომ ცაცხვზე გა-  
მოსხდა, ყველა გაეუჩნდით, იმიტომ რომ ის ჩვენი იყო, ჩვენსავით გლეხი.

მის ისედაც დაღარულსა და შხისაგან დამწვარ სახეს ეს უჩინილის სი-  
ნათლე წითლად ასკდებოდა და, კაცს კი არა, კაცის მსგავსად განაკვერცხლე-  
ბულ მუგუზალს ჰგავდა. ჩნია გადაქანებული თვალეები შემოშინებლად გამოიციკი-  
რებოდნ და გვეგონებოდა, ეს მუგუზალი ჯერ კიდევ მთლად არ გამომწვარა და  
აი, ეს ეს არის ალად ავარდება, გლეხურ სიტყვებს გაეარვარებულ ღველფივით  
გადმოჰყრის პირიდან და თვითონაც ცეცხლმოდებულ ჯირკვიით ჩამოვარდება  
ჩვენში გადმოქნეული და ცეცხლს გაგვიჩენსო.

— ჯიმაღეფი!.. ამხანიკეფი!.. მეზობლებო!.. ბევრი ლაპარაკი და ენის ქნევა  
რის მაქნისია? ბევრი ლაპარაკი გულს აოხებს და ბრძოლის ენის ანელებს. განა  
ჩვენ იმიტომ მოვიყარეთ აქ თავი, რომ ლაპარაკით გული მოვიოხოთ და მერე  
ყოლ-შვილში დავბრუნდეთ? ხომ არაა ნიკოლოზა? ძალიან კაია, კაი დაგემარ-  
თოსთ ყველას, ძალი მიაკვდა სამარეში, შე ის არ მედარდებოდეს. ესაა ახლა  
საქმე? ეს საქმე ვაითაებულაია, ჩვენ კი გასაკეთებელი საქმე გვინდა. საქმე მარ-  
თლა ერთ კაცში ხომ არაა? ასე რომ ყოფილიყო, მაშინ რა გვიჭირდა,—კატასა-





თავმჯდომარე მაინც არ ცხრებოდა და სიტყვას არ მინებებდა, მაგრამ მე ყურადღება მაინც არ მივაქციე და ხალხს რომ გადავხედე, მხატვრულად და ეს ყრილობა ერთი ვართ და ახლა, აქ რომ ვარ ამ ხეზე, ენა მარა: მარა მარა, ხალხმაც იგრძნო ეს და ზღვასავით ახავთდა:

— თქვას!.. თქვას!.. არ გვინდა ხედა შელოა, არ გვინდა!.. სთქვი, ბათა, შენ მაგას რას უყურებ!.. — მაქვებენ აქეთ-იქიდან.

ხედა შელოამ ხალხს უმწეო თვალებით გადახედა და სახეზე ბრაზის ჩრდილმა გადურბინა. მე გულმა არ მომითმინა და მივაძახე:

— რას იზამ, ჩემო ხედა, აქ ის ბუდე არაა, შენ რომ ტყბილად ვაკაკონონ და გველის კვერცხი ვადობიონ. ამ ბუდეში ჩაჯდომას ფარგის ნახარ მდულარეში რომ ჩაჯდე შარვალ ჩახდილი, ის გერჩიოს!..

— ფუი!.. — გადააფურთხა მან ბრაზით და ისე მიპასუხა:

— ა, ბატონო, კაი, ვნახოთ ერთი რაცხა ზოტივარს იტყვი.

— დი, დაილოცა შენი სახელი! — გავიოცე მე, — აბა რავე გინდა, შე კაცო? შენ და შენისთანები თუ ვაქარჩაღეთ, მაშინ ჩვენ რაღას მაქნისი ვართ აქ? გვეყო ხედა, გვეყო, რაც ითარეშე და იფარფაშე. ახლა ჩვენც ამოგვევიდა ფრთები და გვინდა ერთი რჯულზე გაფრინდეთ. ჩვენც გვინდა ერთი გავვინდეთ და, თუ ღმერთი გწამს, ფეხებში ნუ გვებორკები, ჩამოგვეცილდი და გზა მოგვეცი. შენთვის სად გვეალია ახლა, ან რა გვაქვს შენთან საერთო? შენ გადიდკაცებული და ჩვენ ტოკვერენი. ლაპარაკი, იცოცხლე, მე ვიცი, ძალიანაც მიყვარს, ნავარი, მარა, როცა საქმეა, გაცდენა და ყიორი ჭირივით მეზარება. თუ საქმეა საქმე იყოს! ხომ ასეა, მეზობლებო?

— მართალია...

— მართალს ამბობ, ბათა, ცამდი მართალს!..

— შენ მაგას რას უყურებ, კაცო, შენ შენი თქვი. თუ ხელს შეგიშლის, აგერ არა ვართ... — წამომებმარა ვილაც, ხალხი გამოარღვია და ხესთან ახლოს გაჭერდა.

მეც წელმომაგრებულმა დივიწყე:

— მეზობლებო, ვინ იყო ტყავს რომ გვბდიდა და საშველს არ გვაძლევდა? — და, როცა პასუხად საერთო ამოგმინვა მივიღე, მევე უპასუხე: — რუსხეწიფე, მისი ამფოსნები და მილისტრები. ვინ გვბდიდა სულს? — ხუცესი და დიაკვანი. ვინ იყო ჩვენი სიცოცხლის გამძაღებელი? — პრისტავი და მამასახლისი. ვინ გლეჯდა პირში ლუქმას ჩვენს დამწეულ ცოლ-შვილს? — თავადი და მემამულე. ვინ გვაგლეჯდა ხორცს და ჭირივით გვათვალტვინებდა? — ძალი და მამაძალი. ვინ იყო, თავს მალა რომ არ გვადებინებდა, — რა ვიცი ვინ, ყველა, ვისაც უშრომლად განცხრომა და დროს ტარება არ ეზარებოდა. ყველა ჩვენ გვეჩოდა, პველა ჩვენ გეწოვდა სისხლს და ახლა მოვიცილოთ ნეკოზღებო, ეს ანდენ წურბლები. ხომ ხედავთ, რომ მეტი ამანი აღარ გვაქვს, განასი გამოგველია და მოვიცალოთ ისინი! რა ასეთი მოურჩენელი ჩვენ შევიქენით... ერთი თავის უფლად ამოვისუნთქოთ, თავი მალა ავილოთ და, თუ ღმერთს არა, ცას მაინც შეეხედოთ. ჩვენ თუ ამალამ ასე ვაქარჩაღეთ და ისე დავიშაღეთ, ვერაფერს გავარიგებთ. ახლავე, სანამ გული რისხვით გვაქვს საესე, ახლავე შეუტოთ



მტერსა და ღუმანს, ახლავე წავიდეთ და მოვახროთ, სურუმ-გურუმად მოვაქციოთ ჩენი სულთამხუთავეები: შენ კი, ხედა, ხომ გესმის? თუ არა, გეტყუებ, კარგა გაიგონე: ვინც დათათბირებას დაგვიწყებს და გზაში ღობედ წაგვსვამს, ნაკარტულად ვაქციეთ ამ ღობეს და, თუ კაცი ხარ, მოგვეშვი, წერას ნუ აუტანიხარ, თვარა სისხლი აგერ გვაქვს, ა, უღლში მომდგარი. ჩვენ ავდექით და ახლა სიბრალულზე და მოყვასის სიყვარულზე ლაპარაკისა და ლაილაის თავი აღარა გვაქვს! ყვეი! როცა გვემთ კაია ხომ, ბაბა? ახლა ჩვენ რომ გაგვიპირეთ შექმა, არ ვარგა, არა? ააა-პა-პა-პა!.. ახლა ჩვენ აღარ შეგვიძლია, მადა მოგვივიდა და თუ ვინმე არ შეგვამეთ ისე ვერ მოისვენებთ. ამიტომ სული მამალმერთს შეავედრეთ და მაგ მსუქანი ხორციით, ასე რომ გადაბრანძულხართ, ჩვენ გაგვიმასპინძლით. ოჯო, ერთი ჩვენც გვინდა ვიცოდედ რას ქვია გაძღომა! ხომ ასეა მეზობლებო?

— მართალს ამბობ, ბათა! მიდი, არ დაინდო ეგ რჯულძალი! — არ მიყვინებენ აქეთ-იქიდან მეზობლები.

ხედა შელია მაინც არ სცხრება, უნდა რაიმენაირად სიტყვა გამომლიტოს პირში, მაგრამ მე არ ვანებებ. ვიცი რაცა აქვს გუნებაში, სხვა იქნება შოატყუოს, მაგრამ მე რას გამომაპარებს? წინ თავის ამფსონები ჩამოუყენებია და ისე, სხვამ რომ არ შეამჩნიოს, ხელით რალაცას ანიშნებს. მე კიდევ უფრო გავჯიუტდი, ხიდან ძირს არ ჩამოვდივარ და ვცდილობ ეს ხალხი მის წინააღმდეგ ავამხედრო. თავმჯდომარემ მისი ამბავი არ იცის, მეშინია სიტყვა არ მისცეს და ამიტომ ვაჯანჯლებ ასე. ვიცი, ერთი სიტყვა თუ აიღო, შერე შეიდობით, ენა საკერავ მანქანასავით აქვს მოწყობილი. წააგდებს ამ ენას გველის წიწილივით და აგერეცს ამ ერთ ქეუაზე დამდგარ ხალხს. ყველა ხომ ერთი ქეუსი არაა, ზოგი გაბრიყვდება, მასაც დაუჯერებს და წყალი რომ აიძვრებია, შერე ჩამოდგება ამ წყალში და თევზის კერას მოჰყვება.

ხალხი რომ წუთით გაყურდა, ხედამ დრო იხელთა და თავმჯდომარეს სათხოვით სავსე ხმით მიმართა:

— ერთი ორი ღერი სიტყვა მეც მათქმევივით და, თუ ქეუაში არ დაგიჯდეთ, როგორც გინდოდეთ, ისე მოიქეცით...

მაგრამ ყურადღება რომ არ მიაქციეს, მოთმინება დაკარგა და გაანჩლებულია მომაძახა:

— რაა, შეკაცო, მთლად ენად რომ წახველა, კოდარას ენა ხომ არ გიკამია?

მის ასეთ გაპირვეულებაზე გული მეც მომივიდა და შემოუტიე:

— გირჩევ, ხედა, შენთვის იყო. თუ წერას არ აუტანიხარ, შენთვის დაეტიე. ჩვენ საქმეს შენ კაცი არ გკითხავს. აქ რომ მოჩერებულხარ, ვინ გეხეწებოდა? ღმერთო მოგვკალი, და შენი საკითხავი რა გვიკირს? ჩენი საქმე შენისთანების საკითხავად რომ იყო აქამდე, იმიტომ მიდიოდა კარგად, იმიტომ ავშენდით ასე და ფეხზე ბალიკარტი გამოგვება. ახლა მოგვეშვი, მოგვეცილდი და ეს ჩენი საქმე ჩვენ დავანებებ. გაჩუმდი, შენთვის დაეტიე, ავი მოგვივა, — ჩენი ბრალი იყოს, კარგი მოგვივა, — ისიც ჩენი ბრალი იყოს.

— თოჰ!... — შეცბა შელია. — რაეა თუ გაჩუმდიო!.. მე კი არა, შენ გაჩუმდი, რაცხა ლენჩურს რომ პრონტაე და ხალხს ურეე! მეორეჯერ პანაწაგლეხს, თვარა ისე ხედა შელიამ იცოცხლა, რავარც შენ ინანო! მღერისა მსმკალრა რაეა თუ ვინ მეკითხება? აბა მე ვირის მკოდავი ვყოფილვარ აქ? რაეა, მეც თქვენსავით გლახი არა ვარ, თუ რაშია საქმე?..

— ვიცით, ჩემო ხედა, ვიცით რაც გლახი ხარ. გეყოს, რაც ბატონის მოურავობაში ტყავი გვაძერე და ახლა სისხლს კისერში ნუ მოგვიყვან. კარგად გვახსოვს, ჯერ კიდევ არ დაგვეიწყებია შენი ნასიკეთვარი და ისე ბათამ იცოცხლა შენ კი დღე არ დაგადგეს. ოჯო, კეჟა მანც არ გაქვს მაგ ოხერ თავში? ხომ ხედავ, მგლის ხროვასავით ავლრენილვართ, და შენ თუ მართლა ლენჩი არ ხარ, პირში ნებით რას გვივარდები? წადი, ბაბა, ისეე იმათთან მიდი, ვინც გამოგზავნა, ურჩიე მისი ფებით მოვიდენ აქ და პასუხი აგონ, თვარა ჩვენ თუ მიველით, ვაი იმ მისვლას, გავაპარტახებთ ხელის გულივით მოვასწორებთ შიწახე და დაჯექი მერე და კიდევ უქიციანე კუდი. არ იფიქრო, რომ ჩვენ ისე ბრუციანი და გულმაფიწყ ბრიყვები ვიყოთ, რომ ცხერის ტყავში გახვეული მგელი ვერ ვიცნოთ. აბა, ჰე, მეზობლებო, რას უყურებთ, ხომ ხედავთ, რომ ამ კაცის გამოგზავნები აქეთ არ მოდიან, რას იზამ, ისეე ჩვენ მოვითავმდაბლოთ თავი და ვეახლოთ. წავიდეთ და დავაქციოთ ის ჩვენი დამაქცევარნი და ძირიანად მომთბრუნნი! თავზე გადავაწვათ ის ჩვენი ხელით აწენებული დობორეები და ცრათვალისანი ოდები. ქარსა და ბორიას გაეატანოთ მათი დოვლათი, დავლიოთ მათი ლვინოები, შევქამოთ მათი საქონელი და, თუ შევატყუთ, რომ ეს მათი ცეცხლწაქიდებული სახლები და დალეული ლვინოები, როგორც საქირთა, ისე ვერ გვათბობენ, შორს ნუ წავალთ, ჩემო კეთილებო, იქვე ყურის ძირში ჩვენი ხედა შელია, რომ სახლობს, იქაც შევიაროთ, ჩავაკითხოთ და, რაც მართალია, მართალია, არ უყვარს ჩვენისთანა სტუმრები, ისიც მართალია, არც ჩვენ გვიყვარს გვარსა და ჯილაგზე გადამდგარი მასპინძელი, მაგრამ რას იზამ, როცა უკეთესი არა გვყავს, ისეე ამას დავყაბულდეთ! აბა, შაბამ, უტა რიონს გაღმა!.. — დაეძახე ხალხს, ხიდან ძირს გადმოვბტი და ხელაწეული არიანცებულ ხალხს წინ გავუძეხი.

— მივშვით... მივშვით... — აღდა ხალხი კიშმიშზე ღრიანცელით, მაგრამ ამ დროს ცაცხვზე მურზა აიჭრა და იქიდან შემომიტი:

— სად მიგყავს ეგ ხალხი, შე ხრონცო, ჰა?.. თუ გადირიე, გვითხარი და დაგაბამთ!..

გული მომივიდა, მთლათ ამიგდო ამ ჩემი გაქედილი ხატმა და მეც შემოუტყე:

— აუუ, ახლა გვიანაა, ბაბა... ახლა რა დროს დაბმია, როცა თავი მთლად აგვიშვია. თუ არ გინდა, ვინ გეხვევება? ნუ მოხვალ, იჯექი მაგ ხეზე, მანც გათენების ხანია და იყვილე მამალივით... — მერე ხალხს მოუბრუნდი: — აბა, მეზობლებო, იცოდეთ, ბუნტი თამაშობა არაა, ბუნტს სისხლი უყვარს და ნურაფერს მოერიდებით. არ დაგვენბდებიან? — გავსრესთ, გავწყვეტთ ისე, რომ მათი სინსილა არ დარჩეს.

წასასვლელად რომ ემშაადებოდით, ამ დროს ხეზე ისეე ის გრძელ-შიანი ავარდა, წელან რომ ილაპარაკა, და შეცხადებულვით აყვირდა:

— რეზოლუცია, ამხანაგებო, რეზოლუცია დაგვჩა მიუღებელი —

დავიბენით. ვერაფერი გავიგეთ რა უნდოდა ამ კაცს. *მარტინეზი*

— რა უნდა, ბათა, ამ კაცს, რომ ყვირის? — *შემეკითხე მტერსა ქმსკბა*

— რა ვიცი, ჩემო კაენა, რაცხა რეზოლუციას, მივიღე კი არა, ზედ ვეწირები და სხვა რა უნდა ვქნა არ მესმის! — გავიოცე მეც, მაგრამ, როცა აგვისნისეს, რომ რეზოლუცია კრებაზე დაწერილ ქალაქს ქვია, თავყრილობამ რომ უნდა გამოიტანოს, გამეცინა. რა დროს ქალალი იყო ახლა?

— რაეა, სუდში ხომ არა ვართ, ქალაქი ვწეროთ. დაჯდეს და წეროს რომდენიც უნდა. რომ დაწეროს, მერე ბებიამისს ააფაროს შუბლზე, იქნება თავის ტკივილმა გადაუაროს. აბა, მეზობლებო, წავიდეთ!.. ქენდურ მათ საქმეს!..

— წავიდეთ!.. წავიდეთ!.. წავიდეთ!.. — აღგა ყველა. სხვა გზა რომ არ აყო, ეს ახალთაობის კაცებიც გამოგვეყენ და წაველით ასე ყოიებით, სროლითა და სიშღერებით.

## 6

ბუკი ხრიტიზობდა, ზარები, კი არ რეკდენ, ყფდენ ძალღებევით, ცაყხვის ძელი ზარბაზანევით გრუზუნობდა და ამ ღრიანცელში, ორომტრიალში და ქვეყნის დაქვევაში ცა ძირს ჩამოდიოდა, მაგრამ, სანამ ძირს ჩამოვიდოდა, ჯერ მტრედის ფრად ინათა, მერე იმ ჩენი დროშის ფრად გაწითლდა, წინ რომ მიგვიძლოდა, და ძირს დაშვებული ალაშიევით თავზე გადმოგვეფარა.

კერანდუხუ ზვამბაიამ თავისი ძველებური მახაჯირობის დროის შტუცერს რომ ფალა უფეთქა, ერთი ისეთი დაიგუგუნა, რომ გვეგონა, დედამიწა გასკდა და თან ჩავეიტანაო.

— ზედავთ, რა ხმა აქვს! — მოგვიბრუნდა კერა თავმომწონედ. — ხომ ზედავთ, აქ რა ქნა და იქ, მტერს რომ მიუწვედა, ო-ხო-ხო-ხო, რა დღეს დათევდა!..

— სულო ცოდვილო და ეგ შენი შტუცერი მოყვარეს უფრო მეტს უნდა უშვებდეს, ვიდრე მტერს! — ვებუმრები კერას და ასე გნიასით, ყოიებით ვედავებოდით ერთი მეორეს, ვინ უფრო მეტ ხმაურს გამოიწვევდა, ვისოდით ცაში მაკაბელებს, ხირიმულებს, შტუცერებს, შაშხანებს, ფილთებს, ჯაზიერებს, ტამბაჩებს, ლივერებს და, ვისაც იარალი არ ჰქონდა, ქულებს და ბუხრის ქულები ძირს ჩარჩმით დაცხაევებული ვარდებოდა.

— ძირს ნიკოლოზ და მისი ტახტი!..

— ძირს!.. ძირს!.. ძირს!.. — გუგუნებდა ხალხი და ჩვენ ჩვენით კი არ მივდიოდით, ჩვენივე გნიასი გვიტაცებდა და მას მივქონდით მდინარით გატაცებულღებევით.

— გაუმარჯოს ერთობას!..

— გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს!.. — და ისევ სროლა, ისევ ყოინა და ერთობის ახალი სიმღერები.

ჯერ იქვე, ეკლესიის გვერდით რომ სოფლის კანცელარია იდგა, ის მოვარბიეთ. მთელი ბარგი-ბარხანა, სკამები, მაგილები, საწივნეები, ქალაქები და საქმეები გარეთ გამოვიტანეთ და ეზოში დავახვავეთ.

— არიქა, ცეცხლი, ცეცხლი წაუკიდოთ ყველაფერს! დავწვით ისე, რომ ერთი ფარატიცა ქალაღის მურუყი არ დარჩეს ამ ქვეყანაზე! — და წინას ხელი გავიკარო, კვეს-აბედის ძებნა დავიწყე. — აქამდი ხომ ჩვენ გვიჩენდა ცეცხლსა და თაკარას, ახლა ჩვენ ვაუჭინოთ!... — და სანამ კვეს-აბედს გავკრავდი, ვილაცამ მომასწრო, ქალაღებს მოკიდებული ასანთი შეუფდო და რამდენიმე წუთს შემდეგ ცეცხლიც აპრიალდა.

— მამასახლისი სადაა, მამასახლისი?... — ყვიროდა კაენა ესაკია და თან ცეცხლს წალღის ტარით უთუთურებდა, რომ უფრო კარგა მოკიდებოდა. — ვაი შენი შავი ღღის გათენებას, ანთიმოზ, რა მწარე დღეს მოესწარი!... — ოხრავს განჩურად და, ცეცხლი კარგა რომ გააღვივა, მერე შიგ რაღაცის ძებნა დაიწყო.

— რას ეძებ, კაენა, მაგ ცეცხლში? იმ შენი თვენახვევარს ხომ არ ეძებ, გახურებული მარგლის დროს რომ ნაობახში გაყურყურტეს მაგ ქალაღების წყალობით? — ვეკითხები და თან ყალიონს თუთუნით ეტენი.

კაენამ ღიმილით ამომხედა და თვალთ მანიშნა რომ დღევანდელი შექილიკება და მარცხი დავიწყებას მისცა.

— შავათი სამართალს რა უთხარი მე!.. შენ გარეთ უნდა დადიოდე ახლა? შენ რომ საქონელი ხარ, მე კი არ უნდა ვგდებულისყავი იმ ნაობახში, შენ უნდა ჩამოეკიდებე ენის ძირით ბაწარზე და სამართალი ის იქნებოდა.

— რას იზამ, ჩემო კაენა, ალბათ, კაი ბიჭი ვიყავი, ხელს რომ ვერ მკიდებდენ...

— ფუი, შეგირცხვა ბიჭობა... რა დროს შენი ბიჭობაა, ცალი თვალთ სამარეში იყურები? — შემომიტია მან და თან გვერდზე გადააფურთხა. — ან და რას მოგიხებხებდენ რა!.. რომ ჩამოეკიდე კიდევ, იმსიგრძე ენის პატრონი ხარ, რომ ფეხებით მაინც მიწაზე იქნებოდი და სხვენზე გამომბულ ძროხასავით დაიწყებდი-სიარულს... — მერე უცრად ლაპარაკის გეზი შესცვალა: — ფუი, დასწყველა ჩემმა გამჩენმა ეს ქალაღები, ამდენი ხანია შიგ ვიჭმეები და ერთი ფურცელი ვერ ვნახე ისეთი, თუთუნის გასახვევად გამომადგეს, არც ნაკვერცხალი სკოდნია ნავარს, ყალიონს მაინც დავადებდი.

— ცოტაც მოითმინე, ჩემო კაენა, და საცაა ეს სკამი დანაკვერცხლებმა!.. — ვანუგეშებ მას და მერე უცქერით ორივე, თუ როგორ ეტლაშუნება ალი ამ დაბლა დაწეულ ცას.

პერაში დგას დამწვარი ქალაღისა და ლუქის სუნი, ჩვენი უჩვევი ყნოსვა ვერ უძლებს ამ სიმურალეს და ცხვირს ვაცემინებთ.

და ჩვენ რომ ასე ვსხედვართ ცეცხლის პირას, გლეხები დათარეშობენ ეზოში, სახლში, თელაში და ყველგან. არაფერს არ სტოვებენ გაუჭრიკავს, ყველაფერი გადმოაბუჯურეს, ეძებენ დავლას და მოათრევენ გარეთ ხაბაკ-ხუბაკს, თოფ-იარაღს. და ჩვენ, რამდენიმე ხნიერი კაცი, ვსხედვართ ჩვენთვის, თავს არაფერზე ვიწუხებთ. სამამასახლისოს სალარო ახალთაობის კაცებმა ჩაიბარეს ერთობის საქმისთვის და სხვა რა უნდა იყოს ამ გამოხაბაკებულ კანცელარიაში, გარჯად რომ ღირდეს? ეს ახალგაზდობა? მათ ღონე ერჩისთ, გული კიდევ უფრო, და ითარეშონ, ჩვენ რა გვენაღვლება?

ბოლოს, ამდენ ძებნაში, მიაგნეს, როგორც იქნა, იპოვეს, რასაც ეძებდნენ. ყიფინით, სტვენით ნაობახიდან შიშით გულგახეთქილი ჩაფრებულები და რომ არსად გაპქცოდნენ, ხელები უკან გაეკრათ, იარაღი უკვე აეყარათ და თერთონ ჩამოერიგებინათ.

მე შევხედე მათ და მიამა, ნამეტანი გამიხარდა ჩემი ძვირფასი ნაცნობების ნახვა. როგორ არ უნდა გამხარებოდა, როცა მათზე იმდენი ამაგი მიმიძლოდა? ვანა მე არ ვიყავი, მათ რომ კაცთმოყვარეობას ვასწავლიდი და ის წმინდა წიგნი ჩამოუბრებ ნაწილ-ნაწილ? ეს მათი უფროსი ჩაფარიც რომ დავინახე, სიხარულით გადავირიე. ვანა მარტო სულიერი ამაგი მიმიძლოდა მათზე? მაშ სად წავიდა, ვინ შექამა ის ჩემი ინლოურები და ქათმები, ვინ დალია ჩემი ღვინოები, თუ არა ამათ? რა უყოთ, რომ ძალად მიჰქონდათ, ძალა მათ ხელში იყო და მაშ რა ექნათ? რა უყოთ, რომ იმ ფურცელში, მათ რომ ჰქმნარიტების გზაზე დასადგომად ვაჩუქე, ადამიანისადმი სიყვარულით გამთბარ გულის მაგიერ თუთუნს ახვევდნენ და ისე აბოლებდნენ.

საწყლები, ისე იყვნენ გულგახეთქილნი, რომ ხმას ვერ იღებდნენ.

ხის ძირას ხვადგებივით რომ მიაბეს, მიველ მათთან და შემდეგი სიტყვებით მივმართე:

— როგორ მოგწონთ, ჩვენო ძვირფასო მწყემსებო, ახალი დროება? ცოტა სიტყე კი მოგცათ, მაგრამ არაფერია. ჯერ სად ხართ. სერიი ჯერ კიდევ წინ არის. ძმრათ რომ წავადნთ იმ ჩვენ სისხლსა და ოფლს, თქვენ რომ გვწოვდით. შიში და გულის ხეთქა მაშინ ნახეთ. რას იხამ, ჩემო ძვირფასნო, ხომ ვაგიგონიათ: კაცი ბქობდა და ღმერთი იცინოდა? ეს ღმერთი თქვენ იყავით და ჩვენ რომ ვბქობდით, ვჩიოდით, ვგმინავდით წელში გაწყვეტილნი, თქვენ, ჩვენი ღმერთები, იცინოდით. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩვენ ასე გვიჩვენებია და კი აღარ ვბქობთ, სად გვცალია ახლა ბქობისთვის? ჩვენ ახლა ვმოქმედობთ, ვიბრძვით და რა უქირს, თუ ერთი ორი თქვენგანი ხელში უცაბედად შემოგვეპულიტება...

რბევითა და ნგრევით გული კარგა რომ ვიჯერეთ, სახლს ბოკნებ ქვეშ ხმელი ჩალის კონები შეუწყვეთ, ცეცხლი შეუთეთ და, რომ ავიზგიზდა, დამშეულ მგლებივით ირგვლივ შემოყუნტულნი, უტქეროდით, ვოხუნჯობდით, გვიხაროდა, თუ როგორ იწოდა ჩვენი დამაქცევარი მამასახლისის კანცელარია, როგორ ტაკუნობდნენ გამზმარი კობიტის ფიცრები, ლარძაყინები, კოქები, ლარტყები და თავხეები. ბოლოს, აღი რომ სახურავზე გაწვა და ენით ადგილი მოსინჯა, მთლად ვადირია, ასისინდა გველის წიწილივით, ფაფარი აიყარა, აბღღილდა და ზედ მიეძალა. რამდენიმე წუთს შემდეგ დაღრანკულმა ყავარმა ტაკუნნი დაიწყო და კიდევ უფრო დაიღრანკა.

მაღა კამაში მოღისო. ჩვენც ისევე ვიყავით, რამდენი მეტს ვარბევდით, ვინი კიდევ უფრო გვემატებოდა და გული მთლად ქვაედებოდა, არაფერს ვზოგავდით, რაც ბოღმა და სიმწარე გვენახა, ყველა ერთად გვინდოდა ამოგვენთხია და გულის ჯაფრი ამოგვეყარა.

ცეცხლი საამოდ ანათებდა საალიონო ბინდებს, შემოდგომის ღამე კიანურდებოდა და ვათენების საშველი აღარ იყო. ჩვენც ცოტა არ იყოს შეგვეცოდება და ამ უზარმაზარ კერიას ტკბილად რომ მივფეციცხეთ, ვხედავთ ოდის სახუ-

რავნე ბუბრის თავთან კესარია მონაზონი იღვია და ზედ ეტყვიანება, კაცმა არ იცოდა რომელ ჯანდაბიდან გაჩნდა აქ. მართალია, ხმა, დედაც, თუთქოს მამასახლის პევირობსო, მაგრამ ამ ქვეყნის დაქცევის დროს რა ძალის უნდა ყოფილიყო ის ოხერი სიყვარული; აქ რომ ამოეყვანა? თუ ეს მართალი აყო, მაშინ ის ანდაზაც მართალი ყოფილა: ქვეყანა იქცეოდა და ტურა ქორწილს იხდიდაო.

— არიქა ხალხნო, უშველოთ, მაგ ცეცხლმოკიდებულს!.. ძაღლია, მარა მინც ცოდეგია...— აყვირდი მე და ისე დავიბენი რომ გზა-კვალი მთლად ამერიო.

— არიქა, ცოცხლად დაიწვა აღამიანიშვილი!..— ამყვენ სხვებიც და გაჩნდა სირბილი, ფაცური, ყველა დაიბნა, ეძებდენ რაღაცას და თვითონ არ იცოდენ რას, ალბათ კიბეს, ბაწარს, ან სხვა რამეს, რითაც შესაძლებელი იქნებოდა გაპირებულის დახმარება.

მართლაც, მალე კიბეც გააჩინეს, უკანა კედლიდან, სადაც ცეცხლი ნაკლებ ეძალებოდა, მიადგეს. რამდენიმე ბიჭმა თავი გადასდო, სველი ყაბალახებით პირი აიკრეს, ახალახები აიკარწახეს და ზედ შევარდენ.

კაცნამ რომ მათ შორის თავისი ერთადერთი ბიჭი დაინახა, აყვირდა:

— შენ სა მიხვალ, ბიჭო, ეხლავე ძირს ჩამოდი!..— მაგრამ ბიჭმა მამის ყვირილს ყურადღება არ მიაქცია და ყველაზე უწინ ის აიჭრა სახურავზე.

—ა, უყურე შენ ახლა ამ მამაძალიშვილს, ჯერ პირზე დედის რძე არ შეშრობია და ხელავ რა ამბავშია!..— აღმოხდა შიშით ფერდაკარგულ ესაკიას.

მართლაც, ის ჯერ თექვსმეტი წლისაც არ იყო და ყველა საკაცო საქმეებში ერეოდა. უნდოდა მისთვისაც ისევე გაეწიათ ანგარიში, როგორც ვაჟაკისათვის და ის ამ თავისი სურვილით შესაქცევი იყო და საყვარელი. ახალგაზდა იყო, მაგრამ გაბედული, ფიცბი და შემმართებელი. მალე საქმე ისე დააყენა, რომ ყველა ანგარიშს უწევდა, ყველას შეაყვარა თავი და თვალში რომ ეინშეს ჩავარდნოდა, ხელს არ ამოისვამდა, ამიტომ ალერსით, ჯოგოს მაგიერ, ყველა ჯოგოლიას ეძახდა.

— რა უჭირს მერე, კაცნა...— ვანუგეშებ მამამისს.— კვიცი თუ ხანდახან არ გაეტნტრუშდა, ბედაურად არ ივარჯებს. ერთი გყავს, ჩემო კაცნა, და რაც გყავს, ბაჯაღლო ოქროა...

კაცნა ყურადღებას არ აქცევს ჩემ სიტყვებს და თვალი სახურავისაკენ აქვს მიქცეული. მეც თავი დავანებე მის ფაზიარს და სახლს მალლა აეხედე, მინდა გავიგო რას შვრებიან ზედ გასულები.

მაშველები რომ კესარიას მიუახლოვდენ და ხელის მოკიდება გაუპირეს, მან გადაქცეული თვალები ერთი საძაგლად შეანათა, დაიწვილა და უკან მიაწვდა, ფეხქვეშ ყავარი ჩაუტყდა, მაგრამ მოასწრო ჩავარდნილი ფეხის ამოღება და ბუბრის თავს კიდევ უფრო აეტმანა.

შეშლილ ჩხია თვალებს ზარდამცემად აბრიალებდა და ხელებს განწირულივით ასავსავებდა. არ ნებდებოდა, იბრძრდა თავგამეტებით, მთლად გადაბარსალდა, დაიგლიჯა ყველაფერი, წიოდა ცივი-ხმით და მისი წივილი მალლა ცას ზარავდა და ძირს დედამიწას.

— გამიშვით, გამიშვით!..— ძალიან დებოდა იგი.— რა გინდათ, დაბაყენეთ, გამიშვით, დავიწვა შე ამ ცეცხლში, დავიწვა და ჩემი ცოდვები ჩემს მოგვითხოვს... ხელი არ მახლოთ!.. თქვენი ბინძური ხელი არ მომაკაროს!.. თქვე კუბა-კუბო!.. ვის უბედავთ ამდენს? თუ დაგავიწყდათ, თქვე კუბაკებო, ვინა ვარ? ჰაიტ, თქვე ხვადგებო, ჩამომეთხოვეთ, თქვე ძაღლის დასმულგებო, თქვენ, ხელი გამიშვით!.. თქვენ ხელში ყოფნას, ცეცხლში დავიწვა, ის მირჩენია, თქვენი ყურებას, სიკვდილს უყურო მირჩენია... ვაა-ვა, ჩემი შავი დღის მოსწრებას, ვა-ვა, ჩემი თეალებს დაგებას...— მოსთქვამდა იგი, გვეყვლიდა და ოდის თავანიდან ქოქოლას ჩინჩლებად გვაყრიდა თავზე, მისი ემ წივილი ცეცხლის გუგუნს უერთდებოდა და შიგ ინთქებოდა.

ის ჩვენი ნაბატონარის ბაჭარ მანდარისა და იყო, მონაზნობაში მისი სულელი ძმისაგით მთლად გამოლენჩებულიყო. ჩვენი დანახვას, (განსაკუთრებით ჩემი), მისის წითელი გველი რომ ენახა სისხამ დილაზე, ის ერჩია. რომ დაგვინახავდა, კანის კალთას გაიბერტყავდა, გვერდზე გადააფურთხებდა და წააწყობდა ზედიზედ:

— ფუი!.. ფუი!.. ფუი!.. გაწყდით, ერთ დღეს გაწყდით ქალიან-ბაღნიანად, თქვე ბელენძუკებო, თქვენს!.. რატომ ის ოხერი ჭირი არ გავიჩნდებათ და ერთ დღეს არ გადაგაბარსალებს ყველას!..

აქამდეს ვერ მოგწელებინა იმ მიწების ამბავი, ჩვენ რომ ცრუ ფიცით ავალუშვით ხელში მისი შტერ ძამიას და ახლა, არ ხედავთ თქვენ, თავს როგორ გაგვივიდა?! მიწებიც არ ვიქმარეთ და ახლა თანასწორობაც მოვითხოვეთ. ასეთ პირობებში მას მართლაც არ უღირდა სიცოცხლე. მის წყევა-კრულვას ჩვენ აინუნშიაც არ ვავდებდით და ცეცხლი რომ მთლად შემოენთო ოდას, ყველა ერთად აფევირდით:

— მოეშვით, კაცო, მაგ მართლაც ბელენძუკა დედაკაცს!.. ძირს ჩამოდიოთ!.. მაღე, მაღე, თვარა საცაა სახლი ჩაიქცევა...

მართლაც (ისინი ზემოთ იყვნენ და ვერ ამჩნევდენ), ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა და, თუ არ აჩქარდებოდნენ, ისინიც ჩაინთქებოდნენ ამ ცეცხლში და გაგანიაში იმ დედაკაცთან ერთად.

კაენა ესაკია მთლად გადირია, ახალთაობის კაცებიც ყვიროდნენ, ვილაცამ თოფიც კი ისროლა მათი გამოსაფხიზლებლად და ბოლოს როგორც იქნა და გვიჯერეს. კიბეს რომ მიუახლოვდნენ, მხოლოდ მაშინ დაინახეს რომ, თუ არ აჩქარდნენ, ისინიც ვართხებივით გამოიწვებოდნენ შიგ და იცოცხლეთ იკადრეს აჩქარება ჯოგოლია დვას ცეცხლით განათებული და უცდის როდის ჩაეღნენ უფროსები, რომ ბოლოს თვითონაც ჩავიდეს, ისინი კი ერთიგეორეს ასწრებენ კიბეზე და მორბიან ძირს. მართლაც, ჩამოვიდა თუ არა ჯოგო კიბეზე, ცეცხლი ერთიანად შეეფინა სახურავს, ჯერ გაწვა ზედი, ალოკა ხმელი ყავარი, მერე აიფოფრა, აი-მართა, რაღაც უცხო ნადირივით ფაფარი აიყარა, აზვირთდა და ასე მოქნული ტლაშუნით დაეჯახა წითლად განათებულ კესარისა და, ერთი რომ მოტორა ვერ გავიგეთ რომელი იყო, ცეცხლი თუ კესარია, ისე განწირულად რომ დაიწილა. მაგრამ გარიყრათის ნიავე ა დიღბანს არ დაანება აღს ნადავლი, წამობერვით იქით მიაწევიტა და ერთხანს კიდევ გამოჩნდა ტანისამოს შემობარცული დედა-



კაცი. შიშველი და ნაკად ჯირკვიით ტან შერუჯული მუხლებზე ცხელი ყეფარზე მოეყარა, ხელები ზემოთ აშვერილი დარჩენოდა, თავზე, იღვრებოდა წველვან, სადაც ბალანი ჰქონდა, ცეცხლი პარპალით ეკიდებოდა და ის ჩემი ცოდვით საესე ანთებულ სანთელივით იწოდა.

თვალდაეხებული და ტანდაკრუნხული საკუთარს გმინვასა და განწირულებაში ჩატოვებული იდგა ასე და ყმუოდა მომაკვდავ ძალლივით:

— მუქიმიწა, ნანა!.. მუქიმიწა, ნანა სტუა!.. ნანა!.. ნანა!.. — და კაცი ვერ გაარჩევდა, ადამიანი იყო ის, ასე საცოდავად რომ ენაოდა, თუ ხანძარი. ტანთ დაშარულ ხორცს ამობრუნებულ ლაშებივით დაებჩინა პირი და ჰაერში დამწვარი ხორცისა და თმის სუნნი ავირდა. ასე რომ იყო, უეცრად აღგა ხელაპყრობილი, აიშართა, აღზად, ღვთისათვის ჩენი წყევა-კრულვა თუ უნდოდა კიდევ შეეთვალა და სიტყვა, რომ ვერ წარმოსთქვა, დაიწვილა, მაგრამ არ დასცალდა, გამოქანებულმა აღმა სული შესტაცა, რალაც საოცნებო ხესავით ტოტებგაშლილი წიშოიქცა და ზედ დაახევდა.

მართალია, ეს დედაკაცი მტერი იყო ჩენი, მაგრამ მისმა ასეთმა სიკვდილმა ყველას გული დაგვწვა. მართლაც და ჯალათები, ხომ არ ვიყავით, მაგრამ რომ არაფერი შეგვექლო. შეუძლებელს ხომ ვერ ჩავიდნდით? სხვა რა დგვრჩენოდა, ვარდა ცქერისა? ჩვენც უცქეროდით ენაიავარდნილნი, სანამ ოდაში შეგნით, ისე როგორ მუცლის ღრუში გუგუნნი არ გაისმა, სახურავი შაიზნიჭა და მერე ქექით, გრუხუნით ჩახვავდა ეს ამოდენა შენობა.

რომ მოვიხედე, ყველა დღერემილი იდგა და უცებ მოვისახრე, რომ თუ ვინმე არ შემოუტევედა ეს აზვირთებული ხალხი და მოშმინდებოდა და დღევანდელი თავყრილობა აზრს დაქარგავდა. ამიტომ გული ვავიმაგრე და დავსტყვილე რაც ძალი და ღონე მქონდა:

— ჰაიტ, თქვე ლაჩრებო, თქვენ, რას დაგიბრენიათ პირი და სახეები ჩამოგტირისთ? რა უყოთ მერე! იქ, სადაც თოფი ვავარდება, კაციც მოკვდება. აბა რა ვინდათ! წელში გაიპრთეთ, სახე გაშალეთ!.. ახლავე\*ის წუჰაკი მამასახლისი მომინახეთ, თვარა ისე ბათას ხანი მიეცა, როგორც თქვენ შავი დღე დაგაყენოსთ..

მართლაც ხალხი ისევე აიშალა, აირია ჯერ ზანტად, მერე უფრო ცოცხლად და ბოლოს ისევე გადირივნენ, ვაცოფდენ და ეძებდენ, ეძებდენ იმ წუჰაკ მამასახლისს. >

არ გასულა ხანი და თაველიდან ღრიალი, ხარხარი და ყიფინა მოისმა.

თურმე, ნაესაკოველებს თაველიდან ჩაფართა ცხენები რომ გამოჰყავდათ ბაგაში ჩამალულ მამასახლისს წასწყდომოდენ და ის იყო ასეთი ამბით, რომ შოატრეედენ. ჯოგო ესაკიას ცალი ხელით ლაფშა ცხენი სადავით ეჭირა და ისე მოდიოდა. ხალხი სახეში აფურთხებდა მამასახლისს, მაგრამ აცდენდენ და საწყალ ჯოგოს აფურთხებდენ ხელზე. ახალგაზდა ესაკია ხელს მაინც არ უშვებდა ტყვეს, სახეს მალლა უწევდა და ყვიროდა:

— მე კი ნუ მაფურთხებთ, აგერ დააფურთხებთ, ა, თუ ბიჭები ხართ!.. მოდით, მოდით, ვისაც ნერწყვი არ გაგშრობიათ! მაგის ბრალი იყო, მაგ სულძაღლის, შარშან რომ მამაჩემი პრისტავთან უბრალოდ დაასმინა და ნომბაში ჩა-



გდოს... — და ვისაც არ ეზარებოდა, აფურთხებდა სახეში, აფრეკდა და თან პირსა და რჯულს ავიწებდა.

მუხის ძირას რომ მოათრეს —

მარტინეშვილი  
გინჯაიძე

— ჯაბუნაქი ვაქამოთ მაგ პირმყრალს, ჯაბუნაქი!..— აბალავლა ასტამურს მატახერია და ცეცხლისკენ გაიქცა. ხანძარს რომ მიუახლოვდა, წელში ტარით გარკომილი წალდი სახელდახელოდ გამოიძრო, ყელში ბაწარი გამოაბა და მარცახივით შუა ცეცხლში გადუქვილა, ბურჭული მორს წვერით რომ დაერჭო, გამოსწია და გარეთ გამოათრია. ხეს სახელდახელოდ ცხელი ნახშირი ჩამოფხვია, წალდის ყუთით ქვაზე სუფთად დანაყა, შერე ხელის გულზე დაიყარა და ისევ მამასახლისისაკენ გამოიქცა.

— არიქა, მეზობლებო, არიქა, თქვენი ქირიმე, რამენაირად მომეხმარეთ და ამის გულის ჯაგრი ამომაყრევიეთ!..— ყვიროდა იგი სულწასული, ხალხს აქეთ-იქით სწევდა და მამასახლისისაკენ გზას იწალდავდა. — ერთი გზა მიტივით, მეზობლებო გზა, თვარა გადავირიე კაციშვილი და ესაა! მე რომ მაგისგან პატივისცემა მახსოვს, მინდა სამაგიერო გადაუხადო და ეს ერთი შეკვა ჯაბუნაქი ვაქამო!.. პაიტ, შე სულდალო, შენ!..

მამასახლისისმდე რომ მიადგო, გვერდში მოუჯდა, ფერო ახლოს მიუჭოხდა და დაიწყო დაყვავებით:

— რა ვქნა, ჩემო ანთიმოზ, ამ ცხელ გულზე სხვა ამის მეტი არაფერი გამაჩნია და რით გცე პატივი? მე რომ შენი მათრახების სიმწარე მახსოვს, ბრახით თვალში სინათლე ახლაც მიზნელდება... ეს იმის მაგიერი იყოს! მიირთვი ჩემო ანთიმოზ, მიირთვი, რაია, ოჯო, რას გამიპატივდი? რა ვქნა, შენ კუბოს შემოვევლე, რა გიყო, ჯაბუნაქით კი არა ღორის ჩანკორით უნდა გიგლისავდე პირს, მარა გულჩვილი ვარ ოხერი, ნამეტანი გულკეთილი ვარ და მეტისთვის არ შემეტები!..— ეალერსება თარსულად, თან პირში დანაყიდ ნახშირს მეტივით ატენის და, რომ არ სკამს, სახეზე უსიამს და ცეცხლზე ერთი წლის ნაკიდებ კარხანასავით ვაზუნა. ხალხი მზიარულად უცქერის ამ ყველიერის ყინივით პირმოშურულ მამასახლისს და როხროხობს, ზოგს სიცილში ხველამ წაუსწრო და იბრბობიან თუ იცინიან კაცი ვერ გაარჩევს.

მატახერიას გული მოუვიდა, ხალხს ერთი რისხვით ახედა, თვალები დაქუსა, მაგრამ პირზე ღიმილი მოერია და ისე შეუტია:

— რომ იცინით, რას იცინით, მამაოხრისშვილებო?!..— კაცის დაცინვა ვინ გაიგონა? რა უყოთ შერე ადამიანობის ნასახი რომ არ სცხია, სახე მაინც კაცის აქეს!..

— მართალი ხარ, ასტა, ცამდის მართალი!..— ვემოწმები ასტამურს. — შეხედე, რაფა მილაღ აიგდეს თავი!.. რომ დასცინით, ვის დასცინით, ა? კაცი მდგომარეობით ხემწიფის წარმომადგენელია და სახით ღვთის პირის გამოსახულება... ხუცესიდან მაინც არ გაგიგონიათ, ღმერთმა ადამიანი მისი სახის მსგავსად გააჩინაო? ფუი, შეურცხვა მაგას სახე, იმიტომ არ მწამდა ის ღმერთი, მაგას რომ ჰკავდა... —

— აბა, მეზობლებო! — გამაწყვეტინა მატახერიამ: — ჩვენი მამასახლისი დღეს ნამეტანი კაი გუნებაზე და ბრძანებს ერთი ოჯახშიც მესტუმრეთო. ვინ მოდის მამასახლისთან?..



— მოვდივართ!.. მოვდივართ!.. — აღრიალდა ხალხი, ახუვდა და გაიწვია ერთი ვაი-უშველებელი, ყველა მამასახლისის ღობორესაკენ მიიჩქაროდნენ, მათ შორის მისი შვილებიც. მიუწვედა გული, მაგრამ თან ამ ტყვედ ჩაეარდნილი ჩაფრების ტანსაცმელს განებოდათ და, როცა საიმედო ბიჭებს ჩააბარეს და გული დაიიმედეს, ახლა მამასახლისზე გაიწვია ჩხუბი და დაეა, თუ ვის უნდა რეგებოდა იგი. დიდხანს ეიდავით ვიყავანეთ, ერთი-მეორისაკენ მჯიღებით წავიწ-წამოვიწვიეთ კიდევ და იმდენი ვეცადე რომ ეს წუბაკი დავლად მაინც მე დავიტოვე. მეტოქეები რომ ჩამოვიშორე, ჩემ ქვისლ ბასკან უჩარდიას ბაწარი ვთხოვე, ერთი წვერი მას ზევაბი წელში, მეორე მე გამოვიბი და ასე დავადექით მისი ღობორეს გზას.

მივდივართ და ამ სიარულში რომ ვაკვირდები, არაფერი დამეწიყვებია, კაკალ-კაკალ მახსენდება ყველა ის სიმწარე ამ პირძალი მამასახლისის გადამკიდე რომ გადამხდომია და თვალთავან ცრემლი მდენია, და რამდენი მეტს უცემ გულს ამ გარდასულ სიმწარეებს, თანდათან ებრაზდები, გულს ცუცხლი შეკიდება, მაგრამ ბოლმას გულში ვიკლავ და წელში ჩამხულ კაცს ვებაასები

— ასე ყოფილა კაცის ბედი, ჩემო ანთიმოზ, და რას იზამ. დღეს რომ წინა ხარ, ხვალ, თურმე, ბოლოში მოექცევი. უკუყო შეთაფრი წინ იყურება და იმას კი არ დაგიდევს, მოსდევს თუ არა წელი წინ სასიარულოდ. სათავეში რომ მოექცევი, ის კი არაა ბიჭობა, ბიჭობა ისაა, რომ ამ სათავეს შერჩე და უკან არ მოექცე. შენ კი ასე არ იქცეოდი. გეგონა სულ შენი დღე იქნებოდა და ის კი ვერ გაიანგარიშე რომ ხვალინდელი დღე ჩვენი იყო და ამ ხვალეს ჩვენ ახლა ვითენებთ. მე და შენ რომ ახლა ასე გადამხული მივდივართ, ვინ რას შეგვაცუობს ვინაა ჩვენს შორის ტყვე და ვინ მოალაფე. უკან რომ ამ გლეხების შაგიერ შეიარაღებული ჩაფრები მოდიოდნენ, მაშინ მე კი არ ვიქნებოდი ჰყვანი, შენ იქნებოდი, და მაშინ შენ დამარიგებდი ჰკუაზე, მაგრამ არა სიტყვით, ეს შენ ჩეულებად არასოდეს არ გქონია და რალა ეხლა გაიბდიდი. ტკბილი ქადაგების მაგიერ, მითრახებით ამიჭრელებდი ზურგს... ფუი, მეტრსა და აეს, რას ვბრონტავ, კაცმა რომ სთქვას? ღმერთმა იმ დღეს მეორეთ ნუ მომასწროს... პაიტ, შე აყლაყუდავ, შენ... ამსიმალღეზე რომ აგიშვერია ეგ თავი, მეორედ შეგნაირი აზრებმა თავში არ გავიიროს, თვარა თალგამივით გადაგათლი მაგ კოსერს!.. ერთი ამას დამიხედეთ ა, რაებს ფიქრობს თურმე. — და ასე ჩემს უსიამოვნო აზრებს მას ეაბრალებ და ანთიმოზმა არ იცის როგორ იმართლოს თავი, იღრივება საცოდავად:

— მე რას მერჩი, შეკაცო?.. შენ ლაპარაკობ და ბაეს მე მახდევინებ?.. — მთლად წახდა იგი და ეს ამ სიგრძე კაცი მუქის ოდენად მოიქცა.

— ჰო და ასე... კაცმა თუ ერთი თავი აიშვა, მერე გზა უნდა უტიო. მაშინ ის მოვარდნილი წყალივითაა. მეც ასე ვარ ახლა და, აპაიტ, მომერიდე, ანთიმოზ, მომერიდე, თვარა, ხომ იცი, რომ დიდათ არ შეხახეები!.. პატივისცემა და შორიდება იქონიე ჩემი!..

— კი, ჩემო ბათა, კი!.. პატივს რაეა არ გცემ, ძალიანაც მერიდება შენი, მარა ბევრიც რომ მომთხოვო, მეტი ამ ხელშემაორკილ კაცს რა ვამეწყობა?..

— აი ასე... — უწონებ მამასახლისს მორჩილებას. — სახლში რომ მივალთ, შენ იფი რა დიდებულ პატივს გეცემ. იმ მუქთა მქამელ თვალბრაწია პრი-

სტავს რომ აქმევე იმ ჭონებას, ჩვენ გვაქამე. ღვინოები ხომ კარგი გიქვს? ქათმები, ინდაურები, გოკები?... მაგრამ მოდი, ჯერ ერთი ეს ოხსარი შენთვის მომზადებ, შენი მათრახები გამახსენდა და ამეჭავა...—მაგრამ ხელები გეკრულა? ჭკონდა და რას გააწყობდა? ალბათ, გუნებაში თიქრობდა:

—ვაი დედასა, ამ შავ დღეში არ ვიყო, მე ვიცოდი მაშინ შენი ზურვის მოდებანა...

მე მაინც განვაგრძობ:

—რას იხამ, ჩემო ანთიმოზ, კაი გუნებაზე ვარ და ამიტომ მებადება თავში ასეთი ახირებული აზრები. ზოგი კაცი ბრიყვია, ჯიმა აჯამი, ნამეტანი ბრიყვი! ჩვენ რომ ახლა ასე მივდივართ ერთი მეორეზე გადაბმული, ვინც დავგინახავს. **●** ტყვის: ქეშმარიტად, ჭირი კირს გადაჰკიდებიაო. კჳითი რომ ყოფილიყავი ასე არ დაგეპართებოდა. ხომ გირჩევი, სულის საქმეებს სდიე მეთქი, შენ კი ბრიყვი გამოდგები. სულის საქმეების მაგიერ, ჩვენ ცოლებს დასდევდი ეს ყანჩასავით აყუდებული კაცი და მოყვასი, შენი თავივით რომ უნდა გყვარებოდა, ჩვენ კი არა, ჩვენი გოკები, ინდაურები და ქათმები ეგონა, შენც მოდექი და ისინი შეიყვარე... კაცო, ასე სულელი როგორ იყავი, რომ ცხოველებში ვერ გვარჩევიდი?... სულელი!.. შენ თავს დააბზალე, თუ ახლა ყველა ცოდებმა ერთად გამოგტეხა თავში. იმთავითვე წახდენილ საქმეს რაღა ეშველება? ჯერ სად ხარ, ჩემო ანთიმოზ, ამბავს შენ აწი უყურე. მართალია, მაღალი ხარ, მაგრამ სიმაღლე რას გეყოფა? შენი თვალის დავსება და ამოგდება უკეთ რომ დაინახო, ხეზე ბაწრით გადმოგკიდებთ და იქიდან გვიცქირე თუ რა ღვინი და ღვინი ვიცით ჩვენ, კუბაკებმა. ჩამოკიდებას რომ გაგიპირებთ, არ შეგვემინდეს, გული არ წაგახდეს, ცოტას თუ გაუძლებ, მერე ვერაფერს შეიტყობ. რა უყოთ მერე, შეკაცო, რამ შეგაშინა, ვაჟკაცი არა ხარ? რა უჭირს, ყველა სიკვდილის არჩივი ვართ, ზოგი ლოგინში კვდება, ზოგი ომში და ზოგი ბაწარზე. უნდა გამოგიტყუდე და შენ ვერ გამოდგები მაინცადამაინც იღბლიანი კაცი. რაც არ უნდა იყოს, ხეზე დაკიდებული სიკვდილს, ისევე ლოგინში სიკვდილი სჯობია. კურდღელმა რაც იკოქა, ის იხტუნაო, ასეა შენი საქმეც...—უბაასობთ მე და მამასახლისი რაც შეიძლება ტკბილად და ასეთ ლაპარაკში ისე მივუახლოვდით მის სახლკარს, რომ არაფერი შეგვეტყვია. როცა წინ, ათიოდე ტყვეის მოშორებით, ხეების სიხშირეში ცეცხლი ავარდა და წივილ-კივილი გაიხმა, მაშინ მივხვდი, რომ ჩვენები საქმეს უკვე შესდგომოდნენ.

მამასახლისმა ეს რომ დაინახა:

—ავაი, ჩემო ცოლო და შეილოვო!...—რომ დაიბღავლა. ყელგამოჭრილ მოზეროვით ავარდა, დავარდა და ბაწარი რომ ვერ აიწყვიტა, ფეხები მაკრატელივით გაშალა და სახლისკენ გაიქცა.

იმ ჩემი ცოდვით სავსეს იმსიგრძე ფეხები ჭკონდა, რას წამოვეწოდი? რომ გაიწია ერთი ისეთი მომიქნია, რომ მიწაზე სული თუ დამყვებოდა არ შეგონა, მაგრამ ვიშარჯვე, მოვასწარ წამოხტომა. შევატყე თუ არა, რომ მასთან ერთად სირბილი ხელს არ მომიცემდა და სადმე მოქნეულ ცინდალივით მიმასხმევენებდა ტვისს, ქარქაშიდან სატყვარი სახელდახელოდ ვიძრე, წელში ჩაბმული ბაწარი გადაუქერი და, თავი მშვიდობიანად რომ დავიგულე, გულს მომეფონა.

ყოენა თანდათან ძლიერდებოდა. მალე ერთი ალიაქოთისა და ხრიკოსი მაც მოისმა, ალბათ, მამასახლისი თუ მიიჭრა და მასპინძლის დანახვამ გემოეწვია ეს ალტაცება. შემეშინდა მასპინძლის გულუხეობა არ დამკლდებოდა. კარის კალთები ამოვიკარწახე და მეც იქით გავექეცი.

ეზოში რომ ჩაველ, ამბოხებულებს საქმე თითქმის მოეთავებინათ. ხელუხე მკერული მამასახლისი იქვე დაეგლოთ და მიწაზე თავმოკრილ ქათამივით ბათქუნობდა, უნდოდა ბაწარი აეწყვიტა და რომ ვერ წყვეტდა, ვარდებოდა და მიწას თავით ასკდებოდა. თან მოსთქვამდა ბლოდა განწირული ხმით და გამურულ სახეზე ცრემლები ტალახივით ჩამოსდიოდა. იქვე მისი დაწოკებული ცოლ-შვილი ეყარა. ბევრი, მეტად ბევრი შხამი და სიმწარე გვახსოვდა მათგან და ამიტომ ჩვენ გულს სიბრაღული ოდნავაც არ ეკარებოდა. აჯანყებულები არაფერს არ ინდობდენ, რაც გამოიტანებოდა და წაიღებოდა, გარეთ გამოაქონდათ და წასაღებად ინარაგებდენ.

სხვის ქონებაზე თვალი არასოდეს არ მჭერია და ახლა მამასახლისის ქონება რათ მინდოდა? პურმარილი სხვა საქმეა. მიყვარს, როცა კუჭი მძღარი მიქვს და სისხლში ღვინო ნაპერწყლებივით ტკაცუნობს. მაშინ სულიც მოღბენილია და კაცი კეთილ გუნებაზე დგება. კარგათ ვიცოდი, მამასახლისი თავშემონახული კაცი იყო. მარანში ძველი ღვინოები უხვად ჰქონდა მომარაგებული და მეც რას დავდგებოდი. ეზოში ჩასვლისთანავე იქით გავეშურე, ჭურს აყალო მიწით მოვლესილი თავი სახელდახელოდ გადავაგლიჯე და ხრიკა მომარჯვებული გვერდზე ერთგულად წამოვწყვიტე.

— ეს ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენი მამასახლისის ოჯახსა და მის დოვლათს... — ესვამ სადღეგრძელოებს და ორშიმოს ხარბად ვეწაფები.

— ეს იმისი ცოლ-შვილის გახარების იყოს...

— ეს მისი დედამის, აცხონოს ღმერთმა მათრ სული, ასეთი პირდაღლი და ამწოკებული შვილი რომ დაგვიტოვა.

— ეს ჩვენც გაგვიმარჯოს...— და ასე ვსვამდი და ვსვამდი სადღეგრძელოებს, რომ დაუღედი და კოპეს პირს მოვაშორებდი:

— ამა-პაია!..— აღმომზდებოდა კმაყოფილებით და წვერზე წურწურით ჩამოდენილი ღვინით გულ—მკერდი მეწუწებოდა.— დაილოცა შენი ძირი და გამოსავალი რა ტბილი ხარ!.. ეფუჟ, ჯიმაღეფი!.. ხალხნო, ჯამაითნო, გემუღარებით, ბათა გეხვეწებათ, ძეკია გემუღარებათ, დროს ტყუილუმბრალოდ ნუ დაკარგავთ! რათ გინდათ ეგ ქონება, სახლში რომ მიგაქვთ? ქარის მოტანილს ისევე ქარი წაიღებს! მოდით, აქ შემოკრებით და ეს პილატეს ცრემლი დავლიოთ... რის პილატე, რა პალატე, ეს ჩვენი ცრემლია, ოფლი და სისხლი! მაშ დავლიოთ ეს ოფლი, ეს ცრემლი და ეს სისხლი, დავლიოთ და შეგვერგება... რომ დათარეშობთ, რა გინდათ, რის მაქნისია ეს ამოება ამა სოფლისა? ამ ქვეყანაში დღეს ვართ და ვინ იცის ხვალ ვიქნებით თუ არა! წავართვათ საწუთროს ყველაფერი, რის წართმევაც შეგვიძლია და, რომ მოგვედებით, მერე ძალი მიგვაკვდება სამარეში... რათ გინდათ ეგ ავლადილება, სულერთია მიწაში არაფერს ჩაგვატანენ და დაღეული ღვინო კი დედის რქესავით შეგვერგება. პატარა ვართ, დედა გვზრდის, გავიზრდებით და ვენახი გვინახავს, რის ცოცია-

ლისტები ხართ არ მესმის!.. ამას იქით სხვისი საკუთრება კი არა, შენი არაა საჭირო. ასე ამბობენ ახალთაობის კაცები და რათ ზრუნვან შენ სხვისი ნაოხარი?... — ვეძახდი მეზობლებს, ვითათბირებდი, მაგრამ... ჩემთვის ახლა არ ეცალა. ამდენი ხალხში რამდენიმე კაცი აღმოჩნდა მხოლოდ გონიერი, ჩემს სიტყვებს ანგარიში გაუწიეს, გამიგონეს და რომ მოვიდენ, მიეჩინდი, ადგილი დაუთმე და ისინიც სულ ახლოს მოიკვჩენ ჩემთან და ასე, მუხლმორთხმულნი, ქურის ირგვლივ შემოკრებილნი და ხანძრით განათებულნი, ვსვამთ რიგრიგობით და ეს ცეცხლი იქ კი არ ანთია, იმ ეზოში, ეს ცეცხლი აქ ანთია ამ გულში. სული ტკბება მის სიაბოში და ეს სითბო ჩვენი სიყვარულია და იმედები. გათენების ხანს, რბევას რომ მორჩენ, ყველა ჩვენ მოგვეძალა და როცა ორშიმოდები არ გვეყო, ქულებით, ყაბალახებითა და მათარებით ამოგვჭონდა და ვისაც არც ეს ჰქონდა, ის სხვისი ყაბალახებიდან და ქულებიდან წურწურით გადენილ ღვინოს უშვერდა პირს და ისე იხვრიებოდა. ირგვლივ წელამდე ტალახი დადგა ღვინისა, მარანი თხილის ბუჩქნარით ვიწროდ იყო შემორაგვეული და ამ სივიწროვეში რომ ვერ ვეტეოდით, მთვრალეებსა და გაბანდალებულებს ფეხი ტალახში გვიცურებოდა, ვეცემოდით და, ადგომას რომ ვერ ვახერხებდით, ვგორავდით ამ ტალახში, ვქშინავდით, ვიგინებოდით და ემღუროდით გადაბრანგულები. მეც ვაგდივარ სხვებთან ერთად ამ ტალახში და, იქით მიწვეის თავი რომ არა მაქვს, ხალხი ზედ მიდგება, მაჯირგალებს, მთელაეს და ვემუდარები მათ: — მეზობლებო, კეთილებო, თქვენი ჭირი შეეყარა ბათა ქექიას, ცოტა იქით მიიწიეთ, თუო! ზედ რომ მიდგებით, ღმერთი, რჯული, ჯირკი არა ვარ, მეც თქვენსავით კაცი ვარ, ძვალი მაქვს, რბილი და ორივე მკტივია... — მაგრამ ვერაფრით რომ ვერ დაეარწმუნე, იმედი დამეყარა, ხელი ჩავიქნიე და მიუშვი ნებაზე. გადავწყვიტე, რაც მომივია, მომივიდეს მაგრამ, ამ დროს იმ გრძელთმიანი ახალთაობის კაცს მოვკარი თვალი და მისი დარიგება რომ ჩამეწვეთა ყურში, აებორგდი, აყვირდი:

— მომცილდით, ბაბა, მოგვეშვით!.. დაგვაყენე ჩვენთვის!.. რა დროს წესრიგია ახლა და დანდობა?... ხალხს თავი აგვიშვია, ზევეივით წამოვსულვართ და რა დროს შეჩერებაა? განა ზეავს უნდა რომ მიგორავდეს? არ უნდა, მარა სხვა გზა რომ არა აქვს? ამ ზევეივითა ვარ ახლა ჩვენ და რის სიბრაალული, რა სიბრაალული? განა ჩვენ ვებრალებოდით ვინმეს? ვინ უნდა შევიბრალოთ, ჩვენ ხორცის მკამელები? მერე რა უყოთ რომ ვინჩოზობით ამ ღვინოში? დაგვარჩოს, ბაბა, სული ამოგვხადოს ამ ღვინომ, როდის იყო რომ თევზს წყალში ახრჩობდენ? მართალია, მამასახლისის ქურბებში დგას ეს ღვინო, მაგრამ მაინც ჩვენი ოფლია, ჩვენი წანალღეტი და შენ თუ მართლა ავი და მაკვარანცი კაცი არა ვარ, რას გვიშლი? შენ რა გაგიფუქლებს, რომ ჩვენ ჩვენი ოფლით გული გავიხალისოთ? წადი, ბაბა, წადი და შენ გზას ეწიე!.. — და ასე რომ ელაპარაკობ, არ ვიცი რა ხდება ჩემს ირგვლივ. თითქოს დილაა, სინათლე უნდა იყოს მაგრამ, თქვენი ჭირი შემეყარა, ერთი გამაგებინეთ, სად მივდივარ რომ მივდივარ, ა? მომხედეთ, მიშველეთ!.. გათენების მაგიერ ბნელდება და რაა ეს სადღაც ყიფთში რომ მივექანები?

7

ერთ წელიწადზე მეტი ვინაფარდეთ ჩვენ ასე მინდორში ~~დასვენდნენ~~ ქა-  
რივით.

მას შემდეგ, რაც ერთ ღვემბერის ღამით ანაკლიაში უცხოეთიდან კონტ-  
რაბანდათ ჩამოტანილ თოვ-იარაღი ჩამოვირიდეთ, მთლად ავიშვით თავი; მა-  
ღლა ღმერთს არ ვცნობდით და ძირს ხემწიფეს; რაზმები ერთი ორად გაფა-  
ძლიერეთ და ვაი დედამისის შვილს ბრალი, ვინც ახირებულად სიტყვას შემო-  
გვიბრუნებდა და ერთობას გვიგინებდა.

მთელი მოსახლეობა ჩვენ ამოგვიდგა მხარში და ახალგაზდა, რომელსაც  
თოვი არ ჰქონდა ხელში, დღე მუდამ იმის ოცნებაში იყო სად ეშოვა იგი,  
რომ ისიც წითელ რაზმში ჩაწერილიყო და თარეშად გამოსულიყო შემამულეებისა  
და ყაზახთა მფრინავი რაზმების წინააღმდეგ.

სოფლები აღგენ ერთიანად და ქალიან-ბაღნიანად მღეროდნენ:

ვარაიდა, ვარადა,  
ღვტუშების კამანდა...

ჩვენ ზღვასავით ვიყავით ამდგარი და ამ ზღვა ხალხს ანაკლიაში ჩამო-  
ტანილი სამასი თოფი რას გვეყოფოდა? ეს ცვარი იყო ზღვაში ჩაწვეთებული,  
მაგრამ ჩვენ ამაზე არც თუ ისე ვწუხდით, რადგან ვიცოდით: ეს ცვარი ისეთი  
იყო, ჩვენ მტერსა და ღუშმანს დასაბრძობად რომ ეყოფოდა.

რაც დრო გადიოდა, თავს უფრო და უფრო გავვდიოდა, გულს ძალა და  
ჭადილი გვემატებოდა და ამ ძალითა და ქაღილით ეს მთა და ბარი სულ ნა-  
ცარ-ტუტად გავგქონდა.

შემამულენი, თავდაზნაურობა და ხუცები წახდენ შიშით. თუ უწინ ჩვენი  
ღვთის წყალობა ხეთის რისხვად მიანდათ და თაკილობდნენ, ახლა ჩვენ ვიყავით  
მიზეზზე.

ჩვენ ჩვენი ხელთავეები დაენიშნეთ, ასისთავეები და ათისთავეები. სადავო სა-  
ქმეებს საქვეყნოდ ვარჩევდით და ხემწიფის სუდიის კაცებს არაფრად ვაგდებ-  
დით. ან სად იყენენ ისინი, კაცმა რომ სთქვას? ყველა სოროებში ჩაძვრენ ვირ-  
თხებივით. ასამდე კანცელარია დაგწვით მთელ ოდიშში, მოვაობრეთ და მი-  
წასთან გავასწორეთ. პრისტავებსა და ჩაფრებს აპელატები ჩამოვახიეთ, მამასა-  
ხლისებს ჯაჭვები ჩამოვაგლიჯეთ კისერზე, ხუცებს ჯვარი და ანაფორა და,  
ვინც არ დაგვმორჩილდებოდა, ძალა ჩვენ ხელში იყო და ძალით ვიმორჩილე-  
დით. წინააღმდეგობის გამწვევთ და ჯაშუშებს ვხოცდით და მათი ხორცი შე-  
საქმელად არ გვეზარებოდა. მხდალსა და გლეხის ჯილაგზე გადამდგარს ბოი-  
კოტს უცხადებდით.

თუ სადმე მარჯვე ბიჭები გვეგულვებოდა, დავარჩიეთ, დავასილაღეთ, ძველ  
რაზმებს ახალი მიუმატეთ და ვინ იქნებოდა ისე თავაღებული, ან წერაატანი-  
ლი, რომ გაბედავდა და გზაზე გადაგველობებოდა? ჩვენ მოვარდნილ მღინარე-  
სავით ვიყავით და, ვისაც დალუპვა არ უნდოდა, თან უნდა გამოგვეყოლოდა.

როცა შემამულეებმა და მათმა ამფსონებმა ვერაფრით ვერ დაგვითათბირეს  
და ვერავითარი ხიზანი მოგვიწყვეს, რაზმში ცხვრის ქურკში გაბეული  
ხედა შელია შემოგვაპარეს. ბევრი ვიყვირე მაშინ, ქვა ცაში ავაგდე და თა-  
ვი შეუშვირე, ვიცოდი მისი რაზმში შემოსვლა კარგს არას გვიქადდა, მაგრამ

არ დამიჯერეს, მაინც მიიღეს და, როცა მან ლალატით კანჯეს, მოგვიკლა და ფოთს თავი შეაფარა, ჩვენ მისი სიხლი მოგვეწყურდა და ჩვენც მარჯვე ბიჭით თახ დაეადვენეთ. სად წაგვივიდოდა? ქვესკნელში რომ ჩამძვრალიყო, ქვესკნელში ჩავყვებოდით და იქიდან ამოვათრევდით. გედენია ფოთის წითელ რაზმში მუშაობდა. მან ითავა ეს საქმე, მიაგნო მის კვალს. ის მოლაღატე და ჩვენი ძმის მკვლელი ბულვარში ნარდს რომ თამაშობდა, ისე ძეძვა „ფითოფირი ბერლინ-გერმანია“ და მიწაზე უსულოდ დააწვინა. მეც გედენიას ვახლდი და ჩემი თვალთ ვნახე, როგორ ჩამოწყდა იგი უსულოდ სკამიდან და წამოპირკვავებულ ნარდი და სპილოს ძვლის სათამაშო ქვები როგორ დაახვავა თავზე. ახლოს რომ მიველ, ცალი კამათელი ჯერ კიდევ ხელში ეჭირა და მეორე იქვე ეგდო ფანჯით.

— ჰაიტ, შენი ბინძური სული არ იქნა!.. ძმაკაცი მოგვიკალ, მარა, გეტყობა ყოფა, არც შენ გალოღეთ დიდხანს ამ მიწაზე!.. — შეუქურთხე, მინდოდა წიხლი ჩამეზილა, მაგრამ თავი შევიკავე, რაც არ უნდა იყო, მაინც მკვდარი იყო, შემოვბრუნდი და ვდურთე შესახვევისაკენ. რომ მოვბრუნდი, შეშინებული ვაჭრები დუქნებს ჰკეტავდნენ და იყო დარაბების რახუნნი ვის ეცალა ახლა ჩვენი დასაჭერად, როცა ყველა საროებში იყო ჩამძვრალი?

ამის შემდეგ რაზმის ათისთავად მე ამირჩიეს და მერე, ჰაიდა ჰაი, მე რომ ამბები დავაწიე! მოვითაოეშეთ მთელი ქვეყანა, აფხაზეთიდან იმერეთ - გურიამდე ჩვენ ვიყავით ქვეყნის ბატონ-პატრონი. მივარბიეთ ყველაფერი, ავიკლით. ცეცხლ მივეციოთ და ქარს ტრამად გავატანეთ ჩვენი ბატონების ოხრათ ნაშოფნი ჭონება და ავლადიდება. ოდები, დოხორეები და შრამელები გადაურუჯეთ, ცხენები წამოვიყვანეთ, ჯოგი შეუჭამეთ, ხარები და ძროხები ღარიბ გლეხებს დაურჩეთ და ნალიები გამოვხაბაკეთ. მიწები ჩამოვართვით და ისე დაეტოვეთ გალოკილ თითოვით. ჩვენი დაწყნარების საშველი რომ არ იქნა, მაშინ ბატონებს ქოთისიდან სალდათი მოაშველეს, მაგრამ ანგარიში წაუხდათ, ეს სალდათები ჩვენი ძმები იყვნენ, შვილები და თოფს რას გვესროდნენ? მაშინ მათ მაგიერ ყაზახები შემოგვისიეს და აშკარა ომი რომ შეიქნა, სოფელში აღარ გვედგომებოდა, ტყვე გაველით და იქიდან მიემართეთ ხალხს შემდეგი მოწოდებით:

— ხალხო, შრომელებო, მუშებო და გლეხებო, არავითარი მთავრობა, გარდა თქვენი არჩეული კაცებისა, მთავრობად არ სცნოთ, გადასახადი არ გასკეთ, თვითულმა სულმა თემის მიერ დადგენილი გადასახადი ერთობის საღაროში შეიტანოს, მემამულეებს სანადელო, საიჯარო და საბაზინო გადასახადი არ გადაუხადოთ, ხუცები გაპარსეთ, ეკლესიები დაქვრეთ, კანცელაოიები აიკვლით, პატიმარი არაათრის გზით არ დაანებოთ, შეიარაღდით, შეიარაღდით, რათაც არ უნდა დაგიჯდეთ და ყოველ წუთში მზად იყავით საერთო აჯანყებისათვის! ძირს სიხლის მშენებნი! გაუმარჯოს ახალთაობას!

ეს მოწოდება ანთებულ ჩინჩხალივით ჩავარდა ისედაც წვიპზე შემდგარ ხალხში. მთელი ოდიში ფეხზე დადგა და ღამით თეკლათის კალთებიდან რომ გადახედავდი, ქვეყანა დღესათვის იყო განათებული, იწოდა მებატონებისა და მოლაღატეთა სახლ-კარი. ავირდინილი ალი დაღლილ კუბაკივით ლოკავდა დაბ-



ლა დაწეულ ნისლიან ცას ეს კუბაჲი ჩვენ ვიყავით, ჩვენ ელოკავდით ამ ზამთრის ნისლიან ცას და პირიდან ბრაზის ლოშქრი გედლიოდა.

არც იმ გამდიდრებულ ბობოლა გლეხებს ეინდობდით, ჩვენ რომ გადავადგვიდგენ, თავის გვარსა და ჯილაგს ფეხი დაადგეს, ამორდიასთან აზნაურობას ეძებდენ და მემამულეებსა და აზნაურებს გვერდში ამოუდგენ. ჯერ ბოიკოტს უტყობდით, როცა არც ეს სჭრიდა, მაშინ სახლ-კარს თავზე ვაწვავდით და ეზოს უპარტახებდით.

ზუგდიდისა და სენაკის მაზრა ჩვენს განკარგულებაში იყო. ოდიშში რესპუბლიკა გამოვაცხადეთ. მხოლოდ ზუგდიდის მაზრაში ოცდათუთხმეტი სოფლის კანკლარიიდან თორმეტი მთლად გადავუბგეთ, რვა მიწასთან გავასწორეთ, ყველა საქმეები გარეთ გამოვიტანეთ, ცეცხლი წაუკიდეთ და ზამთრის ყინვიან ღამეებში ზედ გათოშილ ხელებსა და ზურგს ვითბობდით, ვხუმრობდით, გვიბაროდა, მიტომ რომ ჩვენ ხვალინდელი დღის მოიმედვე ვიყავით და ვიცოდით ეს ვალ ჩვენი იყო და ჩვენთვის მუშაობდა.

იმ წელიწადს ზამთარი იყო ავი და რჯულძალდი, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო გავძაღვდით. დღე ისე არ გავილოდა, რომ ყაზახებთან შეტაკება არ გვექონოდა. ბევრი დაგვაკლდა ამ ბრძოლაში. ჩემი ქვისლი ბასკან უჩარდია მოჰკლეს, მოჰკლეს ღალატით ჩვენი ასისტავიც გურული ესიკა ქილიფთარი, გამოგვაკლდა ჯვებე ტაბალუაც, ზოგი ტყვედ ჩავარდა, ზოგი ჯგზო-უკვლოდ დაიკარგა, მაგრამ ჩვენ პირს კიდევ უფრო ვიმეხებდით და ერთის მაგიერ ათი მოდიოდა, რადგან ვიცოდით იქ, სადაც თოფი გავარდება, კაციც უნდა მოკლეს და ჩვენ, მართალია, ვიხოცებოდით, მაგრამ სამაგიეროთ ერთი-ათად მეტს ვხოცდით.

ერთ დღეს, როცა სამტრედიიდან ორი ჩვენი მოამბის რკინისგზის მემანქანის ვერაგულად მოკვლის ამბავი მოგვივიდა, ცაში თოფი ვისროლეთ, განგაში აეტეხეთ და სოფელში მათი ხსოვნის პატივსაცემი მიტინგი მოვაწყეთ. მიტინგზე ფიცი დაედეთ რომ არაფრის გზით მტერს მათ სისხლს არ შევარჩენდით. გადავწყვიტეთ, რომ სისხლს ისევ სისხლი ჩამორეცხს და მეტის მოთმენა აღარ შეგვიძლია, დროა გადაწყვიტი ბრძოლა გამოვაცხადოთ და ან ჩვენ უნდა ვიყოთ, ან ისინი, ისე ცხოვრება არ გვიწერია.

ეს იანვარის ღამეს მოხდა და ასე რომ ვიყავით ყაყანში, უეცრად სამტრედიიდან ჩამოსული კომიტეტის კაცი მოვიდა და ამბავი მოგვიტანა, რომ მოსკოვ ქალაქში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო, მუშები ქუჩებში გამოვიდნენ, იბრძვიან და კომიტეტი მოგვიწოდებს ადგილიდან დავიძრაოთ, სალაშქროთ გამოვიდეთ და ან ქუთაისი ავილოთ, ანდა თავზე დედაკაცის მანდილი დავიხუროთ.

— მივშით შალას, მივშითა!...—ასბრიალდა ხალხი ამ ამბავზე და ყველა მზად იყო. სოფელში მაშინვე მარჯე ბიჭები ჩამოგკრიფეთ და მეორე დღესვე უთენიაზე სამტრედიის გზას დავადექით. მივდიოდი სიმღერით, ყაყანით. მიწაზე ახალი თოვლი იყო, მაგრამ ძირს ვერ იკიდებდა და მუხლებამდის მივებოტებოდით ამ გამლხვალ თოვლში და ჭყაპში.



ასეთ გზაზე კაცი კი არა კამეჩი ვერ გაიარდა, ამიტომ მოხერხებულ ადგილებს ვეძებდი ფეხის დასადგმელად და ყველა ისე ვიყავით გარტყობილი, ამ საკმეში რომ მივდიოდით ჩემად, ხმის ამოუღებლად და მხოლოდ ჩვენი ფეხების კაპაპუნის ისმოდა ირგვლივ. ილორის მთავარ ანგელოზის ეკლესიას რომ გავცდით და ასე, ხაზოზე დაშვებულნი, ცენიწყლის ბორანთან რომ უქდა მივსულიყავით საჭილაოს ხე-ტყის ჭრხანასთან საწყალი კაცანა ესაკიას ბიჭი წამოგვეწია, ავხედ და მხარზე მამამისის თოფი რომ დაუნახე, გამიკვარდა.

— შენ აქ რამ მოგიყვანა, წიე?

— მეც თქვენთან მოვალ და იმან...— მომიჭრა მოკლედ და თხელი ტუჩები მღელვარებისაგან მთად გაუფითრდა.

— რაოო? ჩვენ სათამაშოთ კი არ გვცალია, ომში მივდივართ!— შეუტეე ბიჭს განრისხებულმა. ჯერ მამამისის ცოდვა მწვავედა გულს და ახლა ამ ბიჭის ცოდვა-ლა გვაკლდა.

— მეც ომში მოვდივარ... თამაშობის კბილი კარგი ხანია რაც მოვიცვალე რაეა, სხეზე ნაკლები სროლა ვიცი თუ? მერე რა უყოთ, რომ თექვსმეტი წლის ვარ? ერთი კაცის ოდენ საქმეს მეც გავაკეთებ. სისხლი თუ არ ავიღე, ისე თავი არ მინდა ცოცხალი...— მიპასუხა მან და უწვევრული ლოკები აელეწა, თვალები მუგუზლებივით აენთო და ეს ძუგუზლები იქ ენათო, ჰე, თვალებზე გადმოფენილ შუბლის ძვლის საღრმეში. გზაში სიარულისაგან დასცხობოდა და მაღალ შუბლზე ოფლის რამოდენიმე წვეთი გასციებოდა. რომ შეხედე, მისი ფეხები მამა გვახსენდა, ამიტომ მისი სიყმაწვილე კიდევ უფრო დამენანა და შევივედრე:

— ყური დამიკდე, ჯოგო, ვისი სისხლი უნდა აიღო, ბაბა, შენ, როცა საწყალი მამაშენის სისხლი დიდი ხანია რაც აღებულა?.. წადი, ბაბა, სახლში წადი და შენს ოჯახს უპაჯრონე. დედაშენს შენს მეტი არაფერი გააჩნია და რათ გინდა რომ ახლა დამწვარზე კიდევ მღელვარე დაასხა? შენი თავი თუ არა, დედაშენი მაინც შეიბრალებ...

— აუუ!— შორს დაიჭირა ჩემი სიტყვები ჯოგომ.— დედაბერი ხომ არ ვარ ასეთ დროს სახლში ვიჯდე? შეილი ვარ და ბაბას სისხლი მე მადევს ვალად. სხეი მე არ მეკითხება, სანამ არ ავიღებ, ჩემი მოსვენება არ იქნება.

— კი მარა.— მოგტყდი მე, როცა შევატყე რომ ლაპარაკით არაფერი, გბოვია.— მე რომ ვითხარბი არ წამოხვიდე მეთქი, აქ საიდან გაჩნდი?

— აქამდე უკან მოვდიოდი ნამალავად. ამდენი გზა რომ გამოვიარეთ, ვიფიქრე, აწი რაღას იზამე, უკან ხომ ვერ გამაბრუნებენ მეთქი და გამოვიჩნდი.

— პაიტ, შე ბალაგარო, შენ...— შეუტეე კენას ბიჭს ალერსიანად.— წამოდი, ბაბა, წამოდი, მარა იცოდე. ფრთხილად იყავი. უჩემოდ არაფერი გაბედო. მე რომ ვიბრძანო, ისე გაისარჯე, თვარა, ხომ იცი, ასისთავი ვარ, არ იფიქრო რომ შენი მორიდებ მქონდეს! ნაობაბში გამოვალვობ. აბა, წადი ახლა და შენი მეზობლები მონახე!



სამტრედიაში სალამოთრეულ ჩაველით. იქ გურიის, ფოთისა და სანჯინის წითელი რაზმები დაგვხვდნენ.

სადგური და რკინიგზა რაზმელებს ჰქონდათ გაკავებული. სამეგრელოს წითელი რაზმის მთავარი ნაწილი წინ იყო წამოსული და ჩვენც მას შეუერთდით. რაზმის ხელმძღვანელად კონწო ქეთარაძე და იასონ ჩიხლაძე გვყავდა. ჩემი შვილი მურზაც იქ იყო, ის ხეისთავად იყო. მე ისევე ასისთავად დამტოვეს.

სადგურში იყო გამუდმებული სირბილი, ფაცა-ფუცი,—ყველა საომრად ემზადებოდა.

ზოგი იარაღს სწმენდდა, ზოგი კედელზე გაკრულ ახალ პროკლამაციას კითხულობდა, აქ გურულები ლაპარაკობდნენ, თუ რა ამბავი დაუწიეს მათ თავის ბატონებს, იქ რამოდენიმე კაცი ბუფეტის გრძელ სკამზე მიგდებულყო და სიცივისაგან ოთხად მოკრუნხულ ძიგძიგს აკრანა და ისე ეძინა.

ყველას გული გვიწუხდა, ერთ ადგილას ვერ ვისვენებდით, სული მიგვდიოდა თუ როდის გათავდებოდა შტაბის ეს გაუთავებელი სხდომა, როდის მივიღებდით ბრძანებას და მტრის პირისპირ შესახვედრად გავემართებოდით.

მე ჯოგოს ვაკეხედე, თუ რას შერებოდა იგი. ახალგაზდა იყო და პატრონობა სჭიროდა. როცა სროლაში მოვარჯიშეთა შორის დავინახე, დავმშვიდდი. ის მგლოვიარედ იყო მამაზე, ხმას არ იღებდა, ტოლიც არავინ ჰყავდა, ყველა მასზე უფროსი იყო და მის შავს დაღვლიანებულ თვალს რომ დავინახავდი, გულს რალაც მრეჩხავდა. ეხლაც ასე რომ უტკეროდი, ალბათ, იაზრა, მოიხედა და დამინახა თუ არა, ერთი მორიდებულად გამილიმა, მერე დაიბნა, მოვარჯიშეებს გამოყოფა და ჩემკენ გამომართა. რომ მოვიდა, მორიდებულად შემეკითხა:

— ხომ ძალე გავალთ, ბიძია, ომში? ისე იყო ატაცებული, რომ არ მომეწონა.

— კაცს ომში სული არასოდეს არ უნდა მიგდიოდეს. ომის მოყვარული ომში მოკვდება!—

— მაგ საქმეს შენ კაცი არ გეკითხება!...—მიუგე გაგულისებულმა! ეს ბაღანა რალაცა წარუტანლივით იყო დღეს და არ მიამა. — რა უჭირს მერე?.. ბაბაც ხომ ომში მოკლეს... — შენ ერთი იმჩვენ ბიჭებს უთხარი, ვისაც იარაღი გაწმენდილი არა აქვს, გაწმინდოს და ყოველ წუთს მზად იყონ. ვინ იცის რა მოხდება. მე მანამ შტაბში წავალ და ამბავს შევიტყობ....

შტაბში რომ შეველ, ის იყო სხდომა სრულდებდა. სამეგრეოს და ფოთის რაზმების ხელმძღვანელები ავი ძალღვივით იყვნენ აღრენილნი. თურმე შტაბს ამ რაზმების დროებით სამტრედიაში დატოვება დაედგინა მარჯაფად და ამაზე იყვნენ ასე გაგულისებულნი.

სანამ ზესტაფონისაკენ გავემართებოდით, ქუთაისის აღება იყო საჭირო. ერთ რაზმს ხონის გზით უნდა მოეარა მისთვის და მეორე რკინიგზით. ქალაქს რომ ავიღებდით, მერე ზესტაფონს უნდა მივშველებოდით, სადაც ყახახთა ტენგისკი პოლკი დათარეშობდა და ახლა მახლო სოფლებს არბეცდა.

ყველაზე დიდ ამბავში ხონელები და გურულები იყვნენ. ყველაზე მეტს ისინი ქაქანობდნენ, დავობდნენ, ცხარობდნენ და ბოლოს მაინც იმდენი ქნეს,

რომ წინა რიგში ისინი მოექცენ. პირველად მათ უნდა დაერტყათ ქუთაისისათვის. დაგვიარეს მეგრელები. რით ვიყავით ჩვენ მათზე ნაკლები? ჩვენც ისე გვერჩოდა, როგორც იმათ. მტრის შეხვედრა ჩვენც ერთნაირად გვიწოდოდა, მაგრამ შტაბის ბრძანებას ხომ ვერ გადაუხვევდით? ცოტა ვიბუზღუნეთ, ვიდავეთ, ვიყაყანეთ, ორიოდ მკვახე სიტყვითაც გაუმასპინძლდით ხონელებსა და გურულებს, მაგრამ ჩხუბით და აყალმყალით რა გამოვიდოდა? ჩვენც ავდექით და გავჩუმდით.

იმ დღეს ცოტა კიდევ წამოთოვა და ასეთი სიცივე იყო, რომ კაი პატრონი ძაღლს არ გააგდებდა გარეთ. აი მატარებელიც მოაყენეს ბაქანს და ატყდა ერთი ვაი-შეველებელი, ყველას ერთად უნდოდა შესვლა ვაგონში და, რომ ვერ ახერხებდა, იყო ერთი ჩხუბი და ყალია. ნახევარზე მეტი უთარალო იყო, მაგრამ ამას ახლა ვინ დაგიდევდა? ვისაც არ ეზარებოდა, ყველა მიდიოდა და მიდიოდა იმედით, რომ თუ რომელიმე თოფიანი დაიჭრებოდა (სიკვდილზე არავინ ფიქრობდა), მაშინ ის იქნებოდა მისი მონაცვლე.

ორთქლმავალზე ძველი ფირალობაში გამოცდილი ყუმბარების მსროლელები ავიდნენ. წინ, საკვამურთან, ერთი თავით ფეხამდე შეიარაღებული რაზმელი იდგა დროშით და ორთქლმავალი რომ დაიძრა ბოლი ცაში ავარდა და ბოლთან ერთად ეს წითელი დროშაც აფრიალდა.

ასე დავრჩით ჩვენ სამტრედიაში მარჭაფად და ბრაზით სულ თითებს ვიკებნდით, რომ ჩვენც იმ მატარებელში არ ვიჯექით, ეხლა რომ სემაფორს გასცდა და გაძარცულ ალვის ხეების სიხშირეში მიიშალა.

ვიდექ და გავეცქეროდი ამ ლარტყივით გასროლილ ლიანდაგს და, კი არ ვფიქრობდი, ვიყავ ისე ჩემთვის გარინდებული, რომ ამ დროს ბუფეტისგან თოფის ხმა მომესმა.

—რა ამბავია?...—გავიფიქრე.—ვინმე არ დაშავდეს!—მაგრამ ყურადღება მაინც არ მივაქციე... ვინ იცის ვინ რატომ ისროლა თოფი, მის გამოძიებას ხომ არ დაეიწყებოდა, თუმცა დენტის უბრალოდ დაწვა სასტიკად იყო აკრძალული? და ასე, ნელი ნაბიჯით გავემართე ბუფეტისაკენ, რომ ამ დროს ერთი რაზმელთავანი გადაფითრებული სახით მოიჭრა ჩემთან, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ვერ ახერხებდა.

—ჯოგო... ჯოგოლია ესაკია...—ბუტბუტებდა რაღაც უაზროს.

—რა მოხდა? მოკალით?...—შეეძახე გულგადაღელუმა.

—დაიჭრა, ამბანავს თოფი გაუფარდა...

—ავაი, ჯიმა ლურელი!...—აღმოჩნდა სიმწრით და ბუფეტისაკენ გავიქცევი. ერთ წუთში ათასმა აზრმა გამიარა თავში. თვალწინ დამიდგა სულ მთლად ნორჩი, პირტიტველი ახალგაზდა ანთებული თვალებით, უღეთოდ მოკლული მამის სისხლის ასაღებად, რომ წამოვიდა. გამახსენდა ის ღამეც, მონაზონი კესარია რომ იწოდა და სახლის თავიდან ძლივს, რომ ჩამოვიყვანეთ. გულს რაღაც შემოამეჭირა ცხლად და სუნთქვა გამიჩერდა. არავისთვის არაფერი მიკითხავს, რა დროს გამოკითხვა იყო? არც ვიცი როგორ შევარდი ბუფეტში. ბუფეტის ორი მარმარილოს მაგიდა ერთი მეორეზე მიედგათ. ჯოგო ზედ დაეწვინათ და მარმარილოზე დაღვრილ ცხელ, ჯერ კიდევ ცოცხალ სისხლს ორთქლი ასდი-

ოდა. იქით, კუთხეში, მის დამკრულ რაზმელს აკავებდნენ. თავის მოკვლა უნდოდა, მაგრამ არ ანებებდნენ. რომ მიველ, საწყალობა ბიჭმა ერთმანეთსავე შევინებდა, მერე თვალები მუდარით აეხსო და ამ შემოხედვაზე გულს მტკილარე ვაღამეველო. ვინ იცის რას მემუდარებოდნენ ეს თვალები, იქნებ, სიცოცხლეს? საწყალი ბიჭი, მამა მას არ ჰყავდა და დედა შორს იყო. და ახლა, გაკირავებულს, ალერსი უნდოდა და დაყვავება, იმიტომ რომ დაჭრილი და ბავში ერთია. აგრევილდი, მაგრამ მისთვის გული რომ არ წამებდინა, თავი შეეკავა, მიველ და შუბლზე ხელი დაეადე.

— რავე ხარ, ბაბა, ა? არ შეგეშინდეს, შეკაცო, აგერ არა ვართ? ჰაიტ-შე ჩიჩია, გული ასე რომ წაგიხდინა? — და მე თვითონ არ მესმოდა სად ვპოულობდი ამ სიტყვებს, როცა გული ჯავრით მისკდებოდა.

— ვოუ, ნანა!.. — ამოიგვეშინა მან იმედდაკარგულმა, თავი იქით გაიდაჰკიდა და ფანჯარას გახედა. გარეთ თოვდა. უცქირა ამ თოვლს, უცქირა, მეორე მომიბრუნდა, ნალვლიანი თვალები შემომანათა და უმწეოდ გამილიმა.

— თოვს!.. — წარმოსთქვა მან წყნარად ისე, თითქოს ამის უთქმელად თოვლი ვერ მოვიდიოდა და ეს აუცილებელი რამ იყო თოვლისათვის.

— დამახურეთ!.. მცოცა!.. — ამოიკენესა მან თავისივე სიტყვის პასუხად, მაგრამ, როცა ნაბადს ახურავდნენ, დაიმაწკა და ხელები სიმწარით აასაყავა: — არ მინდა!.. ნუ მახურეთ!.. — ერთხანს დუმილი ჩამოვარდა, სადღაც ვილაკამ ამოიობრა და იქ, გარეთ ჩამოძინდილ ალვის ხეზე ყვავი შემოჯდა, მაგრამ აჩონჩხილ ხეზე ჯდომა რატომღაც არ მოეწონა და გაფრინდა.

— ვიცი!.. ვიცი!.. — და არ სთქვა, დაიკენესა ჯოგომ.

— რა იცი, ბაბა? — შევეითხე უადგილოდ და მივხვდი რომ სულელური იყო ჩემი შეკითხვა, და სხვების გაცხებულ თვალებს რომ შევხედე, კიდევ უფრო უადგილოდ მომეჩვენა ეს ჩემი სიტყვები.

— ნუ გეშინია, ბაბა... — ეცადე ამ უხერხული სიტყვის დაჩრიდლვა, მაგრამ ესეც უადგილოდ მომეჩვენა და გაეჭმდი.

— წყალი!.. წყალი!.. — და თითქოს ამ სიტყვამ წამოაყენა, წელში გაიშართა, ხელში ხელი მიტაცა, მომიჭირა, დაიმაწკა, ერთი ღრმად ამოისუნთქა და მოწყვეტილი რახუნით დაეცა ცივ მარმარილოზე, არ განძრეულა.

ასე მოკვდა საწყალი ჯოგო ესაკია. რა გინდოდა, წიფე, რომ მოდიოდი? ხომ გეუბნებოდი, ნუ წამოხვალ-მეთქი. ფუი, არ ვარგებულხარ, ბაბა, ყაძახათ, არ ვარგებულხარ და ესაა. დამნაშავე ხარ შენ ჩვენთან, დიდი დამნაშავე და, სახლში რომ მივალთ, არ იფიქრო, რომ ამ საქმეს ასე დავტოვებთ. პასუხი უნდა აგო, ჩვენ რომ ასე დავგწვი გული და შენ ტოლ-ამხანაგებს გამოეთიშე?.. რით ვანუგეშოთ ახლა დედაშენი? ქმარი ხომ მოვეუკალით, ახლა შენც?.. ფუი, გლახა ყოფილხარ, ბაბა, გლახა, მე კი კაი მეგონე! ასე ვლაპარაკობ მე ჩემთვის და საწყალი ბიჭი სახლისკენ ურმით რომ წაიღეს, ვერ გაუძელი, გული ამიდულდა, მიგდექი კუთხეში და ვიტირე ამდროულმა კაცმა.

შუალამის გადასული იყო.

ჩვენ ისევ სადგურში ვყარეთ. ზოგი ბუფეტის დაზღაზენილი ზოგი შიშობილად, ზოგი სკამზე, ზოგი დასტანდაზე და დანარჩენები იატაკზე. არსად უცხოის ჩასადგმელი ადგილი არ იყო, რომ კაცს გაეგრა.

ამდენი ხალხის სუნთქვით ჰაერი მოიწამლა და ისე ჩამოიხუთა, რომ ამ უზარმაზარ დარბაზში სუნთქვა სჭირდა.

მეც ვიწევი, მაგრამ თვალს რული არ ეკიდებოდა. ჯოგო ესაკია არ შორ-რდებოდა ჩემ ფიქრებს.

— საწყალი ბიჭი, საწყალი ბაღანა!...—ვიმეორებდი ფიქრებში ერთს და იმავეს და ეპირებულავით.

გარეთ სიწყნარე იყო. გაციებულნი ორთქლმავლები იდგნენ ზოგი ლიანდაზე, ზოგი იქვე ღუპოსთან და მიკვირდა რა საჭირო იყო ამ სიწყნარეში და უმოძრაობაში ეს დღესავით გაქათათებული გაზის სინათლეები.

მამლებმა ერთი პირი იყიველეს, მერე გადასწყვიტეს, რომ საჭირო არ არის და გაჩუმდნენ.

სადღაც ძალღი აყუფდა უმიზეზოდ, ალბათ, რამე მოეჩვენა, ან დაესიზმრა, ან და უბრალოდ, გაახსენდა რომ! ძალღია და, როგორც ძალღს შეფერება აყუფდა. მეც აყუფე ფიქრებით ამ ყუფას და წაველ და ეს ძალღი კი არ იყო, ამ შუალამში რომ აყუფდა, ეს მე ვიყავ, ჩემი ფიქრები იყო.

ყველაფერი ერთად გამახსენდა, ჩემი ფაცბა, ოჯახი და ეს ოხერი ფიქრები უშნოდ გადაება ერთი მეორეს და, თუ არ მოვიცილე, ვიცი ჩემი საშველი გრ იქნება.

ჯოგო, ალბათ, უკვე მიასვენეს სახლში და საცოდავი დედამისი ვინ იცის რა დღეშია ახლა.

— ვაი დედაშენს, შეილო!...— აღმომხდა ხმამალლა.

— რა იყო, ბათა?...— შემეკითხა იქვე ჩემს მახლობლად მავიდაზე მიწოლილი კერანდუბუ.

— არაფერი, არ მეძინება, ნეაერი!...— ეუბასუხე სასოწარკვეთილმა და საწოლზე გვერდი მოვიცვალე.

— ფიქრებს გულს ნუ უკვებ, ბათა, ფიქრებს ნუ აპყვები და დაგეძინება.

— მიჩნია, მერე გადაბრუნდა და გულდაგული ზერინი ამოუშვა.

— გულს ნუ უკვებ...— ვფიქრობ ჩემთვის. — ადგილი სათქმელია... ბიჭი ხარ და ნუ იფიქრებ ასეთ მდგომარეობაში... რაფა, ჯირკი ხომ არა ვარ, ან ზეადაგი, არ ვიფიქრო! — ესაყვედურობ კერას ფიქრად წასული. — უკან სოფელი, დანიტოვეზია, ოჯახი, კერია, წინ ომი და ვინ იცის რას შერებია ახლა ისინი, ამ დღით რომ გავიდნენ აქედან. ალბათ, ახლა გახურებულ ბრძოლაში არიან და ვინ იცის ვისი დედის თვალებში ატირდება ზეალ დღითი კიდევ. იქნებ უჭირთ რამე, ძმური დახმარება უნდათ, ჩვენ კი აქ ვართ და გვიძინავს არხიხად.

ეებს, ბაბა, უნდა გამოვიტყუდეთ და გულმოსული ვარ თქვენზე, ძალიან აულმოსული. რა იქნებოდა ჩვენც თქვენთან ერთად რომ ეყოფილიყავით? ვის რა დაუშავდებოდა ამით? გაკვირებაში ძმობას გაგიწევდით და, თუ სიკვდილი იქნებოდა, ჩვენც თქვენთან ერთად მოგვდებოდათ. გემდურით, გურულეობ თქვენც გემდურით, ხონელებო. რომ აალირეთ თავი და წახველით, ჩვენ რას დაგვტოვებთ?... რა კაცობაა, ძმას უჭირდეს და ძმა ვერ ეხმარებოდეს? ფუი, ასეთ ძმობას და აშხანაგობას რა უთხარი! თქვენ რომ რამე გაგიჭირდეთ, და ან, დაგოშავდეთ, სად გამოვიჩნდეთ მერე. რა ვთქვით მამინ, რა პასუხი გავცეთ ქვეყანას? ვთქვით რომ ამ დროს სამტრედილაში გვეძინათქო? ოჯგო, თქვენ რომ ცხელში შეხველით, ჩვენ რა ეშმაკისთვის დაგვტოვებთ აქ. არ ვა-

რგა ასე, დამიბნო, არაფერის მაქნისი ეს არ არის!—და ასე რომ ვრეყ საყვე-  
დურებში წასული, უცერად მომესმა:

— აღეჭით!.. აღეჭით!.. ჩვენ განგაში გვეგობა და მაშინვე წამოვხტავართ.

— რა მოხდა, რა აბაეია?— გაუძახე კოვებზე მომდგარ კონწო ქვეთარაძეს.

— ამხანაგებო, გული ნუ გაგიტყდებათ!..— დაიწყო მან, მაგრამ კარადუ-  
ხუს გულმა არ მოუთმინა და შეუტია:

— მოკლედ გვითხარი რა მოხდა?.. გააბი ახლა შენც წილადომილა...

— დავმარცხდით, ამხანაგებო!..— მოუჭრა მან მოკლედ სიტყვა კერძის, და-  
ვმარცხდით, მარა გამარჯვება საბოლოოდ მაინც ჩვენი იქნება...

— ჰეჰე!..— აღმოხდა მე.— რაეა თუ დავმარცხდით? მერე ჩვენ რას ვაკე-  
თებთ აქ, რის მაქნისი ვართ? ვერის მოვდაეები ვართ თუ? მოვეხმაროთ... ვიო-  
მოთ, ან გაეწყდეთ, ან ვავრმარჯვოთ...

— ნამდვილ მართალია, ნამდვილი ქვემარტებაა!..— შემოწმება ხალხი.—  
წაეიდეთ!.. ჩვენც იქ წაეიდეთ!..

— მოიცათ, ამხანაგებო!— დაიწყო ახლა შტაბის მეორე წევრმა, მაგრამ რა-  
ტომღაც ასე ლაპარაკი უხერხულად მოეწენა, იქვე, წაქცეული სკამი რომ იდგა,  
ფეხზე აყენა, ზედ შედგა და ახლა იქიდან გადმოგვძახა:— სიწყნარე იყოს, ამხა-  
ნაგებო, ყური დამოგდეთ... ეს-ეს არის ტფილისიდან დეგეშა ძოვიდა. მოსკოვსა  
და პეტროგრადში აჯანყებული მუშები დამარცხდნენ. მათი დამარცხება, ჩვენი  
დამარცხებაა და ამის იქით ბრძოლა ხალხის უბრალოდ გაწყვეტა იქნება. ანი-  
ტომ კომიტეტმა დაადგინა რაზმები დაშალოს. ყველა, ვისაც სახლში საშიშ-  
როება არ მოეღოს, ოჯახში დაბრუნდით, იარაღი შეინახეთ, სულ მალე ისევ  
საქიროა შეიქმნება და მაშინ, მაშინ გამარჯვება უქვევლად ჩვენი იქნება.

— ავბი, ჯიმა აჯამი!.. რაეა თუ სახლში დაბრუნდით?— დავიძახე მე, მერე  
ხალხი მუჯღუფუნის კერით გაეარღვიე და, მოქადაგესთან ახლოს რომ მიველ,  
შევეკითხე:

— ისემც კაი დავემარტოს, მარა, ერთი, ჩემი ბაბა, ეს მითხარი, რამდენი  
ვერსი იქნება იმ მოსკოვადი?

— რათ ვინდა მერე?— შემეკითხა იგი უკმებად და სკამის სიმალიდან ძირს  
აგდებულად ჩამოხვდა.

— ისე, მინდა ვავიგო... რაეა, შეკაცო, სიტყვას იმადლები, თუ?— არ  
უსვენებ მე და კიდევ უფრო ახლოს მივიწიე მასთან.

— შედიათასი მაინც იქნება!..— მიბასუხა მან ისე, თითქოს ეს მე სრუ-  
ლებითაც არ შემეხებოდა.

— ჰეჰე!— გავიოცე.— მერე, შე ოჯახაშენებულო, შედიათასი ვერსის  
იქით კაცი დამარცხებულა და, მე რომ სახლში მიშობ, რა შუაში ვარ? სად გა-  
გონილა, სირიანჭონში ტურა ხადუნჯში გაბმულიყოს და ორბირში იმის შიშით  
მეორე ტურას ქათმისთვის ვერ შეებდოს... მე რომ გამარჯვებული ვარ და  
სახლში მამრუნებ, რას შერჩი? გვალმე, ბაბა, გვალმე და ჩვენი ამბავი ჩვენ  
ვიცით, რომ ვავიშარჯვებთ, იქამდისაც მივაწიოთ და იმათაც მივემარტოთ!  
გინა რუსული და ქარაული ღორი ერთია? ჩვენებურ ღორს ცხენით ვერ წამო-  
ეწვევ! იქნება ჩვენც ასე ვართ და სახლში, რომ გვიშობთ, რას გვემართლე-  
ნით?— მაგრამ ახალთაობის კაცებმა ეს ჩემი ასრი შორს დაიჭირეს და ჩვენც რა  
ძალა გვექონდა? უნდა აგვეკრა გულა-ნაბადი და სახლისკენ გზას ვავდგომოდით.

რა პირით უნდა მოვსულიყავით ჩვენ ახლა სახლში, ან და სად უნდა  
წაესულიყავით? რას ვწყოღით, ჩვენ თვითონ არ ვიცოდით. გამარჯვე-  
ბული მტერი რას დაგვინდობდა! რა გვეთქვა სახლში? დავმარცხდით ისე რომ  
ერთი თოფიც არ გავისვრიდით?

სახლში არ მიმესვლებოდა, ვიცოდით სულელი მაჩვივით გამაბამდენ მახე-  
ში და შერე არ იქნებოდა ჩემი საშველი. ისევ დროსთვის უნდა შევცვალე! სადმე  
გამომეღარებინა, სანამ ჩვენი მტრები გულს მოიოხებდნენ მტრის მტრებად. ამ  
ამ ცხელ გულზე ხელში რომ ჩავარდნოდი, შავ დღეს გამოთენებდენ და გადაეწ-  
ყვიტე ისევ გორდს წავსულიყავ და გაეცლოდი აქაურობას.

ყველა რომ სახლში გავისტუმრე, სანამ ჩემს გზას დავადგებოდი, შვილი  
ვინახულე.

—სად მიხვალ, ბაბა?—შემეკითხა მურზა გაოცებული.

—მეც არ ვიცი! საითაც გავიხედავ, იქით. აქამდე ვიცოდი, რომ ყველა  
გზები ჩემი კერძისთან მიდიოდა, ახლა კი პირიქითაა ჩემი საქმე. ყველა გზები  
კერიიდან მოდის და უკან არცერთი არ ბრუნდება!

—საწყალი, ბაბა!...—სთქვა მურზამ შეწუხებულმა. არ მინდოდა შვილს  
გულგატეხილობა დაეტყო ჩემთვის და ვანუგეშე:

—რა უჭირს მერე, შვილო, დღეს ერთია, ხვალ სხვა. ასე ყოფილა ეს წუ-  
თისოფელი მოწყობილი და ჩვენ რას გავაწყობთ. ხომ გავაგონია სამართალმა  
პური ქამაო, მეც ამ სამართლის იმედი მაქვს. ისე რა მომკლავს, რომ ერთი  
კიდეც არ გავინავარდოთ ლალად და მათი სისხლი არ დაველიო...

მაგრამ მურზამ რომ არაფერი მიპასუხა, ბაბას გეზი შეეცვალე და შევე-  
კითხე:

—შენ საით, ბაბა?

—მეც ისე, როგორც შენ...—მიპასუხა მან, მაგრამ უცებ თავი გაიქნია,  
მწარე ფიქრები გადიარეკა და იმედინად შემოშიტია:—ნუ გეშინია, ბაბა, ეს  
ცხოვრება ჩვენთვის მუშაობს. რა უჭირს რომ დავებარცხდით, საბოლოო გამარ-  
ჯება მაინც ჩვენია. აბა, შეიღობით! ჭკუით იყავი. გლობათ არ ჩავარდე სადმე  
და მახეში არ გაება!

—შვიდობით, ბაბა... ღმერთმა შეიღობის გზა მოგცეს!...—მაგრამ მეტი ვერ  
მოეხატრება, —მეც გული ამიძგერდა, მინდოდა როგორმე ეს გულსისტგერა გამო-  
შეხატა და არ ვიცოდი როგორ. ორივე მამაკაცები ვიყავით, ბრძოლაში და  
ცუცხლში გამობრძმედილნი, სინაზე და გულჩვილობა არ გვეხერხებოდა, ხელი  
ჩამოვართოვით მხოლოდ ერთიმეორეს მაგრად, შიშვნელოვანად და მეტი არა-  
ფერი.

ცოტა რომ გავიარე, მომესმა:

— ბაბა, ბაბაია...

მოვიხედე, მურზა ისევ ისე იდგა, მიცქეროდა, უნდა რაღაც ეთქვა, მაგრამ  
არ იცოდა რა, ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა:

არაფერია, ბაბა, არაფერი! წადი, შვიდობით იარე...

მეც წაველ, წაველ და თან წავილე ეს მღუღარებით საესე გული.

ერთი თვე ვიყავ გორდში, ერთი თვე ვიმალებოდი და, სოფლების რბევას  
რომ უცქეროდი, საცოდობითა და უნიათო ბრახით გულ-მუცელი მეწოდა.  
ქურმა ჩამჯდარივით ვიყავი, მიმოსვლა გაჭირვებული იყო და არაფერი ვიცოდი  
რა ხდებოდა ჩემ ოჯახში. ბოლოს, მეტი რომ ვეღარ მოვიტონინე, ავიარე გულდა-ნა-  
ბადი, მასპინძლებს გამოვეთხოვე და სახლისკენ გზას დავადექი.

— რაც მომივა, ისევ ჩემ სახლში მომივიდეს...—გადაეწყვიტე გულში.

მეორე დღეს, საღამო ხანს, სოფელს რომ მოუახლოვდი, ვხედავ ჩვენი ხე-  
ცის ორლობეში ჯორს თოვლქვაპში მოაჩაქაჩებეს.

— გამარჯობა შენი, საბალოა!...—მივესალმე ხუცესს.

— ღმერთო, შენ დაგელოცა სახელი!...—დაპყრო ხუცესმა ხელები ცაში.—  
ბოჭო, ცოცხალი ხარ, თუ სული ხარ, რომ მეცხადები?





— ორივე ერთად, ჩემო საბაღია, ორივე ერთად!...— მაგრამ სიტყვის დასრულებაც ვერ მოვასწარი რომ ხუცესი ჯორიდან ჩამოიჭრა, ვადამეხვიე ძლიოშნა, მკოცნა, მკოცნა, მლოშნა, სიტყვის ამოღების საშუალებაც არ მომეცა. კიდევ ერთი რომ გაძღა, მომშორდა და ახლა გვერდიდან შემომხედდა და ისე ამზომა თავიდან ფეხებამდე.

— კი მარა სად იყავი ამდენ ხანს, შე ღვთისპირისაგან ვადავარდნილო? მე კი მგონია, შენ ძელენს ახლა ტურები ზრავდენ სადმე საყანეში.

— არა, ჩემო საბაღია, არა! ცოცხალი ვარ, ცოცხალი, თუ აწი არ აღმო-  
მხდა ეს სული! სახლში რა ამბავია?

ხუცესი ერთი პირობა დაიბნა, მაგრამ მე რატომღაც ყურადღება არ მი-  
ვაქცეე ამას.

— მშვიდობა, სხვა რა უნდა იყოს?...— გამართა ენა, როგორც იქნა, ხუცესმა.  
— მაიღობა ღმერთს!— ამოვიობრე და ცოცხალი გულს მომეშვა, — მაგრამ

ხუცესმა გამაწყვეტინა:

— მშვიდობა, მშვიდობა, ჩემო ბათია, მარა შენ რომ კაი ძალი გყავ-  
და, ის აღარაა, ისე იგულე, ვითომ არც გყოლია.

— რავა, შეკაცო, ძალს რა დაემართა?

— რავა და მძორი ექნა ოხერს, ნამეტანი მოსვლოდა და, მგონია, იმან მოკლა.

— ამდენი მძორი სად იყო? — შევეკითხე გაოცებული.

— შენ რომ ცხენი გყავდა, მოკვდა და იმას დააძღა.

— ჩემ ცხენს რაღა დაემართა? — შევცბი მე კიდევ უფრო.

— სანაკში ყავდა, იქიდან ქენებით მოიყვანეს, თავლა არ იყო, ნაოფლარზე  
გაცივდა და სული გავარდა.

— თავლა რავა არ იყო, კაცო?

— არ იყო და ამიტომ, შენი თავლა და ფაცხა ზეკუციად ჩამოყენებულმა  
ყაზახებმა დაწვეს...

— ავთი, ჩემი შავი დღის მოსწრებას!... — შევძახე და სიმწარით შუბლში  
ხელს ვავორტყი. — კი მარა სანაკში რა უნდოდათ?

— შენი ბიჭი უთუთია ნაობახშია და იმის სანახავად იყვენ წასული.

— ავთი, ჯიმა აჯამი!... — ამოვიკენესე მე კიდევ უფრო, მუხლებმა მიღალა-  
ტეს და კინალამ იქვე ჩავიკეცე. — სალომე რას შობა ახლა, ან ვისთანაა?

— იცი, რა ვითხრა, ბათურია? მომცილდი, ბიჭო, მომეშვი! რაა, შეკაცო,  
შენი უბედურება მაინცდამაინც მე რომ გინდა მათქმევიწინო! სხვა ნახე, ბათურია,

სხვა ვინმე მონახე და დანარჩენს ის გეტყვის... — შემევედრა ხუცესი, მაგრამ რას  
მოვეშვებოდი? ვადავარდი, თვალთ დამიბნელდა, მხრებში ხელი დავტაცე, რაც  
ძალი და ღონე მქონდა შევანჯღრიე და სიმწარით ვიღაც სხვისი ხმით დავი-  
ბლავლე:

— მითხარი, მალე მითხარი, შე სულძალია, თვარა სული გაგაცხებზე  
და ესაა!... მითხარი რა უბედურება მჭირს კიდევ:

— სალომეც გაცივდა, ბათურია, ავთ ვახდა და ორი კვირაა რაც მიწას  
მივაბარეთ... — გავრინდდი, არაფერს ვგრძნობ, არც მწუხარებას, არც დარდს,  
დავრჩი ყველაფრის მიღმა. ვიღებ ასე გამოთავყვანებული, მაგრამ, როცა ხუ-  
ცესმა მითხრა:

— მონაწილე ვარ შენი მწუხარებისა... — შევეკრთი, გამევერკვიე.

— წადი შენი რჯული და მასაფიც არ იქნა!... — შეუკურთხე ბრახ შემონთ-  
ბულმა და შერე არ ვიცი რა დამემართა, რომ გამოვერკვიე, ჩემს ეზოში ვიყავ.

დავდიოდი ჩემს ნაბრახლში, სადაც ყველაფერი იყო და ახლა არც ფაცხაა, არც  
ოჯახი, ყველაფერი გადაშვარი, დამხვდა, კობიტები შერუჯული და დავრჩი ასე  
ხელის გულზე დამხვარი ბუზივით ცარიელი. იქვე ფაცხის ნახევრად დამწვარ  
ღირწე ჩამოვეკეტი და ავტირიდი, ავტირდგული ამოსკვნილი.



## მ პ ი ლ ო ზ ი

და ახლა ფაცხაში რომ ვზივარ და ხუცესს ვეჭოლივები, ეს ამბები ზურგს უკანა დატოვებული და მიხარია, მიხარია, რომ ეს დროებაც მყოფი იქნება რატომაც არ მოვიხილებდი? კუკი მაგარი მაქვს და ახლა, მათემატიკის სტრუქტურული დიდი არ მიწერია, მაგრამ სამაგიეროდ, რაც უკან დამრჩა, როგორც იყო გავეტარე და, მართალი ვითხრათ, სასაყვედურო დიდი არაფერი მაქვს.

არავის ისე არ უცხოვრია, როგორც უნდოდა. ვერც მე ვიცხოვრე ისე. როგორც ვაპირებდი, მაგრამ მაინც ვიბრძოდი, ვეკიდავებოდი ამ ცხოვრებას, რა უყოთ რომ ხანდახან ვიქცეოდი, მე წვივმაგარი ვიყავ და მაინც ფეხზე ვდგებოდი, წელში ვიმართებოდი, ღონეს ვიკრეფდი და ახალი შეტაკებისათვის ვემზადებოდი.

უნდოდა ამ ცხოვრებას შეეჭამე, მაგრამ ვერ მივართვი, იმდენი ვიწვალე, იმდენი ვიდავიდარაბე, რომ მაინც მოვკაპე იგი.

და ახლა ამ გულდაგულ ზამთარში მე და ეს გაკრეცილი ხუცესი კერძისთან რომ ვზივართ და ჩხავერს შევუქცევით, ერთი ამბავი გამახსენდა:

ეს შარშან იყო.

თქვენ არ იცით როგორ მიყვარს მე პარასკეობაზე სიარული.

მოელი მიღეთის ხალხი იქ იყრის თავს და ვის არ ნახავ იქ საეჭოოდ მოსულს?

არის ერთი გაბმული ზუზუნი, ყიჭინი, რუჭლის ფიცი, დედაკაცების ვაჭრობა, მთვრალეების ღრიალი, სიმღერა, ურმის ქრიალი, გოჭების ქყვირილი და ხგადვის ზნუილი.

ნადირი გახაფხულის დღე იყო. მზე საამოდ აცხუნებდა ზურგს და მეც დადელიოდი ბახარში აქეთ-იქით. საქმე არაფერი მქონდა, მაგრამ გულს ვაყოლებდი, ხან აქ მივიდოდი და ხან იქ. სახვადგესთან რომ მიველ, ვილაც ვადაყრუებული დედაბერი მომიახლოვდა, მივიდა და თვალეში ჩამომხედა, მაგრამ კურალდება არ მივაქციე და მეფართლევებისაკენ გავემართე, გზაში ყაფანთან შეჩერდი, ვილაცს ცხენი ეყიდა, აქეთ-იქით დააქენებდა და სცილიდა. შეეჩერდა და, რომ უქცეოდი, უცრად ისევე ის დედაბერი განდა საიდნალაც, მოვიდა და ისევე თვალეში შემომხედა. არ მესიამოვნა ამ დედაბრისაგან ჩემი ასე ამოჩემება და ზურგი უზრდელად შევაქციე, მაგრამ ეს გადარჯუებული მაინც რომ არ მცილდება!.. რა შავი ქირივით ვადამეკიდა!—ფეჭობ ჩემთვის, რომ ამ დროს ისევე მომიახლოვდა და, თვალეში რომ ჩამომხედა, შემეკითხა:

— უკაცრავად, პატონი, თქვენ ბათა ხომ არ ბრძანდებით, ქეჩია...

მე დავიხარე და ამ სიბერით ოთხად მოკაცულ დედაბერს ისე დავხედე და უპასუხებ თავზაიანად:

— დიახ, ბატონი, ბათა ვახლავართ, ქეჩია!..—დედაბერმა ვაიკინა და სიცილეში წინა ორადორი ცერის სისხო ყვითელი კბილი გამოაჩინა.

— ფუი, დასწყველა ეშმაკმა ამ დედაბერის სახსენებელი!..—ფეჭობ ჩემთვის. —რავა ტაბაკონიდან ცოცხით მოფრენილ კულიანს ჭავს ეს გადაყრუებული, რა უნდა რომ ვადამეკიდა და სამეფლს არ მამღევს?

— მე ვერ მიცანით, პატონი!..—შემეკითხა იკი სიცილის შემდეგ, სული კარგად რომ მოიბრუნა.

— ვერა, ჩემო პატონო! უკაცრავად მარა, ვერ გცნობთ.

— მე სიღუ ვარ, ბენა დანელიხე. რავა ვერ მიცანი?

შეგვითი ამ სიტყვებზე და, ჩემი უზრდელი გაოცება რომ დამეფარა, უპასუხე:

— რას გიცნობდით, პატონო, წელზევით თქვენ წამხდარხართ და ქვევით მე... ვებ, სიღუ!.. სიღუ!.. შენ არ ხარ ის სიღუ, ის სიღუ მე ისევე ისე მიყვარს და რა გინდოდა, რას ბერძოდი, რომ მოხველ და მოკალი იგი?

დასასრული.

# ანზორ

გადმოკეთებული ვს. ივანოვის „14—66“-დან <sup>1)</sup>

## მოქმედება მე-3-მე.

ანზორის კარ-მიდამო. შთის გადაღმა მოხიანს აული-სოფელი. ხის ძირზე ზის ლარბი და ნაღვლიან კილოს ჩონგურზე უკრავს. შემოდის მოხუცი მანსურ-ალი, ანზორის მამა.

ლარბი. (ჩონგურზე) ატირდა ღვკის სოფელი.  
ატირდა დედა მშობელი!  
შემოსუელი მტრის ხმალი  
ბასრია, დაუნდობელი.

წეიმა რად უნდა დაღესტამს  
გაფლენთავს სისხლი მიდამოს!  
ვაქცავი როგორ მოითმუნს,  
მოკვდეს, ან დახსნა ითავოს!

პატარა ძეძუს ველარ სწოვს,  
ცხელ ტყვიას გაუგმირია:  
შური რომელმაც იძიოს,  
იგი ვაქცავი გმირია...

2 ვერ.

მანსურ—შენი ჩონგურის ხმა ჩემი ბავშვების კენესას მომაგონებს.

ლარბი—იმით დაეტირი. მანსურ-ალი!

მანსურ—ო, ჩემო პაწია ბავშვებო!

ლარბი—ანზორ შურს იძიებს!

მანსურ—უბედურ ვარ! უბედურ!

ლარბი—ბედნიერია ანზორის მამა! მას შამილზე მეტი სახელი აქვს!..

მანსურ—უფროს ვაჟს ჩემი სახელი დავარქვი! უმცროს კი შამი ჩემისა...

ჩერბიეთის გვარი იმ ბავშვების თვალეში ბრწყინავდა.

შიხაროდა. მოდგმას... ვტოვებდი, მაგრამ... დედასთან ერთად ორივე

დახოცეს... ტყვიით გაგმირეს ალახ! ილ-ალა!

დაუკარ, ლარბი, დაუკარ! (მუსიკა)

ლარბი (მღერის) დეე. თაობიდან თაობაში გადავიდეს შენი შაირი!

<sup>1)</sup> იხ. „მნათობი“ № 9—10

მანსურ — „იგი ვეკაცი გმირია!..“

ვალლა! რა დაუწვევს?

ლარბი — მანსურ! გამიგონია წინაპრებს უფრო-უარესი დღე დასდგამათ!

წაურთმევიათ საცხოვრებელი ბინები.

ხალხი-დიდი, პატარა — ოსმალეთში გაურეკიათ.

ადგილამდე ვერ მისულან, სიმშლით გზაში ამოწყვეტილან.

მანსურ — ლარბი. თავისუფალი შთის ხალხი ვინაგრებოდით.

რუსთა ხელშეწყობს რად ებრძოდა შამილი!

იმიტომ, რომ ჩვენც ცხოვრება გვინდოდა!

ასე ამბობდნენ: ველურ უნდა მოკედესო.

ე.. დაუქარ ლარბი დაუქარ. ჩანგური დარდს გააქარებებს!

ლარბი

ატირდა ლეკის სოფელი.

ატირდა დედა მშობელი!

შემოხვეული მტრის ხმალი

ბასრია, დაუნდობელი.

(მღერის და შესწყვეტს) — დადგა დრო, მთიელებმაც უნდა გაიხარონ!

შენი შეილი ანზორ შეთაურობს...

მანსურ — ეხლა რთული ცხოვრებაა.

ჩემი შეილი გამოუცდელ და უსწავლელია!

ლარბი — მასთან ნასწავლებიც არიან!

ხომ ნახე, რამდენმა ჯარმა მოიყარა თავი!

კიდევ მოდის და მოდის!

მანსურ! საკვირველი იცი რა არის?

მის გარშემო იკრიბებიან:

თათარი, რუსი, სომეხი, ოსი, ინგუზი, ყაზბეგიდან

მოსულა ქართველებიც! ამბობენ: ღმერთი ერთია,

ყველანი ძმები ვართო!

მანსურ — ღმერთი ერთია!

ლარბი — მიწის მშრომელი და ქალაქის მუშა უნდა გავანთავისუფლო!

მანსურ — ალაჰა უსმინოთ;

ლარბი — კიდევ ამბობენ, „მიწა გლეხს, ქარხანა მუშასო“.

მანსურ — უსმინოთ ალაჰმა! ყურანში სწერია აღსდგეს ხალხი, მოითხოვს ხეფარი.

ლარბი — აღარც ალაჰი აღარც ქრისტე...

იმათი რჯული, სულ სხვა არის...

მანსურ — არა, შეილო! მე მაგას ნუ გამაგონებთ!

ყველაფერი კარგი ალაჰიდან მოდის!

(ჰალილე და რამდენიმე ქალი შემორბას).

ჰალილ — მამი! მამი!

მანსურ — შეილო, ჰალილე! სად ხარ?

ჩემი ანზორ დაღლილი მოვა...

ოჯახის სიმძიმე შენ გაწევს, შეილო!

პალილე—ყველაფერი მზად არის, მამი! მაგრამ შენ არ იცი  
ქალებმა რა გადაწყვეიტით?

გიული—(ყურში პალილეს)  
მოხუცი არ მოგვიწონებს!

პალილე—შაცალე გიული!  
მამი, ჩვენ, ქალებმა გადაწყვეიტით...  
იცი? არ იცი!  
ჩვენ ძმებთან, მამი...  
ძმებთან ერთად უნდა წავიდეთ.

მანსურ—სად?

პალილე—ძმებთან საშველად!

მანსურ—(ცრფალები მოადგება) ო, შეილო! შეილო!  
ზაირა—მანსურ, მანსურ! ანზორთან გვიშუამდგომლე.

პალილე—ზაირა თქვენც საშველად?

ზაირა—დავებმარებით, გულს გაუმაგრებთ.

ფატმა—მანსურ! ანზორს უთხარით ჩვენც გვიგულოს.

პალილე—ყოჩად ქალებო! მამი გზა დაგვილოცე!

მანსურ—შეილო პალილე!

ლარბი—პალილე! (პაუზა)

აფლ.—ლარბი!

ლარბი—მომწონს რომ გამბედავი ხარ, მაგრამ...  
ნებას არ გაძლე.

პალილე—შენ? ხა! ხა! შენ, რა უფლებით?

მანსურ—შეგას აქვს უფლება, პალილე!

პალილე—სულ არაფერი!

მანსურ—შე მამა ვარ, მაგრამ უფლება მაგის ხელშია!

პალილე—ჯერ მე არ დავთანხმებულვარ!  
ნიშანი მოიტანა, მაგრამ არ ვატარებ!  
ანზორმა უნდა გადასწყვიტოს!

ლარბი—პალილე! დაგიმტკიცებ!

პალილე—შაირებით და ჩონგურის დაკვრით?

ზაირა—ლარბი, ადვილი არ გეგონოს პალილეს კმრობა.

ატმა—ანზორის დაა. ცალს არ დაგიგდებს?

ლარბი—დავამტკრივ! სიმებს დავწყვეტ! (ჩონგურს მოისვრის, სიცილი).

მანსურ—იყურე, ვაჟო!

გიულ—ლარბი გაბრაზდა... ხა, ხა!  
ლარბი ან მოხუცს ესაუბრება,  
ან ჩონგურს უკრავს...

დეილა—ხშიადის გამოცხოებაზე თუ დავებმარება!

ფატმა—რატომაც არა! ხანჯლით შეშას დაგვიკურის.

მანსურ—გეყოფათ, შეილებო.

მალიღე—ჩვენ წავიდეთ, მოვამზადოთ.  
 ვაჟული—შენ ჩონგური აჩხარუნე..  
 მაქ.—სკოლაში ნამყოფს დამიხედე.  
 შაირა—შცანა ცუა ხეაურ ხეალილსა ბიურტიუ.  
 ხალიღე—ვარანტუი ზიმიხ, ლოხესა ხეანსარ.

იგინიფე, ქაღეზის გარდა.

დარბი—მანსურ! გაიგე, რა მითხრეს?  
 მანსურ—გაგითამამდნენ!  
 ლარბი, დამშვიდდი!  
 ჩვენი ქაღეზი შენ ვერ დაგკინებენ!  
 დარბი—მანსურ! ბრაზი მახრჩობს...  
 თხოვნა შემისრულე!  
 მანსურ—მითხარ, შევილო, მითხარ!  
 დარბი—ანზორ აღბად მალე მოვა!  
 მანსურ—შემატყობინეს... აქამდე უნდა მოსულიყო!  
 წელან ახმა იყო, სხეებიც ელოდებიანი!  
 დარბი—როცა აქ მოვა, უნდა სთხოვო. შენ უნდა სთხოვო.  
 მანსურ—რა უნდა ვსთხოვო?  
 დარბი—ხომ შენი ყურით გაიგონე, ქაღეზმა რა სთქვეს.  
 შენი ქალიშვილიც...  
 მანსურ—შვილო გაგებხმრე.  
 დარბი—რაში ჩამაბაროს!  
 პირველ სანგრებზე გამავზავნოს!  
 რომ ძნელი და სახიფათო შევასრულო.. დავუმტკიცო...  
 მანსურ—ხე, ხე! ასეთი თაედადებულნი გაიმარჯვებენ!  
 კარგი, კარგი!  
 ეხ, რომ ჩემს ბებერ ძელებს აღარ შეუძლიან!  
 (ისმის ხმაურობა და სიმღერა).  
 რა ამბავია?  
 დარბი—(მალლობიდან გადაჭყურებს. ქაღეზი გამოიჩინა იტყირებთან).  
 კიდევ ჯარი!  
 მანსურ—ვინ მეთაურობს?  
 დარბი—ბელადი ინგუშები! უპ, რა ცხენზე ზის?  
 შაირა—ოპ, პო! ზღვა ჯარი...  
 ვაჟული—ახმა როგორ იბლინძება.  
 შაირა—ვენაცვალე, ვაჟკაცია.  
 ფატმა—ზაირ, შენ თვალი ახმაზე გრჩება!  
 შაირა—ყოჩალია, ყოჩალი!  
 დეილა—ნეიბურ, ნეიბურ!  
 ქაღეზი—ნეიბურ, ნეიბურ.  
 ახმა—ნულარ იდარდებთ გოგუებო, თქვენთან ვარ, თქვენთან!





- გიული—აი ყორში ბუნასა აკლუ!
- ახმა—ქუთა რად მინდა, როცა შენ გხედავ. შენთან ვარ გიული!
- ფატმა—ტუკოი! ახმა!
- ახმა—ნუ გეშინიან, არც შენ, დაგტოვებ, ჩემთან წაგიყვან!
- შაირა—კარგი ხარ გენაცვალე! კარგი!
- ახმა—კარგი ვარ მამ!
- მარგო—რა მომიტანე ახმა!
- ახმა—ჩემი თავი! (ამოდის მასსა)
- ქალები—ნეიბურ! ნეიბურ!
- ანზორ—გამოცხადდენ ნაწილის უფროსები!
- ახმა—გამოცხადდენ.
- ანზორ—კრება იქნება!
- ახმა—კრება იქნება!
- ანზორ—ათჯერ გავზომოთ, ერთხელ გადაეკრათ!
- ახმა—ერთხელ გავზომეც ეყოფა, თუ კაცს თავი მხრებზე აბია!
- ანზორ—ასე! შემდეგ შეუბოვრად პირდაპირ! მოიხმეთ!
- პატრ.—გვესმის! (გადიან)
- ანზორ—მარწიოლულ მოხუცო! (მამას მიესალმება მანსური მწუხარებისაგან ხნას უწოდებს)
- ახმა—ძალიან ნუ იღარდებ! რაღა სიცოცხლე დაგრჩენია!
- ყველა შენი შეილები ვართ, შეილიშვილები.
- მანხურ—ჩემს ხელში ავზარდე.. უღეთოდ დამიხოცეს... მოხუცი რაღა დაგრჩენი იყო.
- ახმა—არა უშავს რა! იცი მანსურ? ხანდახან ძველებს ვემბრობი ხოლმე. პატრონი იბრაჰიმი და მანსურს იმ საიქიოს უნდა გაუგზავნო ხუთი ბეგი, რომელი გენერალი და ათიოდე ულვაშ აბზეკილი ყაზახი, რომ იქ ათიოდე ემსახურონ!
- ანზორ—მოხუცო, მწუხარება რისხვად იქცა!  
ბავშვების სიყვარული შურის ძიებად!  
—იამან, თუ ხელში ჩამიკვივდენენ!
- ახმა—სალამ დურ, ლარბი.
- ანზორ—ე, ლარბი! შენც მამა-ჩემი იან?
- ახმა—მოხუცს თუ ართობ შაირებით?
- (ლარბი ხელგამოტოვებს: ბოხით ამოიგმინავს)
- მანხურ—ნუ აწყენიებ!
- ახმა—არა, ჩემმა მზემ! ლარბი ჩემი ძმად ნაფიცია.
- მანხურ—ეს კი იყო, პალილემ და მისმა დობილებმა დასცინეს!
- ანზორ—ლარბის დასცინეს? დაგცინეს შექთად ყოფნა?
- ლარბი—მეც შევიძლიან! დაგიმტკიცებ!
- ახმა—შეუძლიან! შეუძლიან. ვალლაჰ, შეუძლიან.
- ანზორ—ჩემი და ისეთს ღირსეულს უნდა მიეცე, რომ...  
ვინ არის დღეს ღირსეული?..  
პეტრო ვინ არის?

ახმა—მე, შენ, ის... გინდა სამივეს ერთად მოგვათხოვე.

ანზორ—ჩემს დაზე მაგისტანა ხუმრობა...

ახმა—უცხო არაო, შინაური არაო...

მაშ ვისზე ვაეციინო! პეტროს კი არა, მე შეითხე ვინ არის ლარს-ული?

ანზორ—ვინ არის?

ახმა—ვინც ხალხისათვის თავდადებულია...

ესე-იგი, რა ჰქვიან იმას, აი ქალაქში რომ მუშაა?

ჰო, ვიცი! ვინც, პროლეტარიატისათვის და რევოლუციისათვის თავდადებულია. ასე არ არის? ეს ოხერი სიტყვები მავიწყდება... თორემ... ეს თავი სხვას უნდა ებას!

ანზორ—ე, ჩემო ლარბი!

რა ცოტა ვისწა ვლია, რომ ახსნას საპიროებ! მაშ რა გასწავლეს? ბაქოში, რისთვის იყავ?

ლარბი—ვიცი!.. ტენიკური! მაგან რა შავი ქვა იცის, უბედია და მასხარა!

ახმა—ერთი დაგვაიწყდა... ცოტა გადაკვრაც ვიცი!.. თუმცა მაშხიდი ბრაზით სკდება, მაგრამ ხანდახან ისიც კარგი ყოფილა!

ანზორ—პეტრო. ტენიკური. ტენიკური ჩვენთვის საპიროა. (ლარბს). შავალითად, რომ დაგვჭირდეს...

აი, ის... რაც ჩვენ არ ვიცით...

ეეე, ჩვენ ბევრიც ვიცით და ბევრიც არ ვიცით.

მაგრამ...

ახმა—განა ვინც ბევრი იცოდა, ხალხისათვის იყო?—აი ჩვენმა მოლამ ბევრი რამ იცის, მაგრამ ხელჩოა.

იღებს და რღებს მუცელში... ერთხელ კინალამ გადამყლაპა (იღინის)

შანხურ—ახმა! მაგისტანებს მე ნუ გამაგონებს!

ახმა—ლმერთმანი, დამავიწყდა, თორემ შენ?

მოხუცს არ გაწყენინებ! აკი გითხარ, ზოგი რამ ძველებისა მომწონს მეთქი!

პეტრო, აუხსენ რა არის ხალხი; ლარბიმ არ იცის!

ლარბი! იცი რა არის ხალხი?

ეს ყველაფერია! სიცოცხლე! ცხოვრება!

შენ ამას, ალბად, სკოლაში არ გასწავლიდნენ.

მე კი ვსწავლობდი.

როცა აქა იქ დავდიოდი, ან ქალაქში მოვხვდებოდი... მაგრამ ტენიკური თუ კარგად იცი,—ჩვენი იქნები.


ლარბი—ანზორ, მეც მომისმინე...

ანზორ—ლარბი, მამიშენი შვილი ხალხისა უნდა იყოს!

ახმა—ასეა მაშ!

ანზორ—შენ ბაქოში სწავლობდი,

პეტრო! იმ ბაქოს ავიღებთ და იმას ასწავლიან, რაც ჩვენ გვინდა!



ახმა—რაღ ზენ, ზენ გვინდა, და იცი თ ზენ რა გვინდა?

ჰალილე—ანზორ! ჩემმა დობილებმა გუშინ სტუმრებისათვის შე კი—ხშიადი!

ახმა—ლუდი მე!  
სხვებს მოლა უკრძალავს, თვითონ კი ჰყლაპავს.

ანზორ—ყოჩაღ ჰალილე!  
ღირსეულს მიეცემ, ღირსეულს...

მანსურ—ალაპ, ალაპ!

ახმა—(აჯავრებს) ალაპ! ხე, ხევე!

მანსურ—ახმა!

ანზორ—ნუ გეწყინება, მამა ჩემო!

ახმა—ძია მანსურს რად უნდა ეწყინოს?  
დაე იყოს, როგორც ამბობს,  
თუ კი ხალხს დაიფარავს,  
თუნდ ალაპი ერქვას და თუნდ ლენინი.  
ძია-მანსურ. ჩვენ, გლეხებს, იცი რა გვინდა?  
ჩვენ გვინდა...

აუხსენ პეტრო! აი იმას რას ეძახით...

აი რომ

გავიმარჯვებთ და მუშის ხელში იქნება. ჰო! ჰო! ვიცი დიაქტურა, დიაქტურა!

პეტ.—დიაქტურა...

ახმა—ჰო, ჰო დიაქტურა! დანარჩენები - იამან!  
მიწასთან გასწორდებიან! ხშილი ვასკრის მიწა გააციებს!

ანზორ—წადი, ჰალილე. წადი, მოამხადე. პეტრო! წავიდეთ!  
(ჰალილე და დობილები გადიან. ლარბის, რომელიც ზალილს თვალს გააფიქვებს).  
რა თვალი გააყოლე?

ჩემი დაი ისეთს ღირსეულს უნდა მიეცე რომ...

ახმა—ხუთი კაცი ერთად გადაყლაპოს!

ლარბი—უთხარი. მანსურ!

მანსურ—შვილო, ანზორ! ლარბის უნდა ისეთი საქმე მიანდო, რომ მან ამ საქმით...

პარტიზანი—მოდიან! მოდიან!  
(შემოდის სხვა და სხვა ნაწილის უფროსები ყველა ერთგებისა).

ანზორ—საქმეს შევუდგეთ! მობრძანდით! მობრძანდით პარტიკუმულნო! დაბრძანდით!

საქმეს შევუდგეთ! ხალხნო; ჩვენ ეხლა ისეთი საქმე უნდა გადაეწყვიტოთ, რომელიც საჭიროებს ასჯერ მოფიქრებას და ერთხელ გადაკრას.

ხალხი—მართალია, მართალი.

ანზორ—დაბრძანდით! ხიდი ავაფეთქეთ. ეს კარგი. ჯავშანო მოვამწყვდიეთ, ესეც კარგი, მაგრამ საქმე ის არის—ჯავშანო როგორ ავიღოთ?





მოხუცი—ანზორ ჩერბიე, ანზორ ჩერბიე!—ალაჰის გეშინოდეს!

შენ ეს ხალხი სასაკლაოზე მიგყავს!  
ახალგაზრდნ შეილებს დედ-მამის სტაცებ?  
გინდა, მაგათი გვაქმები ვიაურებმა ვათელონ.  
გვეყო აწიოკება! გვეყო სიკვდილი!  
ხელმწიფე დიდი! ის ღმერთმა აირჩია!  
გეშინოდეს, ანზორ!

ახმა—დავცებ, თუ არ გაჩუმიდებ!

ანზორ—ახმა არ გაბედოს მოხუცი ლაპარაკობს!

ახმა—ჰო, დამაფიწყდა, რომ ზოგში, ვეზრობი...

მოხუცი—პატივის ცემა აღარა გაქვთ!

ამიტომ იღვრება სისხლი! (ხალხს ათვალვებებს)  
სად არის ჩემი შვილი?  
რატომ არ დაბრუნდა?  
მოჰკლეს? აღარ არის?  
რად გაჩუმებულხარ?  
მიწას რად ჩასკვრივთ? მამას უმაღაეთ?  
სად არის ჩემი შვილი?

ახმა—ხალხისათვის თავი დასდო, მოხუცი!

მოხუცი.—ო! ვალა-ილ-ალა! ხალხისათვის.

ჩემი მოხუცებულობის ნუგეში! ჩემი დამპირხველი.  
ჩემზედ აღრე ჩაეიდა სამარეში!  
ხალხმა მე შვილის სამაგიერო რა უნდა მომცეს?  
ო, უბედურო მამავ!

ანზორ—ყველა შენ ბედშია!

განა მე შვილები არ დამიხოცეს?

მოხუცი—ახალგაზრდობა იღუბება!

ვილასთვის გინდათ ეს ქვეყანა?

ამ ბებერ ძელებისათვის?

შ.მილიც იყო, მაგრამ... ალაჰ! ალაჰ!

ანზორ—ალაჰმა ნება მისცა სოფლები გადაეწვათ.

შენი შვილი მოეკლათ, ჩემი ბავშვები დაეხოცათ.  
და თავისი მეჩეთი კი დაიფარა?  
ჩვენ ასეთი არც ღმერთი გვინდა და არც ალაჰი.  
დადგება დრო...

ახმა—ამ დროებას ჩვენ დავამყარებთ—

ხალხი ბედნიერად იცხოვრებს!

მოხუცი—რომელი ხალხი?

ანზორ—შხენელი, მთისველი.. მწყემსი, მენახირე.

ვინც შრომობს, ვინც მიწას აბრუნებს.

ყოველგვარი; ყოველნაირი!

მოხუცი—ეე! ისინი შვილს ვეღარ გამიცოცხლებენ...

ანზორ — მამაჩემო! წაიყუა, ანუგეშე!

მანსურ — წამო, ალი!

ჩვენი დროება მოვკამეთი ჩვენ თუ ვანუგეშეთ  
ერთმანეთი —

შვილები მამებს არ შეარცხვენენ.



8

(იკინიფე, მოხუცის და მანსურის გარდა).

ანზორ — შრომელო გლებეზო! საქვეყნო საქმის უტროსებო!  
განფაგრძოთ.

მოხუცი ხალხი ლაპარაკობს...

ახმა — და ისეთს რამეს... რაც ჩვენ არ მოგვწონს...

ანზორ — ბევრი ჭირი უნახათ...

შვილებზე გული ეწვიოთ...

არც ეხლა სჯერათ, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ; (ააფხა)

ვისაც გამარჯვება არ სწამს —

სჯობს, უკან დაბრუნდეს...

ჩვენ ვიბრძვიოთ თავისუფლებისათვის

და უნდა გეწაშდეს გამარჯვება.

რადგან სიმაართლე ჩვენსკენ არის...

ქალარა პარტ. — მართალია სიმაართლე ჩვენსკენ არის.

ანზორ — ძმებო! სანაპირო ქალაქი

ჩვენებმა გაიმაგრეს?

პეტროვსკაზე პირდაპირ წაეილთ?

პეტროვსკიდან ბაქოზე — ეს ერთი?

მეორეც, ძმებო! იმ ამხანაგებს

მარადი ხსოვნა, რომლებიც დაიღუპენ,

როცა ზიდს აფეთქებდნენ...

(მუსიკა — ატირდა ლევის სოფელი).

გლგუჯა — დიდ საქმეს, დიდი მსხვერპლი მოსდევს.

ჯატი — მსხვერპლის ანაზღაურება ჩვენს კისერზე ყოს.

ანზორ — (მწუხარე ფიქრიდან გამორკვეული) ძნელია ახლობელის სიკვდილი...

თუნდაც არც ცოლი იყოს..., არც შვილი!

პეტრო, შემდეგი საკითხები?..

ფიქრმა წამიღო, ამხანაგებო!

ნუ დაამძრახათ მამის გულს, როცა დახოცილ ბავშვებს მოიგონებს.

მაშ ასე...

საჭიროა გამოცდილი კაცები გავგზავნო

ერთი ბაქოში, მეორე პეტროვსკაში...

უნდა შევატკობინო. მზად იყვნენ... ჩვენ მივდივართ.

ვინ იცნობს შაჰმიანს, ან ჯაფარ გურჯის?



მე-3-მე პარტ.—მე!

ანზორ.—წახვალ ბაქოში.

ვინ, იცნობს ილია ივანოვს?

4-ზე პარტ.—მე.

ანზორ.—წახვალ პეტროვსკაში.

—თუ მოჰკლავენ. ხვალ სხვას გავგზავნი.

თუ იმასაც მოჰკლავენ.

მესამეს გავგზავნი!—

აჰათ, ეს წერილებიც. მხოლოდ მტერმა არ ჩაიგდოს.

უთხარით—ჯარი მოდის-თქო:

ხიდი ავაფეთქეთ და ჯავშანო ჩაკეტილი გვყავს-თქო.

თქვენ მანდ მზად იყავით—

პეტროვსკას ავიღებთ და პირდაპირ

ბაქოზე წამოვალთ-თქო.

პეტრო—ანზორ. მე აქ უკვე საკირო აღარ ვარ. რაც გასაკეთებელი იყო ყვე-  
ლაფერი მოგვარებულია! ბრძოლის საკიროებაც განუშარტეთ და  
ხალხიც აღსდგა. შენის და ამ დარბაისელ ხალხის წინამძღოლობით,  
იმედია, გავიმარჯვებთ. მე წავალ, ილიას გავამხნევებ და მგაბათც  
გზას ვუჩვენებ!

ანზორ—კარგი იყო. რომ მოგეცადა. მაგრამ რახან შენ ასე ფიქრობ. სჩანს ასე  
სჯობია. მაშ ასე. თქვენ ქალაქში. ჩვენ—აქ.

ახმა—პეტრო! აგრე მოულოდნელად. პირდაპირ ჩახმახი ხარ.

პეტრო—მშვიდობით ახმა, მშვიდობით, მშვიდობით!

იუსუფ—პეტრო, კარგი იქნება თუ ქალაქში თუთუნს დაგვიშვადებთ.

ახმა—შენ, ეი, ტუკოი! შენ მოაგონე! ხო ხელდაე უპაპიროსოთ პურს ვერ სქამს;

პარტიზანი—ვეტყვი. ვეტყვი—მშვიდობით!

ანზორ—ფრთხილად! ფრთხილად იარეთ!

გზა მშვიდობისა.

მშვიდობით, მალე გნახავთ.

ყოჩაღად იყავით.

ასე ამხანაგებო. გლახებო!

ომი გამოვაცხადე და ყველა თემი შეიძრა.

თითქმის, რომ ამდენი ხალხი არც კია საკირო!

მე-5 პარტ.—საკიროა, ანზორ, საკირო!

3 პარტ.—საქმე რთულია. მტერი ძლიერი და უღმობელი.

ანზორ—ეხლა, ამხანაგებო. საკიროა უფრო წესიერი მოქმედება.

ყველა თემის მეთაურს თავისი ხალხი უნდა ემორჩილებოდეს. თო-  
რემ ქალაქში ძნელია ბრძოლა.

ხალხი—ჩინელი! ჩინელი!

ანზორ—ჩინელო! აბა, რა ნახე?

რა გაიგე? კაპიტანს გული მაგრად აქვს!

ახმა—გვიამბე! მხოლოდ გასაგებად. ენით თუ ვერა—ხელებით?



ჩინელი — თვალა ყურა ვანაბა. საქმე კარგი ვარა. კაპიტანა ენაბა, სულა შიში ვარა!  
 კაპიტანა თავი ტკივა. კაპიტანა გული ტკივა, კაპიტანა კაკაინა უნდა! კაპიტანა ერთა ოფიცერა ორა. სალდათ ბევრაა!  
 ახმა — ყოჩაღ! ციან-ძინ-ძიან. უსწაველია!  
 ეგეტ ვეფხვია! (შემობრის პარტიზანი.)

10

ივინივე და პარტიზანი.

პარტიზ. — ხალხო! ხალხო!  
 ხალხი — რა იყო. რა ამბავია?  
 პარტიზანი — სადგურთან ახლოს. დღეს დილით ინგლისელები შევიბყარით.  
 ხალხი — ინგლისელიო. ინგლისელი! სად არის, სად არის?  
 პარტიზ. — ი მოგეყავს.  
 ოგანეზოვ — უამბე. როგორ შევიბყარით!  
 ჭალარა პარტ. — მოათრიე, აჭეთ! უთუოდ ბაჭოდან მოვიდოდა.  
 ახმა — ენა დაგება? ჩქარა უამბე, რას გახვედი?  
 პარტ. — მოვდიოდით საზღვრად.  
 შეგვხვდა ორი ამისთანა. ერთი ეს, ერთი სხვა.  
 ერთი ამაზე სქელი იყო,  
 ის რაკი ვერ მოგვდევდა.  
 ხუმრობით ხანჯლის წვერი უჩხვლიტეთ  
 ხვეში დასასვენებლად გადაგორდა.  
 ეს კი ციკანივით მოხტოდა —  
 ესლა თქვენ იცით!  
 2 — პარტ. — რა უნდა ველაპარაკოთ?  
 ჭალარა — რას გაეაგებინებთ?  
 6 კარტ. — მივაძალლოთ!  
 ელგუჯა — მოიყვა. შუა გავვლიჯოთ!  
 რისთვის მოთრეულა?  
 2 პარტ. ვინ ეპატიებოდა?  
 პარტიზ. — ჯაშუშია!  
 ხალხი — მოჰკალ. მოჰკალ!  
 ანზორ — მოიცათ! ისედაც ბევრი ყრია დახოცილი!  
 ახმა — არა ბიჭებო! დღეს ჩვენ ზეიმი გვაქვს.  
 ხიდი ავაფეთქეთ!  
 ჯავშანო ჩაკეტილია.  
 ცოტა დაენაყრდეთ.  
 მერე ჯავშანოს კომბლებითაც ავიღებთ!  
 ამ ინგლისელს კი, ჩემის აზრით.  
 ცოტა ჩვენი აზრი შევეუსხაპუნოთ!

\* უხუფ — მისცხე! მისცხე! ახმა შენებურად!

ახმა — თუ ვერ შეეასმინეთ — რა,

ან თუ გაჯიუტდა —

მაშინ. გინდ ხუმრობით და გინდ მართლა ვუჩხვლიტოთ!

ხალხი — მართალია! მართალია!

ჰალ. პარტ. — მართალია! აბა შენებურად!

ეგვიც კაცია! რად უნდა მოგვკლათ?

ელგ. — დაჰკითხე! დაჰკითხე!

ახმა — შენ ჰეი! ძმობილო!

ხალხი პასუხს თხოულობს.

რა ინდაურივით გაბერილხარ — პასუხი გაცე.

ესენი გეკითხებიან: ჩვენ მტრებს ზურგს რად უმაგრებთ.

ჰ პარტ. — რა უნდათ მაგათ? ხელს რად გვიშლიან?

ელგუჯა — ჩვენს ძმებს რად ახოცვინებენ?

ჰალ. პარტ. — მოისმინე, ძმობილო!

ამბობენ ინგლისელები განათლებული ხალხიო!

ხომ უნდა გესმოდეს?

იქნება ჩვენისთანა გლეხი ხარ და მიწას ამუშავებ.

უნდა გაიგო! რომ ჩვენ სიმათლე გვინდა...

არავის ვარბევთ... ჩვენ გვარბევენ...

გვინდა წესიერება!

ჰ გელანი — მართალია! მართალია!

ინგლის. — (მხრებს იჩეხავს. ანიშნებს არ შესმისო).

ჰალ. პარტ. — ჩვენი ლაბარაკი არ ესმის!

ელგუჯა — ჰეუა მუცელში წასვლია!

ჰ პარტ. — ძალიან კარგად ესმის, მაგრამ თავს იკატუნებს.

ჯატი — ჯაშუში რომ არ იყოს, აქ რისთვის მოვიდა?

პარტ. — ბარგი გვიზიდოს!

ჰ პარტიზ. — რა ძალიან ეფერებით, მე მომანდეთ!

ახმა — (ოპანეზოვს) შენ ეი! ჰკითხე, რას დაეთრევა?

რისთვის მოსულა?

ოპანეზ. — მე რომ ინგლისური არ ვიცი?

ახმა — მაშ რა ჯანაბა იცი?

ოპან. — გერმანული!

ახმა — ჰკითხე, სულ ერთი არ არის?

ოპანეზ. — ინგლის — მენგელშ. ეოპერ გეკონენ. დას ფოლკ ვილ ვისსენ

შედავთ, პასუხს არ იძლევა!

ამათ ისე ეჯავრებად გერმანელები,

რომ თუნდაც იცოდეს, ხმას არ ამოიღებს!

ახმა — აბა წაურუსულე, წაურუსულე!

ოპან. — მოსლუშაი! ხატიატ უზნატ, კტო ტი ტაკოი?

ზაჩემ პრიშოლ? „კუდა იდიოშ“

(პასუხს არ აძლევს).



ყველანი—(აღუღებთან).

8 პარტ.—გაეუსწორდეთ!

პარტიზ.—რა ძალიან ეფერებით?

ხალხი—მოკალ! მოკალ!

9 პარტ.—სად არის მაგის საკმელი შოკოლადი?

ანჟორ—რას აწვალებთ, აქამეთ და გაუშვით...

ახმა გაიგებს, გაიგებს. საჭიროა მხოლოდ ცოტა მოფიჭრება.

შენ, ეი. გესმის? ლენინ!

ინგლის.—ა! ლენინ—ურა!

მახა—გაიგო! გაიგო!

ახმა—შე ვირისთავო, არ იცი, რომ ჩვენ საბჭოთა რესპუბლიკა ვართ?

ინგლის.—ა, რესპუბლიკა—ურა!

ხალხი—ყოჩაღ, ყოჩაღ გაიგო!

ახმა—ახმა მოკედეს, თუ ვერ გავაგებინო!

მაშედ! მაშედ! დადექ ოთხზე!

მაშედ—დამანებე თავი. რატომ უნდა დაედგე ოთხზე.

ახმა—ჰო, პატარა ხანს. გაიგებს! მოდი.

ხმები—მიდი, მიდი!

ახმა—დადექ ოთხზე. პატარა ხანს—ეხლავ გაიგებს!

(დადგება ოთხზე. ახმა შეაჯდება).

ეი ეს ჩოჩორი... ფუ, ეს პროლეტარიატი, მე ხანჯალით ბურჯავა, გაიგე!

მინდა ეს ჩჩ... პროლეტარიატი დავკლა.

ეს ჩოჩორ...

პროლეტარიატი ტლინკებსა ჰყრის.

(მაშედი ახმას გადმოაჯდება)

მაშედ—აჰა, ე თუ ჩოჩორი ვარ!

ახმა—ჩოჩორი კი არა, ნამდვილი ვირი ხარ!

(ინგლისელს).

ეი! მე ბურჯავა ძირს. პროლეტარიატი ზევით. გაიგე? პროლეტარიატი! ადგა! გაიგე!

ინგლისელი—პროლეტარიატი—ურაა!

ხალხი—გაიგო, გაიგო! ურა!

ახმა—ყოჩაღ! შენ უთხარ იქ თქვენებს, რომ ყველანი გაეწყდებით, დავიხოცებით და ჩვენი ზურგით არ ვატარებთ არც ანგლიას არც ამერიკას და არც რალაც ძალღ მამაძალღ იმპერიალიზმს!

ინგლის.—იმპერიალიზმს! თეუე გოდემ!

ხალხი—გაიგო! გაიგო!

ახმა—ესტყ ასე. წაიყვა და აქამე! ეს ხმებო, ყველას შეუძლიან გაიგოს, თუ გული გულობს!

(მუსიკა. ცეკვა)





ანზორ — გამოიქცე? ზურგი უჩვენე? მტერს ზურგი უჩვენე!  
 (ეკრის და ჰელავს) ვერ გადარჩი!  
 ლარბი! შენ ჩაიბარე მათი ასეულები!

ლარბი — მზად ვარ!

ანზორ — შენცე აირჩიე თანაშემწენი!

ლარბი — მესმის!

ანზორ — მოემზადეთ!

(ყველანი მწყობრად გაჩერდებიან).  
 დაე, იცოდეს ყველამ! ვინც ზურგს უჩვენებს  
 სიკვდილს ვერ გადარჩება;  
 ასეთია წითელი შტაბის დადგენილება.

ელგ — (ზანჯალს იშინვლებს) ესეც ზედ დავაკლათ!

ანზორ — ვინ ბედავს თვითნებობას!

როდის გიბრძანათ წითელმა შტაბმა!

არ იყოს უწყნებობა!

არაფინ გაბედოს დაუკითხავად!

(სადვირის ხმები. ანზორი მალეობიდან გადასძახებს).

ძმებო! ხიდი ვერ აუფეთქებიათ!

ჯავშანო ქალაქში შეიკრება.

უნდა ლიანდაგს მივაშუროთ.

(დაეშვებიან ყიფინით)

(ინგლისელი გეამს დააკრძდება. შეერთება. ცახცახებს, ჩინელი რევოლვერით მის-  
 ფებს პარტიზანებს, ინგლისელი ხელგნ აპყრობილი ლოცულობს).

### მოკმედევა მე-4-ე.

(თბილისის წინ პარტიზანები საფრუებიან)

1 — ლეკი — ლარო ნეიბურ?

2 „ — ნეიბურ, ნეიბურ!

3 „ — აქ დაეჯდეთ?

ქალარა — ყორში ბუნასა აკლუ, მა სად დაჯდები?!

3 ლეკი — რა ვიცი!

ჯატი — აა და ამოფდან!

ქალარა — რა იყო შეილო!

ჯატი — სად არიან ამდენხანს?

2 ლეკი — ჩუშ!!! ბურღეიბურ?

1-ლი ლეკი — ლარო ნეიბურ!

4 „ — ლარო, ლარო. დავიგვიანეთ თუ?

2 „ — არა უშავს, დროზე მოხვედით.

5 „ — ქარკი, ქარკირ ქარკარუ!!!

გადმოადგიოთ ფეხი.

6 „ — ყადარსა ბაკალალანონ!





ქართული  
ენების ინსტიტუტი

- 5 —ტუკო!
- 6 —გამოტყინებულნი ხარ და არც არა იცი რა?!
- ქალბარა—ჩუ! წყნარად!
- 6-ლექი—მაშ რა! იგინება?
- ჯატი—იგინება კი არა მეტიც გეკუთვნის,  
სადა ხართ აქამდის.
- 6-ლექი—ამ ხრამში ხომ არ ამოფრინდებოდი და?!
- 5 —ამოფრინდებოდი. ნიჰაუსესისა!
- 6 —ლხარა ვინც არის ცხლავ გამოინდება.
- ქალბარა—ჩუ!! გეყოფათ, წყნარად!
- ჩინელი—(შდრის)
- 1-ლი ლექი—რა დროს სიმღერაა. განუმდი!
- ჩინელი—შეა გაეაჩუქადა. პაია ლაილა!  
გაეაჩუქადა.

რკინის გზის ლიანდაგი. ვერდზე თხრილი.

1.

ანზორ და პარტიზანები.

- ანზორ—(თრღებზე დვას, შუბლზე ხელ მიდებულ იშორება)  
არ სჩანს... არც ხმაურობა ისმის... იქნებ ტელეფონმა მოგვატყუა...  
ახმა—აღბად კაპიტანს სძინავს!.. ლარბი. ერთი მალე მოვიდეს!..  
მირზას რომ კისერში ხელს ჩაგვავლებ და ვატრიალებ...  
ლარბი—ძილში, აღბად თავისი დანიშნული თუ ესიზმრება!  
ახმა—ჯატი! შენ, დანიშნული გყავს?  
ჯატი—ჯერ არა, მაგრამ მეყოლება!  
ახმა—შენი დანიშნული ყუმბარის ტყვია იქნება!  
ჯატი—ომ! ცოტა სქელია.  
ახმა—კარგი ბიჭი ხარ, კარგი!  
1-ლი შებაღ—სუ... საღაც ხმა ისმის...  
2-რე —მოგეწევენა... შიშს, დიდი თვალები აქვს...  
ანზორ—ლარბი! ფრინტს აცნობე! მიწაზე გაწევენ. ფეხზე, დგომა არაფერ გაბედოს! ნიშანზე ყოფინა... იერიში. ქალებმა საფარს მიაშურონ!  
ლარბი— მესმის. შტაბის ბრძანება! (ყველა ნაწილებს).  
ფეხზე დგომა არაფერ გაბედოს; ნიშანზე ყოფინა, იერიში. ქალებმაც საფარს მიაშურონ.  
ანზორ—არსად ცეცხლი, არსად ბოლი!  
ლარბი—მესმის! (არსად ცეცხლი... არსად ბოლი.)!  
1 მგზადლური—ანზორ! ქალაქიდან კარგი ამბავი არ ისმის.  
ანზორ—რის ამბავი? სჯობია, იქით იცქირო! ქალაქში შენისთანებს ხერცტენ—  
აი—ამბავი!  
1 მგზადლური—იმ დღეს გამოქვეყლმა, მიფხრა: მკვდრები თვეზებივით ყყარაო!..  
2-რე მგზადლური—თვეზებივით? ძნელია! ძნელი!



1-ლი მებად—ჩუი! გუგუნია! არ გესმით?

ანზორ—გუგუნინ? აბა, სად ისმის?

1-ლი მებად.—აბა, მიწას ყური დაადე!..

ანზორ—მართალია. გუგუნებს...  
 იუსუფ—მოდის ნებიურ.

ყველა—მოდის? ნებიურ.

ჯატი—გუგუნეი ისმის.— ვიუტი—ვიუტი.

ყველა—რა ექნათ, ძებო?

ანზორ—როგორ თუ რა ექნათ! ხიღს ვერ ავაფეთქებთ!!

განა, ჩვენ აღარ დაგვირდება? ხიდი უნდა იყოს! ქალაქში უნდა

შევიდეთ, პეტროვსკა გველოდება!

ჩვენი ამბანაგი—ილია ივანოვი—გველოდება...  
 ის ჩემზე უკეთესად აგისნით. რა უნდა გავაკეთოთ...მოზიდეთ მო-

რები და ლიანდაგზე დააწყეთ!.. გეინახ უჭუნი ვანსა ტანტუ.

1-ლი მებად.—აქ შორებს რა უნდა?

2-რე მებად.—წკირიც არ არის?

ხალხი—ლარსუნ ბუპი ეუ! ტანტუ ჩაღასუვი შეფრივაგუბაურ.

ახიტაშვილი მას როგორ ვავაჩეროთ!..

ქალბარა—განა წინდაწინ ვერ უნდა მოგვეფიქრა?

ანზორ—მოგვეფიქრა მაგრამ, დრო სადღა გვქონდა?

განა არ მოვიფიქრეთ, როცა გადავწყვიტეთ, რომ ჩვენი ძვლები უნდა

შეგვეჩერებინა!!

ცხადია მოვიფიქრეთ! ეხლა შიშობთ. იქნებ უკან დაბრუნებაც

გინდოდეთ?

ჩინელი—ჯავშანა არა წაეიდა, ჯავშანა დადგა.

1 პარტიზ.—ლიანდაგი ავყაროთ!

ყველანი—ლიანდაგი! ლიანდაგი!

ანზორ—ლიანდაგი რომ ავყაროთ, მერე? მატარებელი გადავარდება დაიშხსკრევა.

ჩვენ რაღას გვარგებს? ჩვენ კი გვინდა გამოვიყენოთ, ქელაქს მიგ-

ველოთ.. უსიკვდილოთ გვინდა ჯავშანო! ეგ არის ჩვენი გამარჯვე-

ბის თავდები!

2-დე მებად.—იამან! კაპიტანი დავიჭიროთ!

1-ლი მებად.—შენმა თავის გახეთქამ... ძალიან თუ დაიყვირე—ეგ არის, დაიჭერ.

მატარებელი სცელავს... ტყვიის ბადეს აფენს... ჩვენ კი თვეზი ვართ!

2-რე მებად.—შენ სულ თევზები გაგონდება! არ იცი, თევზები, ბადეს როგორ

სწყვეტენ? ყველა რომ ერთ მხარეს მოექცევა,—ბრაწ! გაიგლიჯება!..

ჩვენც უნდა ბევრნი მივაწყდეთ... დავიჭიროთ და მით შევალთ ქა-

ლაქში...

1-ლი მებად.—რის ქალაქში? აღახს მადლობა შესწირე თუ ხრამში გადაგდება

მოვახერხეთ.

ჩინელი—ის შეა...

ანზორ — მოიცა! შენ მერე იტყვოდ... ხრამში... ა?

შიშველი ხელებით უნდა აიღოო? მაშ ტყუილ — შენც კი ვერ შეხარე ამდენი ხალხი!

ახმა — (ლარზის) გვაეჩეროთ, მაგრამ, როგორ გვაეჩეროთ? მორებს დააჩოჩებს, ხელებით ვერ დაიჭერ და თითონ ვერ დაწვები!..

ლარზი — იცი... რა გითხრათ! მე ტუხნიკურში ვსწავლობდი.

ახმა — ტუხნიკურში და მერე არ იცი, ისეთი საშვალემა, რო ვაქანებული მატარებელი გვაეჩეროთ?..

ლარზი — რა თქმა უნდა ავეთი საშვალემა არ არსებობს.

ახმა — მაშ რა, ჩემ ფეხებით გინდოდა ეგ ტუხნიკური?..

ლარზი, ვინა გყავს მკვდარი?!

ლარზი — აი რა! რკინის გზის ინსტრუქციით, თუ შემანქანემ ლიანდაგზე შორიდან რაიმე შეამჩნია, მატარებელი უნდა შეაჩეროს... თუ ახლოს არის და შეჩერებას ვერ მოასწრებს... მაშინ სისწრაფე კიდევ უნდა მიუმატოს, რომ უფლებლად გადასკრას... მაგრამ შემდეგ მაინც უნდა შეაჩეროს... მე ვლაპარაკობ მკვდარი ლეში რომ იყოს...

ახმა — მართლა... ლეში რომ იყოს...

ლარზი — ჰო, ლეშია საჭირო! შე გამოტვინებულაო, ხარი დავაწვინოთ...

ახმა — ხარი კი არა, ეხლა ძროხა მომთხოვეთ... ამით მუკელს რა გადარჩა?.. ან ეხლა სად გვაეჩინოთ ეს ხარი!! ანზორ!

ანზორ — უფრში მინდა გითხრა... ხმა მალლა ვერ გეტყვი. აი ვინმე... რო...

ხმები — მოდის! მოდის!!! ნეიბურ, ნეიბურ.

ანზორ — ოხ! აზრი დამებნა, შენისთანებმა ვადამრიეს! ხალხო, ისინი ძველ კანონს მისდევენ... ამიტომ ძველი წესით მიღებულია... თუ შემანქანე ლიანდაგზე გვაშს დაინახავს შოვალე არის შეაჩეროს... შემანქანემ იქნებ არ შეაჩეროს, მაგრამ ერთი თუ გადმოიხედა, შუბლში ღილივით მივაკერებ! მე კი ვგონებ შეაჩეროს და კაცი არ გატყულებს... მაშასადამე... ხალხო, ვის უნდა ლიანდაგზე?..

პარტიზ. — ყველას! ვინ იტყვის უარს!?

ანზორ — ძებო, მხოლოდ ერთია საჭირო, ერთი!

(ხალხში აქეთ-იქიდან: ერთი? ვინ? ვრთი?!)

ახმა — ჰო, ერთი...

2 მაგრამ რომელი?

4 — უნდა გაის... გაისრისოს?

5 — უიარაღ... უიარაღოდ მოკვდეს?

6 — (კლარას) როგორ?!!

კლარა — უნდა მოკვდეს უიარაღოდ!

ჯატო — ძნელია! ძნელია!

3 — უუუ!

პარტიზ. — (ლარზის მივარდება შიშით). ლარზი? მერე. მატარებელი?!

ლარზი — შეჩერდება! შეჩერდება! მხოლოდ უნდა გაისრისოს...

ახმა — (სიზღვის შემდეგ ყველას თვალს გადააქვებს) მე დავწვები ლიანდაგზე!



ქართული  
იტიმის მემორიალი

ლარიზი—რა სთქვი? (თვალეში აცქერდება)

ახმა—ჰო, გული მითხრობს!

ჩინელი—(ახმასთან მიდის და საიდუმლოებით) არა! თქვენ არა! იქნებ...  
პარტიზ.—ხალხო, რას ამბობს ჩინელი?

6—ვინ არის ლარიზი?

მეზად.—ხანჯალს დაეცემ და არ გავაცინებთ..

5—სიკვდილს მეც თვალეში ვუცქერ...

- 1 } მე მსურს!
- 2 } მეც მსურს!
- 3 } მეც მსურს!

პარტიზანელი—ხალხო! დაე, ანზორმა აირჩიოს!

ანზორ—მე?..

ყველანი—დაე ანზორმა აირჩიოს! ანზორ, შენ აირჩიე!

ქალარა—ანზორ, შენ აირჩიე!

ანზორ—მე ავირჩიო? არა! არა!

პარტიზანელი—ანზორ! სხვა გზა არ არს!

ანზორ—არის! იმან! მე თვითონ... (წავა წინ ელობებთან).

ყველანი—ანზორ! ანზორ! ეგ არ იქნება?

ქალარა—ანზორ, უმეთაუროდ ჩვენი დატოვება არ შეიძლება...

ხალხო, რაკი მსურველი მრავალია, მსხვერპლი კი ერთია საკირო—  
იყაროს წილი!

ყველანი—იყაროს!

ქალარა—წილი ყველაზე უმანკომ უნდა ყაროს... იმან არც კი უნდა იცოდეს...  
რისთვის ირჩევს... ძველად თვალეშიც აეუბამდით...

ახმა—ზაირა! იმან არაფერი იცის...

ქალარა—მოუხმეთ ზაირას... (ერთი პარტიზანელი ვადის).

4 პარტიზ.—თვალეები აეუბათ!

1 პარტიზ.—ხალხო, ცეკვის დროს...

ყველანი—ცეკვის დროს...

ანზორ—ცეკვის დროს? კარგი...

ლარიზი—და ვისაც გამოიწვევს...

ახმა—ის იყოს სასიკვდილოდ არჩეული...

ყველანი—იყოს! წრე გავაკეთოთ! წრე გავაკეთოთ...

პარტიზანელი—ზაირა!

(შემოდის ზაირა).

ანზორ—ზაირა! ესენი სიკვდილს დასცინიან... მათ სურთ შენთან ცეკვა... ერთ-  
ერთს... ვისაც აირჩევ... მე ლამის, ქალარას, ახმას. იცეკვე ჩვენთვის...  
იცეკვე შენებურად.

ზაირა—ანზორ, ცეკვა?

ანზორ—ცეკვა!.. ვისაც აირჩევ...

ზაირა—ანზორ შენ სხვანაირად ლაპარაკობ...

ანზორ — არა! მე შართალს ელაპარაკობ: ვინც გინდა, ყველა იტყვის... ერთ-ერთი: *ერთ-ერთი*  
 ერთი: *ერთ-ერთი*  
 (ხაირა ცეკვავს. საითაც ხაირა გასრიალდება, ის მხარე თითქოს გვდება. ჩიხელი თითებს იცეკვებს, იმის შიშით, რომ ანზორი არ გაიწვიოს. ბოლოს ხაირა ახმას წინ შეჩერდება. ახმა შეერთება, უმხერს. შემდეგ ანზორთან მივა, თოფი ხელიდან გაუვარდება. ანზორიც ჩამკვდარია. ისმის მატარებლის სტვენა. ახმა იტყვის: მშვიდობით და ლიანდაგისგან გაქანება.)

ზაირა — ანზორ: რას ნიშნავს ეს?

ლარში — ზაირა: ახმა ბედნიერია: თუმც იგი სასიკვდილოდ აირჩიე!

ზაირა — ანზორ! ახმა!

ანზორ — ზაირა!

(ანზორი გაქანება. შეაჩერებს)

ანზორ — ახმა მშობელ მიწაზე წევს. (ხაირა ჩაიკეკავს) ზაირა! იტირე! ძნელია, ძნელი მიწაზე სიარული!  
 (მკვდარული სიჩუმე... ისმის მატარებლის ყვირილი... ყვირილი შეჩერდება...)

### ხ უ რ ა თ ი შ .

(სროლა).

იუხუფ — ყორში ბუნასა აელუ დაიმალეთ!

ჩიხლაძე — ქარტი ქაჭირ ბარტრუ.

ჯატო — აი და მათრან.

ჩხეიძე — ბაკალაღანინ (სროლა).

იბრაგიმ — ნიჰაუხეისა ყადარსა, მოეფარეთ.

ყვარელ — ლოხესა ხენასარ!

ამიტაშ. — ხენახუ! ნეხანუ!

ლევთა — ტუკოი! ტუკოი! (სროლა).

იუხუფ — ლასუნუ ბუჰანუ აქედან ესროლეთ.

გ. გნიძე — შეითან ყადარსან.

კუპრაშ. — ხიჰაუსეისა!

ჩიხლაძე — ქარტი! ქარტირ! ქარტრუ! (სროლა).

იბრაგიმ — შუა ჩაეახრუ უკუმა ხო არ შევაკვდებით! (სროლა).

### ჯავშანოს რონოლაში.

სროლა. სროლა. სროლა. სროლა.

კამ. — (ტელეფონთან) ქვეშეხი პირველი, მეორე — საომრად. ტყეის მფრქვე-  
 ველის ბუდეზე სამიზნო 120, შილი 120 — ცეცხლი.

მირზა. — (დურბინდით უმხერს) ვერაფერი გამირჩევია, ბ — ნო კაპიტანო. რას  
 მოხვდა?

კამ. — (ტელეფონში) არაფერია, არაფერი! მეც მცხელა! პირველი, მეორე —  
 საომრად!

კავალერიას სამიზნო 80, შილი 80. — ცეცხლი! (ორჯერ სროლა).



ქართული

- მირზა. — სად ხედავთ კავალერიის (ცხენოსანს) ბ—ნო კაპიტანო?
- კაპ. — ნუ მიშლით! მიზანხედ სამიზნო—80, მილი 80. ცეცხლად ქარხანა ყაზუს იქნან და კიბეზე ეშვება.
- სასტიკად მტკივა თავი! (წყაღს სვანს გრაფინიდან). ასე ზგონია თითქოს მთელი საუკუნე არ მიძინებოდა... ქალაქში კი ეხლა ვახშობობენ, შემდეგ პრეფერანსს ჩაუჯდებიან ღამის ორ საათამდე. ვარია სახლში წავა, წამოწევა დივანზე, წიგნის კითხვას დაიწყებს... რის წიკითხვა შეიძლება ასეთ საშინელ ღამეს!
- მირზა. — ხალხი ძლივსლა სდგას ფეხზე, ბ—ნო კაპიტან! მესამე ღამეა არ უძინიათ. ამ მთევში დღეობა როგორ შეიძლება მე იმ ოხერ მემანქანეს...
- კაპიტ. — ჩვენი ბრალია! რათ არ შეუცვალეთ ინსტრუქცია? ის ხომ მოხალისეა. ის იბრძოდა კანონის დანაცვაად და ჩვენი სუტროდა. ინსტრუქცია უბრძანებდა მას შეჩერებას თუ მატარებელი კაცს გადასტრიდა და ისიც გაჩერდა.
- მირზა. — თუ პარტიზანები შუბლს არ გაუხერტენ მე გაუხერტავ.
- კაპიტ. — უკვე გვიან არის, გვიან... (ამირაზუბთან მოაბუნს) სმენა! პირველი და მეორე—საომრად! სამიზნო 80, მილი 80. წინახაზს ცეცხლი!
- მირზა. — ბოდიში, ბ—ნო კაპიტანო! მე ვერც წინა ხაზს ვხედავ ვერც ტყვიის შტრქვეველს და არც პარტიზანებს გვიპასუხებენ.
- კაპიტ. — თქვენ გძინავთ, თქვენ უკვე გძინებათ. მხოლოდ მესამე ღამეა თქვენ კი გძინებათ... მე თვითონ არ მიძინებია...

2.

- არტილ. — (შემოდის ბარბაციო, ლაპარაკობს ენაბორძიკით) ვაზნები... ვაზნები ვეღარსად დაგვიტევია ბ—ნო კაპიტანო!
- კაპიტ. — გადაყარეთ—მაგის ოხერი...
- არტილ. — და წყალიც...
- კაპიტ. — რაო? ქვემეხი გახურდა?
- არტილ. — გახლავს! ლულები გაწითლდა. სროლა სახიფათოა ბ—ნო კაპიტანო.
- კაპიტ. — ამა! მირზა, ნახე კედელი. ცხელია? თითქოს ვაგწანო ვერ აიტანსო, დაიშლებაო, თვალები დაუსტდებაო... მე ამითაც მაშინებდნენ ვახსოვს... მე ვერ შემაშინებენ! მირზა ვასინჯე კედელი! (მირზა მიწაგას) გეშინიანთ აფეთქებისა, გეშინიანთ? (ყლაფ „ზუდაკას. მივარდება) რაო? ისევე? სმენა? ქვემეხი! თქვე ძაღლის შვილებო თქვენა, პირველი, მეორე—საომრად! კავალერიისაკენ სამიზნო 80, მილი 80. ორი ვაზნა ჩქარა! ცეცხლი! (ორჯერ სროლა. არტილერისტი დაქანული დახვავ ზეღის დაყრდნობით გადის.) მირზა! ჰხედავ, როგორ მოფოფბავენ შარში?
- მირზა. — სრულებით ვერაფერს. ხალხი დაიქანცა. მეშინიან რომ...
- კაპიტ. — ბევრი დაილაღნენ. მეც დავილაღე. სასტიკად მირზა! რა სამარცხვინოთ მივლოდავთ ამ უკუნეთ ღამეში.

ჩვენ ფოლადით შექმნილი რუსეთი ვართ. მე მინდა პეტროვსკაში შევიქრა. მინდოდა ხიშტებით გამერღვია ყველა პეტროვსკაში მინდა.

მირზა! გაცი განკარგულემა პეტროვსკაზე წინ!

- მირზა.** — უკვე მოგახსენებდით, ბ—ნო კაპიტანო, რომ ორთქლმავალის მოსასმსახურეები დაგვიზოცეს. მოხალისეთაგანს კი არავის შეუძლიან...
- კაპიტ.** — დიახ, დიახ! საკვირველია. ამ ბოლოს დროს თქვენ ძალიან მოკვეთილად ლაპარაკობო, მირზა. მე კი თანდათან მიძნელდება გრძელი წინადადებების გამოთქმა. თქვენ მე მომახსენეთ, თითქოს ჩვენ მიუდგომელი ციხე ვიყავით, ფოლადის ჯაჭვი, რომელიც რუსეთის აღმოსავლეთს და დასავლეთს აერთიანებდა.

## 3.

**არტილ.** — (კარებში გამოხინდება) თქვენო კეთილშობილებავ... (საწოლზე დევადება)

**კაპიტ.** — დაკრილია?

**მირზა.** — არა! დაეძინა. (პაუზა) ბ—ნო კაპიტანო!

**კაპიტ.** — დიახ, მე თქვენ გისმენთ, მირზა! (პაუზა). დიახ. ა?

**მირზა.** — მიბრძანებთ სროლა აუტეხო?

**კაპიტ.** — სროლა? ვის უნდა ესროლოთ? თქვენ კი ვერავის ხედავთ, მირზა მხოლოდ მე შემაჩნით! თქვენ გეგონათ შეემინდა... დამეჭინებოდა.

**მირზა.** — საშინელი სიჩუმეა. ხალხს ეძინება. ვფიქრობ ეშინიანთ.

**კაპიტ.** — ხალხს, ხალხს უნდა ეშინოდეს. ღმერთის, საშობლოის, თავის მოკეთებლის, თავიანთი თავის, სიბნელის და სიჩუმისაც.

**მირზა.** — ნამდვილია. ბ—ნო კაპიტან, ბ—ნო კაპიტან, საჭიროა სროლა.

**კაპიტ.** — ჰხედავთ, მირზა, როგორ ახლო მოცოცებულან. ჰხედავთ, ხრამში მათი ვინტოვები როგორ ელაკენ. ათასი ვერსი მთებში ცოცვით გამოუვლიათ.

**მირზა.** — ნამდვილია. შიგ სახეში იმათ, ბ—ნო კაპიტანო, სახეში ტყვია.

**კაპიტ.** — თქვენ უკვე ძილი აღარ გინდათ. ალლო! სმენა! ქვემები! პირველი—საომრად! სამიზნო 40, მილი 40. ფინდიხი სიფათში, ცეცხლი! ცეცხლი ეშმაკმა წაგიღოთ! მეორე საომრად, ფინდიხი სიფათში ცეცხლი, ცეცხლი გიბრძანებთ! სძინავთ ძალღის შეილებს...

**მირზა.** — სძინავთ. (პაუზა) ბ—ნო კაპიტანო, ნება მიბოძეთ ჯავშანო მე თვითონ წავიყვანო.

**კაპიტ.** — თქვენ წაიყვანთ, თქვენ... წაიყვანთ. მირზა, გამიგონე, თქვენ ხომ სიციხეში ხათ... აბა შეხე კედელს და შემდეგ თქვენ თავს. მაინც რის წაკითხვა შეიძლება ამ ღამეს?

**მირზა.** — ნუ ჰყვირით, ნუ ჰყვირით!

**კაპიტ.** — აპა! აპა. ხომ გეუბნებოდით... მე გეუბნებოდით... ნუ გადააგდებთ ჩემს გოშის ფანჯრიდან შეთქი. თქვენ კი მირზა მაინც გადააგდეთ და აი, სიჩუმეა... გოშია ფანჯრიდან გადააგდეთ და აი, სიჩუმეც დამყარდა. გმადლობთ შენ, ჩემო სამშობლო, გმადლობთ არა მარტო

ჩემის საწყალი და უმნიშვნელო სულის და სულისათვის ჩემი თანა-  
შემწისა, აგრეთვე ვმადლობ ჩემი საწყალი გოშინს სულისათვისაც  
სიჩუბე დაამყარე მთელს შენს მიწაზე. მყუდროება და სიჩუბე. ომი  
აღარ არის. მირზა, დაიჩოკე ჩემს გვერდით, მადლობა შეგწიროთ  
მყუდროებისათვის. აი ასე, მდაბლად!

(ჩინელი ესერის და ჰელაქს)

4.

**მირზა.** — როგორ. ყველამ დაიძინა... და ისე გამოდის, რომ ორდენი ვერ  
უნდა მივიღო. არ იცნობთ თქვენ გლეხს და მეც თვითონ ხომ...  
პირველ გლეხს მივახლი. (შემოდის ანზორ) ანზორ!

5.

**ანზორ** — მირზა. ბედმა კიდევ შეგვახვედრა. დაუშვი ნაგანი. ეხლა შენი ჯერი  
აღარ არის. (მირზა დაუშვებს) თვალბზე ხელი აიფარე, თორემ მოვალ  
და სიკვდილის წინ შემოგაფურთხებ. (მირზა ხელს იფარებს) არა შენი  
მურდალი სისხლით ხანჯალს არ შეესვრი. გლეხებთან ვადი გარეთ—  
ისინი გადაგიხდიან მადლობას. (მირზას გაიტაცებენ გარეთ. ყვრილი. სჩოდა).  
ასეთი პატარა კაცი შენ აწიოკებდი ხალხს. ჩემი ბავშვები შენ! ბედი  
გჰონია რომ მომკვდარხარ!

**იბრაჰიმ** — ანზორ! ლარბი უკვე მაშინაშია, ხალხი თევზებივით ჩაეწყო ჯავშა-  
ნოში, წავიდეთ ანზორ?

**ანზორ** — უთხარი ლარბის შეუხუროს! მაგრად შეუხუროს მან იცის ტეხნიკუ-  
რი—პირდაპირ პეტროვსკაზე. უნდა სიმღერით შევიდეთ. მატარებე-  
ლი სულ აყვირეთ... პეი, პირდაპირ პეტროვსკაზე ილია ივანოვთან.  
(სიმღერა, ყიფინა).

ფ ა რ დ ა.



## წერილი მეზობელ კოლმეურნეებს

მოედი გნახეთ.  
 წელს ზაფხული თქვენთან დავყავი.  
 ჯიხაიშის ცა  
 ჩვეულებრივ ზეცა გვეხურა.  
 მე მქონდა წინსვლა  
 კოლექტივის აზრის წამყვანი,  
 იმ მიდამოში,  
 სადაც ვიყავ ერთ დროს გლეხურად.  
 სველი ღრუბლები რომ დაქრიდენ ცას ნაწილებად,  
 მაგონდებოდა მწყემსობა და გზებზე ტალახი...  
 მაინც რარიგად გავვიწყალა გული წვიმებში;  
 ყანებში მტრულად წამოზარდა ბურჩხა ბალახი.  
 რით არ ვზარობდი!  
 სიკბაბუკე ჩემში მღეროდა,  
 მქონდა ნიადაგ  
 კოლექტივი სალაპარაკოთ.  
 სალამოები  
 საუბროსთვის ხშირად გველოდა,  
 იქ სამკედლოსთან,  
 სად ივანე „ლეკი“ დალაქობს.  
 ჩენი დალაქი, გულმართალი ჩენი ივანე,  
 რამდენა ხანი დადიოდა უქმად გზადაგზა.  
 დღეს, მისი ფეხზე დაყენება თქვენ დაივალეთ,  
 რამაც ცხოვრება მისი გაზარდა.  
 მაგრამ ბარათი  
 ამნაირად რად ავაკრელო,  
 როცა თქვენს მიმოუთ  
 უფრო სხვა მაქვს სალაპარაკო  
 კარგი გაქვთ გული;  
 კარგი არის თქვენი სამკედლო  
 და ის ცაცხეებიც,



ბევრ ქალაქებს რომ აგარაკობს...  
 მაგრამ მინდვრები, ოქროს თვალი, ოქროს ყანების  
 მეუბნებოდენ ტემპებიდან თქვენს ჩამორჩენას:  
 იყო ჯეჯილში ბალახები ლურჯად ნარევი,  
 ვით გარღვევა და ნისლიანი ტყის გამოჩენა.  
 და მსურს სირცხვილით  
 შევაწითლო თქვენი ლოყები.  
 რომ დაიუფლოთ  
 გამარჯვებდს ცეცხლი ბიჭებმა;  
 გუბისწყლის ქალებს  
 ტეურიდან რომ ჩამოყვებით,  
 იქ ძმებო მეტი  
 დამკვრელური ტემპი გკირდებათ.  
 სალამოს ეამს,  
 მზე რომ დაწვა ნიგვზების იქით,  
 იმერეთის მთებს, როცა ლილის ფერი დაედო;  
 ჩვენ წისქვილის წინ ვიჯექით და ცხოვრების ფიქრი,  
 ცხოვრების ძარღვით მოტანილი გვჭონდა საერთო.  
 თქვენ შემეკითხეთ:  
 — მართალია ხელი თეთრი გაქვს,  
 მაგრამ წინად ხომ  
 შენც გუბისწყლის ხმაზე კიოდი;  
 მოდი, გვითხარი,  
 რომ დავარტყით ქუსლი დედის გვარს.  
 როგორ გაუძღვეთ  
 დღეს საერთო საქმეს გიორგი?  
 ვიცი თ არტელი კარგია და გასახარელი,  
 და უნდა მივცეთ კოლექტიურ შრომას ბარაკა;  
 მაგრამ რატომღაც წელს არ გვეყო ძალა ხარების,  
 და შეგვარცხენია მოწინავე ხალხი ბალახმა.  
 თქვენ წისქვილის წინ  
 ეს მითხარით სალამოისას.  
 სალამოისას,  
 მზე რომ დაწვა ნიგვზების იქით.  
 მდინარე ქუხდა,  
 მთებმა ნისლის ქურჭი მოისხა  
 და წყაროს თავზე  
 შრიალებდა თხმელების რივი.  
 მე ჩაფიქრებით შემოგხედეთ, და გამეღიმა,  
 ხელში მოვსრისე ბეოლის ნეშო რალაცნაირად.  
 ვითხარით სიტყვა, გზა გამიხსნა აზრთა გრეხილმა.  
 ვფიქრდებოდი და, ისევე ვშლიდი სიტყვის ბაირალს.



მახსოვს იქ რაც ვთქვი,  
 ამ ბარათშიც, იმ აზრს ვალრმავებ;  
 ვარ აქაც ისევ  
 სიძნელეთა რიგის დამსჯელი.  
 ოქროს თეფშებით  
 არ მოგივათ ძმებო, სხვა ღამეც,  
 თუ გმირობამდე  
 არ ავიდა თქვენი მარჯვენი.  
 მგონი ამბობდით — კალმისა და სიტყვის დღეხარო,  
 მაგრამ ვგიც ვთქვათ,  
 ვის მიემართო ლექსში მუდარით;  
 არა ვარ ცაკი, არც მთაერობა, რომ დაგებმაროთ,  
 არც წიქარა მყავს, რომ ვასწიოს თქვენი გუთანი.  
 შეხედეთ სხვაგან სიძნელეებს როგორ მივანგრეთ...  
 მიყვით გმირებს,  
 დაიფლეთ თქვენც ის გაიგება:  
 — არ არის ქვეყნად დღეს ისეთი ციხე-სიმაგრე,  
 ბოლშევიკებმა რომ ვერ შესძლონ მისი აღება.  
 რ.მ შეგაწუხათ!  
 მაგარია ძარღვი ეპოქის,  
 იცის უეცრივ  
 გამარჯვება ტემპის გრიგალმა.  
 ყოველგვარ შრომას  
 კოლექტივში თქვენვე ეყოფით,  
 თუ იმოქმედებთ,  
 ვითდამკვრელი ბრძოლის ბრიგადა.  
 ჩემი შეძლება ლექსებშია გულით ნაქედი;  
 მეც გეტყვით სიტყვას, წინ გაგაფრენთ, როგორც მერანი.  
 არ ვიყო კაცი სტრიქონებში ცეცხლის დამკერი,  
 გამარჯვების ხმით, თუ არ მოგხსნათ დარდი ვერანი.  
 აქ გამუდმებით  
 ბრძოლაა და შრომა მაგარი,  
 დიდ შინდერებისთვის  
 მანქანები რომ ავიშენონ.  
 გახსენით რკალი,  
 შემოწოდეთ ქარხნის მაგალითს,  
 შრომა და ტემპი,  
 არტელების დღეთა მუშებო.  
 ჯიხაიშის ცაც ლივლივია ჩვენი ეპოქის,  
 გულს ნუ გაიტვებთ; წინსვლა იცის ტემპის გრიგალმა.  
 ყოველგვარ შრომას კოლექტივში თქვენვე ეყოფით.  
 თუ იმოქმედებთ, ვით დამკვრელი ბრძოლის ბრიგადა.

## ეროვნული ბიბლიოთეკის სიტყვა

დღეს მე მაქვს სიტყვა ამხანაგური  
და თქვენც მას გულის გაუღეთ კარი:  
შიგ ხმა ყოველი არის იგური  
და კედელია ყოველი ბწყარი.

მხარდამხარ მისდევს კედელს კედელი.  
და იმართება ლექსი—შენობა,  
ლექსი, კიაფით—ოქროს მკედელი,  
კიაფით—მგზნებარ ცეცხლის მწველობა.

შემოხაზული ყოველი ხანა,  
როგორც გულ—საესე შრომის კვარტალი:  
ფაბრიკა მთელი, ანდა ქარხანა,  
სამკედლო, ქურა თუ ნაღვერდალი...

მგზნებარე, ქურა რომ გაახუროს,  
შანთი აქციოს შიგ ცეცხლის ენად,  
რათა ხმა გრდემლზე კვირის თუ უროს  
მოსდოს სამკედლოს ელექტრო—დენად!..

ელექტრო ბოძებს გაზხედით მასში,  
სასვენ ნიშნებად რომ აღმართულან;  
ელექტრო—დენი სჩქეფს ყოველს თქმაში.  
შიგ მავთულებად რომ ჩახლართუ...ან.

არა, მავთულებს, აბა, ვინ ნახავს?  
საიდუმლოა ყოველი ძაფი:  
გულის სიმებათ ამომიძახავს,  
შემგრძნობი, როგორც სეისმოგრაფი!..

საკმაო არის ერთის შერბევა,  
რომ მთელი ქსელი ამუსიკაღდეს,  
მისგან სიცოცხლე ისევ ეფრქვევა,  
რომ სმენა მკედლისა, ვევე, გაუძაღდეს;

თორემ ცოცხლები მილიონობით  
მასზე, ვით ჩარხზე, მახვავენ გულებს:  
რომ გამოვიდეს მასა მონობით,  
ის მოუწოდებს წინ დაჩაგრულებს!..

და ერთ საყვირათ მოკვეთილია  
ასეთი ჩთული ქარაგმა—ქსელი:  
შიგ ყოვლი ასო გრძნობის ფთილია  
და თანაც რთული გულივით ვრცელი!..

ვრცელი, ვით ჩვენი რეკონსტრუქცია,  
და ვით დამკვრელი, თან ურყეველი.  
წარსულს ხომ რაშე არ მოუცია,  
რაც იმას დარჩეს დაურღვეველი?

და ახლის, შობის, ახლის აგების  
იგი პირველი არის ნაღარა.  
ის გუგუნია ლიანდაგების,  
მიწის მკერდი რომ ბრძოლით დაღარა!..

და ქვემეხებით ამეტყველების  
მასშია ძალაც პეროქსილინის:  
განსახებაა საკვირველების  
ბრძოლის და შრომის. ჯეცხლის და ჟინის!..

თუმც ის ხმა არის ჩემი ძახილის,  
მილიონთ გულთქმაც შიგ იმალება,  
როგორც ქარქაშით ბრძოლის მახვილის  
ამოღება და აპრიალება!..



## სამი ლექსი

### დიდება რკინას

სადღაც, ზღვებს იქით არის უფლება.  
 არის სინდისი პატიოსნება.  
 სადგური მაინც დებს აიდგამდეს  
 და შრეწველობას გააღვიძებდეს.  
 კვდება ქალაქი: ახველებს ბორგავს.  
 და ყვავ-ყორნები მის მძორს ესხმიან.  
 დროგამოშვებით ისე ვით ძილში  
 სამგლოვიარო ისმის შესიკა.  
 და გენერალი ჩვენ ქალაქიდან  
 გამჩენებამდე შორს გაიპარა.  
 ქალაქს უბრძოლოდ ჩააბარებენ—  
 ირგვლივ რკალია აჯანყებულთა.  
 უძრავი არის დიდი ქარხანა,  
 კიდევაც ხავსი მოჰკიდებია.  
 მალე ზეცისკენ აიშართება  
 ისე ვით კვამლი რკინის დიდება.  
 ვით ნეტარება ისე გათავდა  
 წუთი გოტიკის და ბაროკოსი.  
 და რენესანსი მოდის ქარიშხლით,  
 ამაყი ცქერით, თუჯის ნაბიჯით.  
 ჩვენთვის ერთია ღმერთი, ეშმაკი:  
 ორივე მაინც გენერლებია.  
 დგანან საყდრები წარბმოდღუშულნი  
 და ძალღებავით რბიან უბნები.  
 ქალაქში ისმის კენესა, ტირილი.  
 თითქოს მძვინვარებს მძიმე დარბევა.  
 შეკრთენ, იკივლეს და განიავდენ  
 მწვანე ბინდები.  
 მუზეუმი და არქივი იწვის.

\*) პავლო ტინინა არის უკრაინელი მოკავშირე პოეტი.

შემატეთ ფინჯი და წნელი ხანძარს.  
 ზეცისკენ კრულვით მიემართება  
 რკინის დიდება.

რა ოხრად გვინდა ზელისუფლება.  
 ჩვენ მშიერი ვართ. მოგვეცით პური.  
 ჩვენსკენ მოდიან აჯანყებულნი,  
 მოიმღვრიან კომუნარები.

—თქვენ დაიკადეთ, ამხანაგებო,  
 კიდეც იქნება სასმელ-საჭმელი.  
 მხოლოდ ეხლა ჩვენ წამოგვეშველეთ—  
 თავში დავარტყათ კაპიტალისტებს.  
 აი მუშათა ლეგიონები,  
 ისმის ხმაური ნაბიჯებისა,  
 ყველა მორთულა პატარძალივით  
 ყვავილებით და წითელ ლენტებით.  
 მზე მოსჩანს ცაზე ფარშავანგივით,  
 და სახურაეზე დაგოგავს მტრედი.  
 ცაში წითელი ისმის სიმღერა—  
 ეს არის რკინის ქებათა-ქება.

## 2. წაბილი კომეზს.

ვარ კომუნისტი. სხვა ჯურის ქალი.  
 თმა შეეკრიპე.

გრცხვენოდეთ, რომ თქვენ უმღერით ახლა  
 მხოლოდ მზის სხივებს და სილაშაზეს.

გწერთ, ვინაოდან მე ასე მინდა.

ერთი შითხარით:

ვისთვის სთხზავთ ლექსებს,

და ვისთვის მღერით

ამ სისხლ ნაკლულს და ფერმკრთალ სონეტებს.

იქნებ ხალხისთვის, ან მშიერთათვის?

მამასადაშე იცოდეთ კარგად:

საცოდავია და უბადრუკი

ზელი, რომელიც ტრიოლეტებით

ლამობს აღზარდოს მუშა ძლიერი.

აბა ნახვამდის. ნუ გაოცდებით—

ეს ზომ არ არის ტრფომის ბარათი.

გეტყვი: ხართ—ძალა. და მომავალში

თქვენ კომუნისტი კიდეც იქნებით.

## 3. მრედანაშა



საყდართან, გაშლილ მოედანს  
მოაწყდა რევოლიუცია.

—დაე მეჯოგე!—ტუხს ხალხი  
ჩვენი ბელადი იყოსო.

—ელოდეთ თავისუფლებას.

მშვე დობით! აბა გავსწიოთ.

ცხენებს მოახტუნ. მიჰქრიან.

მხოლოო დროშები ბრწყინავენ.

და მოედანზე—საყდართან

დასვედიანდენ დედები.

—შენ გაუნათე გზა იმათ,

კეთილო მთვარე ზევიდან.

შტვერი არ ფარავს მოედანს.

ხალხის ხმაური დადუმდა.

მოსდევს სალამოს ფეხდაფეხ

ლამე მაგარი კუნთებით.



## მ ა ნ ე ვ რ ე ბ ი

პ ა ე მ ა

გ ა ნ ა კ ი.

დაპკრეს საყვირი, რა განგაშია?  
ბანაკს მოელის სალაშქროდ წასვლა!  
ტილოს კარები ძირს ჩამოეშვა.  
კლუბს შემოერტყა მებრძოლთა ალყა.

არმიელებში თრთოლვის აღმძვრელი  
განწყობილება ჩამდგარი იყო.  
გიგო ბაქრაძე ჩვენი დამკვრელი  
ცეცხლით ანთებულს ისროდა სტრიქონს.

გულში სიტყვები წვება ზოდებათ.  
არმიელების თვალი კიაფებს.  
ვოროშილოვის მხნე მოწოდება  
აღფრთოვანებდა ენტუზიასტებს.

ეგ მოწოდება ისმის ველადა.  
თითქოს ისროდენ მებრძოლნი ქვემებს.  
„არვინ ჩამორჩეს ამბობს ბელადი—  
სოციალიზმის შენების ტემპებს!“

„არ ჩამოვრჩებით სტალინელები!“  
უპასუხებდა მთიულიშეილი.  
მთლათ დაამტვრია ტაშმა ხელები  
და გორმა ღამით დაჰკარგა ძილი.

ლ ა შ ძ რ ი ზ ა.

აღმოსაელეთის გრძელი გამზირით  
ველზე გაშლილი ენახე ლაშქარი  
და კრიალებდა მზეზე ამზინდი,  
საქურველი და ხიშტი კაშკაშა.



ენახე და უმაღლესი გამოვიცანი  
რეკოლუციის შეილი-ბურჯები.  
უხმოდ მიცქერდენ, ვით გულთმისანი  
დიდ ზარბაზნების მუნჯი ტუჩები.

შორს ხავსიანი იდგა ტაძარი,  
დაშლილი ციხე დიდი მთაყარის.  
მაგონდებოდა ბრძოლა-ხანძარი,  
მონობის ნაშთი და ბალავარი.

ძველი საშყაროს წინ აღიმართა  
თავისუფლების ბეჭე-გალავანი  
და საფლავშიაც ესმით მძინართა  
ახლა საყვირის ხმა, ბარაბანი.

#### ბრძოლის უბანი.

ტრამალის შემდეგ მტკვარზე შემდგარა  
რკინისგზის ხიდე ვით უნაგირი.  
ეს ხევი არის „ლურჯთა“ ბუნავი.  
მიჰქუხს ლოდებზე ტალღა მედგარი.

„ლურჯებს“ მთაშორის ეპყრათ ხეობა,  
ვიწრო კარები ჰქალა დიდისა.  
„წითლებს“ ჰმართებდათ დიდი მხნეობა  
და მოხერხება მხოლოდ იმისა,—

მოექცენ ზურგში თვისი ჯარებით,  
გამოაცალონ ხიდეს ბურჯები.  
თუ ამ ხეობის დასცეს კარები,—  
მომწყვდეული ჰყავთ რკალში „ლურჯები“.

მაგრამ „ლურჯები“ ხევში ჩამჯდარი  
თავზე ესხმოდენ „მტერს“ ვით მგლის ჯოგო  
და თავის რუხი ავტო-ჯავშანით  
უკან იხედენ ისევ ჯაგებში.

და გადასწყვეტეს „წითლებმა“ მათი  
„ლურჯთა“ ბუნავზე „შემორტყმა ალყის.  
ეს ეყო სულ სხვა აწყვეტა რაშის  
და სულ სხვა ბრძოლა, ცეცხლი და აღხი.

#### ს ა მ ზ ა ლ ი ს ი.

ლამით შეჰკრიბა დიემეთაურმა  
ლეგიონების წინამძღოლები



და მათ მოჰხაზეს სამხედრო რუკა.  
ბრძოლის სვლაგეზით, გეგმის რგოლებით.

„ო! რა მოხდება ხვალე შენ ნახავ!“  
მითხრა ლეგთაემა მე საბარგულთან  
და მან მიაშპო თვისი განზრახვა  
როს მეთაურთა ბჰობა დასრულდა.

შემდეგ ცხენებზე შესხდენ ყველანი  
და მიიმაღლენ ღამის წყვედიადში.  
ისმოდა ჯარის ჩუმი ხველანი,  
გადაჯგუფება მტერის წინაშე.

ღამით მოვიდენ ტერდივიზის  
„ლურჯთა“ დამხმარე ეშელონები.  
ზოგი სად გარბის, ზოგიც შტაბში ზის  
და ზუზუნებდენ ტელეფონები.

რა ფუსფუსია, რისთვის გარჯილან,  
რად ასრულდენ საქმეს ერთგულად?  
არ გაუვლია აქ ხომ მტრის ჯილაგს  
და ჩვენი ქვეყნის მკენე შეთქმულთა?

მთლად გაიჰედა ჯარებით ხვეი  
და მოელიან დილითვე ნიშანს,  
უკან არა აქვთ გზა დასახვევი;  
წინ არის ქალა, რიყე და ქვიშა.

#### გადაწყვეტი ბრძოლა.

გათენდა აშა, ცისკენ ვეება  
ავარდა ბოხი ხმაურით მთები.  
რა უცნაური ბული გაება,  
თითქოს მხეთქავენ მიწას ღველფები?!  
გზა აუფეთქეს ავტო-მოტორებს  
და წინ გაუშვეს „ლურჯებმა“ თვისი.  
კონტრიერიშით ველი დატორეს  
და იღვა ეჭო ეხლა ცხრამთისა.

შიშინებს ნელა აღდანთებული  
ათას კოლოფის ახლა კაპსული,  
თითქოს ჩამჯდარა შიგნით კაპასი  
კუდიანების ჯოგი ვნებულა,—

და სახურავის შრავალ ნახვრეტით  
ანთხვეს ზეცისკენ მოთეთრო ღრუბლებს.



მე ამ უცნაურ სურათს ვუჭკვრეტდი,  
როს გამოშორდა ავტო „მტრის“ ზღურბლებს,

სწრაფად დათოკა მან გამზირები.  
წინ შეეგებენ ავტო-ფორდები,  
და გადმოვიდენ წითელ ორდენით  
სამოქალაქო ომის გმირები:

წინ მიეგება ამალით სარდალს  
და რუქით ხელში დიემეთაური.  
შეტევის გეგმას უხსნიდა სადათ  
მაღლა მოტორის იდგა ხმაური.

ყოფილი მუშა, წინად მჭედელი  
და კუჭტი სახით უსმენს სარდალი,  
გარბის ბასრ თვალში აზრთა ქიდილი  
მზე თავზე ედგა როგორც შანდალი.

მტრის საზღვრებს ზვერავეს მისი დურბინდი,  
მთიდან საბრძოლო ველს გადახედა,  
ხევიდან მჭროლი საამო ბინდი  
ეთამაშება ქვასა და ხეთა.

ქარმა ღრუბლები ნელა გარეკა,  
ძირს ჩამოუშვა როგორც კედელი.  
გადაეფარა არემარესა,  
აწ არეინ არის „ლურჯთა“ მხედველი.

თავს დაიხურეს უჩინმაჩინი  
და თეთრ ღრუბელთა ფართო საფარით  
ხევიდან ველზე გასხეს მაშინით  
ჯარი, დესანტი, ცხენი, ჩაფარი...

მიჰქროდნენ სწრაფად ავტო-ჯავშანნი  
ქალაქისაკენ გზატკეცილებით  
და ჯავშნოსანი გარდანქეშანი  
ლიანდაგიდან მათ ეცილებდა.

მატარებელზე არის მიბმული  
ახდით რონოდის ხუთი ბაქანი,  
ზედ ბრეზენტებით გადაკიმული  
არმიელები გადასაყვანი.

მეც იქ ვიდექი—ათიათასთან,  
ხიდის დარაჯის პატარა სახლში,  
სადაც საველე შტაბი მოთავსდა,  
აქედან ბრძოლას ვუცქერდი გაშლილს.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ხევში მისავალ მთის მწვერვალებზე  
ტყვიამფრქვეველის ისმის კაკანი.  
ყველას ღურბინდი გვკონდა თვალებზე.  
ავტო-ჯავშანი მიდის ხათქანით.

ჭალაქისაკენ მიჰყვება უკან  
ჯავშანიანი მატაობელი,  
ზედ ზარბაზანის მრისხანე გუგა  
ელაფდა ცეცხლის მინათებელი.

„ესკადრონი წინ!“ — ისმის ბრძანება.  
და გაიშალენ ველზე მხედრები.  
შემდეგ წავიდნენ მხნე გაქანებით  
შუბსა და ხმალზე შენავედრები.

მიჰჭროდნენ მწყობრად, ჯავშნიან ეტლით  
ტყვიამფრქვეველთა ასეულეები  
და უფრო მეტის თავგამოდებით  
ძმა ბუდიონის მოერთგულენი.

მიჰჭრიან ჩოროთით ესკადრონები.  
მიდის ქვეითი ჯარი მრავალი.  
მისცურავს „მტრისკენ“ ეგ რონოდები,  
დაუნდობელი, ოხერ-ნავეარი.

არვინ ელოდა გამყიდველ დესანტს  
სხვა მიმართებით ვლიდენ „წითლები“,  
სწრაფად დაარტყეს „ლურჯებმა“ ერთად  
და ცად ავარდა ცეცხლის წინწკლები.

შემომეღელ ჯართაც წინ შეახვედრეს  
თავდადებული ლეგიონები,  
მით უზრუნველჰყვეს ზურგი და მხედრებს  
აწ ვინ წაართმევს მთასა და გორებს?!

გასწვევით მტერი, განელეს უგანეს  
ზურგში მოექცნენ თითონ ნაწილებს  
და ვით ზღაპრული ყრმაი ზურაბი  
აღყის დულაბით „მტერი“ გასწირეს.

წინ და უკანაც დაუხვდა ჯარი—  
„მტერი“ მთით ველზე გამოეფინა.  
აქ ყუმბარები სკდებოდენ ჩქარი  
და ყუფით ქვემებს ყბები ეტკინა.



კითგან დაეშვენ ვით პირატები  
პაეროფლოტის თვითმფრინავები  
და მათ დასცბრილეს უპირატესად  
თვისი ტყვიებით „მტრისა“ თავები.

წინ მიიწვევენ სტალინელები,  
რკალშია „მტერი“, ჯარი მრავალი.  
„მტრები“ ტყვეობას ვერ ინელებენ  
თუმც ადასტურებს შუამავალი.

რა საშინელი ვნახე სურათი:  
თითქოს ნამდვილი გაჩაღდა ომი,  
მისცეს ნიშანი ბრძოლის საგმობი.  
კვლავ „ლურჯნი“ „წითლებს“ შეხედენ ძმურადა.

მე „ლურჯებს“ ვამბობ, მაგრამ ისინიც  
წითელი ჯარის პირშია შევლია.  
ამაო არის მტრების სისინი—  
აქ სხვა ბრძოლების დღეს შეჯიბრია.

#### განმარჯვებისათვის.

მორჩა მანევრებს და დივიზია  
გასალაშქრებლად ეწყობა. დიდი  
წინ აღმართული დროშა მისია.  
ჯავშნული, მტკიცე ნაბიჯით მიდის.

აღმოსავლეთის ვრცელი გაშვირით  
ველზე გაშლილი ვნახე ლაშქარი  
და კრიალებდა მზებზე აბზინდი,  
საქურველი და ხიშტი კაშკაშა.

ენახე და უმალ გამოვიცანი  
რევოლუციის შერიკი— ბურჯები.  
უხმოდ მიცქერდენ ვით გულთმისანნი  
დიდ ზარბაზნების მუნჯი ტუჩები.

და აღარ იყო გზა არჩევანის:  
იქეთ თუ აქეთ, მტერთან თუ ძმასთან?  
ძველი ცხოვრების ავანჩაენი  
ამოითხარე გულიდან დასტათ.

#### „ც. ა. კ.“-ის დროშა.

წითელი დროშა ვით ჩირაღდანი  
იწელებოდა ალივით ქარში.  
მიწას დაერკო მერიდიანზე  
მელითონეთა ტყვიების მარშით.



წინ დგას სამხკომი, დივეთაური,  
ლეგთავი... ამ დროს მთაზე იელვა—  
გაისმა სროლა, ჭვემუხთ ხმაური:  
დროშა მიიღეს სტალინელებმა!

და როს სარდალმა გამოაცხადა:  
„ჩვენ გავემართლებთ ბელადის სახელს!„  
გულმა სიხარულს ფარდა ამახდა,  
ჯარმაც დასტური შესძხა სამხელ...

აღმათ გულღვიძლი მტერს გაუშავდა,  
შეხედეთ ერთი მიტინგს და ველთა,—  
ვით ფრიალებენ თავზედ მუშათა  
ფრთანი მრავალნი წითელ ფრინველთა!

მაღლა ასწიეს ათასი ხელი  
და დამკვრელებათ დასვეს მებრძოლნი.  
დე, სისინებდენ ყველა ჭვემძოომნი,  
წყეულიმც იყოს მათი სახელი!

მე კი ამ ხელებს ვხედავდი როცა,—  
ჩემს გულში ასე ვიანგარიშე:  
გამოგვადგება მტრისა სანგრებში  
მძლე ყუმბარების გადასატყორცნად!

იდგენ ჯარები ჯგუფებათ ველზე,  
სადაც სალაშქრო მიდამო არი  
და მეთაურმა აღისდერ ცხენზე  
მოაჯირითა წითელი ჯარი.

ჯართა შუბები ელაედნენ ციურ,  
თან ელარუნებდა აგვანდ-უზანგი,  
და წამოვიდნენ რევოლუციურ  
სამხედრო საბჭოს წინაშე ჰანგით.

### ა ღ ლ უ მ ი.

ეს ვინ გამოჩნდნენ, ნეტავ რა ბიჭნი,  
თეთრი ხალათით, სადატურები?  
წინ მოდიოდნენ მტკიცე ნაბიჯით  
კასპიის ფლოტის მეზღვაურები.

მტარვალის ტახტი თქვენ დააქანეთ,—  
ამის მოწამე არის კრონშტადტი.  
თქვენა ხართ მუშა, გმირი, ოსტატი,  
ყელგულშეხსნილი მხნე მემანქანე.



მაშინ აწყვეტილ შევარდენს ჰგავდა  
თქვენი რისხვა და სურვილი ბრძოლის.  
თქვენი ნაგანი თხომ დანაგავდა  
ძველი ცხოვრება მეფის და მონის.

ბაქოელებთან აქვთ სოცშეგობრი  
პირველობისთვის ჯარსა და მუშებს.  
ნავთის ბუდობის ხერხელში ბეჯითი  
საბურღავები საქაჩავს უშვემს.

ფსკერზე ნაწური არის მაზუთი.  
ანთხევს შადრევანს კოშკო ასპირი,  
თითქოს იცლება ზღვა-ტბა კასპიის  
პრეისტორიულ გამდნარი ზუთხით.

აქ უმზადებენ პროლეტარები  
საწვავ მასილას საბჭოთა ქარხნებს  
და ჩვენ შევყურებთ მხნე ნეტარებით  
ზაპესს, რიონპესს და დნეპრის არხებს.

წინ წარმოება დაუძლეველი  
და მისი მცველი წითელი ჯარი.  
მხნედ აბიჯებენ სტალინელები,  
ტანზედ არტყიათ მტკიცე აბჯარი.

კვლავ ირხევინ თეთრი თავები  
და ამშვენებენ ველს მატროსები.  
ცით აზმაურდენ თვითმფრინავები—  
მზით შეღებილი ალბატოოსები.

იდგა თვალისთვის უცხო გამზირი;  
საბჭოთა ქვეყნის დიდი ლაშქარი  
და კრიალებდა მზეზე აბზინდი,  
საკურველი და ზიშტი კაშკაშა!

მიჰქროდენ მწყობრად, ჯაგშნიან ეტლით.  
ტყვიამფრქვეველთა ასეულები  
და უფრო მეტის თავგამოდებით  
ძმა ბუდიონის მოერთგულენი.

რუსი, ქართველი, თურქი, სომეხი...  
ძმური კავშირის ჰქმნიან სხვა ჯეჯილს  
და ამ არმიის ვიცი ქვემეხი  
მტკიცედ დაიცავს საბჭოთა ჯებირს.

1961 წ. 10 სექტემბერი.





## მედიკალიზაციის მტრადგი\*)

მატარებელი ხმაურობს ველ-მინდვრებში...

დიდი ხანია მიიმალა ხარკოვი.

რა საქმე აქვთ მათ იქ?

— შეიძლება ის, რომ შეიგრძნონ საკუთარი ტუჩებით ევროპის გემო, მიიღონ საკუთარი ტვინის ლაბორატორიაში ფსიქოლოგიური ევროპის უწინებელი დოზა, გადახარშონ ის და უეარგისი გადააგდონ.

— შეიძლება იმისათვისაც, რომ ქვეცნობიერებაში არ წარმოიშვას ასეთი სახის ოცნება:

არის ამ ქვეყნად ლანჯეოცი ამღვრებელი,  
და უფარდელად საფრანგეთი შამპანში ჰყვების.  
ღია ფურბში გადაშლილა ყველა ქალაქი  
და გაესებულა ვენახის ხეებით...

მე ცეტირა...\*\*)

შეიძლება იმისათვის, რომ შეხედენ გერმანიაში მუშას, მოისმინონ როგორ და რას იტყვის ის გერმანიის რესპუბლიკის ათი წლის თავის შესახებ, შეიხუნთონ ცოტათი მაინც იმ კვამლით, რომლითაც სუნთქავენ იქ მუშა, იხეტილონ ელექტრო-განათების ზღვაში, რეკლამების სამეფოში, ფრიდრიხშტრასეზე, შემდეგ გაემგზავრონ მიწის ქვეშა მატარებლით სადმე ბერლინის ჩრდილო ნაწილში, ინახულონ ბინა, სადაც იკრიბებიან წითელი ფორნტელები...

ევროპა ბურჟუაზიული, კაპიტალისტური, ევროპა დროებით სტამბილიზაციკმნილი, ფსიქოლოგიური ევროპა—ყველა ეს კატეგორიები საქმარისად გამოსაცნობია მწერლისათვის, რომელსაც აქვს სურვილი გაიგოს ის ღრმად, შეიგრძნოს მისი გემოვნება, შეეხოს მას, ნახოს საკუთარი თვალებით და რაც მთავარია, დაინახოს ის სხვა-და-სხვა რეკურსებში, სხვა-და-სხვა მხრიდან. პროლეტარულ მწერალს ძნელად აერევა გზა სხვა-და-სხვა ფერ ბრწყინვალე ევროპის კულტურაში, რომელიც ასე აკვირვებს ჩვენს მოგზაურებს.

\*) ცნობილ უკრაინულ პროლეტარულ მწერლის ი. მიქიტენკოს „მშვიდობიანობის მტრედებს“ ქართულ ენაზე სცემს სახელგამო. აღნიშნული ნაწარმოები გარდა უკრაინულია უკვე გამოცემულია რუსულ, ბელორუსიულ და თურქულ ენებზე. აქ ვათავსებთ ამ ნაწარმოების ნაწილს, რომელშიაც დაბასიათებულია პანების პოლონეთი.

\*\*\*) და ასე შემდეგ...

პროლეტარულ მწერალმა მხოლოდ უნდა მოახერხოს, დაინახოს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატის ნამდვილი სახე! მაშინ მისთვის კიდევ უფრო სიძნელე გახდება „დაბნევა“...

ეს ერთი.

შემდეგ:—იქაც ხომ არიან პროლეტარული მწერლები, რედაქციები, გამომცემლობანი... დიდი ხანია საჭიროა უკრაინის ლიტერატურამ გააბას მათთან კავშირი, ცოცხალი, უშუალო, აშხანაგური ურთიერთობა.

სლობაჯინის ველ მინდვრები აშლება მატარებლის ბორბლების ქვეშ. ორთქლმავლიდან იფანტება უთვალავი წითელი ნაპერწკლები.

მაგრამ მაინც ვლელავთ, მაგრამ მაინც...

ამაღლეგებელია.

ნათელია: თუ შენ ხარ „ხუტორიდან“, უნდა დაბრუნდე გაევროპიელებული, მხოლოდ ნუ იყიდი გეთაყვა „კოსტიუმს“—ეს ხომ „ხუტორიანობის“ პირველი ნიშანია.

გემუდარები, ნუ იყიდი „კოსტიუმს“!

ევროპა—ეს...

ერთი სიტყვით, არ არის ნათელი და როცა ნათელი გახდება, მაშასადამე, შენ უსაფუძვლოდ არ გიმოგზაურია. მაგრამ, როცა ნათელი გახდება...

მატარებელი უახლოვდება მეორე სადგურის ნიშანს—„კიივ“-ს და აქ ჩერდება ორ საათს.

მოკლილობისას შეიძლება იფიქრო იმაზე, რომ აქ, ამ ქალაქში, არსენალის გმირ მუშებს გარდა, სცხოვრობს სახელგანთქმული ძია ტარასი კიევიდან, აგრეთვე—სხვა, არა ნ. კლები პატივეცემული ძიები და ძალები. მაგრამ მე არ შემიძლია ვიფიქრო მათ უსიხარულო და შეიძლება ითქვას საშინელ ცხოვრებაზე. მე ვხედავ ბაქანზე კიეველ კრიტიკოსს, უკრაინელ პროლეტარულ მწერალს და შეიძლება ითქვას ძია ტარასის ყველაზე დაუძინებელ მტერს. ის ტყუილს ჩემს რონოდას. რამდენიმე წუთის შემდეგ ჩვენ ვზივართ კუთხეში და დიდხანს გულდასმით ვსაუბრობთ უკრაინის კრიტიკის მდგომარეობის შესახებ.

ჩვენი საუბარი ამ მტკივნეულ თემაზე ისე აწუხებს ორთქლმავალს, რომ ის მოულოდნელად ახვნაშდება და გაემართება შორი გზისაკენ. ვსტოვებ ბაქანზე მყოფ პროლეტარულ მწერლის დაღვრემილ და სკეპტიკურ სახეს, ლურჯ შარშანდელ ქუდში და სათვალეებით სერიოზულ ცხვირზე.

მე ვფიქრობ კიდევ რამდენიმე წუთს კრიტიკის მდგომარეობაზე, ვიხსენებ თუ ერთმა ხარკოველ კრიტიკოსმა ამ რამდენიმე ხნის წინად სრულიად „მარქსისტული“ სიმკვეთრით როგორ „მოსცხო“ ოდესღაც „კულტურა და ყოფა“-ში რუს პროლეტარულ დრამატურგის ე. კირშონის განქმულ პიესას „ლიანდაგი ფუგუნებს“. მან უწოდა ამ პიესას ცარიელი, უსარგებლო. ის ამტკიცებდა, რომ ეს პიესა ვერასოდეს ვერ იხილავს სცენას. ის დარწმუნდა თავის არგუმენტაციის სიძლიერეში, მას უხაროდა რომ „დამარხა“ პროლეტარული დრამატურგი კირშონი. შემდეგ როცა მან გაიგო, რომ მოსკოვში უკვე რამდენიმე თვეა მაყურებლებით საესე დარბაზში ფუგუნებს ლიანდაგი და ენტუ-

ზიანში იპყრობს მუშებს, როდესაც ისმენენ ამ პიესას... რა საჭიროა ლაპარაკი? თუ როგორ უნდა ვგრძნოთ თავი ამის შემდეგ კრიტიკოსს. ჩვენ ვუფიქრობთ, რომ კრიტიკოსი თავს ცუდად, მეტად ცუდად იგრძნობდა.

ჩვენ ვერ გავიგეთ როგორ გრძნობდა თავს ვ. დერჟავინი.

ასეთი და ამის მზგავსი აზრები მიტრიალებდა თავში მე რამოდენიმე ხანს, სანამ არ ავსწიე თავი. აქ დაეინახე, რომ ჩვენ უფრო მეტი გავხდით. მოგვემატა ერთი ხარკოველი თეატრალური მოღვაწე, იონა შევჩენკო. ის მიემგზავრება ბერლინში გერმანიის თეატრების შესასწავლად.

ეხლა ჩვენ უკვე სამი ვართ.

საბჭოთა უკრაინის საზღვარზე ჩვენ უკანასკნელად გამოვეთხოვეთ უცნობ ამხანაგებს, შეპეტოვის საბაგოს თანამშრომლებს და კიდევ ზოგიერთ სხვებსაც.

გულის ძუწაობა ერთი წამით თითქოს შეჩერდა. მატარებელი მინც ხმაურობს, მისრიალებს მაგილიანისაკენ. რონოდაში შემოვიდენ პოლონელი რკინისგზელები და ერთი ჟანდარმი, რომელსაც ეხურა „შლემი“ რომის იმპერატორის თასმით დამაგრებული. „შლემი“ ისეთნაირად აქვს ჩამოფხატული თავზე პარტიკულ პოლონელ ჟანდარმს, რომ მას ვერაფერითარ ქარი ვერ მოგლუჯს... მაგრამ განა ჩვენ გვცალია ვიოცნებოთ მეტეოროლოგიურ თემებზე... ბატონი ჟანდარმი გვიწოდებს ბატონებს და ჩვენ ვიცით რა ამ ქვეყნის საკვირველი თავაზიანობა არ შეგვიძლია არ მივიღოთ ეს სიტყვა დროგორც ჩვენდამი სიყვარულის და პარტიისციმის გამოხატულებათ, რაც სხვათა შორის მოსჩანს ბატონ ჟანდარმის თვითეულ მოქმედებაში.

მას ვაძლეოთ ჩვენს საბჭოთა მოწმობებს ოქროს თავთავით და ჩაქურ-ნამგლით გამოხატულს წითელ ველზე. ის ჯერ დაკვირვებით ათვალეირებს ჩვენს სახეებს, შემდეგ ინახავს ჩვენს მოწმობებს შავი წამოსასახამის ქვეშ გულჯიბეში.

დიდი ხანია, რაც მე ასეთი არაფერი არ განმიცდია! უკანასკნელად ჟანდარმი მე ვინახულე ამ თერამეტი წლია წინ და წითელი საბჭოთა მოწმობა პოლონელ ჟანდარმის ხელში ეხლა პირველად—ჩემს ცხოვრებაში. ამან ძალზე ამალელვა. ასეთ მდგომარეობას განვიცდიდი მხოლოდ ბავშობის დროს, როდესაც იაბზობდენ საზარელ ზღაპრებს.

ჟანდარმი გვაცნობებს, რომ „ბატონები“ მიიღებენ მოწმობებს სდოლბუნოვში, — ახმაურებს კარებს, აქლერებს დეზებს და იმალება. ამ წუთში მე ვგრძნობ თავს მატარებლის უსიტყვო ნაწილად, რომელიც მიჰქრის პოლონეთის წყვედიად ლამეში. ჩვენ ზრ ველაპარაკებით ერთმანეთს. ჩვენი სახეები მეტის-მეტად დაჭიმული და სერიოზულია. მე უსკვირდები ამხანაგებს დი ვგრძნობ, რომ ჩვენ ყველა ერთდა იმავეზე ვფიქრობთ.

რაზე ვფიქრობთ ჩვენ... ამის გამოცნობას ვერასოდეს ვერ შესძლებს პოლონეთის ჟანდარმი რომის იმპერატორის თასმით შლემზე.

ჩავედით სდოლბუნოვში, შეგვაქვს საბარგო ყუთება სარევიზიო ოთახში, ვუცდით ჩვენი ბარგის გადასინჯვას. ისე ყურადღებით ეპყრობიან ამ ბარგს სახელმწიფო წარმომადგენლები, რომ თითქოს თვითეულ მათგან შეუძლია აღვიღად დაამსხვიროს და გაანადგუროს სახელწიფო. ამ კონტროლის გამო ჩვენმა თვა-

ტრალურმა კრიტიკამ უნდა დასთმოს რამდენიმე თეატრის აფიშა და ფოტოგრაფია, რომლებიც წარმოადგენენ როგორც სჩანს განსაკუთრებულ ქაღმეშ საგნებს, რაც ჩვენ იმ თავითვე არ ვაყოლით. გზაზე ადამიანი იძულებულია გასწავლოს ეს ძველი ჰემიარიტება და ამიტომ მე უნდა დავკარგო „არტამონოვების საქმე“ გამოცემული „რომან-გაზეთი“-ს მიერ და ჟურნალი „ჩერვონი შლიახ“, რომელშიაც დაბეჭდილია პროფესორ ლოზინსკის წერილი ასეთი სათაურით: „კონფლიქტი პოლონეთსა და ლიტვას შორის“. ოპ, ოპ ლმერთო ჩემო, ეს რა ჩაეიდინე, შემთხვევით მე წამოვიღე სწორედ იმ რიცხვის ჟურნალი. ჩემთვის ნათელია რომ მე მოვეჭეცი ძალიან ცუდად მეზობელ სახელმწიფოს: ჩამოვტანე მის ტერიტორიაზე ისეთი სტატია, რომელშიაც ლაპარაკია ასეთ არასასიამოვნო საგანზე. ვინ იცის რა შემიძლია მე ჩაეიდინო, თუნდაც „ჩერვონი შლიახის“ ერთი ეგზემპლარით, რომელიც მე მიმაქვს ვითომდა საჩვენებლად გერმანიაში და მიმაქვს ტრანზიტით. თუნდაც...

ერთი სიტყვით, მე მადლობელი ვარ ბატონ კონტროლიორის, რომ მან გამანთავისუფლა „ჩერვონი შლიახი“-ს ასეთ საშიშ ეგზემპლარისაგან, პაპიროსისაგან და გორკის რომანიდან. ეხლა მე უკვე შემსუბუქებული ვხურავ საბარგო ყუთს და შემიძლია მოვისმინო მეტისმეტად ტემპერამენტიანი დიალოგი ერთ მოგზაურ ქალსა და ბატონ აგენტს შორის...

ეს მიზიდველი ქალი, რომელსაც როგორც სჩანს ბევრი რამ უნახავს ამ ქვეყნად წინასწარ სანამ მივიდოდეს დიდ პოლონეთში, სკდილობს გავლაპარაკოს ინგლისურად ბატონ აგენტს. მაგრამ ბატონი აგენტი სიამაყით აცხადებს, რომ მას არ ესმის ინგლისური ენა. მაშინ გაბედული მოგზაური ქალი მასთან იწყებს საუბარს გერმანულად, ფრანგულად, იტალიურად და კიდევ რომელიღაც ენაზე. მაგრამ ყველაფერი ამაოა. ბატონმა აგენტმა ვერ გაიგო ქალის საუბარი. მე ვხედავ, რომ ჩვენს მოგზაურ ქალს საშიშროება მოეღის. აგენტს შეუძლია გაანთავისუფლოს ქალი იმ ბარგიდან, რომლითაც ეს უკანასკნელი რატომღაც ძალიან დაინტერესებულია. დაბოლოს ქალი გამოელაპარაკა მას წკრიალა რუსული ენით.

ეხლა კი გადაარჩინა მან თავის საბარგო ყუთები! რუსული ბატონ აგენტს ესმის!..

მაგრამ დახეთ უბედურებას! ჩვენ ვხედავთ რომ ბატონი აგენტი ძლიერ გაწითლდა. თურმე მას რუსული ენის არაფერი გაეგება, ერთი სიტყვაც არ იცის.

— თქვენ უნდა იცოდეთ რომელიმე ენა რაკი ასეთი თანამდებობა გიჭირავთ, აღლევებული ეუბნება მიზიდველი მოგზაური ქალი.

ოპ, ნეტავ იგი ამას არ ამბობდეს...

— თქვენ გესმით, ბატონებო: ის გვიწყებს სწავლებას...

ბატონ აგენტის თვალთაგან აღმური გადადის ბატონ კონტროლიორების და აგენტების სახეებზე. მათ ფერი ეცვალათ, განრისხდნენ, შურის ცეცხლით აღივსენ. მთელი სარევიზიო დარბაზი ხმაურობს, სტყვენს.

— ჰსია კრევ—თუ გინდა მგზავრობა პოლონეთით, თვითონ ისწავლეთ პოლონური ენა. დიახ, უნდა იცოდეთ, თუ გნებავთ მგზავრობა პოლონეთით...

ბატონი აგენტი ლებულობს სახის ისეთ გამომეტყველებას, თითქოს სურს გაჰყვეთოს ჩვენი საბრალო გულმკერდი თავის ჰონორის სიმკვეთრით. ჩვენ გვიპყრობს შიში. უკვე ააქრეს ნიშნები ჩვენს საბარგო ყუთებს (ნიშნები იმის შესახებ, რომ რევიზია მშვიდობიანათ ჩატარდა).

საბარგო ყუთებთან ერთად გავდივართ I-II კლასის დარბაზში, სადაც ვცვლით ორ დოლარს პოლონეთის ოქროზე და ვაძლევთ შეგვეთას პატარა ვახშამზე, რომელსაც ვუზივართ, სანამ ჩამოაყენებენ მატარებელს ლეოვისაკენ გასამგზავრებლად.

ვახშამში ჩემი წილი გადასახადი ოთხი ოქრო და ხუთმეტე გროშია. მე ვიწერ უბის წიგნაკში ამ პირველ ხარჯს, ჩვენს ფულზე ეს გამოდის დაახლოვებით ერთი მანეთი.

შემდეგ, მე ვყიდულობ „ვიადომოსტი ლიტერაცეი“-სადაც ვეცნობი პოლონეთის ლიტერატურის ახალ ამბებს.

დარბაზში მყუდროებაა, სისუფთავეა და სასიამოვნოა აქ ყოფნა თითქოს საკუთარ სახლში იყო საბჭოთა უკრაინის პატარა სადგურზე. ვიღაცა მოხუცი მომმართვეს, მას გაუგია ჩვენი უკრაინული საუბარი. მაგრამ სამწუხაროდ არ შემიძლია ვაეცნობო როდის გადის მისთვის საჭირო მატარებელი. მოხუცი მეტად სიმპატიურია, ვესაუბრები მას რამოდენიმე წუთს, ვაეცნობ: რომ ერთი საათია რაც ჩამოვედით საბჭოთა უკრაინიდან, მას თვალები უბრწყინავს ნაპერწყვლებივით. ჩვენ უნდა შესწყვიტოთ ჩვენი საუბარი. რატომ ჩავაყენო უხერხულ მდგომარეობაში სიმპატიური მოხუცი. უჩუბობსია უსიტყვოდ ვათვალთ ხალხი, მოუსმინოთ პოლონურ ენის სხვა-და-სხვა განშტოებას, რომლებზედაც ბუტბუტებს ახალ-აზრდა მსახური ქალი და ზრდილობიანი ოფიციანტი...

აი, მატარებელი მიმავალი ლეოვისაკენ, ანდა ლეუეში, როგორც გვისწორებს ამას ბატონი კონდუქტორი. ჩვენ ვიჭერთ ჩვენს ადგილებს რონოდაში და ვიწყებთ ოცნებას იმის შესახებ, თუ როგორ ვივლით ხვალ დასავლეთ უკრაინის სატახტო ქალაქის ქუჩებში, ვინახულებთ ზოგიერთ კულტურულ დაწესებულებას, სადამოთი დავესწრებით აკადემიკოს სტუდინსკის დღესასწაულს, მოვისმენთ საბჭოთა უკრაინის მეცნიერულ მუშაკთა სახელით ამხანაგი ოზერსკის მისასალმებელ სიტყვას. საინტერესო იქნება დათვალაიერება „პროსვიტე“-სი, შეგჩენკოს სახელობის საზოგადოებასა, წიგნის მალაზიების და ა. შ. პოლონეთის კონსულის ნებართვით ჩვენ გვაქვს უფლება დავარჩებთ პოლონეთის საზღვრებში ოთხი—ექვსი დღე-ღოვში დარჩენას შევძლებთ ორ დღენახევარს, დანარჩენი დრო ჩვენ დაგვკვირდება პოლონეთის სახელმწიფოს დატოებისათვის. არა უგვიანეს დადგებილ დროისა, ჩვენ უნდა დავტოვოთ პოლონეთის საზღვრები. რისთვის მივაყენოთ უსიამოვნება ზედმეტი დროით იმათ, ვინც კარგად და გულწრფელად გვეპყრობა ჩვენ...

მატარებელი ახმაურებს დასავლეთ უკრაინის ველ-მინდვრებს. პოლონეთის რონოდა ხმაურობს. ჩემს წინ იმართება განცხადება, რომლის წაკითხვა დიდბანს მე არ მსურს, მაგრამ რომელიც ყოველ წამს ჩემ თვალწინ არის და თვალებს მიჭრის. ჩვენს რონოდაში ერთი მოქალაქე თურმე გერმანელია. ეს სამივეს გვსიამოვნებს. მე ველარ ვიკავებ თავს და ვეუბნები მას, რომ ჩვენ მივემგზავრებით გერმანიაში. ის გვეკითხება ჩვენი გამგზავრების მიზეზს. ჩვენც უპასუხებთ: ამისა-

თვის და ამისათვის. ის გვეცნობა და გვეუბნება, რომ სცხუვარებას ბერლინში აქ მის დროებით საქმე აქვს. ის გვეპყრობა სიმპატიურად: ჩვენს ქაორის მეტის მეტი თბილი დამოკიდებულება მყარდება. ამ თბილი განწყობილების ქვეშ ამბანაგები იწყებენ თვლემას, თავისქვევითი მიმართულებით მოძრაობას. ამასვე სწადის ჩვენი ახალი ნაცნობი.

პოლონეთის მატარებელი ხმაურობს დასავლეთ უკრაინის ველ-მინდვრებში. თანდათან ვუახლოვდებით ლვოვს, დასავლეთ უკრაინის დედაქალაქს.

გრძელია ეს ღამე. საჭიროა მოთმინება. დილით ჩვენ უკვე ღვ-ვში ვიქნებით.

განცხადება ღალადებს ლვოვის შესახებ, განცხადება, რომლის წაკითხვაც დიდხანს არ მსურს, თუმცა იძულებული ვარ წავიკითხო, რადგან ეს უკანასკნელი თვალებს მიჭრის. წავიკითხე და დავრწმუნდი, რომ ის არც ისეთი საშინელი რამ ყოფილა როგორც მოველოდი. უბრალოდ ჰკივია თავისათვის პოლონეთის რონოდის კედელზე და მოგზაურობს დასავლეთ უკრაინის ველ მინდვრებში—განცხადება „პრივანტი ზაკლად ნაუკოვი ვო ლვოვე,“ და რომ „პშიზაკლადე ზნაიდლე სე ინტერნატ“<sup>1)</sup>.

და მოგზაურობს ეს განცხადება ყველგან, აცნობებს ყველას სასიხარულო მოვლენას, რომ დასავლეთ უკრაინის დედაქალაქში არის კერძო სასწავლებელი იმდენად უფლება მოსილი, რომ მის შესახებ ცნობები დააქვთ მთელ დასავლეთ უკრაინის მიდამოებში ეხლა მეც ვიცი რომ გ. იორდანის სახელობის „ზაკლად“ წმინდა ნიკოლოზის ქუჩაზეა „პშიიმეუ უნიიუე“ და რომ „პში ზაკლადე ზნაიდლე სე ინტერნატ“.

ხედავთ ჩვეულებრივი განცხადება იყო მიზეზი იმისა, რომ პოლონეთის რონოდში, ჩემს თავში დაისადგურა ყოვლად დაუშვებელმა აზრმა: დასავლეთ უკრაინის ქალაქის ლვოვის პოლონიზაციის შესახებ! მე ჩავიწერე მისამართი, აღვნიშნე ელსმენის ნომერიც ისეთი სიზუსტით, თითქოს ლვოვში ჩასვლისთანავე პირველ რიგშივე შევიტანიდი მისაღებ განცხადებას ამ პარტიკულ სკოლაში მისაღებად. მაგრამ ეს მე არ შემისრულებია და ვერც შევსძლებდი ამის შესრულებას, რასაც თქვენ თვითონ დაინახავთ პარტიკულ მკითხველო.

3 ნოემბერს დილის ექვს საათზე მატარებელი შეჩერდა რამოდენიმე წუთით სადგურ ლვოე—პოდზამშეზე. ათი წუთის განმავლობაში, სანამ ის მიუახლოვდებოდა სადგურ ლვოვს, ჩვენ აღტაცებულნი ვსტკებოდით დასავლეთ უკრაინის ბუნების დიადი სურათებით, ლვოვის მდებარეობით, მაღალი მთებით, რომელიც დაფარულია ოქროსფერი ზეებით, მწვანე ბილიკებით შემოდგომის ნათესებით, ბოსტნებით, რომლებშიაც მრავლად მოსჩანდა კომპოსტო, სიმინდი, კარხალი. ყოველივე მოწყენილად გამოიყურებოდა დილის ნისლში, თითქოს ეს მომჯადობელი წრე ჩვენს გარშემო დასცურავდა.

ჩვენს შესახებდრად ამართულიყო, ლუბლინის უბნის ყორღანი.

ჩვენ უკვე ლვოვში ვართ.

სასიამოვნო გრძობამ დაისადგურა ჩემში!

სასიხარულა!

<sup>1)</sup> კერძო სასწავლებელი პანინით.

სასიამოვნო!

დავიჭირავეთ ტაკის და მივმართავეთ შოფერს:

— წავიყვანეთ ამხანაგო ნაბელიაკის ქუჩაზე № 37-ში.

მეტის—მეტი გაუფრთხილებილი ხალხი ვართ. გვაფიწყდება, რომ „ამხანაგის“ მიმართვის უფლება, იქნება არც კი გვაქვს აქ. მაგრამ ყოველივე ეს დიდი სიხარულის შედეგია...

შოფერს მივყევართ ნაბელიაკის ქუჩაზე, საბჭოთა საკონსულოში დავრეკეთ, უუცლით გამოხმაურებას ციხე დარბაზიდან. რამოდენიმე წუთის შემდეგ წყრიალებს ელექტრონის მავთული, გამოინდა მოსამსახურე, რომელსაც შევეყვართ საკონსულო შენობაში, იქ მეტად თბილად გვხვდებიან. ასეთი თბილი ამხანაგური მისალმება გვსიამოვნებს. ვეწყობით საეარძლებში, ველოდებით თუ როდის გამოიხდება რომელიმე ოფიციალური პირი, რომლის მიმართ ჩვენც მოგვიხდება ოფიციალური დამოკიდებულების გამოყვანება. მისგან საჭირო იქნება სხვა და სხვა ცნობების მიღება: პირველ რიგში იმის შესახებ თუ რა უნდა დავთვალიეროთ, გაეიგოთ რა მიდის დღეს თეატრში, რომელ საათზე იწყება აკადემიკოს სტუდინსკის საიუბილეო დღესასწაული.

ერთი სიტყვით ჩვენ წინასწარ შეგქენით კარგი განწყობილება.

ამავე წუთს შემოდის მოახლე, რომ გამოარკვიოს თუ რა გვინდა სასაუზმედ. ის მოგვმართავს:

— აქ ლვოვში გაუგებრობაა შექმნილი აკადემიკოსების გარშემო...

ჩვენ გადავხედეთ ერთმანეთს.

— რაში გამოიხატება ეს გაუგებრობა, ვინ არიან ეს აკადემიკოსები?..

— აი, პოლონელი აკადემიკოსები. ის ახალგაზრდობა, რომელმაც დაარბია უკრაინელები... დაანგრია „პროსვიტა“ წიგნის მაღაზია, „მასლოსოიუზი“ და ყველაფერი სულ მთლიანად ჩაღწა...

— მოითმინეთ. რომელი „პროსვიტა“?

— რომელი აკადემიკოსები?

— რომელი „მასლოსოიუზი“?

— ვინ დამსხვრია? (ეს სიმპატიური ქალიშვილი უხეიროდ ოხუნჯობს.)

— ოპო, რა უბედურებაა! ნუ თუ ამხანაგებმა არაფერი არ იციან?

— როგორ არა, ჩვენ ვიცით, რომ დღეს აკადემიკოსის იუბილეა...

— დიახ, დიახ... მეც აკადემიკოსებზე მოვახსენებთ. რაც გვებადა, ყველაფერი დაამსხვრის: ფანჯრებიც, კარებიც, რკინა ისე აქციეს ნაჭრებად... თითქოს კბილებით დაეგლიჯოთ. ქუჩა დამტვრეული უშუბით არის მოფენილი! ეს ზომ დიდი დარბევია.

— როგორც სიანს, ქალი არ ხუმრობს. მაგრამ ვინ არიან ეს აკადემიკოსები, რომლებიც ასე კვალიფიციურად აწესრიგებენ უკრაინის კულტურის საკითხებს და საერთოდ ნაციონალურ პრობლემას აქ, ლვოვში. ვინ არიან ეს „აკადემიკოსები“ და შეუძლიათ მათ ასევე მოექცნენ ებრაელებს, გაუშვან მათი ლეიბებიდან ჰაერში ბუმბული და ბავშვების შიგნეული, თუ მათ უნარი აქვთ მხოლოდ უკრაინულ წიგნის მაღაზიის და „მასლოსოიუზი“-ს დარბევს?



აი რა გვაწუხებს, გეტანჯავს ჩვენ. გვითხარით ჩქარა, ნუ გვაწუხებთ, სტუდენტები ხომ არ არიან ისინი?

— დიახ, სტუდენტები, სტუდენტები, აკადემიკოსები, წმინდა იურას კარებთან დაიწყო... უკრაინელები პანაშვიდს იხდიდნენ, ხალხიც შეიკრიბა, ამდროს აკადემიკოსებიც—გამოჩნდნენ...

— ოჰო, ეხლა ჩვეთვის გასაგებია! თუმცა ჩვენ არ ვეზადებთ—აკადემიკოსების „ეკალიფიკაციის“ დასამცირებლად, იმისათვის რომ მათ დაიწყეს, თავდასხმა იდეოლოგიურად მერყევე, უკველად შოვინისტურ უკრაინელებზე, მიუხედავად ამისა უფლება გვაქვს წარმოვიდგინოთ წმინდა იურას ეკლესია, წარმოვიდგინოთ ჩვენი თანამემამულე ნაცნობ ფაშისტების კეთილშობილი სიტყვები, მათი ამაყად გამოშჩირალი სახეები, მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ პოლონელ აკადემიკოსების მიერ უკრაინის კულტურის საკითხების ასეთი გადაწყვეტი „გადაპრა“ დასაგლეთ უკრაინის დედა ქალაქში?

ჰმ...

— არ გრძნობთ ამხანაგებო,—მოგემართავს ამხანაგი ოზერსკი, —რომ უხერხულია აქ დარჩენა? არ გრძნობთ რომ...

დიახ, ჩვენ შეეფიქრიანდით.. მაგრამ იუბილე...

— რა იუბილელი იქნება ასეთ ამბის შემდეგ...

— რას ინებებდით საუბრედ?—გვეკითხება ამ დროს ამხანაგი იულცია და ამნაირად ცდილობს ჩვენი ყურადღება გადაიტანოს ასეთ უაღრეს პოლიტიკური თემიდან უფრო ნეიტრალურზე. ის იღებს ელსმენს და დიასახლისური მზრუნველობით ჩასძახის მასში:

— სტეპცია! დაამზადე ორი ყავა, ერთი კაკაო. დააჩქარე კვერცხები თოლბოდ...

ძვირფასო ქალიშვილო? როგორც სჩანს, არაფერს არ შეუძლია ჩვენი გამხიარულება ასეთი ახალი ამბების შემდეგ, მაგრამ ამ დიასახლისურმა კილომ, რომლითაც შეკვეთილი იყო კვერცხები თოლბოდ ჩვენში გამოიწვია ღიმილი, გადავხედეთ ერთმანეთს და გაგვეცინა...

— ჰო, როგორ დატრიალდა ჩვენი საქმე...

— სხვათა შორის, სად შეიძლება გაგება თუ როდის გადის მატარებელი ბერლინისაკენ?

აქ უკვე მე ვავილაშქრე სასტიკი პროტესტით ასეთ სწრაფ უკან დახევისათვის. რაც უნდა მოხდეს, ჩვენ უნდა დავრჩეთ ერთი დღე მაინც—ხვალამდე. დავათვალიეროთ პოლონურ ახალგაზრდობის კულტურული ლაშქრობის შედეგი.

ჩვენ ვიწყებთ მსჯელობას ამ თეზისის ირგვლივ. სწორედ ამ მომენტში ოთახში შემოდის საკონსულოს მდივანი ამხანაგი სადოესკი ახალი პოლონური და უკრაინული გაზეთებით ხელში, ჩვენ ვეცნობით მას, ვაძლევთ უამრავ შეკითხვებს, რაზედაც ის ვერ ასწრებს პასუხის გაცემას.

ჩვენ ვიღებთ გაზეთებს და დიდხანს ვკითხულობთ, სანამ არ ამოვიკითხავეთ ყველა წერილებს ასეთი საშინელი სათაურებით:

„კრევე ნა ულიცაბ ლეოვა“. 1)

1) სისხლი ლევის კუჩხში.



„მიროდინა ფირმა ფშიზაკუპე შტეგოვესტუნიკალოში მარკი პეპეგე“<sup>1)</sup>

„დემონსტაციე უკრაინსკე“<sup>2)</sup>

„კომპრომიტუიონცი ზამახ ნაპომნიეკ ობორუნცუე ლე-ოვა“<sup>3)</sup>

„კრვავე დემონსტრაციე ნა პლიურა.“<sup>4)</sup>

„ჩენსტა პალბა რეველვეროვა“<sup>5)</sup>

ყველა პოლონური გაზეთები—„დზენიკ ლეოესკი“, „სლოვო პოლსკე“, „ხეილია“,—ყველა ერთხმად გვიამბობს უკრაინელების და სახლგარ გარეთელ, აგენტების აღმაშფოთებელ პროვოკაციას, რის შედეგადაც პოლონეთის სტუდენტური ახალგაზრდობა იძულებული იყო, ერის სახელის დასაცავად, გამოსულიყო ქუჩაზე ათასხუთას კაცის რაოდენობით, როგორც სწერს გაზეთი „ხეილია“ (და რომელსაც არ შეგვიძლია არ დაუჯეროთ), სამი ათასი კაცი—რასაც სწერს გაზეთი „სლოვო პოლსკე“, (არაერთიარ საბუთი არ მოგვემოება, რომ ამ ცნობასაც არ ვენდოთ) და ბოლოს ოთხი ათასი კაცი, მარიაცკის მოედანზე (რასაც აგრეთვე არ შეგვიძლია არ დაუჯეროთ.) ერთი სიტყვით, პოლონური ახალგაზრდობა, მრავალრიცხოვანი ჯგუფებით გამოვიდა ქუჩებზე მოედნებზე და პროვოკაცია ქმნილი შოვინისტ უკრაინელების მიერ გასროლილი ტყვიებით, რომელმაც გამოიწვია რამდენიმე პოლონელ სტუდენტის დაჭრა, უკრაინელები, რომლებიც ამ დროს პანაშვიდს იხდიდნენ, იძულებულნი იყვნენ მოეწყობათ დემონსტრაცია გაზეთ „დილო“-ს რედაქციის წინ და სრულიად დაშვებულულად წარმოეთქვათ რამდენიმე სიტყვა მარიაცკის მოედანზე. ამ დროს „ბნელმა ელემენტებმა“ ისარგებლეს შემთხვევით, დაარბიეს უკრაინული კულტურული დაწესებულებანი, რასაც ისინი დიდი წარმატებით ასრულებდნენ. პოლიცია ვერ უსწრებდა დროზე დაარბევას, ყოველთვის იგვიანებდა რამდენიმე წუთით.

ასე თუ ისე საქმის კურსში შევედით, მაგრამ რომ მთლიანად იქნეს გაგებული მოვლენების მსვლელობა, ჩვენ უნდა მივყვეთ ქრონოლოგიურ თახრივს.

უპირველესად ჩვენ უნდა გავიხსენოთ, რომ პირველ ნოემბერს დაიწყო პოლონეთის სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ათი წლის თავის და ლეოვის თავდაცვის დღესასწაული. ამ დროს უცხო მიწაწყლის აგენტები, ლეოველ უკრაინელების საშვალეობით, იწყებენ თავის სისირცხო პროვოკაციას... „სლოვო პოლსკე“-ს სამი ნომბრის ზემდეგ წერილში Provocacie<sup>6)</sup> Obcych aientur<sup>7)</sup> ჰქვ სათაურით Lyvolovy<sup>8)</sup> Odruch mtodsier Ly. დაწერილებით გვიამბობს ამ შემთხვევის შესახებ.

<sup>1)</sup> მსოფლიო ფირმა ჯაშუშების და კალოშების შემსყიდველი პეპეგეს მარკი.

<sup>2)</sup> უკრაინელების დემონსტრაცია.

<sup>3)</sup> საშინელი თავდასხმა ლეოვის ძეგლის დამცველებზე.

<sup>4)</sup> სისხლიანი დემონსტრაცია იურას მოედანზე.

<sup>5)</sup> ხშირი სროლა რეველვერებიდან.

<sup>6)</sup> პროვოკაცია უცხო აგენტების მიერ.

<sup>7)</sup> ახალგაზრდობის ცოცხალი გამოზნაურება.

პროვოკაცია, რომელიც დაიწყო ოთხშაბათ ღამით და გასტანა ხუთშაბათამდე საშინლად ააღლვა მთელი ლეოვის საზოგადოება, რომელიც მთელდავით ამისა სრულ სიმშვიდეს იცავდა, მაგრამ როდესაც თავსეღმა შეეგებმა მოაწყვეს შუალდის საათებში დემონსტრაცია და პოლონეთის ინტერვენციას ვითომდა უპასუხეს ჯობებით, დანებით, ტყვიებით, რომლისგანაც ზოგიერთი დაიჭრა. ახალგაზრდობა ამას გამოეხმაურა მძაფრი მოძრაობის პროტესტით. სხვატოურის არეულობის შემდეგ პოლონეთის ახალგაზრდობა მოემზადა ლაშქრობისათვის „Pod rucki das akademici. przy ulsupisnsksego“<sup>1)</sup>, სადაც მათ დაუხდნენ ყარბინების და რევოლვერების სროლით, რასაც მოყვა მსხვერპლი. გაზეთი „სლოვო პოლსკე“ გამომდინარეობს რა ქეშმარიტების ინტერესებიდან, აღნიშნავს, რომ პოლონეთის ახალგაზრდობა იყო იარაღოთ, რაც შეეხება პოლიციას მათი მხრიდან საერთოდ არც ერთი ტყვია არ გასროლილა... მაგრამ როგორ დაიწყო ყოველივე ეს?

გუშინ შუადამით, დაახლოვებით ორის ნახევარზე, პერსენკოვკაზე ორმა უცნობმა ამოიღო „ობორუნცოვ ლეოვის“ ძეგლიდან ორი საფეხური. ძეგლის ქვეშ წოათავსეს ასაფეთქებელი მასალა, რომელმაც ძეგლი დაიშავა მეტად უმნიშვნელოდ. სანამ გამოჩნდებოდა ძეგლთან ორი მცველი იქ უკვე არავინ აღარ იყო. მაშინ ერთი მცველი გაემართა ელსმენისკენ დასალაპარაკებლად იქ, სადაც საჭირო იყო. მეორე კი დარჩა ადგილზე. რამდენიმე წუთის შემდეგ, როდესაც პირველი მცველი უკვე საგრძობლად მოშორებული იყო ძეგლს, მეორე მცველმა, რომელიც დარჩა ძეგლთან შეამჩნია დაახლოვებით ორასი ნაბიჯის მანძილზე ორი პიროვნება, რომლებიც გამოჩნდნენ სიბნელეში და გარბოდნენ ზუბუიკის ხეივანის მიმართულებით. მცველმა გადაუღობა მათ გზა და აიძულა ისინი შეჩერებულყენენ, მაგრამ მცველის ამ შეძახებაზე „შეჩერდით“. ბოროტმოქმედებმა უპასუხეს ექვსი ტყვიის გასროლით. ერთმა ტყვიამ დასჭრა მცველი ფერდში, რის შემდეგ ისინი მიიმაღნენ... მიმართულებით...

მაგრამ სანამ ვიტყოდეთ რა მიმართულებით მიიმაღნენ ბოროტმოქმედნი, ჩვენ უნდა შევამოწმოთ პატივცემულ რედაქციის „სლოვო პოლსკე“-ს რამდენიმე მტკიცება, რომელსაც ჩვენ არ შეგვიძლია არ დაუჯეროთ.

უპირველესად ძეგლის შესახებ. გაზეთი „ხელია“ იძლევა უფრო ზუსტ ცნობებს: ძეგლის საფეხურთან ასაფეთქებელმა მასალამ ორმო შექმნა. ამ ახლად აღმოჩენილ ორმოს ვიღებთ მადლობით, იმიტომ რომ ისიც გვაძლევს საშვალეობას კიდევ უფრო მეტი სისწორით მივალწიოთ ქეშმარიტებას. გაზეთი „დენიკ ლეოვი“-ს წერილში: „Kompromitylacy Samach na pomnik odroncov Evova na Persenkovce“<sup>2)</sup> ამტკიცებს, რომ დინამიტს ძეგლისათვის არავითარი ზიანი არ მიუყენებია.

გუყრობით რა ამ გაზეთს ისეთი პატივისცემით, როგორც პირველ ორს, ჩვენ ვიღებთ მის დამატებასაც დიდი მადლობით, რადგან ისიც გუეხმარება ქეშმარიტების მიღწევაში, რაც ასე ძვირფასია არა მარტო პლატონისათვის არამედ ჩვენთვისაც.

<sup>1)</sup> უკრაინია სტუდენტთა სახლი სუბინკის ქუჩაზე.

<sup>2)</sup> თავდასბა პერსენკოვკაზე ლეოვის ძეგლის დამცველებზე.

კიდევ მოგვიხდება შერჩება რამდენიმე წუთით ამ სროლაზე, რომელიც ბოროტმოქმედებმა მიმართეს მცველის გულმკერდს, დასკრეს ის ერთის გასროლით ფერდშო, როგორც ამბობს „სლოვო. პოლსკე“ ან და, უბრალოდ ვებსში, როგორც ამბობს „დზენიკ ლოვი“. ასეთი პროვოკაციული გასროლა მცველის გულში იყო ექვ-ამდე, რასაც მოწმობს „სლოვე პოლსკე“, ანდა, ათამდე როგორც მოწმობს „ხელია“, ანდა, კიდევ უფრო სწორედ ის ყოფილა უთვალავი: მცველი დაფარეს რევოლვერიდან გასროლილი ტყვიებით, რასაც მოწმობს „დზენიკ ლოვი“ (Sa sypay sostat vormainle stosatami revolveronymi).

ამნიარად ბოროტ პროვოკატორების ღამის მოქმედების გაურკვეველი პუნქტების „გარკვევით“, გასაგები ვახდა ის, რაც თავდაპირველად წინააღმდეგობის სახით გვეჩვენებოდა. ეხლა დაუბრუნდეთ ისევ იმ ბოროტმოქმედთა, რომლებიც მიიშალნენ, პოლკოვნიკ სნიადოვსკის სახლკარში. როდესაც პოლკოვნიკის ძალების ხმაურობაზე, გამოვიდა მოსამსახურე ციშბალი, ბოროტმოქმედებმა მასაც შესთავაზეს სამი ტყვია, თვითონ კი მიიშალნენ.

ისინი გაიქცნენ, მაგრამ ეს ცოტაა.

იმვე ხელმა, რომელმაც ჩაიდინა ასეთი ბარბაროსული საქმე პერსენკუეკაზე, სხვა ბოროტმოქმედნი გაგზავნა პოლიტეხნიკუმის ეზოში, სადაც მათ გადაასხეს მელანი „ორლიატი“-ს („Orlut.“) ძეგლის წარწერაზე. მაგრამ მათ მელანიც ცოტა ქონდათ. გუშინ ღამით ისარგებლეს რა სიბნელით უცნობმა პირებმა გამოფინეს ცისფერ-ყვითელი „ფანები“ უნივერსიტეტის წინ მარშალკოვსკის ქუჩაზე და ლუბლინის უბნის ყორღანზე. პოლიციამ დილის ხუთ საათზე „მოხსნა“ ორივე „ფანი“.

მერე რა? მოაშორეს „ფანე“-ში, მაგრამ ბოროტმოქმედები სამაგიეროთ მოიბრუნენ „კოკარდებით“.

გუშინ მთელი დღის განმავლობაში ქალაქის ქუჩებში დემონსტრაციულად დადიოდნენ ცისფერ-ყვითელ „კაკარდიანე“-ბის ჯგუფები (როგორც შეეფერება უკრაინის იდეებისათვის „შებრძოლთ“).

### ხალხობ დემონსტრაციები.

სახლვარგარეთელი აგენტები, თავის პროვოკაციულ მუშაობაში არ დაკმაყოფილდნენ პერსენკუეკაზე დაკეპულთა ძეგლზე ბარბაროსული თავდასხმით და პოლიტეხნიკუმის ეზოში არსებულ ორლიატის ძეგლის უპარკვეცილობით. სალამოსთვის მათ მოახდინეს საკუთარი ათასეულების მობილიზაცია, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ ჯოხებით და რევოლვერებით, მათ ისარგებლეს წმინდა იურას ეკლესიაზე ამ დროს მიმდინარე წირვით, ააღელვეს ბრბო, შექმნეს იმვე წმინდანის მოედანზე პროცესია და სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული სიმღერით — „ნე პარალიაბოვი სლუჟიტი“ ჩაიარეს მიცკევიჩის ქუჩით ქალაქის ცენტრისაკენ, იმ მიზნით რომ ხალხშიაც გამოეწვიათ პროვოკაცია. ხოლო როდესაც პოლიცია სუბინსპექტორის ნოდვერსკის პირადი ხელმძღვანელობით შეუდგა პროცესიის ლიკვიდაციას, მაშინ ვილაცამ კეთედრალურ ტაძრიდან და თვით ხალხისაგან პოლიციის მიმართულებით გაისროლა რევოლვერიდან ტყვიები...

1) დროშები.

წარმოუდგენელია!

ოთხი გასროლა, მიმართული სპეციალურად პოლიციის მკვლელი ჯინის წინააღმდეგ, უშედეგო აღმოჩნდა: ოთხივე გასროლა აცდა.

დიახ, ეს ოთხი გასროლა, საბედნიეროდ ასცდა, მაგრამ ასე უბრალოდ თქმა — ნიშნავს არაფრის თქმას, ამიტომ დახმარებისათვის მივმართო სხვა გაზეთებს, თუმცა, „სლოვო პოლსკე“-ს, რომ არ დაუჯეროთ ამის საბუთი ჩვენ არ მოგვეპოვება. ამნაირად ავიღოთ ის ადგილი გაზეთ „ხვილიდან“, რომელიც ისევე იცავს სიმართლეს, როგორც „სლოვო პოლსკე“.

ამნაირად ავიღოთ ის ადგილი გაზეთ „ხვილია“-დან:

„... სტყვესავეთ დააყარეს ტყვია ერთ მაღალ ჩინიან ოფიცერს, რომელიც რაღაცა სასწაულებრივ ძალით გადაურჩა სიკვდილს“...

აბა, რა შედარება შეიძლება ამ ორ ფორმულას შორის? ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ რედაქცია „ხვილია“ უსათუოდ უფრო დიდი ნიჭის მქონეა „სლოვო პოლსკე“-ს რედაქციასთან შედარებით, რომელმაც ძლივს გაბედა ოთხი გასროლის აღნიშვნა და რომლებიც აცდნენ... არა, ეს არა ჩვეულებრივია სტყვესავეთ მოყენილ ტყვიებიდან ბატონ სუბინსპექტორის გადააჩენა... გმირობა! ამისათვის საჭიროა ღვთიური ნაპერწკალი...

ამნაირად განვაგრძობთ შემდეგ გზას „ოვებლად“.

იმის შემდეგ, რაც სუბინსპექტორმა რაღაცა სასწაულებრივი ძალის მეოხებით დააღწია თავი სიკვდილს და უკრაინელების დემონსტრაცია გაფანტულ იქნა, თავის შეყრას იწყებს პოლონური სტუდენტური ახალგაზრდობა, რომელმაც მხოლოდ ეხლა გაიგო ლევის ქუჩებზე მომხდარი სისხლიანი ამბების შესახებ.

სისხლიანი შემთხვევები... დიახ, იქ სისხლიც იყო, სისხლიც. ცხენოსანი პოლიცია შეიჭრა უკრაინელების ათი ათასიან ბრბოში და იწუო ფეხით გათელვა ქალების, ბავშბების... იქ გაისმოდა დაცემულთა გოდება, იქ იყო კენესა, ტირილი, სასოწარკვეთილება, სისხლი რწყავდა ქვაფენილს პოლიციის სასტვენელის ძახილის ქვეშ...

დიახ მშველობიან დემონსტრაციისაგან დააყენეს სისხლის ტბა. რაც გადაარჩა შემდეგ დამარბელებმა გასრისეს პატრიოტულ პოლონურ ჩექმით, სტენით წამოძახილებით: „ზა ზარუჩ რუსინსკოე სტადო“!

მაგრამ ეს არ არის აღნიშნული პოლონურ გაზეთეი ში.

ვინაიდან შე ვიმყოფები საბჭოთა საკონსულოს ტერიტორიის ფარგლებში. ამიტომაც დიდხანია გამოველი საკონსულოდან და დავხეტილობ მიყრუებულ ქუჩებში დანგრეულ ქვაფენილებით და მოწყენილ შემოდგომის ხეებივით.

ყრუდ ხმაურობს ხეები. მრისხანება იწვევს გულის შეკუმშვას, მაგრამ შე უნდა დავებრუნდე იმ ტერიტორიას, სადაც ჩვენ გვიცავს ექსტერიტორიალური უფლება. ნეტავ რა უნდა იმ კაცს ყვითელ ქუდში? ნუ თუ შე არ შემოიძლია სიარული ამ მიყრუებულ ქუჩაზე, რომ ნაღვლიან შემოდგომის ხეებივით ვიფიქრო... თუნდაც იმის შესახებ, თუ რა სწერია პოლონურ გაზეთებში?

მგონი, უმჯობესია დავებრუნდე საკონსულოს შენობას. ამასთანავე მთლიანად არ დამისრულებია პოლონურ გაზეთების კითხვა.

უნდა დაებრუნდე მათთან.

„აკადემიკოსები“ გაემართენ სავაჭრო მოედანზე. ერთი ცნობიერი მიხედვით ისინი იყვნენ ოთხი ათასი, მეორე ცნობით — სამი ათასი, მესამე ცნობით მხოლოდ ერთი — ათას ხუთასი. ვიცავთ რა პირუთვნელ მიუდგომლობას, ამიტომ ავლი-შნავთ: როგორ არ უნდა იყოს ერის სახელი გადაარჩინა დემონსტრაციამ „დილა“-სთან. აქედან პროცესია დაიძრა მოხანაკის ქუჩის მიმართულებით, რომლის ბოლოს, სუპინსკის ქუჩის დასაწყისზე მოთავსებულია უკრაინელ სტუდენტთა სახლი საზღვარგარეივლ აგენტების და „სახელმწიფო საწინააღმდეგო მოქმედებების“ — ეს ცნობილი თავშესაფარი“. იმ ახალგაზრდობის შესახებ რად რომელიც სავსე იყო კეთილშობილი მისწრაფებებით (და არა ფაშისტური მისწრაფებებით როგორც აღნიშნავენ სახელმწიფოს ზოგიერთი მოწინააღმდეგე ელემენტები). ისევ ატაკა უნდა რევოლუციებიდან და ყარაბინებიდან ვასროლილი ტყვიები.

საიდან დაიწყო ეს სროლა? ჩვენს წინაშე იზადება ეს წყუელი კითხვა იმიტომ, რომ ჩვენ ვეშინია: ხომ არ გაუკეთებს ჩვენი მკითხველი ამას დასკვნას, რომ ლვოვში, დასავლეთ უკრაინის დედა-ქალაქში, არის უკრაინელი პროლეტარიატი და რომ არა მართა არსებობს ის, არამედ რომ მათ განიზრახეს პონოლელ სტუდენტთა სისხლის დაღერა. ღმერთმა დამიფაროს ასეთ პოლიტიკიდან, როგორც მიფარა და ის დღემდე. და დარწმუნებული ვარ მომავალშიაც დამიფარავს! შორს პოლიტიკისგან! — აი დღეიზი, რომლითაც უნდა მოქმედობდეს საბჭოთა კავშირიდან საზღვარგარეთ გამგზავრებული მწერალი.

როდის გადაწყდება ეს დაწყებული საკითხი? ის ჯერჯერობით სწყდება ამ გვარად, რომ ყარაბინებიდან ისერიან უკრაინელი ნაციონალისტები, ფაშისტები, პროვოკატორები. ვინ აძლევს მათ ხელში დანებს, ჯოხებს, რევოლუციებს, ვინ ნერვავს მათში სახელმწიფო საწინააღმდეგო სიტყვებს და გულში ზიზს? ნუ დაეწვრილმანდებით... შორს ასეთი პოლიტიკიდან. პატივცემულო მკითხველო. თუ თქვენ ამ მომენტში ფიქრობთ დასავლეთ უკრაინელ მუშებსა და გლეხებზე, რომელნიც თითქოს სხვანაირად გადასჭრიან ნაციონალურ და პოლიტიკურ განთავისუფლების საკითხს, მაშინ მე უნდა გავდეგ განზე თქვენგან, რადგან მე ემოგზაურობ მხოლოდ კულტურულ-მეცნიერულ მიზნით და არ შემიძლია ჩარევა არავითარ პოლიტიკაში.

ამნაირად, ჩვენ ვუახლოვდებით „საიმედო“ პოლონელ ახალგაზრდობასთან ერთად უკრაინელ სტუდენტთა სახლს სუპინსკის ქუჩაზე. აქ შეგვეძლება დავინახოთ ეს სიმპატიური ახალგაზრდობა, როგორ ჩამტკრევეს ფანჯრებს, დაღწავს კიშკრებს, გაანადგურებს ყოველივეს, შეკრება სახლში და გაიანთავებს, რაც კი შეხედება, რაც ასეთ შემთხვევებში დასაშვებია.

დამრბევლებმა, რომლებმაც დაარბიეს კერძო საქალეო გიმნაზია, შეიძინეს საკმაო გამოცდილება. მათ არ შეაჩერებს ის გარემოება, რომ უკრაინელი სტუდენტები — მცხოვრებნი სტუდენტთა სახლში სწორედ ამ დროს შეექცევიან ვახშაშს და მათ არა აქვთ დარბევის არავითარი სურვილი... და როდესაც ნახევრად დანგრეულ შენობას აყრუებს წივილ-კივილი, მხოლოდ მაშინ გამაჩნდება პოლონეთის პოლიცია, სამშუხაროდ... ცოტა დაგვიანებით. თუმცა ის მაინც გა-



ასევე მოექცნენ „მოსკოვფილოვ“-ის და „სტაეროპოვი“-ს სტამბებს დომინიკანის მოედანზე.

სწორედ ასეთივე საშუალებებით იქნა დანგრეული და ჩამოტყვევებული ფანჯრები უკრაინელ ვეჟილთა ბინებშიაც.

აი, შიდაღია რიგმა უ. ს. დ. პ. სამდივნომდე კოსტიუშკოს ქუჩაზე. „ერთგული“ პარტია! მან კინალამ მოაწყო ნოლაპარაკება ფაშისტებთან. აქ კი გაუგებრობა მოხდა. დამრბეველებმა „ერთგულ“ პარტიასაც ჩაუმტვრიეს შუშები და რაც მთავარია, არა მარტო შეარყიეს საქმლის მონელების ის ლტაებრივი სიმშვიდე, რომელშიაც იმყოფებოდა ეს პარტია და რის გამოც ის არ აქცევედა ყურადღებას დასავლეთ უკრაინის პროლეტარიატის და გლეხობის უბედურებას, არამედ მათ ხელი შეუწალეს ამასთანავე უ. ს. დ. პ. და პილსუდსკის შორის მიმდინარე მოლაპარაკებას. ერთი სიტყვით უ. ს. დ. პ. გაუფუჭეს საქმე. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ ეს თქვენ არ გაღელვებთ, პარტიეცემულო მკითხველო, რადგან თქვენ მშენივრად იცით, რომ არიან ამ ქვეყნად „ბედნიერი“ პარტიები, რომელთა წყენის უფლებას ბურჟუაზია არავის არ მისცემს მანამდე სანამ ის არსებობს. უ. ს. დ. პ. აქვს ჯერ კიდევ დრო ივაქროს პოლონეთის ფაშისტურ ბურჟუაზიასთან.

შაღლობა ღმერთს ჩვენ დავამთავრეთ გაზეთების კითხვა და ავითრისეთ ის თავისებურად. ჩვენ გავიგეთ მათგან ყველაფერი, რაც ჩვენ გვანტერესებდა ეხლა შეგვიძლება ფანქრის ხელში აღება და დათვლა იმ ასი ათასი „ზლოტი“, რომლითაც შეიძლება გაიზომოს დანგრეულის და დარბეულის ღირებულება. ის ასი ათასი „ზლოტი“, რომლებიც დაიბადენ და წარმოიშვენ თავის დროზე მუშის და გლეხის ხელებით, მოხვდენ შემდეგ კოპერატიულ „მასლოსოიუზ“-ში ან და, „პროსვიტა“-ში ან და, „დილა“ ს რედაქციაში, ან და, საბოლოოდ თვით უ. ს. დ. პ. სამდივნოში, აი ისინი განიბნენ ჩვენს თვალწინ, როგორც ჩვენი თანამემამულეების ბაგეებიდან ამოსუნთქული სიტყვები, რომლებიც ლოცულობდნენ იურას ეკლესიაში...

მაგრამ ჩვენ არ გვინდა ამაზე შეჩერება, ე. ი. ჩვენ არ გვსურს ხელი მოვკიდოთ არითმეტიკას. ბუნებაში ხომ არაფერი არ იკარგება... მხოლოდ ყოველივე იცვლის სახეს... ანაირად... ქვებიდან სისხლი გადმოღინდება... ჯერჯერობით — ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ არავითარ დასკვნებს არ გამოვიტანთ

— როგორ შეიძლება ვიშოვნოთ ბილეთები ბერლინისათვის, ან. სადვსკი?

— ვანა ასე ჩქარა გინდათ დასტოვოთ ლეოვი?

— თუნდაც ამ წუთს.

— არა ეს უკვე მეტის-მეტია, არავითარი საფრთხე არ მოგელით...

მაგრამ ჩვენ ვგრძნობთ, რომ მისი ბაგეები ღალატებენ თავაზიანობას, სურვილს გაართოს სტუმრები ერთი დღე მაინც.

ის გვარწმუნებს ჩვენ, რომ პოლიციამ უკვე დაამკვიდრა აბსოლუტური სიმშვიდე, რომ ის არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს შემდეგისათვის ასეთ რაიმეს, რომ გუშინ ყველაფერი მოხდა ისე მოკლე დროში, რომ პოლი-





ციას არ შეეძლო მიესწრო დემონსტრაციისათვის. ერთი სიტყვით ჩვენ ვრწმუნდებით, რომ ის ლაპარაკებს დიპლომატის ენით.

მაგრამ ამ წუთში ოთახში შემოდის ვიცე-კონსული ამბ. გრიგორიევი. ჩვენ ვესალმებით, ვართმევთ ერთმანეთს ხელს და სიამოვნებით ვიღივებით, თითქოს ჩვენს გულში ყვაოდეს ვარდის ბუჩქები და მასში ტკბილად სტვენდეს ბუღბული.

- აჰა! აბა, როგორ?
- ძალიან კარგად, ძალიან კარგად...
- იუბილე აკადემიკოს სტუდინსკის...
- დიახ. იუბილე ვადადებულია. ამის შესახებ ვაზეთებშიაც არის გამოცხადებული, — დამწვიდებით ვეუბნება ვიცე-კონსული.
- ამხანაგებო დროა ვისაუბროთ.

შე უკვე მომაგონდა ჩვენი მზრუნველი ამბ. იულცია. რასაკვირველია, მას უკვე მზად აქვს ყველაფერი, შეიძლება ის ნაწყენიც არის, რომ ამხანაგები ამდენ ხანს არ მიდიან

ვათვალეობებ ვიგნებს. საწიგნე განჯინაში სიამოვნებით ვამხნევე, რომ აქ არის თითქმის ყველაფერი, რაც კი გამოსულა ჩვენს გამოცემლობაში უკრაინის საატორული ლიტერატორიდან. განსაკუთრებით აქ, აი სწორედ აქ ლეოვში, ამ უაქოლოგიურ ფონზე, რომელიც შეიქნა ზემოაღნიშნულ მოვლენების შთაბეჭდილების ქვეშ, მე ვიგარძენი მზურვალე სიხარული საბჭოთა უკრაინისათვის მისი მუდმივი პროგრესისათვის, ჩვენი ზღაპრული განვითარებისათვის და აყვავებისათვის, ჩვენი ძვირფას დიადი ბრძოლისათვის!

ჩემს წარმოდგენაში მე ხელი ჩამოვართვი გიორგი თედოს ძე ლაპინსკის იმისათვის, რომ მან დააგროვა თავის საკონსულო განჯინებში ამდენი წიგნი.

ფანჯარასთან ვაიარა კაქია, ყვირელ ქუდში და მიიშალა კუთხეში. ხუთი წუთის შემდეგ ის კვლავ გამოჩნდა. როგორც ჩანს, აქ სადღაც რაღაც საქმე ჰქონდა, რადგან ამის შემდეგ მე დავინახე, რომ ის დიდი მანძილით არ იყო ჩვენგან დაშორებული...

გადავსწყვიტეთ ხვალამდე დარჩენა. ბილეთები ბერლინისათვის ჯიბეში გვაქვს. ხვალ დღის ათ საათზე ვავემზავრებით. მანამდე შეიძლება ჩაჯდე ტაქსში და შემოიარო ქალაქი, ინახულო დასავლეთ უკრაინის დედა-ქალაქი, თუნდაც ავტომობილების ფანჯრიდან. ქუჩებში ფეხით ხეტიალი, შესვლა იმ ადგილებში, რომელზედაც ჩვენ ზემოდ ვისაუბრეთ, საშიშია და უზებრხულია საბჭოთა უკრაინიდან წამოსულ ხალხისთვის.

— წაგვიყვანე ჩვენ, მოქალაქე შოფერო სუბინსკის ქუჩაზე! წაგვიყვანეთ მარიაციკის მოედანზე მიცკევიჩის ძეგლთან, სადაც გუშინ ვაისმოდა იმათი სიტყვები, რომლებიც ღირსად სთვლიან თავს ამ დიად პოეტის მემკვიდრედ... გავგატარეთ რაც შეიძლება სწრაფად!

ჩვენც მივემზავრებით სწრაფად. ქარი ზუზუნებს ყურებში. თვალ-წინ იმართება დამტვრეული შუშები, ჩარჩოების ნაჭრები, რომლებიც ყრია ქვაფენილზე, ვითომდა დიდი ქირიშხლის და სეტყვის შემდეგ.



დატეხილ კარებიდან, დაბრუნულ რკინის ჩარჩოებიდან მოემართება ცივი ორპირი ქარი...

— გაგვატარეთ მოქალაქე შოფერო, გაგვატარეთ რაც შეიძლება სწრაფად. ოდესღაც ოსმალის ხანის მღვდარი მიისწრაფოდა ვაცოვებულ რაშზე და კიევის თავადის მღვდარმა გადაუჭრა მას გზა. ორივეში თამაშობდა ველმინდურის ველური სისხლი. მათი კბილები იკუმშებოდა და აკრაქუნებდნენ ვაცილებით უფრო ხმა-მალა, ვიდრე ამ თქვენ მიმზიდველი ტაკის კბილები.

— გაგვატარეთ მოქალაქე შოფერო, გაგვატარეთ რაც შეიძლება სწრაფად. ნეტავი ქარზე უფრო სწრაფად მივფრინავდეთ. ჩვენ მაინც ვაძინევთ ყოველ უკრაინულ წარწერას, ყველა ასოს მალაზიის კარბზე, ვაძინევთ, როგორც საცოდავ ნაფოტს პოლონურ წარწერების ზღვაში ჩაეარდნის, — ძეგლებს, კათოლიკეთა ეკლესიებს, ვაძინევთ! კიდევ უფრო მწვავედ და მეტად გვაღელვებს ჩვენ ეს საცოდავი წარწერა, იმიტომ რომ ის ერთად-ერთია "დასავლეთ უკრაინის სატახტო ქალაქში, რომლიდანაც ასე დაეინებით და დარწმუნებით ქმნიან „ლუუ“-ს, რომლის პროლონიზაციისათვის ასე საშინლად იბრძვიან.

ნუ შეჩერდებით წმინდა იურას საყდრის წინ, რათა მოგვეკეთ საშუალება შევისწავლოდ იმით როკოკო! ნუ გვიჩვენებთ იტალიურ საყდრებს, მისი რენესანსი ჩვენ არ გვაინტერესებს ამ ტრაგიულ წუთს. შორს! შორს ბერნარდის<sup>20</sup> კათოლიკეთა ეკლესიისაგან ლეოვის ბაროკოთი. შორს ამპირით შეზავებულ ქაშმელიტოკისაგან, ნეორენესანსისაგან, მოდერნიზმისაგან, ქვის შენობებისაგან რათალებიც არსებობენ გალიციის მოედანზე!..

შორს...

— გაგვატარეთ! რაც შეიძლება სწრაფად...

ნუ შეეხებით მხოლოდ ამ მშვიერ, დაგლეჯილ დასავლეთ უკრაინის „პატრონს“, რომელიც ასე შეშინებული სახით მიაწვა კედელს თავის საცოდავი ცხენებით, რომლებიც ვაბმული ყავს ურემში. გლებმა არ იცის სად დადგეს, არ შეუძლია ისე მოიტყუეს დედა-ქალაქში, როგორც საჭიროა. მაგრამ განშორდით, ნუ ეხებით მას! ალბათ, მისი ფაცხაა რონოდის ფანჯრიდან რომ მოსჩანდა. ძელი, დაღწილი, დაგლეჯილი როგორც მათხოვარი... ნუ ეხებით მას! შეიძლება ჩამოვიდა ცოტაოდენ მარილის საყიდლათ, რომ სიცოცხლე არ იყოს ასე მწარე...

— განაგრძე გზა, მოქალაქე შოფერო! და შეიძლება ამხანაგოც. განაგრძე...

დიდ თეატრში საღამოს მიდის მხიარული ოპერეტა „საიდუმლოებით მოცული ქალი“. არა, ჩვენ ჯერ არ ავიღებთ ბილეთებს! ჩვენ ჯერ არ ვიცით გვექნება თუ არა სათანადო განწყობილება. ჯერჯერობით? დიახ, არა გვაქვს არა...

სანამ ქარი ფანტავს ჩვენ გულში თავმოყრილ ჯავრს გვეძრება ქვის მოედნებზე, შენობებზე, კათოლიკეთა ეკლესიებზე, მალაქოშკებზე... ქალაქებზე ველლებზე... დასავლეთ უკრაინაზე... ზევით ფრენის სურვილი

— მომართეთ შესამე სიჩქარით თქვენი მიმზიდველი ტაკი! მხოლოდ... ნუ შეეხებით ამ დაბეჩავებულ „პატრონს“ ასე საცოდავით, რომ ჩაკვრია თავის ცხენებს...

ლუბლინიის უბნის ყორღანი რა მაღალი მთა არის! ასეთ მთაზე მშვენიერად და მაღლად აფრიალდებოდა წითელი დროშა.

ჯერჯერობით კი ლვოვის ყვითელ საზოგადოების წევრებმა დასაიდუმლოდ, როგორც ჭურჭლებმა, სცადეს თავის ყვითელი „ფან“-ის აღმართვა. პოლიციამ დილის ხუთ საათზე „მოაშორა“ ის... ამ წუთს არაფერ არ იყო, მასთან ახლოს, რომ გადაერჩინა დაეხსნა ის...

ლუბლინიის უბნის ყორღანი

რა მაღალი მთა არის! ასეთ მთაზე მშვენიერად და მაღლად აფრიალდებოდა წითელი დროშა.

აი, ჩვენ ავდივართ ამ მაღალ მთაზე, ვაკეთებთ შის გარშემო დაუსრულებელ სპირალებს, ვეხებით მიწას, რომელიც ჩამოტანილი იქნა მთელ პოლონეთიდან აქ, ლვოვში, დასავლეთ უკრაინაში, 1869 წელს, როდესაც დაიწყო ამ განთქმულ ყორღანის შექმნა. პოლონეთის ყოველ კუთხიდან არის აქ პოლონეთის მიწის ნაჭრები, თვით მიცკევიჩის, სალოვაცკის და კნიპევიჩის საფლავიდანაც კი...

ვინ იტყვის ამის შემდეგ, რომ ლვოვი პოლონეთის ქალაქი არ არის?.. ვინ გაბედავს ამის თქმას, როდესაც გადასახედი ლვოვზე ამ ყორღანიდან ისეთი საუცხოვოა, რომ პოლონეთს ამაზე ძვირფასი არაფერი არ გააჩნია?

ჩვენს წინ წყნარად გაშლილია ქალაქი. ჩვენ ვაჩნევთ იმ სახლებსაც კი, რომელთა გარშემო დამტვრეული შუშები და ჩარჩოების ნატეხებია. აი რატუშა, აგერ ჩვენს წინ ლათინური კათედრალური ტაძარი, აი დომინიკანის კათოლიკეთა ეკლესია, აგერ შორს ფაბრიკის მილიდან ამომავალი კვამლი.

ჩვენ დიღხანს ვრჩებით ამ მაღალ მთაზე. ვფიქრობთ იმის შესახებ, თუ რა ხდება იქ, ქვევით, გაღმა ველებში, მინდვრებში საიდანაც ბრწყინავს სტრისისი ბარიკადები...

ჩვენ დიღხანს ვრჩებით, სანამ არ გამოვა საღამო მუქ-ყავისფერ პარკიდან და არ დაიწყებს მთების შემოსვას თავის ფანტასტიური წამოსასხამით.

მაშინ ჩვენ უბრუნდებით ტაქსის და ისევ მივეშურებით ქალაქსაკენ. ცეცხლი ინთება ხშირი ნაპერწკლებით.

ამობოენ, დღეს ტრამვაის რონოდაში, ერთმა ახალგაზრდა ქალმა მიადფურთხა სახეში პოლონელ სტუდენტს, რომელიც ხმამაღლივ იცეხნიდა, თუ როგორ გალახეს მათ უკრაინელები და შესაძლებელია ასეთნაირად კიდევ გალახონ. ახალგაზრდა ქალი წამოვარდა ზეზე, იფეთქა, როგორც ალმა და მიადფურთხა სტუდენტს სახეში. სანამ ეს უკანასკნელი გონზე მოვიდოდა, რომ სამავიეროდ ეპასუხა (გაშალა მკლავი ვასარტყმევად) ქალი ვაქრა, ის აღარ იყო რონოდაში.

ცეცხლი ინთება ხშირი ნაპერწკლებით...

სურვილი მაქვს ვინახულო უკრაინელი მწერლები: ვასილ ბობინსკი, პეტრე კოზლანიუკი და სხვები. მაგრამ სად, როგორ? ეს არც ისე ადვილია. ჩვენ ხომ საბჭოთა უკრაინიდან ვართ. საინტერესოა მათგან, გავიგოთ, თუ როგორ მუშაობენ, რა პირობებში, როდის გამოდის ვიკონის მორიგი გამოცემა, იღებენ რაიმეს ჩვენი ლიტერატურიდან თუ არა?

ჩვენ დაებრუნდით დროებით ბინაზე. გადავწყვიტეთ თეატრში / ვასვლა-ვიცე-კონსული ზრუნავს ბილეთებზე, რომლის მიღება ეხლა არც ისე ადვილია, რადგანაც თეატრში მიმდინარეობს პიკოლის ტიკინათა დეპარტმენტის გასტროლი. გარდა ამისა, ჩვენ ჯერ ვინახულებთ „საიდუმლოებით მოცულ ქალს“.

თეატრის დირექცია ვიცე-კონსულის თხოვნას დიდი პატივით ხვდება. ამანიჩად რვა საათზე ჩვენ მივდივართ დიდ თეატრში!

მე არ მინდა ვაწყენიო პოლონელ მსახიობებს, ისინი ყველა კარგად თამაშობენ და არა უშავს ისე იმღერიან. მე ვერც შევძლებდი მათ წყენას, მე ხომ თეატრალური კრიტიკოსი არა ვარ, ხოლო რასაც ლაპარაკობდა ჩვენი „სპეციალისტი“ იმის გამოვრება არ ღირს, უმჯობესია მან თვითონ დასწეროს სადმე, თუ ამას ის საჭიროდ დაინახავს, მე კი მხოლოდ მინდა ავლნიშნო, რომ საბჭოთა უკრაინაში უფრო უკეთ იმღერიან. სამაგიეროდ ტიკინები ისე არტისტულად დაბტოდენ და მოხერხებულად ვარჯიშობდენ, თიკინათა თეატრის მომუშავეები ისე გულწრფელად, თავისუფლად და ოსტატურად ასრულებდენ „სევილიელ დალაქიდან“ ადგილებს და ნეაპოლიტანურ „ტარანტელა-ფუნეკულია ფუნეკულიას“ რომ ბოლოს და ბოლოს შეიძლებოდა გვეპატიებია მათ კოლეგებისათვის „საიდუმლოთ მოცული ქალი“ და გვეცქირა დიდი აღფრთოვანებით ტიკინებისათვის.

ჩემი განწყობილება კიდევ უფრო იწვევს მაღლა, რადგან შესვენების დროს ფოიეში შევხვდი მწერალ პეტრე კოზლანიუკს. ჩვენ ერთად შევეჩვიეთ ტკბილ წყალს და თამბაქოს. ასეთ შეგობრულ საუბარში მე ვავიგე, რომ „ვინკა“ — მალე გამოვა ორმაგი ნომრით და რომ ის საერთოდ „ძალიან კარგად“ მუშაობს.

ისე კარგად და ისე ადვილად რომ...

ერთი სიტყვით ძალიან კარგად, ძალიან კარგად...

ჩვენს ლიტერატურას თითქმის არც კი ლებულობენ, რადგან ავტორები ანდა რედაქტორი იშვიათად თუ მიხვდება გამოგზავნოს თავისი წიგნის ან ჟურნალის ახალი ნომერი.

თეატრიდან გამოსვლის დროს, მე მჭონდა ბედნიერება გამეცხო „დილა“-ს რედაქტორი. მის სახეზე ვერავითარი ბედნიერების გამოხატულება ვერ ამოვიკითხე, რის მიზეზად მე ვთვლიდი პანაშვიდს წმინდა იურას ეკლესიაში...

დილით ოთხ ნოემბერს მე უკანასკნელად ვათვალისწინებდი ლეოვს, მის ვიწრო ქუჩებს, მონასტრებს, ძეგლებს. მზიანი დილა ანათებდა ოკროს ფორ ხეების ფოთლებს. მუშები ჭეფენილით მოსავდენ ქუჩებს, ახალგაზრდობა მიდიოდა ღიშნაზისა და უნივერსიტეტში.

კათოლიკეთა ტაძრიდან გამოვიდა ვილაც კაცი, მე ის ვიცანი. ის გახლდათ ყვითელ ქუდიანი, რომელმაც საკონსულოს ფანჯრის წინ ჩამიარა. მე მინდოდა შევჩერებულიყავი იმ მუშებთან, რომლებიც ჭეფენილით კირწყალავდენ ქუჩებს, მინდოდა მათთან ერთად მომეწია თამბაქო, მაგრამ გადავიფიქრე, გადავადგე პაპიროსი. გავემართე გზისთვის მოსამზადებლად.

ჩვენ გამოვემზავრეთ დილის თერთმეტ საათზე. მეორე კლასის/რონოდები საესე იყო მზავრებით. ჩვენ ვერ შეესძლით ჩენი ექვფედუმს პონა. მაშინ რონოდის გამყოლმა უფლება მოგეცა განსხვეებმს გავდხდის შემდეგ დაგვეკირა ადგილი პირველი კლასის რონოდაში. ჩვენ გავბდით ყველასათვის ყურადღების ცენტრი და შეიძლება შურისაც, განსაკუთრებით მას შემდეგ, როდესაც მთელმა რონოდამ გაიგო, რომ ჩვენ უკრაინელები ვართ...

დღე იყო საკმაოდ თბილი, თუმცა მოღრუბლული. არსებითად არც იყო მოღრუბლული, მაგრამ გალიციის მინდვრებში უიმედოთ მოვარდნილი ქარხნების ნაცრისფერი და შეშარავი შეხედულება კმნიდა ღრუბლიან განწყობილებას...

პოლტავის და კიევის მზგავს ბუნების სურათებს გადაჰქანდა ჩენი ოცნებანი საბჭოთა საზღვარზე, უკრაინაში, სადაც, თეთრად გამოიყურება დიასახლისის მუყაითი ხელით მოვლილი ქობი, რომელიც ერთდამივე დროს შეიძლება არის სოფლის საბჭოს, ან და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საზოგადოების წევრი. საერთოდ უნდა აღვნიშნოდ, რომ უცხო ქვეყანაში გებადება სრულიად მოულოდნელი აზრები ელემენტარულ პოლიტანბანის სფეროდან.

ორის ხუთმეტ წუთზე ჩავედით პშემიშლი.

შემდეგ — იაროსლავი,

იაროსლავი, —

პშევორსკი,

ტარნოვი,

კრაკოვი...

რატომაც, როდესაც გავიარე პშემიშლი, ჩემს წინ გადიშალა იმპერიალიზმის ნიშნები, მომავონდა ამ დროს მსოფლიო ომი და ამაღლევა... შეიძლება ჩემზე იმოქედა პოლონელ ოფიცრების დანახვამ, რომლებიც აუარებელია ყველგან, ყოველ სადგურზე. შეიძლება, ისინი სადმე მიემზავრებიან. მათ აცილებენ. ისინი ემშვიდობებიან ცოლს, ბავშებს, მათი გრძელი ხმლები ეხება ფეხს, ქვებს, მათი ოთხკუთხედი კონფედერატები, გაყოფილია ლენტებით დიაგონალებით სამკუთხედებათ, ვითომდა სამხედრო რუქებია, რომელსაც ზევით ამოძრავებს ქარი... შეიძლება, ყოველივე ეს ერთად აღებული...

არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ ყოველივე ეს მალეღვეს, ეს განწყობილება გრძელდება იმ დრომდე, სანამ მიდხართ პოლონეთის ტერიტორიაზე.. გგონია, რომ შენ მოგელის სრულიად მოულოდნელი ამბები...

უბრალოდ ეს არაჩვეულებრივი, ეს წარმოუდგენელი რაოდენობა რონოდაში მყოფ ხალხისა კიდევ უფრო მაგონებს ომს.

ღამეა.

მაგრამ ჩვენ არ გვძინავს...

უცდით გერმანიის საზღვარს.

საათით ხელში...

ჩვენ მას მოველით საათით ხელში. მოუთმენლობა სწრაფად იზრდება უფრო მეტად, ვიდრე მიფრინავს მატარებელი საზღვრისაკენ.

გერმანია!

უმჯობესია შევიკავო თავი აღფრთოვანებიდან. რონოდანი შემოდის ისევ ბატონი პოლონელი ეანდ-რმი, ჩვენ ვაძლევთ მას ვინაობის წერილს და ვხმათვალთ ვინაობის პოლონურ ნებართვებს და ამოწმებს მათ ბეჭდის დასმითს.

დასრულდა, ეხლა უკვე აღარ გვაქვს უფლება ერთი ნაბიჯიც კი გადავდგათ უკან—პოლონეთის ტერიტორიაზე, კიდევაც რომ დიდი სურვილი გვქონდეს.

მატარებლის ბორბლები ხმაურობს. მოუსვენრობა გვიპყრობს: წამოვდგებით, დავეჯდებით, ვალეზთ ფანჯარას.

ist das schon Beuten <sup>1)</sup>—ყვირის ჩვენი თეატრის პროფესორი, რომელიც ჩვენ „დერ იონა დას შევჩენკო“-თი მოვნათლეთ! არ სწყინს. პირიქით, კიდევ უფრო ენერგიულად კითხულობს:

— Sagen sie nur, ist das Schon Beutan? deutsche Grenze? <sup>2)</sup>.

გვესმის ბაქანიდან გერმანულ რკინის გზელების დამაჯერებელი ხმა:

— javohl, das ist deutschland <sup>3)</sup>

ძლივს მოვასწარით საბარგო ყუთების სახურავების ახდა, რომ მიგვეცა საშვალეობა გერმანულ კონტროლის წარმომადგენლისათვის დაეთვალაღიერებია ისინი ერთი თვალის გადახედვით (მეტს ის არც მოითხოვდა), მიგვეცა ვინაობის წიგნაკი. იმავე წუთს ჩვენ გაფრთხილდით ბაქანზე, სადაც გავეცანიტ ხელადვე ძეხვების მრეწველობას. გვაპატიეთ, გერმანია, მაგრამ ჩვენ შშივრები ვიყავით და მერე ძეხვები ბეიტანში არაჩვეულებრივი გემრიელია, ლუდიც ძალზე სასიამოვნოა.

„ვახშამი ბეიტანის სადგურზე—1 მარკა 50 პფენინგი ღირს“—ჩაიწერე უბის წიგნაკში.

თარგმანი ქეთევან ირემაძისა.

<sup>1)</sup> ეს უკვე ბეიტანია?

<sup>2)</sup> მითხარით მე მხოლოდ, ეს უკვე ბეიტანია? გერმანიის სახელარი?

<sup>3)</sup> დიახ! ეს გერმანიაა.

# ორი პოეტი

## 1. ბიოგრაფიული

ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის დამარცხებას შედეგათ მოჰყვა პოლიტიკური რეაქციის გამარჯვება. ამ უკანასკნელ მდგომარეობაში საგარეო დიდი დააჩინა საზოგადოებრივ ცხოვრების ყოველ სფეროს. მოხდა საზოგადოებრივ ძალთა გადაჯგუფება, უკუქცევა, რომელმაც უმთავრესად გამოხატულა ბპოვა დაცემულ განწყობილებაში, სასოწარკვეთილებაში, გულ-გატეხილობაში და ინდიფერენტისში. მწერლობაშიაც მოხდა ასეთივე ძალთა გადაჯგუფება.

ცხრაას ხუთის დამარცხების მომდევნო პერიოდში გამოსულ მწერალთა შემოქმედება სხედასხვა გზებით მიემართებოდა, მაგრამ საერთოდ მათგან უმეტესობას რევოლუციისაგან გაქცევა ახასიათებდა. მთავარი გზები, რომლითაც მიემართებოდა ამ პერიოდში მწერლობა, იყო: პესიმიზმი (გ. ტაბიძე ს. შანშიაშვილი და სხვ.) ეროტიკა-პორნოგრაფია (ი. გრიშაშვილი და სხვ.), მსუბუქი ჟანრის პოეზია (ქ. მაყაშვილი და სხვ.). ამ გზებისაგან გამოირჩეოდა ერთი გზა, რომელსაც ახასიათებდა რევოლუციასთან დგომა, ცხოვრების ყოველდღიურობის ასხაგა, მშრომელი ხალხის დაცვა და კლასიური მოტივით უკანასკნელი გზის მნიშვნელოვანი წარმომადგენელი გიორგი ქუჩიშვილია. ზემოთ აღნიშნულ მწერლებთან შედარებით გ. ქუჩიშვილმა თავიდანვე სწორი გზა აირჩია, თუმცა რევოლუციის დამარცხების მომდევნო პერიოდში მასაც ჰქონდა მთელი რიგი შეცდომებისა, ჩავარდნებისა და გადახვევებისა.

რას ეხებოდა ამ დროს გ. ქუჩიშვილი? რა იყო ამ დროს მისი შემოქმედების მოტივები?—იგი გვიხატავდა ქუჩას და ლუმპენ-პროლეტარიატის ცხოვრებას. კაპიტალისტური ქუჩა თავის განაპირა უბნებით და სოციალური უთანასწორობით—აი, რას ეხებოდა ამ ხანებში გ. ქუჩიშვილი თავის პოეზიაში. აქ იყვნენ ქუჩის ქალები („მეძაღვი“, „ქუჩის ქალები“), მომღერალი („ქუჩის მომღერალი“), მათხოვარი („დასახინრებული“, „პატარა მათხოვარი“, „მათხოვარი“), ქუჩის ბავშვი („ქუჩის ბავშვი“), უსინათლო („უსინათლო“), გაზეთის გამყიდველები („სიმღერა გაზეთების გამყიდველ-დმატარებლებისა“), ქუჩა საერთოდ („ქუჩის მელიოლია“, „ქუჩის ნანა“) და სხვ.

აღსანიშნავია 1915 წელს გამოშვებულ წიგნისადმი წამძღვარებული პროზაული მიძღვნა. ამ მიძღვნაში გ. ქუჩიშვილი მკაფიოთ და და პირდაპირ განსაზღვრავს თავისი შემოქმედების ობიექტს. იგი სწერს:

„მათ, რომელთა გმინვა-გოდებასაც დაუბეთქნია ქალაქის მარშალოოს ცივი კედლები.

„მათ, რომელთა მომსკდარ ცრემლთა ღვართქაფსაც აუყრია ქუჩის ქვაფენილები.

„მათ, რომელთა სიშიშველესა, სიძვალტყავესაც დამფრთხალ ცახცახით შემოუვლია, სიმდიდრით სავსე ქუჩის ქალაქი და რომელთა საზრდოც ყოფილა ნერწყვი.

„მათ, რომელთაც არ გააჩნიათ თავშესაფარი და რომელთა მოთქმა-ვაებასაც არ დაურღვევია მკუდროება, მკუდროება მძინარე ღამისა.

„საყვარელ ჩემს დებს, პროსტიტუტებს, ქუჩის დობილებს და ყველა ლოთებს, სამიციტნოს შერდილ ძმობილებს.

„უსინათლო მემუსიკეებს, რომლებიც დადიან ქუჩიდან ქუჩაში, ეზოდან-ეზოში და სტირიან მათთვის დაკარგულ მზეზე.

„ათასი სენის, ათაშანიგით პირ-დაკმულ ქუჩებს და ამ ქუჩებში მოწინაწულე ჩემს დიდ ტყვილებს: ოხერ და ობოლ ქუჩის ბავშვებს, ქუჩის ყვავილებს, რომელთაც ადრე შესწყვეტიათ ზრუნვა-ალერსი და უპატრონოთ იღრჩებებიან გარყვნილებაში — ვუძღვნი ამ წიგნაკს...“

ამ აღამიანთა ასახვის დროს გ. ქუჩიშვილი იმავე სასოწარკვეთილ განწყობილებას ემორჩილება, როგორცაღ განიცდიდენ თვით მისი გმირები.

გ. ქუჩიშვილის ასეთი დამოკიდებულება ცხოვრებისაგან გარიყულ და დაჩაგრულთადმი გასაკებშიც არის. ისიც ხომ მაშინ მათი განუყოფელი ნაწილი იყო. მათი წრის წევრი იყო:

მე დავბადე ერთ ბნელ სარდაფში,  
სადაც მზის სხივი ვერა სწვავებოდა...  
წამოვიზარდე... გუშინაც, დღესაც  
ისევ ამ ქუჩებს ვემობილბი  
აქ აღვიზარდე და ბოლოს აქვე  
დაისვენებენ ნათრფი ძელები...

ეს მოტივი ერთგვარი გარდამავალი საფეხური იყო გ. ქუჩიშვილისათვის. შემდეგ მან უფრო მეტი სიმხავილით შეეხო საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ეწოდება პროლეტარიატი. გ. ქუჩიშვილმა ნათლად დაინახა, რომ მხოლოდ საზოგადოების დარაზმულ და მოწინავე ნაწილს — მუშათა კლასს შეუძლია მოსპოს წინააღმდეგობანი, რომელიც ცხოვრებაში არსებობს. აქ მას ლუმენ-პროლეტარი ვერ დაეხმარება. კლასიური მოტივი აქ პირველ პლანზე გამოდის, თუმცა გაურკვეველობის იერი დაჰკრავს და აკლია მას სიმკვეთრე. ამ დროს გ. ქუჩიშვილი უკვე ზოგადათ, საერთოდ კი არ მღერის, არამედ გარკვეული სამოქმედო პროგრამით უდგება მუშათა კლასის ცხოვრების დახასიათებას. იგი მუშებს მიმართავს, რომ „დიდი ხანია, რაც ჩემად ეცანი თქვენი ვარამი, თქვენი ქირ-ლხინი... ნათელი დღისით, თუ წყვიდიდ ღამით, ყელზე გეველებით ვით გრილი სიო... თქვენ აღვიარეთ დედა, მშობლათ და თქვენთანვე მსურს ყოფა, სიკვდილი“ („მუშებს“).

გ. ქუჩიშვილი ამ დროს კარგათ გადმოგვეცემს მუშათა მასების განწყობი-  
ლებებს, შეხედულებებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ არ ახასიათებენ  
ოხვრა, კენესა, მოთქმა, ცრემლი, რომ მათი გულები, იმედებით ჰფეხავს, რაიმე  
ნი მომავალს იმედით შეჰყურებენ, მიუხედავად იმისა, რომ ოფლით რწყავენ  
შავ-ჯურღმულებს და ბნელ სარდაფებს („მუშის სიმღერა“). გ. ქუჩიშვილს მუ-  
შები არსებითად განსხვავდებიან გრ. ორბელიანის და ი. ჭავჭავაძის მუშებისა-  
გან. როგორც ცნობილია, ეს უკანასკნელი მუშებს რალაც პასიურ, საბრალო  
არსებათ გვიხატავდენ. სულ სხვაა გ. ქუჩიშვილის მუშა. იგი მებრძოლი, აქტიუ-  
რია. მას კიდევ უხარია, რომ იგი მუშაა („შემბრალებელთ“).

აქვე მოისმის ქუჩიშვილის პოეზიაში ცხრაას ხუთი წლის რევოლუციის  
დამარცხების მოტივები.

საყურადღებოა, რომ ამ პერიოდში ძირითადში გ. ქუჩიშვილის პოეზიას  
ახასიათებდა სოციალური ოპტიმიზმი და ბრძოლის განწყობილებები. იგი და-  
დარწმუნებული იყო, რომ მჩაგვრელები დიდხანს ვერ იბოგინებდნენ, მხოლოდ  
საჭირო იყო შედგარი ბრძოლა: „უკვე თენდება... ლამის სიბნელეს არალევს და  
ჰფანტავს მზის ძალთა ძალი... კვლავ შეუღლები ჩემს გზის სიბნელეს, კვლავ  
ვეკვეთები ვით ქარიშხალი“ („ახალი ძალა“).

გ. ქუჩიშვილს სურს იყოს მშრომელი მასების ტრიბუნი, მომწოდებელი  
რევოლუციონური ბრძოლისაგან:

მსურს ხმა შეგვარი სიმღერა ჩემი,  
ცის რისხვახავით სვეტებს! გრგვინავდეს!  
ფრთები შეიშას შურის ძიებამ,  
მტერს და მუხანათს ჰვეთდეს!.. ჰყინავდეს!..

საჭიროა ყველას მოუწოდოთ ბრძოლისაგან ძველი ქვეყნის წინააღმდეგ-  
ამ საქმეში ყველანი მშრომელთა მხარეზე უნდა დადგენ. თვით ბუნებაც კი მათ  
უნდა უწყობდეს ხელს და ეხმარებოდეს:

ცაო! გარჩხდი, ივლე!  
კმარა ტანჯვა და წუბილი!  
სინამდვილე მივე საზღვარი,  
გვაძენე, მებ მარბოლი ქუხილი!..

\*(ლაშქ“).

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ გ. ქუჩიშვილის პოეზიაში ამ  
დროს საგრძნობი იყო პესიმიზმი, უიმედობა და დაცემულობის განწყობილებე-  
ბიც („მთაზე“, „იესოს“, „ფიქრები“, „შავი ფიქრები“ და სხვ.). აქ უკვე აღარ  
მოსწანდა მებრძოლი გ. ქუჩიშვილი. მის ადგილს ავადმყოფური განცდებით შე-  
პყრობილი პოეტი იკერდა. მიუხედავად ამისა, ეს უკანასკნელი მოტივი არ იყო  
მისი შემოქმედების დომინანტა.

საერთოდ გ. ქუჩიშვილის ტრანსფორმაციის ასეთი მიზეზი უნდა ვეძიოთ  
მისი შემოქმედების სოციალური საფუძვლის წვრილ-ბურჟუაზიულობაში. რო-  
გორც ცნობილია, წვრილ-ბურჟუაზიას ახასიათებს გაორება. ერთდამათვე ეტაპის  
სხვადასხვა მომენტებში აღფრთოვანებაც და დაცემულობაც, ენტუზიაზმიც და  
ტირილიც. სწორედ ასე საზღვრავდა წვრილ-ბურჟუაზიის შინაარსს, ბუნებას  
ლენინი (იხ. მისი ნაწ. ტ. XVII, გვ. 136 — რუს. გამ.).



1917-20 წლებში გ. ქუჩიშვილის სამწერლო განვითარება მიმდინარეობდა ე. წ. „დემოკრატიულ რესპუბლიკის“, მენშევიკურ „სამოთხეს“ არსებობის პირობებში. მაშინდელმა საერთო პირობებმა და განსაკუთრებულმა ვერცხვებმა, რომ გ. ქუჩიშვილი პოლიტიკურათ მენშევიკურ პარტიასთან იყო დაკავშირებული, თავისებური ვაგლენა მოახდინა მის პოეზიაზე. წვრილ-ბურჟუაზილი სტიქია მის შემოქმედებაში ამ დროს განსაკუთრებით მკვეთრად და ფართოდ შელანდებდა. პესიმისმი და ნაციონალიზმი ხდებდა ამ ხანებში გ. ქუჩიშვილის პოეზიის მოტივები. ამ ხანებში მას არაფერი ღირსშესანიშნავი არ შეუქმნია. მენშევიკურმა „რომანტიზმმა“ მისი პოეზიის საერთო განვითარებაზე უარყოფითი ვაგლენა იქონია.

ასეთ ავადმყოფობას გ. ქუჩიშვილმა თავი დააღწია მხოლოდ საქართველოს გასაბჭოების შემდეგ. მიუხედავად მცირე ხნის რყევისა, გ. ქუჩიშვილი კვლავ პროლეტარიატის რიგებში ჩადგა. მან დასძლია თავისი წვრილ-ბურჟუაზიული წარსული.

დღეს უკვე მისი შემოქმედება ვასცილდა წარსულს. მის პოეზიაში აღარ იხმის ქუჩის შვილთა მოთქმა, ზარი. ახალმა ცხოვრებამ ჩაითრია იგი მთლიანად. დღეს იგი უკვე პროლეტარული მწერალია. იგი პროლეტარიატის მისწრაფებებს და იდეალებს აყალიბებს მხატვრულ ფორმებში. მისი ლექსების სათაურების ჩამოთვლა: კი ნათელს ყოფს ზემო ნათქვამს: „ჩონგური ბრძოლის — ჩონგური შრომის“, „ჩემი ტრფიალი მუშათა კლასს“, „მუნა ქალს“, „ქარხნის საყვირი“, „მუშათა სასახლე“, „ლენინი“, „შრომის ფრონტზე“, „პროლეტარიატს“ და სხვა.

ამ პერიოდში გ. ქუჩიშვილის პოეზიაში პირველ პლანზე გამოჩნდა ინდუსტრიალური მოტივები. ის მკვეთრი კლასიური სიძულვილი, რომელიც წინად აქლდა გ. ქუჩიშვილის პოეზიას, ის გაურკვეველობა და ზოგადობა, რის გამოც წინად მისი პოეზია რაღაც „პუმანიურ ხასიათს ღებულობდა, უკანასკნელ დროს აღარ მოსჩანს. მათი ადგილი დაიჭირა კლასიურმა მიზან-მისწრაფებამ და სიძულვილმა.

დღეს გ. ქუჩიშვილი სასტიკად ილაშქრებს პოეტთა იმ ბანაკის წინააღმდეგ, რომელთა შემოქმედების საგნად ნაზი ამური გამხდარა, უპირისპირებს რა მათ თავის ჩონგურს ბრძოლისას და შრომისას, მოუწოდებს:

... შრომის და ბრძოლის ჩონგურო,  
დაეჭრათ,  
მცონარებს დაუფრთხოთ ძილი,  
რომ ახანზარდეს  
გრდემლი და ურო,  
როგორც ქარხნების  
მძლე მოძახილი.

(„ჩონგური შრომის — ჩონგური ბრძოლის“)

გ. ქუჩიშვილი აგვიწერს დღევანდელ ქარხანას, რომელშიაც ერთსულოვნად, ძმურად მუშაობენ მუშები, მათ ოფლით ჩამოღარულ გულ-მეკრდს, მათ მხნე-სახეს როგორ შევნიხს შრომის მრავალ-ეამიერი. ეს უკანასკნელი სიმღერა არ ჰგავს იმ ძველ უილაჯო სიმღერას, რომელშიაც მხოლოდ მოთქმა-გლოვის

ზარი მოისმობდა. ბრძოლის ქარმა დაჰბერა, მოედო ბარკადებს, გამარჯვება მშრომელებს ხვდა წილად; ამიტომაცაა, რომ ასე ტკბილათ ჰქუხს დღეს შრომის მრავალ-ყამიერი:

გამარჯვება ჩვენ გვხვდა წილად  
გასრული ვდია მტერი  
მისთვისა ჰქუხ ასე ტკბილათ  
შრომის მრავალ-ყამიერი.

(„ქარბანაში“).

გ. ქუჩიშვილს სწამს ის გრანდიოზული ძალა, რომელსაც შეიცავს რევოლიუცია. მისთვის რევოლიუცია ეს ის ძალაა, რომელმაც გააჩაღა ვულკანი, დასცა ქვეყნის მეფენი. მომავალში ეს ვულკანი კიდევ უფრო ავუზგუზდება და დასცემს მსოფლიოს ყაჩაღებს:

რევოლიუცია —  
აი ის ძალა  
ჩვენში რომ გუზგუზებს,  
ვულკანს რომ აჩაღებს..

(„პროლეტარიატს“)

აღსანიშნავია — გ. ქუჩიშვილის „ახალი ნანა“, მასში მოცემულია თუ როგორ უტყინის ბავშს ახალი ცხოვრების მზე. ეს ლექსი ნათლად გვიჩვენებს თუ რამდენად წინ წავიდა და გაიზარდა პროლეტარული მიმართულებით გ. ქუჩიშვილი. „ახალი ნანა“ არ ჰგავს პირველი რევოლიუციის დამარცხების წლებში დაწერილ „ქუჩის ნანას“, რომელშიაც წარსული წყეული ხანის მოთქმა და გლოვა გაისმოდა.

ეხება რა გ. ქუჩიშვილი პროლეტარიატის დიდ ბელადს, იგი მას ახასიათებს, როგორც ისეთ ადამიანს, რომელმაც პირველმა ააფეთქა კლასთა შორის თანხმობის ხაზი. ლენინის ხელმძღვანელობით დედამიწის ერთ მეექვსედ ნაწილს დაეპატრონა მშრომელი ხალხი, რომელმაც ბოლომდე, სრულ გამარჯვებამდე უნდა მიიყვანოს დიდი ბელადის ანდერძი:

მეექვსედ ნაწილს უხარმაზარ დედამიწისას  
დაეპატრონა დიქტატორი — ხალხი მშრომელი,  
ის შეასრულებს ფიცს და ანდერძს დიდ ბელადისას  
და ეს იქნება მისი ძველი, ძველი რომელიც  
გაუძლებს ყველა ქარიშხლიან საუკუნოებს.

(„ლენინი“)

გ. ქუჩიშვილი აფრთხილებს ყველა ქვეყნის რეაქციონერებს, შოვინისტებს, რათა მათ თავი დაანებონ გაიძვირულ პოლიტიკას. ვერცერთი მათგანი ვერ მიაღწევს მიზანს, ვინაიდან პროლეტარიატი უკვე კლასიურად შეგნებულია და დარაზმული.

უმსგავსნო და უჯიშონო,  
ვერ მიაღწვთ ამ თქვენ წადილს  
უმაღ თქვენზე გადავიხდით  
ყვე-ყორნების მუქთა სადილს.

(„გაფრთხილება ყველა ქვეყნის რეაქციონერებს და შოვინისტებს“).

უახლოესი ლექსი გ. ქუჩიშვილისა არის „შრომის ფრონტზე“. ამ ლექსში პოეტი მოუწოდებს მუშებს: ნაშრომის დონის აწევას, ტემპის გაძვირებას, სიმარჯვეს და ზიზს უთვლის ყველა დეზერტირს და მანენებელს.

გ. ქუჩიშვილი შეიძლება ჩაითვალოს ჩვენში ერთ-ერთ მნიშვნელოვან წარმომადგენლად მხატვრული „აგიტკის“, როგორც განსაკუთრებული ეპოქის. ეს ეპოქა განსახლებულ დროს უდიდეს როლს ასრულებდა ჩვენს ლიტერატურაში. მას დღესაც დიდი მნიშვნელობა აქვს. გ. ქუჩიშვილის აგიტ—პოეზია სადგენი-მაციო, მოწოდებითი—ორატორული ხასიათისაა. ამ მხრივ რამდენიმეთ იგი უახლოვდება პროლეტარული რევოლუციის უდიდეს პოეტს—მაიაკოვსკის.

გ. ქუჩიშვილის პოეზიაში არ ვხვდებით არაერთარ ლირიულ „აგიტკის“ ტონს. გ. ქუჩიშვილის პოეზიის დამახასიათებელი ნიშანია: მსხვილი მანერით მთავარის მოხაზვა, რის გამოც იჩქვლება ამა თუ იმ მოვლენის სპეციფიკა, ხშირად კი კონკრეტობაც. დღეს მოვლენათა ჩვენების საკითხი მეტად მწვევედ სდგას. აგიტ—პოეზიამ უკვე განვლო აგიტაციის პერიოდი. რა თქმა უნდა, მოთხოვნილება ასეთი სახის ნაწარმოებებზე დღესაც არის, მათი განვითარებაც კანონიერია, მაგრამ დღესაც ცენტრალურ, მთავარ ამოცანას აგიტ—პოეზიისათვის წარმოადგენს ბრძოლა უფრო „ეიწრო“, „კერძო“ საკითხებზე. გ. ქუჩიშვილმა ჯერ კიდევ ვერ შესძლო თავისი შემოქმედების გადახალისება, ვერ შეუფარდა თავისი პოეზია ამ ამოცანებს.

დღევანდელი დღის ამოცანები აგიტ—პოეზიისაგან მოითხოვს: მეტ მოქნილობას, მეტ კონკრეტულობას და უბრალოებას. ამ მიმართულებით სდგას გ. ქუჩიშვილის წინაშე ამოცანა — გადახალისოს თავისი შემოქმედება.

შემოქმედებითი პროდუქციის სიმრავლე ახასიათებს გ. ქუჩიშვილს. მაგრამ ასევე არ ახასიათებს მას თემათა სიმრავლე. თემატიურ მიმართულებით გ. ქუჩიშვილს მხოლოდ ერთი ხაზი აქვს: გვიჩვენოს ცხოვრება ზოგადად. მისი თემატიური ზრდა არ ხდება.

უნდა გვახსოვდეს: ვისაც ბევრი აქვს მოცემული, მისგან ბევრიც არის მოსათხოვნი. გ. ქუჩიშვილს აქვს არა მარტო ინტელექტუალური ექსპანსია, არამედ ეპოქისთვის საჭირო სოციალ — ემოციონილური მარაგიც.

უდავოა, რომ გ. ქუჩიშვილი თავისი განვითარების ახალ და უფრო მაღალ საფეხურზეა გადასული, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი მაინც უკან რჩება რეკონსტრუქციის პერიოდს.

როგორია გ. ქუჩიშვილის პოეზიის ფორმალური სტრუქტურა?

გ. ქუჩიშვილს კარგად აქვს გამომუშავებული საკუთარი სასაუბრო ენა. მის პოეზიაში ერთდება ორი მთავარი ფორმალური დასაბამი ვაჟა, ილია, აკაკი და ამავე დრო ხალხური ლექსი.

აი მაგალითად, ლექსი აკაკის გავლენით დაწერილი:

დაუკარ ჩემო ერთგულო,  
შენ საღამურო წყრილავე,  
დამქროლე გრილო ნიაფო,  
ამღერდი წყაროე ჩხრიალავე,  
გულს ჯავრი გადამიფაე  
ტყეო ხასხასავ, შრიალავე.

(„მწვემის სიმღერა“)



ხალხური ლექსის გავლენით აქვს დაწერილი გ. ქუჩიშვილს:

ჩამოდგეძითი განი! განი!  
ტაში, ხალხო ტაშია!  
გენაცვალე გოგონავ  
კობტა დაირაშია!

(„ცაგვა სოფლად“)

გ. ქუჩიშვილის ლექსები არ არის დატვირთული სახეებით და შეტაფორებით, სამაგიეროთ იგი უფრო ეტანება ეპიტეტებს.

გ. ქუჩიშვილის პოეტურ ლექსიკას ახასიათებს ხშირად ისეთი ჰიპერბოლური სიტყვების ხმარება, როგორიცაა: მილიონები, ლომგულა, ვეფხვი, ვულკანი და სხვ. იგი ამ ხასიათის არა მარტო ცალკეულ სიტყვებს, არამედ მთელ ეპიტეტებს ხმარობს:

ვინ არის იგი ლომ-გულიანი...

(„ვინ არის იგი“)

გააფთრებული ვეკეუებით  
და ისე დაფლეთოთ როგორც  
ფლეთავს მონადირეს  
დაპრილი ვეფხუო...

(„პროლეტარიატს“)

გული მისი ჭარიშხლიანი  
რისთვის მოგრგვინავს  
როგორც ვეფხვი

(„ვინ არის იგი“)

გ. ქუჩიშვილის პოეზიას დადებითი მხარეებთან ერთად საკმაო ნაკლოვანებები, უარყოფითი მხარეები ახასიათებს. მათგან ზოგიერთს ჩვენ აღვნიშნავთ:

მის ლექსებს ხშირად დაუმუშავებლობის და ერთფეროვნების დალი ასვია. როდესაც კითხულობთ ზოგიერთ მის უკანასკნელ ლექსს, ფიქრობთ— თითქოს ეს ლექსი თქვენ უკვე დიდხინის წინაღ წაგვიკითხავთ. ასეთი მოვლენა დიდათ სახიფათოა პოეტისათვის.

გ. ქუჩიშვილის პოეზიის ფორმას უმეტეს შემთხვევაში ახასიათებს მხატვრული სიღარიბე და შაბლონი. ი. ევლოშვილის მხატვრული ტენიკა და ლექსის განვითარების წესები დღესაც ბატონობს მის პოეზიაში. ეს არ არის დადებითი მოვლენა. ჩვენს ეპოქას სხვა ხასიათის მხატვრული ხერხები ესაჭიროება.

საერთოდ პროლეტარული ლიტერატურის ძირითადი ლოზუნგი ხარისხის შესახებ გ. ქუჩიშვილსაც შეეხება.

გ. ქუჩიშვილის პოეზიაში ვერ ვნახულობთ განცდათა და განწყობილებათა სიღრმეს. პოეტი უფრო მოვლენების ზედაპირს გვიჩვენებს და არა ძირს. აგრეთვე რიტორიკა და გარეგნულათ განწყენებული ლოზუნგები ბევრია მის პოეზიაში...

როგორც დავინახეთ, გ. ქუჩიშვილის შემოქმედება წარსულში იყო წერილ-ბურჟუაზიული. ხანგრძლივი და სერიოზული მუშაობის შემდეგ მან შესძლო გადახალისება, დაახლოება პროლეტარიატის კლასიურ ამოცანებთან და აქედან

იგი გახდა პროლეტარული მწერალი. მიუხედავად ამისა, მის პოეზიას *ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება აქვს. ამ ნაკლოვანებათა დაძლევა, ყველანაირი პრობლემების გადაწყვეტა, რომელიც სდგას გ. ქუჩიშვილის წინაშე, შესაძლებელია მხოლოდ მსოფლმხედველობის და შემოქმედებითი მეთოდის საფუძველზე. ეს მსოფლმხედველობა, ეს მეთოდი კი მისთვის უნდა იყოს დიალექტიური მატერიალიზმი.*

და საბოლოოთ: ყოველ პროლეტარულ მწერალს და მათ შორის გ. ქუჩიშვილსაც კარგად უნდა ახსოვდეს: ჩვენ გვინდა ისეთი ლიტერატურა, პოეზია, რომელიც მასებს დარაზმავს სოციალიზმისათვის საბრძოლველად.

## 2. უ რ ი დ ო ნ ე ნ ა რ ო უ შ ვ ი ლ ი

თუ საერთო აბსტრაქციული პლანით ავიღებთ ფრ. ნაროუშვილის ნაწარმოებების იდეურ—ემოციონალურ მხარეს, ის უსათუოდ დადებით შთაბეჭდილებას ახდენს. ამ ლექსებში და პოემებში თავის გამოხატულებას პოულობს თანამედროვე რევოლიუციონური მსოფლმხედველობა. ამ ნაწარმოებებში ჩვენ ვნახულობთ ზიზღს მშრომელთა კლასიური მტრებისადმი, მოწოდებას პროლეტარული რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავად, შრომითი ენტუზიაზმის აპოლოგიას, სოციალისტურ მშენებლობის გამოხატვას, ახალი სამეურნეო ურთიერთობის სურათებს, კლასთა ბრძოლას სოფლად და სხვ.

ყველაფერი ეს მოცემულია სიჯანსაღის, ოპტიმიზმის და ენტუზიაზმის ნიშნის ქვეშ. ეს უკანასკნელი სოციალურადაც დასაბუთებულია.

როდესაც უკვირდებით ნაროუშვილის პოეზიის საგნობრივ, იდეურ და ემოციონალურ მომენტებს, ვხედავთ, რომ ძირითად პროლეტარულ შინაარსის მიუხედავად, იგი კონკრეტულად გამომდინარეობს არა წარმოებითი პროლეტარიატის წრიდან.

თავისი მუშაობის უკანასკნელ პერიოდში ფრ. ნაროუშვილი უმთავრეს ყურადღებას აქცევს იმას, რომ დაგვიხატოს საბჭოთა სოფლის ცხოვრება:

მე ვუმღერ გლეხებს, არა გლეხურად,  
გლეხურ ბუნების უარყოფილი—  
ისაობა ძველი ავრა და ეზო,  
ახლად შენდება ჩვენი სოფელი.  
(„ივანეს ცხოვრება“)

აქ არის მოცემული ნაროუშვილის შემოქმედების კრედო, ძირითადი შემოქმედებითი ხაზი. იგი უმღერს გლეხობას, მაგრამ არა გლეხური, ძველი იდეოლოგიით. მისთვის ახალი თემაა, სოციალიზმის გზაზე შემდგარი სოფელი.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ფრ. ნაროუშვილი სოფლის შესახებ ლაპარაკობს არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად. მისი ლექსების მიზეზ სერიაში („ყოფა—ცხოვრება საბჭოთა სოფელში“) მოცემულია ის კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომელიც არსებობს საბჭოთა სოფელში, სურათები იმ კოლექტიური მეურნეობის, რომელიც ფართოდ იმარჯვებს საბჭოთა სოფელში და სხვა.

ფრ. ნაროუშვილი უმთავრესად მუშაობს ეპიური ხასიათის წარმომავლებზე. დღემდე პროლეტარულ პოეზიაში პოემა უკანა რიგებში სდგას, მაშინ, როდესაც საერთოდ იგი არის ერთ-ერთი ისეთი ჟანრთაგანი, რომელიც უმთავრესად თად როლს თამაშობს პოეზიის განვითარებაში. პოემა განსაკუთრებულ ყურადღებას იმითომ იქცევს, რომ მისი საშუალებით არის შესაძლებელი სოციალური ბრძოლის, სოციალური გარდატეხის და ახალი ურთიერთობის უფრო ფართო და ღრმა სურათების მოცემა. პოემის საშუალებით ხდება ყველაზე უფრო სრულად სინამდვილის ჩვენება, ადამიანთა ურთიერთობის გამომხატველება. პოემა წარმოადგენს მოვლენების განზოგადოების ყველაზე სრულ ჟანრს.

პროლეტარული პოემა უნდა იყოს ახალი ტიპის პოემა. მასში პირველ პლანზე წამოწეული უნდა იყოს ფართო და ღრმა საზოგადოებრივი მოვლენები, წინააღმდეგ ძველი პოემებისა, რომლებიც უმთავრესად აგებული იყო ინდივიდუალურ კოლიზიებზე.

პროლეტარული პოეზია არ არის მარტო ასახვის ან აღწერის შემოქმედება. ის არის აგრეთვე მკითხველზე ზეგავლენის პოეზია. ამიტომ მას ესაჭიროება მკვეთრი პოლიტიკური სიმახვილე, მკვეთრი ტენდენცია, ნაროუშვილის პოემები სწორედ ამ ხასიათისაა. პოეტი მკვეთრად აყალიბებს მუშათა კლასის და კომპარტიის ძირითად ამოცანებს და მიზნებს.

როგორც ცნობილია, ლენინიზმის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენს ინდივიდუალისტური, კერძო საკუთრების იდეებით გამსჭვალულ და დაქსაისული გლეხობის გადამუშავება, მისი ძირეულად გარდაქმნა. ნაროუშვილი ამ იდეის მხატვრულად ანზოგადოებს:

მუშა ძალაა, ნათელი, მტკიცე,  
ჩვენ (ე. ი. გლეხობა, შ. რ.) ნედლი მასალა;  
ჩვენ მშენებლობას ყველაფერს მიეკმობ  
რომ შეგვიცვალოს გული და სახე.  
საბჭოთა ქვეყნის გაშლილ სიერცხვებზე  
ჩვენსა ცხოვრებას დაწერილმანებულს,  
მხოლოდ მზე მუშის გადააკეთებს—  
გლებთა მასები მივალთ აქეთკენ.

(„ვიანეს ცხოვრება“).

ნაროუშვილმა შესძლო სოფლად არსებულ გამძაფრებულ კლასობრივ ბრძოლის მომენტების ჩვენება. მან გადმოშალა ჩვენს წინაშე გაბოროტებული კლასიური მტერი—კულაკი, რომელიც დროს უცდის თავდასხმისათვის. მან გვიჩვენა გლეხში არსებული კერძო საკუთრების ინსტიტუტები და სხვ.

„ხოლტი ეწევა აკიტაციას“—ში ნაროუშვილი გვიჩვენებს ინდივიდუალური გლეხის ბუნებას, რომელშიაც მტკიცედ არის ჩამჯდარი კერძო საკუთრების ინსტიტუტი, რომელიც იბრძვის ამ საკუთრების გაფართოებისათვის:

ეს მიწა ჩემია, ის მიწა შენია,  
აქ სახუგოვზე ხე არას დარგული,  
იქით გადასვლა მე არ მინდება  
აქეთ არ განახო ფეხებ დადგმული.  
ჭათამიც ნულარ გადმოფრინდება.

ერთმა გამრუდა ზღვარი და გოჯი  
მეზობლის მიწა შემოიღობა.



ნაროუშვილმა კერძო მესაკუთრის განწყობილებებს, კომუნიზმის აგიტატორი, კოლექტიური გრძნობის გამომუშავების მძლავრი იარაღი—ბოლტი, ამ უკანასკნელის სოციალურ დანიშნულებას პოეტი მეტის მეტად ფართო ფონზე შლის.

ნაროუშვილის უკანასკნელი დროის ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „ორი მისამართი“. მასში დღევანდლობის აქტუალური პრობლემაა დასმული. ორ მისამართიანობა— ეს არის ჩვენი ცხოვრების ის წერტილი, რომელშიაც ნათლად მოსჩანს ორი ეპოქის, ორი მსოფლმხედველობის შეჯახება.

როგორც ცნობილია სამრეწველო პროლეტარიატს შეუერთდა წვრილი მესაკუთრე ხალხი სოფლიდან, რომელთაც ვერ შესძლეს წვრილბურჟუაზიული, გლეხური ფსიქოლოგიის ჩამოშორება და ამ რეგად დარჩენ ძეგლისა და ახლის, ქალაქისა და სოფლის მიჯნაზე. ჭვეყნის ინდუსტრიალიზაციამ და კოლექტივიზაციამ ორ მისამართიან მუშების წინაშე რადიკალურად დასვა საკითხი: ან წარმოება, ან საკუთარი მეურნეობა სოფელში.

პოემის უმთავრესი გმირი არის გიორგი დარაშელიძე: „უბანი იცნობს დიდი ხანია მუშა გიორგი დარაშელიძეს“. ნაროუშვილი ირკვევს ამ მუშის ბიოგრაფიას, რომლის დასრულებული ფიგურა ჩვენს წინაშე პოემის დაბოლოებისას გამოჩნდება.

გიორგი, დარაშელიძე ცხრამეტი წელია, რაც ქარხანაში მუშაობს. იგი წინეთ უღარობესი გლეხის ოჯახის შვილი იყო, მის ოჯახს თორმეტი წევრი ჰყავდა, რაც ოჯახს აუტანელ პირობებში აგდებდა. დარაშელიძეების ოჯახის წევრები თანდათან მცირდებოდნენ სიკვდილისა თუ ქალების გათხოვების გამო. ვაჟები კი მშობლებმა დაანაწილეს: „ერთი სახლშივე მამას შევლოდა, მე მიმამბარა მქედელს შეგირდათ, მესამე—ხაზინს, მეოთხე დურგალს, მეხუთე პორტში მუშად შევიდა“.

გავიდა წლები. ეს ახალგაზრდები წამოიზარდნენ და ხელი შეუწყვეს ოჯახის ფეხზე წამოყენებას. მაგრამ შემდეგ ძმები იყოფიან რაც ასუსტებს მათ შებლებას. ისევ გაჭირვებული ცხოვრება, ისევ აუტანელი პირობები. გიორგი დარაშელიძე სტოვებს სოფელს და მიეშურება ქალაქში—ინდუსტრიის სამყაროში.

პოემის განვითარების მანძილზე თანდათან მეტაფორულად დარაშელიძის რეალური სახე, მისწრაფება, ხასიათი და მსოფლმხედველობა. დარაშელიძე მოსჩანს როგორც ორი ეპოქის, ორი ჭვეყნის, „ორი მისამართის“ მიჯნაზე მდგომი ადამიანი:

ჩემი სამშობლო სახელქებული,  
არის სადგურის ახლო მდებარე,  
მის უკეთესი არსად მგფულების,  
ან უკეთესი რა მყვარებია,  
ამ სოფლის რა არის ჩემიცა  
და ვარსკვლავებიც  
ჩემი ვარსკვლავებია...  
მე არ მცალია  
ქალაქში ვარ და  
საჭირო იქნა მოჯამაგირა...



ასე წარმოსდგება პოემის მიხედვით ჩვენს წინაშე გიორგი დარაშელიძე. იგი გაორებული პიროვნებაა, მასში მოთავსებულია ერთის მხრივ მწიფე მუსიკის და მეორეს მხრივ კულაკის დესიქოლოგია.

პოემის მეორე გმირი—გრიგორევი, ენერგიულ მებრძოლ ბოლშევიკად არის გამოყვანილი. მაგრამ საერთოდ ის მკრთალად არის ნაჩვენები.

„ორ მისამართში“ ჩვენი ცხოვრების აქტუალური და მტკივნეული საკითხები მკვეთრად არის დასმული. პოემა მთელ მანძილზე ვითარდება ძველი და ახალი ინსტინქტების შეჯახების გზით. დარაშელიძესთანაა გაორებული პიროვნებები უსათუოდ ჰყავს ჩვენს ეპოქას, და ნაროუშვილის მიღწევაც იმაშია, რომ ის შეეცადა ამ დიდი საკითხის მხატვრულად გაშუქებას. მაგრამ მან ის მხოლოდ ნაწილობრივ შესძლო. საერთოდ კი პოემა სქემატიზმის შთაბეჭდილებას სტოპებს.

როგორც დავინახეთ, ნაროუშვილის ნაწერების, რომლებიც უმთავრესად სოფელს შეეხება, ძირითად იდეას წარმოადგენს გვიჩვენოს კლასთა ბრძოლა კლასიურ ძალებში ნაროუშვილი გვიჩვენებს მკვეთრად გამყოფ ხაზებს კულაკობასა, ღარიბ და საშუალო გლეხობას შორის, მკითხველს აძლევს რწმენას კაპიტალისტურ ელემენტებზე გამარჯვებაში. ასეთია ნაროუშვილის შემოქმედების კლასიური მისწრაფება, იდეური მიმართულება.

მაგრამ როგორ ასრულებს კონკრეტულად თავის შემოქმედებაში ნაროუშვილი მის წინაშე დასმულ ამოცანებს? რომ ამ კითხვაზე უპასუხოთ, ამისათვის საჭიროა შევხვით მის მსოფლმხედველობას. ნაროუშვილის მსოფლმხედველობა მატერიალისტურია, მაგრამ იგი ჯერ შორსაა დიალექტიურ-მატერიალისტურ მეთოდისაგან. მართალია, მის პოეზიაში გვაქვს დიალექტიკის ელემენტები, რაც პოეტის ზრდასთან ერთად მატულობს, მაგრამ ძირითადში დღეს ნაროუშვილის შემოქმედებით მეთოდს წარმოადგენს მექანიკური მატერიალიზმი.

მეთოდის მექანიკურობა ახდენს ნაროუშვილის შემოქმედებაში სქემატიზმს. მისი პოემები სქემატიურია მსგავსათ სცენიური გამოსვლებისა; ერთ მხარეზე იძლევა კულაკებს, მეორე მხარეზე—ღარიბ გლეხებს. მათი დაპირისპირება ხშირად მოცემულია მხოლოდ გარეგანი ფორმით.

მეთოდის მექანიკურობა აგრეთვე არ აძლევს ნაროუშვილს საშუალებას გვიჩვენოს კლასთა ბრძოლის პროცესის დინამიკა, გადასვლა ერთი მდგომარეობიდან მეორეში. აქედან—გაუმართლებელი ნახტომები. ამა თუ იმ სახის განვითარება, ხარისხობრივ ცვლებადობის ჩვენება უმთავრესად ხდება ფენებითი დალაგებით.

აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ ნაროუშვილი ბევრს სწერს სოფლის შესახებ, მის ნაწერებში მაინც ვერ ვხედავთ ბუნებას, პეისაჟს.

არის გავრცელებული შეხედულება, რომელიც ამბობს: პეისაჟი ეს არის ფეოდალური ლიტერატურის მექვიდრობა, რადგან სწორედ იქ იპოვნა მან ფართო გასაქანი. ეს სწორია. მაგრამ ეს სრულიად არ გულისხმობს იმას, რომ იგი პროლეტარულ მწერლობაში არ შევიდეს, არა როგორც ქანრი, არამედ როგორც გაშლილი მოტივი. პროლეტარული მწერლობისათვის არაფერი არ არის უცხო.



პეისაყი პროლეტარულ მწერლობაში გაშუქებული უნდა იქნება მწვერვალად, ახალი თვალთახედვით, ვიდრე ეს იყო ძველ ლიტერატურულ მწვერვალსა და ლიტერატურისათვის ბუნება იყო განყენებული სიყვარულის, ქვერცხის ობიექტი. პროლეტარული მწერალი ასე ვერ გაიგებს ბუნებას. პროლეტარული მწერლისათვის ნათელი უნდა იყოს ბუნების კავშირი აღამიანთან, მათი ურთიერთობა, ურთიერთ ზეგავლენა და სხვ..

ნაროუშვილს თავის პოეზიაში აქვს პოლიტიკური ხასიათის შეცდომებიც იგი ახალ ეკონომიურ პოლიტიკას არა ლენინურად, არა ბოლშევიკურად ითვისებს.

მაშინ მეც გახლდით კაცი ისეთი,

კაცი იმ ტიპის მრავალთაგანი,

როცა გერქვეულ,

კომკავშირელმა

ყუთში ჩაგვტე შავი ნაგანი

(„პოეზია სხვადასხვა საკითხებზე“).

ახალი ეკონომიური პოლიტიკის დროს თითქოს შენელდა კლასობრივი ბრძოლა, თითქოს ამ დროს აღარ გვეჭირია „შავი ნაგანი“... ეს ხომ პოლიტიკური შეცდომაა. ახალი ეკონომიური პოლიტიკა სრულებით არ ნიშნავს კლასობრივი ბრძოლის შეწყვეტას... ნაროუშვილი თავისი ასეთი შეხედულებით ბ უ ხ ა რ ი ნ ი ს მემარჯვენე თეორიას ეხმარება...

როგორია ნაროუშვილის შემოქმედების ფორმალური სტრუქტურა?

ნაროუშვილის პოემების და ლექსების ფაბულა უბრალოა. მათი გაშლის და განვითარების ხერხიც ელემენტარული.

ნაროუშვილის ლექსებში და პოემებში მოისუსტებს კომპოზიცია, შინაარსობრივი გადასვლა ერთი აზრიდან მეორე აზრზე (დიდი ნახტომებია). იგი აგრეთვე წინადადებებს არა თანამიმდევრათ ანვითარებს.

პოეტის დანიშნულებაა მოგვეცეს გრძნობით სავსე სახე, რომელიც ღრმად, ადეკვატურად უნდა სახავდეს სინამდვილეს თავის კონკრეტულ ურთიერთობით; მაგრამ ნაროუშვილი ხშირად ამას ვერ აღწევს.

და დასასრულ: ნაროუშვილი ერთი დიდი საშიშროების წინაშე დგას—თუ მისი შემოქმედების გლახური და სოფლური თემატიკა კიდევ უფრო განვითარდა და გაღრმავდა, მაშინ მისგან მივიღებთ დასრულებულ გლებ მწერალს. ეს ნაროუშვილისათვის უკან დახევა იქნება.



## ქართული სალიბერალური ენა \*

ენათმეცნიერებას, ისევე—როგორც სხვა სამეცნიერო დისციპლინებს, სოციალისტური აღმშენებლობის სინამდვილე გარკვეულ ამოცანებს უყენებს; სახელდობრ: შეუფარდოს თავისი სპეციალური მიზანი და დანიშნულება თანამედროვე ეპოქის მოთხოვნილებებს. ამგვარად: მეცნიერების თავისთავადობა (ფუნქციის დაკვალობაზე) და სინამდვილეს მოწყვეტა საკმაო სისასტიკით უგულვებელიყოფის. ყოველი ცალკეული მეცნიერება მაშინ—და შეიტანს წვლილს დიად სოციალისტურ მიმდინარეობაში, როდესაც გაირღვევა კაბინეტური კარჩაკეტილობის რკალი და დიალექტიური მატერიალიზმის მეთოდით შეიარაღებული ემსახურება მილიონიან მასების საერთო ინტერესებსა და მიდრეკილებებს...

უკეთუ ძველი, ბურჟუაზიული ენათმეცნიერება ვიწრო თეორიულ ჩარჩოებში ვტყობდა, მეტაფიზიკურად აკვალთვლიერებდა ენობრივ მოვლენებს და იფარგლებოდა მარტოოდენ ევროპიული ენების საფუძვლიანი შესწავლით, მკვდარ ენებისადმი ლტოლვით, აღმოსავლეთის ენების უგულვებელყოფით, მიუღებელი ხერხების გამოყენებით, ენის—როგორც სოციალური მოვლენისა და ამ მიმართულებით წარმოებული ძიების გვერდის ავლით,—ახალი, თანამედროვე მატერიალისტური ენათმეცნიერების (resp. ლინგვისტიკის), იაფექტიდოლოგიის როლი ერთობ დიდია და გამოყენებითი ხასიათისაა. მის პრაქტიკულ ფარგალში შემოდის: მეცნიერულად შეისწავლოს აღმოსავლეთის ნაც-უმცირესობათა ენები (სათანადო პრაქტიკული ინტერესის საფუძველდებით), რაიცა შემთხვევითი შესწავლის ობიექტი იყო ბურჟუაზიულ სწავლულთათვის; გამოუმუშავოს ალფაბეტი მთელ რივ უმწერლობო ენებს; ჩამოაყალიბოს, მწერლობასთან შეთანხმებით, სალიტერატურო ენის საკითხები, საერთოდ:—მოაწესრიგოს საერთოგრაფიო პრობლემები; შეისწავლოს რევოლუციის შემდეგი დროის ენობრივი სიახლეები, გამოიკვლიოს „პროფესიონალური ენები“; სწორ ნიადაგზე დააყენოს პრესის ენა; დაადგინოს და გამოამუშავოს ტერმინოლოგია, კერძოდ—ტექნიკური ტერმინოლოგია (მწვევე საკითხი ქართული სინამდვილისათვის); გააადვილოს ენათმეცნიერული საშუალებებით უცხო ენის შესწავლა,—და მრავალი სხვა, რაც ეყისრება მატერიალისტურ ენათმეცნიერებას (resp. იაფექტიდოლოგიას).

სამწერლო ენის განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებს სკოლა და განსაკუთრებით მწერლობა.

\*) კამათის წესით.

მეცნიერულად დადგენილ-დადასტურებული ენობრივია ნორმები მწერლის მიერ უნდა იქნეს უპირველესად შეთვისებული და განაღდებულნი. მწერლის ინტერესი მოითხოვს, რომ ყოველი მწერალი მორალურ პასუხისმგებლობას იტარებდეს ამ მხრივ: საფუძვლად იკოდეს გრამატიკა, ღრმად იცნობდეს იმ ენას, რომელზედაც წერს, სიფრთხილითა და ზომიერებით ეკიდებოდეს ყოველ ფორმას, ყოველ სიტყვას...

მწერლობა ყველაზე მოხერხებული საშუალებაა სწორ-ენის გამასიერებისათვის, პოპულარიზაციისათვის.

საკიროა ძველი ქართულის დაახლოვებითი ცოდნა მიინც, კილოების (დიალექტების) გაცნობა და სხვა.

ქართული ლიტერატურული ენა ჯერ კიდევ დადგენის პროცესშია. ახალი სალიტერატურო ქართული ჯერ არ გამოშვებულა. ის მრავალფეროვნება, რაიცა წარმოდგენილია დღეს, — კალაპოტს, მოწესრიგებასა და, საერთოდ, კანონ-ზომიერებას მოითხოვს.

აუტანელ თვითნებობას აქვს ზოგჯერ ადგილი ქართულ სინამდვილეში. ზოგი მწერალი ასე წერს, ზოგი ისე, — სუბიექტიური განსჯის საფუძველზე. მაგალითად, საინტერესოა ცნობილი გერმანელი მწერლის გვარის — გოეთეს (Goethe) მართლწერა. კურიოზულ სხვადასხვაობას აქვს ადგილი; წერენ და გამოთქვამენ: გეტე, გიოტე, გოეტჰე, ჰიოტე, გეტე, გოეტე... მონოგრაფიაც იწერება ამ მწერალზე და დამახინჯებულად წარმოგვიდგენენ გვარს: გოეთეს ნაცვლად გოეტე გვხვდება<sup>1)</sup>.

მრავალ ასეთ ფაქტებს დასახელებდა კაცი დასამოწმებლად.

\*\*\*

ენა სოციალური მოვლენაა, საზოგადოებრივი პროდუქტი<sup>2)</sup>. იგი ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მუდმივ დიალექტიურ ცვლებას განვითარების კანონს ემორჩილება. ამ უკანასკნელ გარემოებას ნათელყოფს ყოველი ენის ისტორია: ის საფუძვრი, რომელზეც დგას ესა თუ ის ენა, მრავალსაუკუნოვანი დულილისა და ევოლიუციის შედეგია. ენათა ერთს სისტემაში ეს გარემოება უფრო მკვეთრად ჩანს, ვიდრე მეორეში — იმ კულტურულ-ისტორიული ვითარების შესაბამისად, რომელიც თითოეულმა ენამ განიცადა,

მაშასადამე: ეკონომიურ ბაზაზე წარმოშობილი კულტურულ-ისტორიული მოვლენები განსაზღვრავს ენის ევოლუციას... სოციალური მოვლენები მოქმედებს ენის სტრუქტურაზე, მის განვითარებასა და ცვლაზე.

ამგვარად: დგება საკითხი ენის კლასურობის შესახებ.

ბუნებით მოცემული ენა ისეთივე ფიქციაა და ზღაპარი, როგორც აზრი ადამიანის ღმერთის მიერ შექმნილია. ენა თვით კაცობრიობის მიერაა შექმნილი შრომითს პროცესებში, განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობაში. მსოფ-

<sup>1)</sup> იხ. „გოეტე“ — ე. გამსახურდიასი.

<sup>2)</sup> ასეთი დეფინიცია აქვს მოცემული კარლ მარქსს: „...მომხარების საგნების გარდაქმნა ღირებულებად ისეთსავე საზოგადოებრივ პროდუქტს წარმოადგენს, როგორც, მაგალითად, ენა“. კაბიტალი, ქართული გამოცემა, გვ. 40.

ლიოზი ნატურალური ენები არ არსებობს; ყოველივე ენა ხელოვნურია, შექმნილია კაცობრიობის მიერ. თაობათათვის ვადმოცემული ენების ძირები ზუნებამაში კი არ იმყოფება, არამედ საზოგადოებაში, მეტყველების და ტექნიკაში.

საზოგადოების სოციალური დიფერენციაცია ანარეკლს იძლევა ენობრივ ფრონტზე. რამდენი სოციალური დაჯგუფებაა, იმდენივე ენობრივი სხვადასხვაობა და თავისებურებაა.

სოციალურ დაჯგუფებათა შორის არსებული ენობრივი სხვადასხვაობა არ ნიშნავს იმას, რომ რამდენი სოციალური ერთეულიცაა, იმდენივე დამოუკიდებელი ენაა, არამედ აქ თვალსაჩინო დოზით გამოვლენილი ნუანსებია საგულგული. ეს ჩანს ლექსიკაში და სპეციფიურ გამოთქმებში ყველაზე მკაფიოდ.

იდეტიდოლოგიაში იდეოლოგიური ახსნა მოეპოვება მორფოლოგიურ და ფონეტიკურ მოვლენებსაც. კლასობრივობის ნიშნები აქაც აირეკლებს! სემანტიკისა და მეტყველების ბალონტოლოგიის გაღრმავებამ სიმძიმის ცენტრი გადაიტანა ფორმათა შესახებ მოძღვრებაზე, სიტყვებზე, რომელიც მატარებელია საზოგადოების სტადიურ იდეოლოგიისა; ფორმები დაკვალიფიცირებულია და გაგებულნი მათი იდეოლოგიური გამოყენების საფუძველზე. ენები, მათი მორფოლოგიური სტრუქტურის მხრით, შეისწავლება, როგორც ანარეკლი და გამოხატულება სოციალურ ფორმათა სტრუქტურისა. მაგალითად, გრამატიკული სქესი თავდაპირველად სქესის მაჩვენებელი არ იყო, არც საგნის ნიშნეულობისა, არამედ იმ კლასის სიმპტომი, რომელსაც საგანი ეკუთვნის. იგი, მაშასადამე, კლასური ნიშნეულობაა, სქესური ნიშნეულობა თვით საგნისა—განსახლებული სოციალური წყობილების—მატრიაჩატის (რომლის გზა მან გაიარა) გზით... ასევე კვალიფიცირდება რიცხვითი სახელები: დასაწყის რიცხვის საფუძველად მიღებული იყო მატერიალური საგნები, რომელსაც ფუნქციურად ცვლიდა სამეურნეო ცხოვრებაში კაცობრიობა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე; მეორის მხრით, წყვილის გაგებისათვის აღებული იყო ისეთი საგნები, როგორიცაა „ხელი“ (ე. ი. ხელები), „თვლები“, „მზე“ და „მთვარე“ (უორი მნათობით); ოთხისათვის — „ცხვარი“ და სხვ.—ე. ი. ესა თუ ის ცხოველი—კულტის გამოხატველი; ხუთისათვის — „მუჭი“, ასევე — „მთვარე“ — ხუთდღიანი, ან შვიდღიანი. იგივე გამოხატავდა მთელს კვირას...

სალიტერატურო სამწერლობო ენა იგივეა, რაც „ენა მწერლობისა“, „ენა ლიტერატურისა“. სალიტერატურო ენა სინონიმი „სტანდარტული ენისა“.

ლიტერატურული ენაც, რა თქმა უნდა, კლასობრივია: რამდენადაც ამა თუ იმ ვაბატონებულ კლასს ეკუთვნის ორგანიზატორობა და წარმოება მწერლობისა, იმდენად იგი, ბუნებრივად, გამოავლენს თავის ენობრივ თავისებურებათ.

ყოველი ლიტერატურული ენის ისტორიული ვითარება ამის დამამტკიცებელია.

საილუსტრაციოდ გავითვალისწინოთ ფრანგული სამწერლობო ენის განვითარება.



ცენტრს (მაგალითად, ქართულის სინამდვილეში—ქართლურად, თანამედროვე გერმანულის—ზემო-გერმანულის საქონიური თქმა და მრავ. სხ.). ანდა სამწერლობო ენას უსაფუძვლედებოდა ქალაქის, ან მოსახლეობის გაბატონებული ქალაქის მეტყველება (მაგალითად, პარიზის მეტყველებაა ძირითადი ფრანგული სალიტერატურო ენისათვის). ლიტერატურულ ენაში ზოგჯერ რამდენიმე ასეთი საფუძველია მიღებული (მაგალითად, თანამედროვე რუსული სალიტ. ენის შენაკადია საეკლესიო-სლავიანური ენა, ერთის მხრით, და მოსკოვისა, მეორის მხრით).

მაშასადამე: სალიტერატურო ენის ბედი იჭრებოდა არა იმის მიხედვით, რომ დასაყრდენი კილოური მეტყველება იყოს სანიმუშო, „სწორი“ (პრინციპულად ასე დასმა საკითხისა უპირატესულოა), არამედ ამა თუ იმ კუთხის პოლიტიკურ და კულტურულ ჰეგემონობის გამო. ეს შემთხვევითი გარემოება სათავე რომელიც აჯაჭვებს „სალიტერატურო ენას“ ენის რომელიმე ტერიტორიალური ერის მეტყველებასთან (რაც იგივეა, კილოსთან).

დღეს საკითხი, ჩემის აზრით, სხვაგვარად უნდა გადაიჭრეს. ეცლება რა ნიადაგი რომელიმე კუთხის ჰეგემონობას, ლიტერატურული ენის ბედიც ამის შესაფერისად უნდა გადაწყდეს. პრინციპულადაც ეს გასაგებია: რამდენადაც ლიტერატურული ენა ხელოვნური და შეთანხმების, შერჩევის საფუძველზე ყალიბდება, იმდენად მისი დადგენაც ლოგიკურ ნიადაგს მოითხოვს: იგი ჩამოიჭნება ყველა დიალექტების საუკეთესო მასალის მიხედვით. მეთოდოლოგიურად ეს გარემოება, ჩემის აზრით, საცხებით გამართლებულია.

ქართული ენის სინამდვილით ნათელფყოთ საკითხი: რა საბუთით უნდა მიეცეს უპირატესობა, მაგალითად, ქართლურს სხვა დიალექტებთან შედარებით და გამოცხადდეს იგი სალიტერატურო, ხელოვნური ენის საფუძვლად? ეგვე ითქმის, თუ გნებავთ, იმერულს, ან სხვა რომელიმე კილოს მიმართაც! ასეთი არგუმენტაციაა ჩვეულებრივი: „ქართლური ნამდვილი ქართულია“. თქმა არ უნდა, რომ ეს დასაბუთება გულუბრყვილოა, ყალბი და მეცნიერულად გაუმართლებელი. რომელია ეს „ნამდვილი ქართული“, რომელსაც ვუდარებთ სხვას (ამ შემთხვევაში ქართლურს) და იდენტობასაც ვალიარებთ? რა თქმა უნდა, ეს „ნამდვილი ქართული“ აბსტრაქციაა, ფიქცია! ყოველი „ქართული“ ვახლავთ „ნამდვილი“ ქართული. რაჟული ისეთივე უფლებამოსილი ქართულია, როგორც ხევსურული, გურული, კახური, ქართლური და სხვა დიალექტები. მაშასადამე: ზეგარდმოდ არ დაწესებულა ქართლურის „ქართულობა“. რომ მას ასეთი სახე მიენიჭა, ამას გარკვეული დასაბუთება მოეპოვება, რომლის შესახებაც ზემოთ მოხსენებულია. საქმე იმაშია, რომ აქ შეჩვევის მომენტი გვალაპარაკებს: ისტორიულად ქართლურის „სამწერლობო ენასთან“ გადაჭობა, შეჩვევა—ქმნის ამ გარემოების გამართლების და ნორმალურად მიჩნევის ილუზიას!

მაშასადამე: მე უარეყოფ იმ გაბატონებულ ტრადიციულ აზრს, რომელიც მდგომარეობს სალიტერატურო ენის ერთ კილოზე დაყრდნობის აუცილებლობის ვარაუდობაში.

მართლაც და: (ხელოვნური) ენა ათასწილ მოიგებს, როდესაც მას მრავალფეროვანი შენაკადები (ყველა კილოების სახით) გაამდიდრებს, ვიდრე მაშინ, როდესაც მარტოოდენ ერთი წყაროდან იჭნება იგი მომდინარე.

სალიტერატურო ენა, საზოგადოდ, ხელოვნური იგი შეთანხმების პრინციპით მუშაედება; მის შექმნაში ენათმეცნიერების უფლებით უნდა სარგებლობდეს თითოეული უცხოელი უნდა ივსებოდეს და პოხიერდებოდეს ყველა დიალექტებიდან მომდინარე საუკეთესო მასალათ.

თქმულისადმიხედვით: უნდა გაქარწყლდეს ის უკიდურესი შეხედულება, რომელიც გულისხმობს ქართლურს ჰეგემონობას სამწერლობო, ხელოვნური ქართულის შექმნაში. დღეს, როცა ქართლურს არ ემთხვევა სალიტერატურო ქართული, ბუნებრივად ეცლება ნიადაგი იმ მოსაზრებას, რომლის უკუგდება დროულია და რომელიც უფლებებელყოფს სხვა დიალექტებს ხელოვნური ენის შექმნაში (კერძოდ, იმერულს).

ამგვარად: სრულებითაც არაა მტკივნეული, რომ აწინდელ სალიტერატურო ქართულში აილაგებება ცალკეული დიალექტის ბატონობა და მასში ყოველი კილო თავის წვლილს შეიტანს. თუ რა „წვლილი“ უნდა შეიტანოს თითოეულმა დიალექტმა, რა დახვეწილი მასალა უნდა მიაწოდოს ხელოვნურ, ლიტერატურულ ენას,—ეს, პირველად ყოვლისა, სპეციალისტების—ენათმეცნიერებისა და შემდეგ კი—მწერლების საქმეა. უკეთეს ამ საქმეს ევროპაში სპეციალური აკადემიები, ინსტიტუტები ორგანიზატორებენ, ჩვენში, საქართველოში უერჯერობით თვით ცხოვრება აწესრიგებს, აყალიბებს ორგანიზატორებს მას. საამისო სპეციალური დაწესებულებანი დროული და აუცილებელია.

თანამედროვე ენობრივ მასალას ერთგვარი ხელოვნური კალაპოტი, ყალიბი ესაჭიროება. არც ერთ პერიოდში არ ყოფილა ფორმათა იმდენი სხვადასხვაობა, რამდენიც დღევანდელ სალიტერატურო ქართულშია.

\* \* \*

სპეციალურ ლიტერატურაში ქართული სალიტერატურო ენის განვითარებას სამ ხანად, პერიოდად, ან საფეხურად წარმოიდგენენ. პირველი პერიოდი შეიცავს მანძილს მწერლობის დაწყებიდან მე-11 საუკუნის მეორე ნახევრამდე; მეორე—აქიდან მოყოლებული ვიდრე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე; მესამე კი—ამ უკანასკნელიდან მოყოლებული. სხვანაირად: ძველი, საშუალო და ახალი პერიოდი<sup>1</sup>.

ჩემის აზრით, წარმოდგენილი კლასიფიკაცია არაა სრული, აკლია ზედმიწევნითობა და კონკრეტიზაციას საჭიროებს.

თავდაპირველად შემუშავებულ ქართულ სამწერლობო ენას სხვადასხვა შენაკადები კვებავდა; იგი ერთი ნაკადის შედეგი არ არის. ადვილი წარმოსადგენია, რომ ძველ სალიტერატურო ენას ერთი რომელიმე დიალექტი დაედებოდა საფუძვლად, რაც დროთა ვითარებაში თანდათან ივსებოდა სხვა კილოთაგან მომდინარე მასალით და, ამგვარად, მდიდრდებოდა და მტკიცდებოდა (ეს უკანასკნელი პროცესი დასახასიათებელია, როგორც უფერული და მკლე).

<sup>1</sup> იბ. ჯ. შანიძე—ქართული კილოები მთაში—„კრებული“, 1915 წ., ს. გორგაძე  
ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან—„მნათობი“, № 1 (9), 1925.

საკითხისათვის მნიშვნელოვანია: კ. ქეცელიძე: ქართ. ლიტერატურის ისტორია, ტ. I [შესავალი].



საქმე იმაშია, რომ ძნელი გასათვალისწინებელია, თუ რომელია ეს დაჯდამური კილო, რომელიც უსაფუძვლედებოდა ხელოვნურ ენასა და დასრულებასა და ჩამოყალიბებაში ქართლური რომ ასრულდებოდა და დადამწყვეტ როლს, ეს კი უეჭველია.

თუ როდის დაიწყო ქართული ლიტერატურული ენის ჩამოყალიბება, ზედმიწევნით ვერ ვიტყვი, მაგრამ მე-8 საუკუნეში რომ იგი საკმაოდ დასრულებულია და მე-10 საუკუნეში კი უმაღლეს მწვერვალზეა ასული, ეს ფაქტია!<sup>1</sup>

პირველი პერიოდი სალიტერატურო ქართულის განვითარებისა მე-11 საუკუნის ნახევრამდე უნდა დავსაზოთ.

ქრისტიანობის გავრცელებამ, რომლის შედეგია საღმრთო წერილის თარგმნა, კვალი დააჩინა ხელოვნურ ენას. მთელი ამ ხნის განმავლობაში სამწერლობო ენა ეკლესია—მონასტრების ფარგალშია. სასულიერო პირები თავგამოდებით ეწევიან თარგმანების საქმეს და, ამგვარად, იქმნება საეკლესიო, საღვთისმეტყველო ენა... მისი ბატონობის და გავრცელების არც საკმაოდ დიდია: ისწრაფვის შთანთქმს და მოსპოს კილოები<sup>2</sup>.

მაგრამ ამ ტენდენციას ფრთები შეუკვეცა საერო პოეზიის აღმოცენებამ მე-11 საუკუნეში, რომლის აყვავების და ოქროს ხანა მე-12 საუკუნეშია.

საერო მწერლობის წარმოშობას ფესვები, გარდა სპარსული ლიტერატურის გავლენისა, ხალხურ პოეზიაში და, მასასადავე, ხალხურ კილოებში მოეძებნება<sup>3</sup>.

პერიოდიზაცია სალიტერატურო ქართულისა სრულიად შეესატყვისება ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ-კულტურულ დონეს. ამის საუკეთესო დამამტკიცებელია მე-12 საუკუნის, საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურული აყვავების დრო. ყველამ იცის, რომ ამ ხანაში საქართველო საგრძნობლად მომწიფებული და წელში გამართული სახელმწიფოა. უმაღლეს წერტილს აღწევს ფეოდალური მეურნეობა და ასევე ბრწყინვალეა ზედნაშენი ამ ბაზისისა—კულტურა, რომელიც, რა თქმა უნდა, ფეოდალურია.

ენა, როგორც ზედნაშენის ერთი ფორმა, მდიდრდება და მრავალფეროვნდება. ამ ხანის მწერლობა გვიჩვენებს, რომ ენა, მეტყველება-განვითარების შიდალ სტადიაზე დგას, თანვე იგი ფეოდალური არისტოკრატის ენაა. კარის მგონები, იგივე „მაღალი წრებიდან“ გამოსულნი, თავისი კლასის ენობრივ თავისებურებათ იცავენ და ატარებენ. ეს შელავნდება: ლექსიკონში, თავისებურ გამოთქმებში... ფეოდალური ვალალების და ზვიადობის თვისება ენობრივ სიტრატებზე თავისებურ ანარეკლს იძლევა. საერთოდ, ენა ფეოდალთა ხელშია, მათში მოძრაობს, გამოიყენების... მაგრამ სინამდვილის მიჩქმალვა იქნებოდა თუ ვიტყოდით, რომ ხელოვნურ ენაში დიდი დოზით არ შეჭრილა ამ დროს ხალხური, სალაპარაკო ენის ელემენტები. ლიტერატურული ენა ამ პერიოდში საკმაოდ ჩამოყალიბებულია და ნაკლებ მწიგნობრულ-საეკლესიო ხასიათისაა. ფაქტია: ეეფხის-ტყაოსანი, ვისრამიანი, ამირანი-დარეჯანიანი ხალხურ ენასთან არც ისე შორსა დგას. განსაკუთრებით ეს პირველზე ითქმის.

<sup>1</sup> შანიძე—Op. Cit.

<sup>2</sup> ibid.

<sup>3</sup> ibid.



მაშასადამე: მე-11—12 საუკუნიდან, ე. ი. მეორე პერიოდის დასაწყისში უკვე უკლება ნიადაგი ძველ საეკლესიო ტრადიციებს და საერო მწერლობასთან ერთად ხალხური ენობრივი მასალები შევიდრდება ხელოვნებაში.<sup>1)</sup>

მე-13 საუკუნიდან საქართველოში მონღოლები იწყებენ ძალაუფლებას, რასაც მოყვება საქართველოს დაცემა. მონღოლთა შემოსევამ საგრძნობლად შეარყია სასულიერო ენის საზღვრები, რომლის რღვევა პირველად საერო მწერლობის აღმოცენებისთანავე დაიწყო. ამიერიდან ხალხური კილოებიდან მომდინარე მასალა თანდათან მოქალაქობრივობას პოულობს და ბოლოს უღებს ტრადიციულ საეკლესიო მწიგნობრულ ენას... საამისო პროცესი, მაშასადამე, მეორე პერიოდში დაიწყო და ეს ისტორიული საქმე ამ ხანის მონაპოვარია. შეგდომა იქნებოდა თუ ვიფიქრებდით, რომ უკვე გამარჯვებულია ხალხური ენა. ეს პროცესი დიდხანს გრძელდება და საბოლოო დაგვირგვინება ვაცილებით გვიან მოხდა, რის შესახებაც სათანადო ადგილას გვექნება მსჯელობა.

მე-17 საუკუნიდან საქართველო კვლავ ფეხზე დგება, რასაც მოყვება კულტურული აღორძინება—თავი იშინა ძლიერმა კულტურულ-განმანათლებელმა მოძრაობამ: გამოცოცხლდა და გაუმჯობესდა სასკოლო საქმე. განდა ახალი ბუდე და წყაროები ლიტერატურული მუშაობისა; შემოღებულ იქნა წიგნის ბეჭედის ხელობა, საფუძველი დაედო ისეთ წიგნთსაცავებს, როგორც იყო მცხეთისა და ანტონ კათალიკოსისა, რომელთაგან უკანასკნელში შეიდი ათასი ტომი ითვლებოდა; გაიზარდა წერა-კითხვის წრე, განსაკუთრებით ქალთა შორის<sup>2)</sup> და სხვა.

მაშასადამე: საგრძნობი ცვლილება მოხდა ერის ცხოვრებაში. რასაკვირველია, ენაშიც აღიბეჭდებოდა ახალი ნაკადი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული სამწერლობო ენის გავლენა იმდენად დიდია, რომ ყველა ცდილობს რუსთაველისა და ოქროს ხანის სხვა მწერლების ენით იმეტყველოს და წეროს. ამგვარად: დიდ განსხვავებას ვერ პოულობს კაცი ამ ორი—საქმოდ და შორებულ პერიოდის ენათა შორის.

ასეთი მდგომარეობა გრძელდება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისამდე. მაშასადამე: მეორე პერიოდი შეიცავს მანძილს მე-11 საუკუნიდან—მე-19 საუკუნის ნახევრამდე. ეს პერიოდი თავის მხრივ ორ ქვე-პერიოდად იყოფა: ე. წ. ოქროს ხანა და ე. წ. ვერცხლის ხანა. მეორე ქვე-პერიოდში უფრო და უფრო საგრძნობი ხდება ხალხური ენის ამოტივტივება, იმისდამიუხედავად, რომ, როგორც აღვნიშნეთ, კლასიკური ქართული სანიმუშოდაა მიზნული და გამოყენებული.

არ არის ძნელი იმის ახსნა, რომ ასე შორეულ მანძილზე სამწერლობო ენა არ შეცვლილა, ტრადიცია ბატონობს. ხელოვნური ენა იგივე ფეოდალებს გადაეცათ: შემკვიდრეობა სათუთად ეპყრობა ბრწყინვალე მამა-პაპის სანიმუშო დარბაისლურ, დინჯ ქართულ მეტყველებას. ვიდრე ამომავალი კლასი არ დაუპირისპირდება ამ გაბატონებულ ინსტიტუტს, ვიდრე სოციალური გარდატეხა არ მოხდება, მანამ სამწერლობო ენის, სალიტერატურო ქართულის სფეროში არ მოხდება ცვლილება, რეველუცია, დემოკრატიზაცია; გამარჯვებული პრო-

მ. ბ. ბ. გ. კ. გ. ე. ი. ძველი ძვე: ქართ. ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 64-65.

გრესული კლასი ახალ ენობრივ მასალას შოიტანს, დღის სინათლეზე გამოაფენს. ასეთია კლასური ხელოვნური ენის ლოგიკა!

მე-19 საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ჩვენი მწიგნობრები საგაქრო კაპიტალი, ადგილი აქვს სოციალურ დიფერენციაციას, დანაწილებას. რუსეთის შემოსვლას საქართველოში შედეგად მოყვა კაპიტალიზაციის პროცესი. თავად-აზნაურული ფენები იშლება და ადგილს უთმობს ისტორიის სარბი-ელზე ვაჭართა კლასს; იწყება ქალაქური ცხოვრება და სხვა.

ამ ხანის ენა აღარ გავს ძველს: იგი ჩქარის ტემპით იცვლება და ვითარდება. დემოკრატიზაციის პრინციპი თავისებურად იჭრება ენობრივ ჰორიზონტზე: ხალხური „მდაბიური“ ენა უკვე ბატონდება, ჰეგემონობს და სამუდამოდ ასამარებს ტრადიციულ მწიგნობრულ ენობრივ ფორმებს.

ამგვარად: დასრულდა ის პროცესი, რომელიც უძველესიდანვე დაიწყო და რომელიც მდგომარეობდა სამწერლებო ქართულის დემოკრატიზაციის, გახალხურების ტენდენციაში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ენა იცვება რუსიციზმებით, რისაგან დღესაც არაა იგი თავისუფალი.

ამ დროიდან იწყება ქართული სალიტერატურო ენის შესამე პერიოდი რომლის დამთავრების მიჯნად მე ოქტომბრის რევოლუციის დრო მიმაჩნია.

ნოვატორობა პირველ ქართველ რეალისტ მწერალს—გიორგი ერისთავს ეკუთვნის. მის მიერ დაბეჭდილ მოთხრობაში—„გაყრა“, ახალი ქართულის ნორმები საკმაო სიკბადითაა წარმოდგენილი. „ცისკარი“, რომელსაც დემოკრატიზაცია, საზოგადოდ, ახასიათებდა, სამწერლობო ქართულის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

გიორგი ერისთავს მოყვნენ სხვა მწერლებიც: არ დახიანი, კონქაძე ხოლო ილია ქავჭავაძის, აკაკი წერეთლის ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის და სხვა ახალ პროგრესულ ძალების სამწერლო ასპარეზზე გამოსვლამ კარდინალური შერყევა მოახდინა ორთოგრაფიის სფეროში. ახალგაზრდა ი. ქავჭავაძე მარტოოდენ პრაქტიკულად კი არ ეწევა განახლებული ქართულის სასარგებლო საქმიანობას, არამედ თეორიულადაც ამართლებს თავის მოქმედებას და მოითხოვს ქართული ანბანის გამარტივებას. მიზანს აღწევს იგი, მაგრამ იწყება შემოტყეები ფეოდალურ-არისტოკრატიის მოიპიკანთაგან. გრიგოლ ორბელიანი, ბარბაღე ჯორჯაძისა, მესხივეი და სხვები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებენ ტრადიციული ენის დაცვისათვის და ყოველგვარ სიახლეუთა წინააღმდეგ...

აი როგორია აღშფოთებული გრ. ორბელიანი:

აღმოჩნდნენ მწერლები,  
 ყურნალისტები,  
 (ვაი სიმშობლოს... ვაი ჩვენ ენას)  
 მათ უსწავლელთა,  
 ცრუ რუსთაველთა  
 ხულ წაგვიპილწეს ენა მდიდარი...  
 ენა მაღალი,  
 მის ძალი, მაღლი

უწახლოდ წაბდა უწინდურთ ხელში...

ვის მიმართ იყო დაწერილი ეს გაკიცხვა, ანდა; ვინ ეტყობა ამ წყრომაში?

ლიბერალები,  
პატრიოტები  
მესხი, მეველე მელიქ-ალები.

მეორე ვარიანტიდან:

აკაციები,  
ბაკაციები,  
რიონელები, გაციტელები,  
მესხი, მეველე,  
მელიქ-ალები.

განსაკუთრებით აღშფოთებდა პოეტს იმერელ მწერალთა ენა: აკაკი და გიორგი წერეთლების, ნიკო ნიკოლაძის, სერგეი მესხის, დავით მიქელაძისა, — „დროება“ — „კრებულის“ ხელმძღვანელ — თანამშრომელთა.

თაობათა ამ დაუნდობელ ბრძოლაში, რა თქმა უნდა, სამწერლობო ქართულის ბედი ახალის სასარგებლოდ გადაწყდა... ძეგლი, დარბაისლორი, „აკადემიური“ ქართული მეტყველება ვერ მოერგო ახალ სინამდვილეს; იგი ხალხური ენიდან მიმდინარე მასალით უბდა შეიცვალოს.

ამ საერთო ბრძოლის გათავების შემდეგ იწყება შინაგანი კამათი გამარჯვებულთა შორის. ეს ბრძოლა ჩვენს დრომდე გრძელდება. ერთის მხრივ იცავენ ქართულს და იმერულ ფორმებს ვერ იგუებენ, მისი შემოტანა სამწერლობო ქართულის წარყვანად მიაჩნდათ. ხოლო მეორის მხრივ, უპირატესობას დასაველურ კილოურ მასალას აკუთვნებენ.

მართლაცდა: განსაკუთრებით ოთხმოციან-ოთხმოცდაათიან წლებიდან, როდესაც ეგრედწოდებული „მესამე დასი“ გამოდის სამწერლო ასპარეზზე იმერულს და საერთოდ, დასაველურს ფართოდ ეღება სამწერლობო ქართული ენის კარები, რომელიც თანდათან მოქალაქობრივობას პოულობს... ქართლური კილო ტრადიციულად ედო საფუძვლად სალიტერატურო ენას. ქართლურის ორიენტაციის თეორეტიკოსები ამტკიცებდნენ, რომ ქართლური და სალიტერატურო ენა იდენტური უნდა იყოსო, და ასეცაა ისტორიულადო!!

აი, როგორ წარმოუდგენია ქართლურისა და სალიტერატურო ენის მიმამართლებების საკითხი გრამატიკოსს გრიგოლ ყიფშიძეს... „მაშ რას დაუგდოთ ყური? რასა და ქართლს, იმ პროვინციას, საცა ხალხი მდაბიო და დიდებული, ლაპარაკობს ლიტერატურული ენის კილოთი, საცა ეგ კილო და ჩვენი დღევანდელი სალიტერატურო ენა თითქმის არ განსხვავდება და უბრალო გლეხი და გლეხის დედაკაციც კი ისე ლაპარაკობს, თითქოს ჩვენს საუკეთესო სალიტერატურო ნაწარმოებზედ აღზრდილაო“<sup>1)</sup> (ქურსივი ჩემია. შ. დ.).

მესამე დასელთა ენის შესახებ იგივე გრ. ყიფშიძე წერს: ახირებულის მართლწერით უფრო იმ ყურნალ-გაზეთებმა გაითქვეს სახელი, რომელსაც ბეკდავდენი და ჰბეკდავენი ახლაც ესრეწოდებულნი მესამე დასელნი და მარტისის მოძღვრების მიმდევარნი. ეს ბატონები თან უარყოფდნენ ერს, ეროვნებას, ეროვნულ საქმეს და თან ტრაბახობდნენ, ქართული სხვაზე ნაკლებად არ ვი-

<sup>1)</sup> „განათლება“, VIII. გვ. 498, სექტი I, 1911.

ციოთ. რანაირი ქართულიც იციან და ან ქართულია თუ არა ის ჩქარითული, რომლითაც უმრავლესი მათგანი სწერდა თავისიანების ვახუშტის წეს-საკანონოდ იცის ყველამ, ვისაც წმინდა ქართულისათვის გული შესტყვევდა.

ზოგი ამხანაგი ახალ სიტყვას აწარმოებს სხვა ფორმების ანალოგიით, მაგრამ მიზანს ვერ აღწევს. მაგალითად, უხვირო ნაწარმოებია სიტყვა ჯანყოსანი:

- 1) რომ გაწმინდათ ჯანყოსნებით დაღრუბლული ცა  
(„ცხრაას ჩვიდმეტის გენ. რუა“, გ. კაქაბიძე)

ეს სიტყვა შედგენილია მანდილოსანი, ჩოხოსანი, გვირგვინოსანი ტყაოსანისა და მაგვართა ანალოგიით. მაგრამ სემასიურად იგი უხერხულობას შეიცავს. — „—ოსან“ აღნიშნავს რისამე მქონებელს (ან მატარებელს): მანდილოსანი-ი (ვინც მანდილს ატარებს), ტყაი(-)ოსანი-ი (ვინც ტყავს ატარებს, ტყავიანი), გვირგვინ-ოსანი-ი (ვისაც გვირგვინი აქვს) და სხვა. მიუღვეთ ამ თვალსაზრისით ფორმას ჯანყოსანი. რა გამოვა.

ახევე შეუფერებელია ფორმის—ქართველოსანი ხმარება:

- 1) „შეგ თმა-ხეშუტა ქართველოსანი  
(„პოლიტ-მოეტის დეკლარ.“, გ. ნაროუშვილი)

გვაქვს უხვირო ახალი წარმოების სხვა ნიმუშიც. მაგალ., მიმოგზაურა:

- 1) მიმოგზაურმა გათვალა ენო,  
მიმოგზაურის ბოროტი თვალი.  
(„კორღანი“, გ. ნაროუშვილი).

ფორმა შეჯიბრი უკანონოდა ნაწარმოები. ეინიდან ეს სიტყვა ჩვენს ცხოვრებაში საკმაო მოქალაქობრივის უფლებით სარგებლობს, ამიტომ აუცილებელია მისი სწორე მართლწერა. უნდა იხმარებოდეს შეჯიბრება და არა დამახინჯებული შეჯიბრი.

ელ. პოლუმორდვინოვის ნაწარმოებში — „ქვეყანა მიდის“ გვხვდება ენობრივად ერთი კურონოზული ადგილი. მაშინ, როდესაც მოთბრობის ერთ ვმარს არტემ ივანისს შეაეიწროებენ, მას აერევა ენა და მის მეტყველებას დიეკარგებია ბგერა „რ“ — ამბობს აეტორი. საინტერესოა, მოვეუსმინოთ დიალოგს:

- შედეშენც მათი ამხანაგი ხალ? აი, მიამა, ყუღლი დამიგდ, ვენი ნამდვილი ყანალები აღიან. ახა მიასსუბე.
- წაგვალთვეს?
- წაგართვეს.
- ექვსი ოთახი გვქონდა?
- გვქონდა.
- ჩამოგვალთვეს?
- ჩამოგართვეს.
- შედე ისინი ყანალები აღ აღიან?
- არა
- დოგოდ თუ აღ აღიან, დოგოდ თუ..
- მე შენ გირჩენებ ბოლშევიტობას. აღა მე ვვალ ავლზდი ჩემ მტელს ველ ავლზდი..

(„ქვეყანა მიდის“, გ. პოლუმ.)

\*) ibidem.

რამდენად ბუნებრივი „რ“-ს „ლ“-დ შეცვლა? აბა, რომელი ენა-ბრუნული ან შეშინებული მერყეულებს ამგვარად?

ყოველთვის სასურველია, რომ მწერალი ლიტერატურულ გმირებს იმ დიალექტით ამერყეულებდეს, რომლის წარმომადგენელიც ისინი არიან. ამ შემთხვევაში შემოქმედი მხატვრულ მიზანს აღწევს და ენისთვისაც სასარგებლო საქმეს ეწევა...

მწერალი სიძნელეს ეჩეხება, როდესაც საქმე აქვს ლიტერატურულ ენიდან საკმაოდ დაშორებულ კილოებთან. ამიტომ მან სპეციალურად უნდა შეისწავლოს კილო, რათა მოსალოდნელი შეცდომები თავიდან აიცილოს.

ჩვენს პირობებში, როდესაც ყოველი საბჭოთა მწერალი კაბინეტში ჩაკეტილი კი არ მუშაობს, არამედ ხალხში ტრიალებს, პერიფერიებში საგანგებოდ მიემგზავრება ადგილობრივი ცხოვრების ვითარების შესასწავლად, დიალექტის შესწავლის შესაძლებლობა ბუნებრივად იქმნება.

მიხვილ ჯავახიშვილის რომანი „თეთრი საყვლო“ დიალექტის გამოყენების თვალსაზრისით სამწუხარო შედეგს გვაძლევს. ერთის მხრით, საკმაოდ ვრცელი ხეცურული ტექსტებისა და, მეორის მხრით, საზოგადოდ, მთის კილოების გრამატიკული აღნაგობის შესწავლა დაგვარწმუნებს იმაში, რომ მ. ჯავახიშვილი, რომელიც ქართული სალიტერატურო ენის ირგვლივ სტატიებსაც ბეჭდავს (რაც ერთის მხრით სასარგებლო საქმეა),<sup>1)</sup> უსუსურობას იჩენს დიალექტის ცოდნაში და დამახინჯებულად, წარყვნილად წარმოგვიდგენს კილოურ მასალას. ნაწარმოებში გამოყენებული ზოგიერთი ფრაზა უშუალოდ ამოღებულია დაბეჭდილ ხეცურულ მასალებიდან. ისიც<sup>2)</sup> გადაკეთებულად, ხელოვნურად შეთითხნილის ფორმით.

რა თქმა უნდა, ავტორისათვის ეს მიუტევებელი „ცოდნა“ ათასწილ უმჯობესი იქნებოდა, რომ მწერალს თავისი სიტყვებით ამერყეულებინა გმირები, ვიდრე „გადამუშავებული“ დიალექტით.

ენობრივი მასალის არა-სისწორით წაროდგენა ისეთივე სიმკაცრით ეთვლება დანაშაულობად ამ მწერალს, ვითარცა ზნე-ჩვეულებათა და ტრადიციების ყალბად გათვალისწინება გარკვეული კუთხისა (ამაზე აქი წერდა „მნათობის“ ფურცელზე ერთი ხეცსურთაგანი).

ფონეტიკურ მოვლენათაგან განვიხილოთ რედუქციის მოვლენა. როცა ზოგიერთ არსობით სახელს მაწარმოებელი სუფიქსი დაერთვება, ამ სუფიქსის სმოვანი ფუძეში შეკუმშვას იწვევს, რაიცა ხმოვნის დასუსტებაში, ან სრულიად ამოღებაში (სინკოპე) გამოიხატება. ავილოთ, სამაგალითოდ, სიტყვა მასწავლებელი. როცა მას დაერთვება მრავლობითის სუფიქსი, ან ბრუნვის ნიშანი, ფუძეში პერტურბაცია ხდება: დაიკარგება ხმოვანი მავალ. მასწავლებლის მასწავლებლად... მასწავლებლები ამ რიგისავე: ფრინველი—ფრინველის, ფრივნლები.....კედელი კედლის-კედლად... ნაბადი,—

<sup>1)</sup> მიხ. ჯავახიშვილი: ახალი სალიტერატურო ქართულისათვის, — „მნათობი“ № 11—12, 1928, № 1, 1929.

<sup>2)</sup> შდრ. ბ. გაბუტური: ხეცურული მასალები—ა. შანიძის რედაქციით, — „ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადი“, 1—11, 1923—24 წ.



ბიხა, როგორცაა: რევოლუცია, რევოლიუცია, ილუსტრაცია ილუსტრია, — კანცელიარია, მალარია, ველიარია, მის-  
თანანი. ქართულში ეს ფორმები, სრულიად შეუსაბამოდ, რუსულის გავლენით  
იწარმოება. იმ ენაში, საიდანაც ეს სიტყვები მომდინარეობს (საიდანაც  
ისესხა რუსულმა) ფუძეში „IO“ — რუსულისდა კვლობაზე, არ არსებობს-  
იგი მხოლოდ რუსულის ნიადაგზეა წარმოშობილი. ლათინურშია: *revolutio*,  
*resolutio*, *illustratio*.... ქართულში ამის შესატყვისად უნდა იწარმოებდეს:  
რევოლუცია, რევოლუცია ილუსტრაცია, ილუსტრია, სუჟე-  
ტი, სუჟერენი და სხვა. რუსულში არსებული „IO“-ს შესატყვისი  
ქართულში „იუ“ არ გახლავთ, არამედ იგი გასრულხმოვნებითაა წარმო-  
დგენილი. სხვა საკითხია, რომ ქართულში ნახევარხმოვანი, ე. წ. იოტი  
(ა) არსებობდეს. მაშინ რუსულის ფორმებს ქართული ზედმიწევნით დაემთხვე-  
ვოდა; ამ მდგომარეობის რუსულიდან გადმოქართულება, ამ გვარად, ქართუ-  
ლისათვის საზიანოა. ქართულში ამ ტიპის ფორმები უნდა ვაწარმოოთ, მაშასა-  
დაზე, ისე, როგორც მათ სამშობლო ენაშია (ლათინურში); შუალობის გზა ამ  
შემთხვევაში სრულებითაც არა აუცილებელი.

შენიშვნა: რამდენიმე ფრანგულიდან ნასესხები სიტყვა, რომელსაც თავიფუ-  
რად ბანი ახლავს, ასე უნდა იწარმოებოდეს: ბიუსტი, ბიურო, ბიულეტენი,  
ბიუროკრატია და სხვა, და არა ბულეტენი ბურო და ა. შ.

გვეუ კანონი ვრცელდება მეორე რიგის ფორმებზე: კანცელიარია,  
მალარია, ველიარიზაცია და მისთ.

გვედებით ასეთ უხერო წარმოებასაც:

1. გასატყვად გამოადებულ ყაჩაღსავით აბრიალებდა...  
(„დიდი იოსები“ კ. გამსახურდია)
2. როს შენ თმებსავით გაიშალე („წერილი სატრფოს“, კ. ლორთქიფანიძე)
3. და გაშავებამ სივრცეს დვარსავით („მანერები ქლაქ-გარეთ“, ირ. აბაშიძე).
4. რომ მომხვია მგვობარსავით („თანი მუხერი“, გრ. ცეცხლაძე)

რა თქმა უნდა უხერხული წარმოებაა. ნამდვილად უნდა იყოს: თმები-  
ვით, ყაჩაღვით, დვარსავით... ასეთი წარმოება ხმოვნით დათავებულ  
ფუძეს ახასიათებს: თმასავით, კლდესავით, ბობოლასავით, ტო-  
როლასავით და სხვა. გვხვდება პირუკუც, რაც რა თქმა უნდა, შეცდომაა:

1. შენ თუ ტოროლივით მტერმა აგატრა („პატარა“, ა. მაშაშვილი)

პირველი პირის სუბიექტური პრეფიქსი ვ—ინი უ—ნის წინ-დაცულ უნდა  
იქნეს, თუმცა იგი მკვეთრად არ გამოითქმის: ვუწერ, ვუძღვნი, ვუყვარ-  
ვარ...

არ შეიძლება ითქვას, რომ ვ—ინი სასხვისო მაქციერის წივ არ გვხვდ-  
ბოდეს შემთხვევათა მთელს რიგში, რაც უფლებას გვაძლევს გავამაგროთ ვ—ინის  
პოზიცია პირველ პირში. ნიმუშები:

1. ჩვენ შეგვიძლია ვუდგეთ კედლებად („მანერები ქლაქ-გარეთ“, ირ. აბაშიძე).



2. როგორც რომანოვს ბოლო მოვუდოთ („1931“, კ. ლორთქიფანიძე).
3. მეც მას ვუერთებ („ადლები სოფლად“, გ. კაკაბიძე).
4. ჩვენ არ ვუსურვებთ ამ შაბლონს („მოდინ ლეგიონები“, ჯ. ჯ. მუსხელიძე)

მეორე პირის სუბიექტური პრეფიქსისა და სესამე პირის ობიექტური პრეფიქსის შესახებ არაფერს ვლაპარაკობთ. იმას-ღა ვიტყვით, რომ ამ მხრივ წარმოუდგენელი ანარქია და სხვადასხვაობაა თანამედროვე სამწერლობო ქართულში.

მკვლევართა, სპეციალისტთა შორისაც არაა შეთანხმება და ერთგვარობა ამ საკითხში. მე პირადად იმ აზრს ვუჭერ მხარს, რომელიც გულისხმობს საქმის სრულიად გამარტივებას: არც მეორე პირში და არც მესამე პირში ასეთი ნიშნები სავალდებულოდ არ მიმაჩნია, რაც ამ წერილშიც გატარებულია (ამ გარემოების დაწვრილებითი დასაბუთება ცალკე წერილში).

რადგანაც ჯერჯერობით ნორმა, კანონი გამოუმუშავებულია, ამიტომ სათანადო კვალიფიკაციას ამ მიმართულებით გვერდს ვუხვევ.

თანამედროვე სამწერლობო ქართულში ზმნას მრავლ. რიცხვ. მესამე პირში დროთა გარკვეულ ჯგუფში (ნამყო-სრული, ნამყო-სრული) დაბოლოებად-ენ მოუდით, ტრადიციული-ნენ-ის ნაცვლად. ეს უკანასკნელი აღმოსავლურ ქართულშია გავრცელებული. ნ—არს მეორე შემთხვევაში არავითარი გამართლება არა აქვს, არავითარ ფუნქციას არ ასრულებს იგი, რაც ისტორიულადაა დადასტურებული: ვნებითი გვარის ზმნებში იგი უფლებამოსილი ნიშანია, რის გავლენითაცაა გაჩენილი მოქმედებითი გვარის ზმნებში. პრაქტიკულის მოსაზრებით, საქმის ვითარების გასამარტივებლად, შეიძლება -ენის პასივშიც გაბატონება, რაც, გავრცელებულობას თუ მიეყვებით, უკვე გატარებულია.

ტრადიციის გავლენაში მოქცეული და ქართლურის ორიენტაციის ზოგიერთი მწერალი უკანონო ფორმას იცავს, როგორც აქტივში, ისე, რა თქმა უნდა, მით უმეტეს, პასივში. განსაკუთრებით ეს მ. ჯავახიშვილს შეეხება, რომელიც თავიდან ბოლომდე რჩება ქართლურის ერთგული და არ ღალატობს ამ შეუსაბამობას:¹)

1. მეორე ოთახში საღდათები ოზუნჯობდ-ნენ, განჯინაში ჭურკელს არაჩხუნგბდ-ნენ, და ქრელი თუნუქებით შეჭვიდილ სიყვრს აწვალბდ-ნენ. (იქვე) („არსენა მარაბდილი“)
2. ტოღჩით სვამდ-ნენ, თანაც იფრთხებოდ-ნენ და... უთბრიდ-ნენ.
3. დედაკაცები ბნელ კუთხეებში მიკუნჭულიყვ-ნენ და თვითონაც არ იცოდ-ნენ როდემდის დაიმალებოდ-ნენ და როგორ გადაარჩენდ-ნენ. (იქვე)

საქმე იმაშია, რომ ასეთ ელემენტარულ საკითხებში გავურკვევლობა არ ებატონება საენათმეცნიერო ხასიათის წერილების ავტორს მიხეილ ჯავახიშვილს, რომელიც ყველა მწერლებს მოუწოდებს ენის სიწმინდისაკენ.

¹) აღსანიშნავია, რომ მრავალ შემთხვევაში თვით ქართლური ღალატობს თავის სახელოვან წარმომადგენელს, როდესაც -ენ-ს გამოიღვნებს; ასე რომ: არც ქართლური ამართლებს სამწერლობო ენაში -ნენ-ის არსებობას (შდრ. გ. თოფურია: ქართლური, „არილი“, გვ. 142, 1925).



შეუდარებლევ უფრო სასარგებლოა იმ პრინციპების პრაქტიკულად გატარება, რომელსაც თეორიულ ხასიათის სტატიებში აყენებს მწერალი.

მიხ. ჯავახიშვილის ანუ ნაწარმოებებში ხშირად შეხვედებით ზმნის ასეთ წარმოებას, რაიცა დიალექტებშია, ქართლისათვის დამახასიათებელი;

1. სარქველი მოეხადნათ („არსენა მარაბდელი“).
2. ოღონდ ქალის თვალები ამერჩენა (გივი შადური).
3. მზად ვიყავი ვინმე დამეზარო, დამეგლიჯნა (იჭვე).
4. ამ დღის გადაადებას ჩემი გულის გადაადება მერჩიენა (იჭვე).
5. მზად ვიყავი სულელისა და უზრდელის სახელი მომეხვეცნა (იჭვე).

აწმყო დროში რიგს ზმნებისას დართული აქვს ანალოგიით - ავ სუფიქსი, რაც შეუფერებელია.

სინტაქსიდან \*ალსანიშნავია შემდეგი: გვხვდება იმერულისათვის დამახასიათებელი არა-კანონიერი შესიტყვება, როგორიცაა:

1. მე ვეცნობოდი მაშინ ლენინს და ჩვენი საყვარელ მშოვან ფილიპსს.  
(„ჩემი პირვ. უჯრედი“. გ. კაკაბანიძე)
2. ცოვი დღეებიც მგქცა თბილი თვედ (იჭვე)
3. შეედღებოდნენ ზანტი ფურგონებს („ბედი-რესპუბლიკა“, II ნაწ. ს. ჩიქოვანი).
4. ჩემი კრებულში ის მოეთავსა („თბივატელი როგორ“. ფ. ნაროუშვილი)
5. სჯობს შეჩვეული კიარში ცხოვრება

შეუფერებელი ბედნიერებას („კორღანი“, ფ. ნაროუშვილი)

იმერულსაცე ახასიათებს (არა მარტოოდენ იმერულს) ქვემდებარის მოთხრობით ბრუნვაში დასმა დრო-კილოთა მეორე გჯუფში გარდაუვალ ზმნებთან-გარდამავალის ანალოგიით. სალიტერატურო ენაში ხახელობითი ბრუნვაა, როგორც კანონზომიერი ფორმა, გაბატონებული.

უკეთეს ქვემდებარე სულიერი საგანია და მრავლ. რიცხვში დგას, ზმნა შემასმენელი სავალდებულოა რიცხვში შეეთანხმოს; მაგალითად:

1. ღამით გამარჯვების ადგილას გამოცხადდენ მთავრობის და დამფუძნებელი კრების წევრები („დღეები“ ბ. ჩხეიძე)
2. მას მეშჩანები შეცურებდენ შეგორდებით, გვარდიელები დასცქეროდენ ქუდებს ურდოდან („ბედი-რესპ.“ ს. ჩიქოვანი)
3. ზონის უბნებში დატრიალდენ პატრონტები („პირველი საბჭოთა თოვლი“ ირ. აბაშიძე)

ხოლო თუ ქვემდებარე უსულო საგანია, არაა სავალდებულო ზმნის მრავლობითში შეთანხმება:

აქ შეიძლება დაგვესრულებინა ეს წინასწარი ხასიათის მიმოხილვა.

შემდეგს წერილში წარმოდგენილი იქნება სალიტერატურო ქართულის შესახებ არსებულ თეორიულ შეხედულებათა კრიტიკული ანალიზი.

„განთლების“ ფურცლებზე ვილაც „იმერელი“ ასეთი სიტყვებით ამცირებს იმერულს: „იმერული ბუნებით მოუხეშავი, მკვახე(sic! კილოა, ფონეტიკურ — გრამატიკულად ხშირად მახინჯი“.<sup>1)</sup>

კეტრე მირიანაშვილი წერს: „ორი სიტყვა, ორნაირი სახე მისი ქცევისა (მწერლობაში) მიუღებელია, უფრო მაშინ, როცა ერთი სიტყვა, ერთი

<sup>1)</sup> ibid.

სიტყვის, ერთი ფორმის დასამყარებლად საჭიროა მიმართოთ აღმოსავლეთის საქართველოს, რომლისგანითაც შექმნილია მწვერლოლობა, რომლის ენის ფორმებიც დღეს ჰპოვებს სიმაართლეს იმათ ძველ მწერლობაში. მაშასადამე, სამწერლო სამოქალაქო ენა მხოლოდ ქართლის ყოფილა, არის ეხლაც უფროს ერთ შემთხვევაში და მომავალშიაც უნდა იქმნეს, მაგრამ განწმენდილ — გასუფთავებული ყოველგვარი ხორცმეტისაგან. პროვინციალიზმი მაშინ არის კარგი როცა მისი ბადალი არ არსებობს დედა ენაში.<sup>1)</sup> (კურსივი ჩემია. შ. ძ.).

მაშასადამე: რიგი თეორეტიკოსთა ქართული სალიტერატურო ენის შექმნაში ქართლურს ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას და ამ დედაენიდან (sic) იგერიებენ დასავლურ კილოებიდან მომდინარე მასალას.

რა თქმა უნდა, ყველა მათგანი ყალბ ნიადაგზე დგას.

მეთოდოლოგიურად უთუოდ სწორ გზაზე იდგა, იმავეითვე, ცნობილი გრამატიკოსი სილოვან ხუდაძე, როდესაც წერდა: „სალიტერატურო ენისთვის მარტო — მარტო არც ქართლის ენა გამოდგება, არც კახეთისა, არც იმერეთისა და არც სხვა კუთხისა... მართალია, ჩვენ ძველ სალიტერატურო ენას საძირკვლად ქართლის ენა დაედდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართლს ვისგანზე ნება ქონდეს მინიჭებული — ყოველ სხვა კუთხეს შემოქმედების ნიჭი დაუზღოს და კედლების აშენებასა და საზოგადოდ შენობის გამშენიერებაში მონაწილეების მიღების საშვალება მოუხსპოს. ქართლის ენის საძირკვლობას (კურსივი ავტორისაა. შ. ძ.) ჩვენ არ უარყოფთ, ხოლო კედლების და საზოგადოდ ენის შენობის სილამაზის შემოქმედებაში სრული ნება გვაქვს — მონაწილეობა მივიღოთ და სწორ უფლებიანობა მოვითხოვოთ (კურსივი ჩემია. შ. ძ.). ბატონყმობა არავითარ სფეროში სანატრელი და სასიხარულო არც ყოფილა და არც იქნება.“<sup>2)</sup>

სამაგიეროდ, ის პრინციპი რომელსაც ეყრდნობოდა სილ. ხუნდაძე და რომელსაც ენათმეცნიერებაში კეთილხმოვანების პრინციპი ეწოდება, მიუღებელია. კეთილხმოვანება არა — მეცნიერული მეთოდი და საშუალებაა. ჯერ კიდევ მაქს მიულერი აღნიშნავდა, რომ იგი მეტად სუბიექტური ცნებაა, ის რაც, ვთქვათ, ხევსურს კეთილხმოვანად მიაჩნია, იმერულს პირიქით და სხვა. მწერალი, რომელიც კეთილხმოვანებას ნდობის თვალით უყურებს და სიტყვის სილამაზეს დაგიდევთ (სილამაზე მიღებული დამახინჯების გზით), უთუოდ ვნებას აყენებს ენას.<sup>3)</sup>

<sup>1)</sup> პ. მირიანაშვილი: საერო და სათემოწილო, — „ივერია“, № № 166, 180, 1888.

<sup>2)</sup> „სილოვან ხუდაძე: ქართული თუ ქართლური, — „განათლება“, № 9, 1911, გვ. 527 — 533.

(პირველად ეს სტატია გაზ. „კოლხიდა“-ში დაიბეჭდა).

<sup>3)</sup> ლივისტიკის თვალსაზრისით „ლამაზი“ და „ულამაზო“ სიტყვა არ არსებობს... უკეთეს მწერალი ამა თუ იმ სიტყვას ამოირჩევს, ე. ი. სიტყვათა შერჩევას მოაზრდეს ესთეტიკური აღქმის საფუძველზე, ეს სრულიად ნორმალურია, მაგრამ, როდესაც იგი რომელსამე სიტყვას ამ მიზნით „შელამაზებს“, „შეაკეთებს“ — ეს არა თუ არა ნორმალურია, არამედ ისეთი მოვლენაა, რომელსაც ენერგიულად უნდა შეეგებოდა...

მიუხედავად სხვადასხვა თეორეტიკოსთა ბრძოლისა და მწიფე კლასის წყრომისაც, ცხოვრებას მაინც თავისი გააქვს: ქართულ საზოგადოებაში შემოდის დასავლურ კილოების ნაკადი, ივსება და მდიდრდება ხელოვნური ენა. ეს პროცესი, მასმასადავ, მესამე პერიოდში დაწყებულია, მაგრამ სრულყოფა ჯერ კიდევ არ მომზადარა: ქართული კილო გადაჭარბებულის უფლებით სარგებლობს.

მეოთხე პერიოდი ქართული სამწერლობო ენის ისტორიაში იწყება ოქტომბრის რევოლუციიდან.

უკეთუ პირველ პერიოდს ძველს ვუწოდებთ, მეორეს — საშუალოს და მესამეს — ახალს, მეოთხეს, ლოგიკურად, უახლოესი შეიძლება ეწოდოს.

უახლოეს სალიტერატურო ქართულში თვალსაჩინო ცვლილებები ხდება. ამ პერიოდში ეყრება საფუძველი ახალი ქართული ხელოვნური ენის გამომუშავების საქმის.

დღევანდელი ლიტერატურული ენა მშრომელთა ფართო წილიდან მუშებიდან და გლეხებიდან მომდინარეობს. სალიტერატურო ქართულის გახალხურება, გამარტივება, გაუბრალოება, გასადავება ფაქტიურად მხოლოდ დღესაა მოსახერხებელი,

ჩვენი სოციალისტური ცხოვრების შეუჭრებელი და სწრაფი დინება, ბეჭდვითი საქმის კოლოსალური ზრდა და სხვა და სხვა — გაუგონარის ტემპებით იწვევენ ენის ცვლასა და განვითარებას.

მზის სინათლეზე გამოდის ის უმდიდრესი ენობრივი საუნჯეები, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მოძრაობდა და გამოიყენებოდა ხალხური ენის არეში და რომელსაც, სალიტერატურო ქართულის საზიანოდ, არ ეძლეოდა ლიტერატურული გამოხატულება.

შეიძლება ითქვას, რომ უკვე დაექანა გაბატონებული კლასის სალიტერატურო ქართული სიმაღლეებიდან და შეიცვალა დემოკრატიზირებული ქართულით, რომელიც, რა თქმა უნდა, ჯერ სრულყოფილი არაა.

უნდა აღინიშნოს შემდეგი საყურადღებო მოვლენა: პროცესი დასავლურ კილოურ მასალის მიმდინარეობისა სამწერლობო, ხელოვნურ ენაში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, დაიწყო გასული საუკუნის მეორე ნახევარში და რომლის უმთავრესი წარმომადგენელიც იყვნენ — აკაკი, გიორგი წერეთელი, მესხი, ნიკოლაძე. . . . "მესამე დასელები" (განსაკუთრებით ეგნატე ნინოშვილს),<sup>1)</sup> — დღეს დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს: იმერული არა თუ მეტოქეობას უწყვეტ ქართულს, არამედ დაზარდულა კიდევაც იგი და გაბატონდა, რაიცა სასურველი არ არის: ქარბი გამოვლენა რომელიმე დიალექტისა სალიტერატურო ენის ფრონტზე, როგორც ზემოთ ვამტკიცებდი, მეთოდოლოგიურად უარსაყოფელია.<sup>2)</sup>

<sup>1)</sup> ე. ნინოშვილს ბადალი არ ჰყავს ქართული მწერლობის სინამდვილეში დიალექტის (გურულის) ასე სიღრმით, სისრულითა და სრულის უმკველობით დაცვაში. თუ არ მივიღებთ მხედველობაში მცირეოდენ შესანიშნავ განმარტავლებებს (ე ა ქ ა - ფ შ ა ვ ე ლ ა, ყ ა ხ ე გ ი)

<sup>2)</sup> ეს სასურველი მხოლოდ იმდენადაა, რამდენადაც მასალა გროვდება ახალი სალიტერატურო ქართულის ჩამოსაყალიბებლად.



კანონზომიერება არ უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული. ამ ახალ, ნედლ მასალას დაწმენდა, გაშალაშინება ესაქიროება.

აუცილებელია აღინიშნოს შემდეგი: როდესაც ვასაბუთებში ქართული საწერლობო ენის პერიოდიზაციას, აღვნიშნავდი, რომ სალიტერატურო ქართულის ბედი მკიდროდა დაკავშირებული ეპოქების სოციალ-ეკონომიურ პოლიტიკურ-კულტურულ ვითარებასთან. არ უნდა იქნეს მივიწყებული ის აუცილებელი ვარაუდობა, რომ ქვეყნის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობა უშუალოდ არ მოქმედებს ენის სტრუქტურაზე, საქმე იმაშია, რომ ზემო-აღნიშნული მომენტები (ე. ი. ბაზისი) ისე სწრაფ ანარეკლს აღბეჭდავს ენობრივ სივრცეზე, როგორსაც, მაგალითად მხატვრულ ლიტერატურაზე, მწერლობაზე (თუმცა ეს უკანასკნელიც გარკვეულ დამოკიდებულებაშია ბაზისთან, როგორც ზედნაშენი). მაშასადამე: მათ შორის განსაზღვრული უშუალო ბითი დამოკიდებულება საგზოუწელი.

ქვემოთ რამდენიმე ნორმაზე გვიქნება მსჯელობა, რაიცა უკვე უძველია და დარღვეული კია.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში რამდენიმე ხაზი შეიმჩნევა. მწერალთა გარკვეული წყება იმ კუთხის ენობრივის ნიშნებით წერს, რომელსაც იგი ეკუთვნის. მაშასადამე: წარმოვიდგინებ ხშირად დიალექტურ თავისებურებათ (იშვრიზმებს: ნ. მიწიშვილი, ნ. ლორთქიფანიძე, ტ. ტაბიძე.. მეგრულიზმებს: დ. შენგელაია, კ. გამსახურდია, ს. ჩიქოვანი, ფ. ნაროუშვილი, - ქართლურიზმებს: მ. ჯაფარიშვილი, ს. შანშიაშვილი, ი. გრიშაშვილი, ე. პოლუმორდვინიოვი, ი. მოსაშვილი და სხვა.

მეორეს მხრით, აღსანიშნავია ორიენტაცია ძველი ქართულზე. განსაკუთრებით ლექსიაში მელანდება ეს ტენდენცია) ვ. ბარნოვი, გ. რობაქიძე, ნ. ლორთქიფანიძე, შ. დადიანი, კ. გამსახურდია).

მესამე ხაზი ყველაზე უარყოფითი ხასიათისაა: ზოგიერთი მწერალი შეპყრობილია რა ორიგინალობის გამოჩენის თვისებით, იგუბიტურად ეპყრობა ენას: თავისებურება ენობრივ პორიზონტზეც სურს გამოამტყანოს. ამ მიზნის მისაღწევად მწერალი არ ემორჩილება საეაღდებულო ნორმებს, რაიცა ობიექტურად მიღებულია და საქიროებისამებრ, საკუთარი სურვილის მიხედვით „აკეთებს“ ქართულ სიტყვას; ყველაზე ხელსაყრელად იგი სინტაქსს იყენებს. ტიპური წარმომადგენელი ამისა გ. რობაქიძეა, ეს მწერალი მბრძანებელ სიმაღლეზე გრძობს თავს ქართული ენის მიმართ.

ზოგიერთი მწერალი ნეოლოგიზმებს ქმნის. გაუმართლებელია ს. ჩიქოვანის „ცხენჯი“ („მხედარის“ ექვივალენტი). რა ღირებულება აქვს ამ ტერმინის შექმნას, როდესაც მისი შესატყვისი უფლებამოსილი „მხედარი“ მოგვეპოვება? ამასაც რომ თავი დაეხანათ, იმ ინტერპრეტაციაში, რომელიც პოეტმა მოგვცა, ჩანს, რომ იგი არღვევს ფონეტიკურ კანონზომიერებას და არ უწყვეს ანგარიშს იმ ენის ბუნებას, რომელზედაც ქმნის ხელოვნურ სიტყვას, ნეოლოგიზმს.

მაშადამე: ნეოლოგიზმის საკითხი ისე ადვილი გადასაწყვეტი არ გახლავთ, როგორც ზოგიერთს გონია. ამ შემთხვევაში აუცილებელია მწერალი გარკვეული იყოს ფონეტიკის, მორფოლოგიის მოვლენებში და საერთოდ ქონდეს ენათმეცნიერული განათლება. ესტეტიური მიზანი გამართლებას ვერ პოულობს!

## 3. ჩხიკვაძე — „მოთხრობები“, სახელგამი. 1931 წელი.

სოციალური ცხოვრების ცოცხალი მასალა ყველაზე უფრო იტაცებს დღეს პროლეტარულ მწერალს. ამ განზრითაა დაწერილი პ. ჩხიკვაძის „ამხანაგი ბუთხუზი“. იგი კულტურულად დაწერილი მოთხრობაა ჩვენი ყოფის აქტუალური საკითხების შესახებ (წარმოების ფორმირება, ახალი შრომის კულტურა, მშრომელთა მასიური ენერჯია). აღნიშნულ მოთხრობაში მართლაც მარქსისტულ-ლენინურ თეალსაზრისითაა ნაპოვი პოლიტიკურ ცხოვრების და ინტიმური ყოფის ურთიერთ შეხედვრის, შემაჯავებების და შემჯიბრებების მომენტები ერთის მხრივ. წარმოება, სამაქროთა ამოქმედებული ხმაური და აქეს ადამიანთა ფსიქოლოგიის სწორი გაგება.

ადამიანის საქმიანობის იდეური რაობის სწორი გაგება, კერძოდ კომუნისტის, მეუზის ბასიანობის ბელეტრისტული გამოკვეთა მთავარი ამოცანაა პროლეტარული მწერლისათვის. გამომდინარე აქედან პროლეტარული ლიტერატურის ამოცანაა ბრძოლა იდეური შერყვობის, ავადმყოფური მოვლენების, პოლიტიკური გადახრების წინააღმდეგ. ჩხიკვაძის აღნიშნული მოთხრობა ამ მხრივაც აღსანიშნავია. მოთხრობის პირველ ნაწილში ბუტი ფერებით ნახვენებია ბუთხუზის კონფლიქტი საზოგადოებრივ კოდეტიკითან. მოთხრობის ავტორი რასაკვირველია, როგორც კომუნისტური მსოფლმხედველობით აღტრავილი მწერალი, საზოგადოების მზარეულ სდგას, იგი ჭკობს ბუთხუზის იდეურ შერყვობას. აღნიშნული ნაწარმოების სწორედ იმიოთაა საინტერესო რომ მასში მოკვეთილადაა ნაჩვენები ბუთხუზი როგორც საზოგადოებრივი პერსონიფიკაცია, სოციალური არტება. მის ბუნებაში ბრძოლას აწარმოებს ძველი ეპოქის ფსიქოლოგიური ნაშთები, ეს სწანს ბუთხუზის დამოკიდებულებაში საზოგადოებასთან, ქარხანასთან. ამ მოძაობაში უფოდ დაძლეულია სქემატიზმი, რაც ასე ხშირად ირენს თავს პროლეტარული პროზის ფორმტზე.

იდეიტებს ქარხანა, ავტორი მახვილად აღწერს ამ სურათს. ამის შემდეგ პირდაპირ ებება მთავარი გმირის—ბუთხუზის—საოცარ ცვლილებას“. ბუთხუზი გადავარების გზაზე სდგას.

წინეთ „ყველას უყვარდა ბუთხუზი, ყველა ღიმილით ჩაუფლიდა მას შეხვედრისას—ახლა კი“... მთლიანად შეცვლილია მთელი ქარხნის დამოკიდებულება მასთან. „აზარის ბაღისი არა მაქეს, წადით თქვენო“... ასე წამოიძახებს ხანდისხან ბოზია და საზე შეტუბუნელი ადგილს მიინაცვლებს ამხანაგებში. ერთ რომელიმე წერტილს ამოიჩემებს და გატერებული დიხანს უტყერის“.

რამ გამოიწვია ეს? მოთხრობის დადებითი მზარე იმაში მდგომარეობს რომ იგი გვიჩვენებს ბუთხუზის ამგვარი „სულიერი“ განწყობილების მიხეხებს; მაგრამ ამხე რომ გაჩერებულიყო ჩხიკვაძე მაშინ ნაწარმოების მებროლი—პოლიტიკური მნიშვნელობა საგროზობლად შემციადებოდა; ასე არ მოხდა პ. ჩხიკვაძე მოთხრობის მთავარი გმირის—ბუთხუზის იდეური ავადმყოფობის წინააღმდეგ აწარმოებს სასტიკ ბრძოლას. ასე უნდა მოქცეულიყო ყოველი პროლეტარული მწერალი, რომელიც იძლევა რეალური ცხოვრების მბატრულ შეხეცნებას პარტიული მიდგომით და შეფარდებით.

ბუთხუზი დახგასთან პარტიულმა სასჯელმა დააბრუნა. მის შერყვობას სხვათა შორის სტიმულს აძლედა მისი ცოლის—ტოთის—ბურჟუაზიული ჩვევები. ამირეჯიბის ქალი ძლიერ ცუდი თანამგზავი გამოდგა მისი პარტიული და კომუნისტური მოქმედების გზაზე. ბუთხუზი ცილდება ცოლს, შეაქვს უჯრედში განცხადება შეცდომების აღიარების შესახებ. „ჩვენ გვეჯრა მისი განცხადების ბოლო ნაწილი მიინც—აქნადებს უჯრედის მდივანი—რომ ის კარგი დამკვრელი გახდება წარმოებაში, მაგრამ ჩვენ უპირველეს ყოვლისა ველედებით ბუთხუზის იდეოლოგიურ გამოსწორებას“. მთელი უჯრედი „ერთსულოდ—ნად ამითარებდა ბოლო წლებში ჩადენილ შეცდომებისთვის“ ერთი მუშა ამბობს: „ჩვენ ხელი არ აგვიკანკალდება ბუთხუზის პარტიის რიგებიდან გასარიცხავად“. „ჩვენთვის ძვირფასია ყოველი ამხანაგი სანამ ის გადავვარდებოდეს“.

უჯრედი სასტიკად ჭკობს ბუთხუზის შეცდომებს; ესაა თვით მოთხრობის ავტორის შეხედულება.

ფსიქოლოგიზმის როგორც შემოქმედებითი მე-  
თოდის მთავარი თვისება „სულის გაშიშვლების“  
ცდაა, ამ გზით ის ცდილობს გვიწვევოს გვირის  
ნებისყოფის დაბადება, ბუნებრივია, რომ ის სთი-  
შავს ადამიანის გრძობებს მისი ყოველდღიური  
სოციალური პრაქტიკისაგან. გამომდინარე აქე-  
დან ეძებს უფრო „მარადიულს“, უფრო „ქვეყნის  
მეორე მხარეზე“, არსებულ მოვლენებს. ეს ითქმის  
მაგ. ლ. ტოლსტოის შესახებ.

დოსტოევსკი ამბობდა: „მე მხოლოდ რეალის-  
ტი ვარ ამ სიტყვის უმადლესი მნიშვნელობით  
ე. ი. ესაზღვრე ადამიანის სულის სიღრმეს“. ამ  
თვალსაზრისით „სულის სიღრმე“ მარტოა, რომელიც  
იმ სფეროს, რომელიც იდეალისტების გაცემით  
ზე-რეალურია, განზოგადებულია პრაქტიკულ  
ცხოვრებას. პიროვნების ტრაგიზმი, როგორც  
მთავარი ნახი დოსტოევსკის ფსიქოლოგიზმისა

მთლიანად უწინააღმდეგება პიროვნების ისტო-  
რიულ-მატერიალისტურ გაგებას. ეს უკანასკნე-  
ლი კი პროლეტარული მხედრობისთვის გზის  
მარტოა. ადამიანის მარტოა მარტოა  
კატეგორიის გაგება - აუცილებელი მომენტია  
ჩვენი მატერული პლატფორმისა. მხოვედის შე-  
მოქმედებითი პრაქტიკა ამ მხრივ სათანადო მა-  
სალებს იძლევა.

ამავე კრებულში მოცემულია მოთხრობა „და-  
ბინდებიდან გათენებადის“. აქ მატერულადაა  
ნაჩვენები გურიის ბოლშევიკების ბრძოლა მენ-  
შევისმის ბანდიტური გვარდის წინააღმდეგ.  
ყურადღებას იქცევს აგრეთვე „დე იურე“, „საბ-  
ქოთა ცვილინი“, „აბასთუმანი“ „განაზღვრული  
მხარე“.

**გ. ნატროშვილი.**

**რატონი გვიტამე — „მარულა“.**

ქართველ სიმვოლიტიკებიდან რატონი გვიტა-  
მე შემდეგ ორგანიზულად მისვლა საბჭოთა თა-  
ნადრობობასთან, თავისი უკანასკნელ წლების  
ბელეტრისტული და პოეტური ნაწარმოებებით  
მან უკვე შესძლო თანამზავრულ მოკავშირულ  
პოზიციებზე გადასვლა. რასაკვირველია გვიტამე  
ჯერ კიდევ საბოლოოდ არ არის განთავისუ-  
ფლებული სიმვოლიზმის იდეური მერყეობისა-  
გან. ამას ამტკიცებს თვით სარტენიზო ლექსე-  
ბის წიგნიც. თუ გვიტამის პროზა („თოვ“, „უკი-  
კოკონა“, სხვა და სხვა ნარკვევები საბჭოთა აღ-  
მშენებლობის შესახებ) მწერლის იდეური გა-  
ჯანსაღების შესახებ ლაპარაკობს, სამაგიეროთ  
მის პოეზიაში კიდევ არის დარჩენილი სიმვოლი-  
ზმის განწყობილებათა იდეური ნაშთები. კრე-  
ბულის ლექსები შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად,  
პირველი მათგანი აშკარა თანამზავრული ხა-  
ზით მიიშართება. ასეთები არის „მარულაში“  
„შეზღვევი ლექსები: „პოეტობო, ბარიკადებზე“,  
„პირველი მისიის“, „წითელი რაზმული ქალი“  
„ყვარული სტამბა“, „ლაშქრობა“, „თორმეტი-  
ეფიში“, „მუშათა ანალი საბლი კონკაძის ქუჩა-  
ზე“ და „მერკილაძის დები“. დანარჩენი ლექსე-  
ბი (მაგ. „მუშაბიო ანუ სატირა საკუთარ თავზე“,  
„ქვის მკრელი“, „თოვნი“ და სხ.) სიმვოლიზ-  
მურ, დავიუმულობის განწყობილებებს გამოხა-  
ტავენ. ლექსების წიგნს თანდართული აქვს  
„თარიღები“, რომელთა გადათვლიერება ნათე-  
მლოდს, რომ გვიტამე თანდათან სძლეეს დაცე-

მულობის უმიდლო განწყობილებებს, ასე რომ  
„მარულა“ უფოოდ გამოხატავს ერთგვარ გარ-  
დატებას გვიტამის შემოქმედებაში, გადასვლას  
სიმვოლიზმის დეკადენტურ პლატფორმიდან თა-  
ნამზავრულ-მოკავშირულ პოზიციებზე. რ. გვი-  
ტამე თავის ერთ-ერთ ლექსში სწერს:

„და ის ქარხანა თუთუნის  
სად მტკვარი მიდის დუღუნით  
და მიაკვს ძველი მითები...  
სადაც ვე შენი თითები  
დღეს პაპიროსებს ჰკონიან  
მე ველესია გონია“.

რას ამტკიცებს ეს ლექსი? იმას, რომ გვიტამე  
ჯერ კიდევ არაა თავისუფალი სიმვოლიზმის რე-  
ლიგიური მსოფლმხედველობისაგან, ეს პირ-  
ველყოფისა იმაში გამოიხატება, რომ მას სა-  
ბჭოთა ქარხანა წარმოუდგენია როგორც ველე-  
სია, რატომ? რისთვის?

„ტებში დგას გიშრის ქედები,  
ნივე ცურავენ გედები.  
გედები ჩემი ფიტრია  
მაგრამ უმინოთ მოქტირია“.

ეს ობიექტური რომანტიკა ქალის და სი-  
ყვარულის შესახებ მხოლოდ ხელის შემწველია  
გვიტამის თანამზავრული განვითარების გზაზე.  
„ფიტრების უმინოთ კოლვა“ დამახასიათებე-  
ლი ისეთი პოეტისათვის, რომელსაც ახლანდე-  
ლი სოციალურ ცხოვრებაში შეურობებელი უთა-  
ნმოება ახასიათებს საზოგადოების მოწინაშე

იდებთან. რაედენ გვეტაძის შესახებ ამჟამად ამის თქმა უკვე არ შეიძლება. მაშასადამე ის გადაჭრით უნდა გავმიჯნოს თავისი არა-თანამგზავრელი სიმელოისტური ლექსების იდეოლოგიას.

მსტიკურ ზმანების და სიმელოისტურ-ბუნდოვანების შთაბეჭდილებას იძლევა ლექსი „თოვანი“. პოეტის სწერს:

„მუარეიდეს შენი დაღალი  
შთავადნილს სიმწუხარეში  
მოგვეცა ცხოვრება ალალი  
ამ ჩვენს პატარა მხარეში“.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ლექსი ე. სარაჯიშვილის შესახებ („დადუმდა ბაგე ოქროს მთოველი“) აშკარა ნაციონალისტურ იდეოლოგიის ზეგავლენის შედეგია, „ისევე წაღვეა ცრემლის ნარვალმა დღეს საქართველო მზით მოქარგული“, „გაგეტემა წელში ბედმა მტარვალმა, შხამიან ისრით ვაგვიპო გული“, თურმე „სამშობლო მთების მწვერვალები“ გლოვობენ და სხ.

ძველი ბურჟუაზიული ესტეტიზმის შეხედულება ცხოვრების შესახებ, რომლითაც დატვირთულია გვეტაძის ლექსების დიდი ნაწილი აღნიშნულ კრებულში—გვეტაძის თანამგზავრობის შემადგენელი იდეური დაბრკოლებაა. პოეტმა უნდა სცადოს საბოლოოდ თავი დაახწიოს დაცემულობის, მისტიკის, რომანტიულ სიყვარულის განწყობილებებს.

„მარულაში“ გახსენებულია ობიექტურად ვერცხის შესანიშნავი, ვირივით წყნარათ და მშვიდათ ცხოვრების ილიუზია.

„...არადერი მესმის მხოფლიო პოლიტიკის,  
რომელსაც შეიძლება მოჰყვება ახალი ომი,  
გადაწყვეიტე ვიცხოვრო ასე:

ვირივით წყნარათ და შრომით“.

ეს ლექსი „აპოლიტურული“ მხატვრული ობიექტულის „ათი მცნებანი“ გვეტაძის უნდა ეცადოს საბოლოოდ ჩამოვიღდეს ასეთ იდეურ გადაბრებს. მას უთუოდ შეუძლია ამ ობიექტურ ლერ კაობის დაძლევა. ამის მაგალითს იძლევა მისი უკანასკნელი ლექსები რევოლიუციის წარსულის („აღაშქრობა“ „მერკვილაძის დები“) და აწმყოს შესახებ.

დღეს ქართველ სიმელოისტების უგუფოდან რაედენ გვეტაძე ერთ-ერთ პროგრესულ ძალას წარმოადგენს. მისი ლექსების მხატვრული ფორმა კიდევ უფრო მეტადაა დამიზნებული სიმელოზმის ტრადიციებით. ასე მაგ. ოქტომბრის ზემის შესახებ გვეტაძე სწერს:

„ლალის აღმა ბრიალებს  
ვეფხების არი წარულა  
შუბები ისევე პრიალებს  
რომლებიც ბევრჯერ ხმარულა.

ესაფია ოქტომბრის ზემის ასეთი წარმოდგენა ვეფხების მარულის სახით მოკლებულია დამაჯერებლობას. მეორე ლექსში ის სწერს:

„იდეა ტფილისი როგორც მოხვეერი  
რქებზე დანთებულ ელვის სანთლებით“.

აგრედვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, ის გარემოება, რომ გვეტაძის ახასიათებს უკიდურესი ლირიზმი. სანტიმენტალური ძიება „ადამიანის გრძობის“ „ამალღებულ“ მომენტებისა, ეს უკიდურესობაც სიმელოზმის ნაშთია მის პოეზიაში. საერთოდ მწერლისათვის მოკვეთილ პოზიციაზე გადასვლა სიმელოზმთან ყოველგვარ კავშირის გაწყვეტას, მისგან მთლიან განთავისუფლებას უნდა ნიშნავდეს.

გ. ნატროშვილი

საკრედაქციო კოლეგია:

- ი. ვაშაყშაძე
- ბ. დეჰვარიაძე
- ს. ეული
- ზ. რადინი
- გალ. ტაზიძე
- ბ. ტაზიძე
- ს. ჩიქოვანი
- ს. ვაჩაგაძე